



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ
ՆԱԽԱՐԱՐԱԿԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ

Գրական

12

1977



საქართველოს
სახელმწიფო ბიბლიოთეკა



„ახალი ცხოვრების გარიჟრაჟზე“



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

სსსს

247

გამომცემის მეორე წელი

12

ლექსები

1977

თბილისი

საქ. კვ. ცენტრის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შერეული

საბარათველს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

კ. შარტავის ს.ხ. საქ. სსრ
სახელმწიფო ბიბლიოთეკა



ზ ი ნ ა ა რ ს ი

პროზა, პოეზია

- 3. ელდარ კერძვაძე — საახალწლო ლექსი
- 4. ჯემალ ქარჩხაძე — იპი. პრესტორიული მოთხრობა
- 31. ტაგუ მიბურნიშვილი — ლექსები
- 32. შალვა საბაშვილი — ლექსები
- 36. ჯემალ ინჯია — ზღაპარი. ლექსი
- 37. ზუმრუდ გრდღერძიშვილი — ლექსები
- 39. ჯემალ დავლიანიძე — წონასწორობა. რომანი. დასასრული
- 67. თამაზ კალანდარიშვილი — ლექსები
- 68. ბადრი სვანაძე — ლექსები
- 70. ზაზა ძინჭლავი — ლექსები
- 72. გეგან ჯაფარიძე, მიხეილ ოკუჯავა — ცისფერი ნაპირწყალი

ქმობის სიმღერა

- 88. ალი ისაევ-აპარსკი — კლემის მშვიტადი სემიონი წლისა. ლექსი. თარგმანი ოთარ შალამბერიძემ

ნარკვევი

- 90. თენგიზ ურუშაძე — ტყე — ჩვენი საზღუდები
- 50 — თამაზ ჩხენკელი — 50
- 101. თამაზ ბიბილური — მონოლოგი თამაზ ჩხენკელზე

წერილები

- 105. პიორგი მარგველაშვილი — ახალი ცის ქვეშ. დასასრული
- 119. ოთარ ბურღულია — აბრსკილის მტიმოლოგიური გაბაბისათვის
- 126. ცილა შურციკიძე — „მეხაილის წიგნის ძველი ქართული ვერსიები“
- 131. პიორგი ავალიანი — დიდი ვეფხვეთელი სიგელი

ჩვენი კალენდარი

- 141. ირაკლი ყიფიანი — პიორგი ჩუბუნოვი
- სკორტი
- 148. გივი გახრეკელი — მანა უტავს და იპარჯებებს იუმორი
- 151. ბაბა ჩორღელი — დისკობა...

- 153. შურნალ „ცისკრი“ 1977 წლის ნოემბრის უინაბანი

მთაწარი რედაქტორი ჯანსუღ ჩარაშვიანი

სარედაქციო კოლეგია:

- ზაზუნა ამირაჯიანი,
- გურამ გვირგვინიძე,
- გივი გეგეჭკორი,
- რისკა გორდუნიანი,
- პიორგი გუბია,
- ნოდარ დუმბაძე,
- მერაბ ელიოზოვილი,
- ელზარ მენაბდე,
- იოსებ მრგვინიძე,
- ოტია პავლიანი,
- (მთ. რედაქტორის მოადგილე)
- გურამ ფანჯიკიძე,
- ნუგზარ წერეთელი,
- ტარიელ მანთუკია,
- რაჭო მამიშვილი.





ელდარ კარაქვამია

საახალწლო

რაიც ქვეყნად შევძელით,
რასაც მამულს ვმატებდით, —
უმკვიდრესი ფუძეა.
დაგვირგვინდა ეს წელიც
დიდი რევოლუციის
სამოცი წლის ნათებით.
ძმობა ძალას გვმატებდა
ბრძოლით, შრომით ვიარეთ,
არ დადლილა ქართველი
კვლავ მამულში ტრიალებს.
სივრცე გადაიტოლა
შუქმა კარით — კარამდე
როგორც გოგლა იტყოდა
„ამ დღეებს უდარაჯე“
მოდის წელი ახალი —
ახალ შუქით ვივსებთ,
ხუთწლეულების მაღალი
საქმითა და მიზნებით.
რაიც ქვეყნად შევძელით,
რასაც მამულს ვმატებდით, —
იყოს მარად დღეგრძელი!
იყოს მარად ნათელი!



ჯამალ მარჩხაძე

ი გ ი

(პრინტორიული მოთხრობა)

— როცა ცა დღის თვალს გაახელს და ქვეყნიერებას სიბნელეს გადააცლის, იგი ავა მაღალ ქარაფზე და დიდი დაძინების ხახაში ჩაეშვება.

ბელადის სიტყვებს ცხელი ხიფათის სუნი აუვიდა, როგორც შიშველ მთას აუვა ხოლმე, როცა შიგნიდან ცეცხლის ენა ამოიმართება და ცა ფერფლის ღრუბლით დაიფარება.

შეშფოთებამ იგის თავით ფეხამდე დაუარა.

ასეთი რამ ჯერ არც ერთ ბელადს არ ეთქვა.

იგი მიხვდა, რომ ქვეყნად რაღაც ახალი გაჩნდა.

ოღონდ ისე კი არა, ცის ძახილი

ცეცხლად რომ გაიკლაკნება და მყისვე გაქრება.

არა.

მიწა რომ გაიბზარება და ნაპრალი აღარასოდეს ამოივხება, ისე.

ირგვლივ დუმილი იდგა.

თანამომწვეებს თვალეზი გაფართოებოდათ და იგის შესცქეროდნენ.

მაშინ იგი კიდევ უფრო გაიმართა, თავი უკან გადაიგდო და შორეული მთების სიმაღლეს მიაბჯინა მზერა. მთების დიდმა სიმშვიდემ შეშფოთებანელ-ნელა გამოდევნა სხეულიდან. ცხელი ხიფათის სუნიც გაილია.

იგიმ მთების სიმაღლეს მადლობა შეუთვალა.



თანამომქმეთა ვაფართოებული თვალები ერთმანეთში შეცურდნენ.

იგის ახლა ერთი ვეებერთელა თვალი მოსჩერებოდა ყოველი მხრიდან.

ირგვლივ დუმილი იყო და მოლოდინის მძაფრი სუნი იდგა.

იგიმ ბელადს შეხედა.

ბელადი ყველაზე მეტად იყო მოხრილი. გრძელი ხელები ლამის მიწაზე დასთრევდა. შუბლი ვიწრო და ბრტყელი ჰქონდა, კბილები — მრისხანე და დაკრეჭილი.

მორიგეობით ინაცვლებდა ფეხებს და ადგილზე ირწყოდა.

ასეთი ბელადის დანახვაზე ძლიერი ნადირებიც კი დამფრთხალი ვარბოდნენ.



დიდი დაძინების ქარაფზე ის ადის, ვისი დაბადებაც აღარავის ახსოვს, ვისაც მკლავებში და მუხლებში სიძაბუნის გემო ჩაუდგა, ვისაც აღარც კეტის ტრიალი შეუძლია და აღარც ნადირის დევნა.

დაბინდებისას ბელადი მთელ ტომს შეყრის და იტყვის.

ხოლო ცაზე რომ დღის თვალი ამოცურდება და სიბნელეს სინათლით გაფანტავს, კაცები აღმართს შეუდგებიან. წინ ის მიდის, ვინც ქარაფიდან უნდა გადაეშვას. უკან დანარჩენები მიჰყვებიან. ქარაფის შუა წელთან, იქ, სადაც ბოლო ხე დგას, დანარჩენები შეჩერდებიან და ის მარტო განაგრძობს გზას. მიდის, მიდის, მიდის. მწვერვალს რომ მიადწევს, მოიხედავს. თუ მანამ არ მოიხედა, მწვერვალთან მაინც მოიხედავს. და ამ დროს სახეზე ცოცხლად შეპყრობილი ნადირის ფერი ადევს. მერე ისევ შეტრიალდება, მოიკუნტება, შეიკუმშება, დაპატარავდება, თვალეზდახუჭული (იგიმ არ იცის, თვალეზდახუჭული თუ თვალეზგახელილი, მაგრამ ახლა, როცა თვითონ მიუყვება დიდი დაძინების ციცაბო აღმართს, რატომღაც ჰგონია, რომ თვალეზდახუჭუ-

ლი) გადააწიკვებს და მისი ყინილი დიდი დაძინების ხახაში ჩაიკარგება.

თანამომქმეები კეტებს მაღლა შემართვენ, გამარჯვების ყიყინას დასცემენ და გამოქვავებულში დაბრუნდებიან.

ის აღარ დაბრუნდება.

იგიმ არ იცის, რატომ არასოდეს იღვიძებს დიდი დაძინებით დაძინებული, მაგრამ იცის, რომ არ იღვიძებს, რაკი უკან დაბრუნებული არავინ უნახავს.

აქამდე ასე იყო.

და ბელადი...

კიდევ დამარცხებული ბელადი ადის დიდი დაძინების ქარაფზე.

დამარცხებულ ბელადს არც მკლავებში უდგას სიძაბუნის გემო და არც მუხლებში. კეტის მოქნევაც შეუძლია და ნადირის დევნაც.

მაგრამ მაინც ადის დიდი დაძინების ქარაფზე.

რატომ ადისო, არავინ კითხულობს.

ალბათ ჰგონიათ, რომ, რაც არის, ის მუდამ იყო.

(თავიდან ივისაც ასე ეგონა, მაგრამ ახლა, როცა მრავალი გაკვირვება უკვე ცოდნად ექცა, მისვდა, რომ მუდამ არაფერი ყოფილა, ყველაფერი ოდესღაც გაჩნდა, და უხმოდ იკითხა თავის სხეულში: „რატომ ადის დამარცხებული ბელადი დიდი დაძინების ქარაფზე?“).

იმიტომ რომ დამარცხებული ბელადი მაინც ბელადია, მაგრამ რაკი დამარცხდა, ბელადი აღარაა. ხოლო როცა ბელადი ბელადია და თან ბელადი აღარაა, ეტყობა რაღაც ირღვევა, რისი დარღვევაც არ შეიძლება. ამიტომ აღის...

ადრე, უცხო სიტყვები რომ შემოესეოვნენ და იგი მათს ასხმასა და დალაგებას შეუდგებოდა, გაურკვეველი სიმძიმე სხეულში ტკივილად ეღვრებოდა, თვალეზი ეხუჭებოდა და ძილი ერვოდა.

ახლა ასეთი რამ აღარ ემართება. ახლა უცნობ სიტყვებს იოლად და სწრა-

ჯემალ შარხაძე
იბე

ფად ალაგებს. სიტყვები გამწკრივდებიან და ისე მიუყვებიან მათთვის მიჩენილ გზას, როგორც ნადირი მიუყვება გაკვალულ ბილიქს წყაროსაკენ.

ესეც იმის ბრალია, ალბათ, წელში რომ გაიმართა...

პირველად იმ დღეს შენიშნა, რა დღესაც ძველი ბელადი დიდი დაძინების ქარაფზე ავიდა.

... როდესაც ცამ დღის თვალი დახუჭა და ღამის მქრქალი თვალი გაახილა, კაცები დაბრუნდნენ. ბედმა ვაუღიმათ და მარჯვედ ინადირეს.

წინ ბელადი მოდიოდა. კეტი მხარზე ჰქონდა გადებული. დანარჩენები უკან მოჰყვებოდნენ და ვეებერთელა ნადირი მოჰქონდათ.

ქალები და ბავშვები ჟიგილ-ხივილით გამოეგებნენ და ნანადირევის დანახვაზე თვალეზში შიმშილის ფერი ჩაუდგათ.

ბელადი გამოქვაბულში შევიდა. სახეზე, როგორც ყოველთვის, სიმშვიდისა და სიტბოს სუნი ასდიოდა. მისთვის განკუთვნილ ქვას მიაშურა, დაჯდა, კეტი გვერდით მოიღო და ხელები მუხლებზე დაიწყო.

ამასობაში დანარჩენებიც შემოვიდნენ, ნანადირევი შუა გამოქვაბულში დადეს და ძველი მონადირეები ხორცის განაწილებას შეუდგნენ.

როგორც წესია, წამახული ქვებით ჯერ თავი წააცალეს მოკლულ ნადირს, ბელადს მიუტანეს და ფერხით დაუდეს.

იგი მერე დიდხანს ცდილობდა გაესენებინა, რა ადგილას იდგა ამ დროს ბელადის შვილი, მაგრამ ვერ გაიხსენა, რადგან მაშინ სტომაქში შიმშილი დაფუსფუსებდა და ირგვლივ ხორცის მეტს ვერაფერს ხედავდა.

ასე იყო, თუ ისე, ბელადმა რომ ხელები გაიწოდა თავისი წილის ასაღებად, შვილი თვალის დახამხამებაში მასთან გაჩნდა, ცალი ფეხი ნადირის თავს დააბიჯა და გადმოკარკლული თვალები მამას მიაპყრო. მხარზე გად-

ბული კეტი ორივე ხელით ჩაებღუჯა, შავი ფაფარი მხრებზე სტემა და მისი ბი დაეკრიჭა და სახეზე განუხილავი ღირის სუნი ასდიოდა.

გამოქვაბულში გაკვირვების ღმუილი გაისმა.

მერე ღმუილმა გადაიარა და ისევ სიჩუმი ჩამოწვა.

ბელადის სახეს სიტბოს სუნი ისე გადაეცალა, როგორც ტყეს გადაეცლება ბურუსი, ქარი რომ დაუბერავს. იგის მოეჩვენა, თითქოს სიმშვიდის სუნმაც იწყო გადაცლა, მაგრამ ამ დროს ბელადმა თვალეზი ნელა მოხუჭა და სიმშვიდის სუნი დარჩა. გაწვდილი ხელები უკანვე წაიღო, ისეც მუხლებზე დაიწყო და თვალეზი გაახილა. ერთხანს გაუნძრევლად იჯდა და შვილის ფეხს უყურებდა, რომელიც ნადირის თავზე იდგა. მერე ნელა ააყოლა თვალი. სახეს რომ მიწვდა, კვლავ გაეშდა. უყურა. შვილის ავი სუნი მამის სიმშვიდის სუნს ებრძოდა. გამოქვაბულში დაძაბული დუმილი იდგა. იგის ტყუილად ეგონა, ბელადის სახეზე თეთრი შიში გადაიბენსო; ბელადი მისჩერებოდა შვილს ჩასისხლიანებულ, გადმოკარკლულ თვალეზში და მის სახეს რამდენჯერმე მიუახლოვდა და ისევ მოშორდა სიტბოს სუნი. ბოლოს შვილს თვალი მოარიდა, ხელკეტს დაწვდა და წამოდგა.

ძველმა მონადირეებმა ნანადირევი გვერდზე გასწიეს და მამაშვილს გამოქვაბულის შუაში დაუთმეს ადგილი.

შეიბნენ.

შვილი ღონიერი იყო და ბრძოლა მალე დასრულდა. მამა ძირს დასცა, ხელკეტი ააცალა, თავის ხელკეტთან ერთად მალა შემართა და დამარცხებულ მეტოქეს ძლევამოსილი ყოყინით რამდენჯერმე ირგვლივ შემოუბრინა. მერე წავიდა და მამის ადგილას დაჯდა საბელადო ქვაზე. ნადირის თავი აიღო, ორივე ხელით მაგრად ჩაბღუჯა და მკერდზე მიიკრა. ეჭირა ასე და თვალეზს აქეთ-იქით აციცებდა.

დამარცხებული ბელადი ნელა წამოდგა და გვერდზე გადგა. სახეზე კი

მინც ასდიოდა სიმშვიდის მსუბუქი სუნი.

იგის უკვირდა.

ძველმა მონადირეებმა ნანადირევი კვლავ შუა გამოქვაბულში გამოათრის და განაწილება განაგრძეს...

როდესაც შიშველი მთის თავზე ცამ დღის თვალი გაახილა, კაცები დიდი დაძინების ქარაფს შეუყვანენ.

ყველაზე წინ ძველი ბელადი მიაბიჯებდა. მარტო. უხელკეტოდ. ცოტა მოშორებით ახალი ბელადი მიყვებოდა. ახალ ბელადს დანარჩენები მისდევდნენ უკან.

იგიც.

ცის თვალს ქვემოდან ღრუბლები აფუარენ. ქვეყანაზე წვიმა მოვიდა.

წვიმის ნესტიანი სუნი რომ იგრძნო, იგის სხეულში უცებ ნი გაჩნდა.

ნი ლამაზი იყო.

ქარაფის შუ წელთან, იქ, სადაც ბოლო ხე იდგა, ახალი ბელადი შეჩერდა. დანარჩენებიც წამოეწივნენ და შეჩერდნენ. ყველა სველი იყო.

მხოლოდ ძველი ბელადი მიდიოდა.

იგი ზურგს ხედავდა და, ნეტა ახლაც თუ ასდის სახეზე სიმშვიდის სუნიო, უხმოდ კითხულობდა თავის სხეულში.

ძველი ბელადი ნელა მიაბიჯებდა. უკან არ იხედებოდა.

ბოლოს მოიხედავსო, თავის სხეულში ამბობდა იგი. ჯერ არავინ ასულა დიდი დაძინების ქარაფზე ისე, რომ უკან არ მოეხედა.

იდგნენ თავით ფეხამდე სველები და უყურებდნენ.

ძველი ბელადი მიდიოდა, ხოლო უკან, ატლახებულ მიწაზე, მისი ფეხის ღრმა კვალი რჩებოდა. ჩაზნექილი, ამოზნექილი, ისევ ჩაზნექილი და ბოლოში თითების ანაბეჭდი, ერთმანეთზე მიტყუებული და ერთმანეთისაგან მანკე გამოყოფილი. ფეხს რომ ასწევდა, სანამ ხელახლა დადგამდა, ნაფეხურში წყალი დგებოდა.

ზურგზე, ბეჭებს შუა, წვიმის წვეთები ერთად იყრიდნენ თავს და ნაკადუ-

ლივით მოედინებოდნენ ქვემოთ. თმის დანაც წვეთები ჩამოსდიოდნენ.

ქარაფის წვერს რომ მიალწია, იგიმ თავის სხეულში თქვა, ახლა შეჩერდება და მოიხედავსო.

ამის თქმა ძლივს მოასწრო, რომ ძველმა ბელადმა ბოლო ნაბიჯი გადადგა ქარაფის წვერიდან და გაქრა.

არც მოუხედავს, არც დაუყვირია.

ახალმა ბელადმა კი დაიყვირა.

ხელკეტი მალლა შემართა, დიდი ხმით დაიყვირა და ხტუნვა დაიწყო, დანარჩენებიც აყვნენ.

იგიც.

(იგის მერე უკვირდა.)

ახალმა ბელადმა ყვირილი და ხტუნვა მოათავა, ხელკეტი ისევ მხარზე გაიღო და თავდაღმართს დაუყვა. დანარჩენებიც აედევნენ.

მარტო ძველი ბელადი დარჩა საღდაც.

ისე წვიმდა, ცა კი არა, ღრუბლებიც აღარ ჩანდა.

ძველ ბელადს არც მოუხედავს და არც დაუყვირია. კვალი კი დატოვა.

იგის სხეულში გაკვირვება აწრიალდა.

კვალი ხომ ძველი ბელადის ფეხისა იყო. როგორღა დარჩა? თუკი ბელადის ფეხი ბელადთან ერთად გაქრა, რატომ კვალი არ გაქრა ფეხთან ერთად? ნუთუ, კაცი რომ დიდი დაძინებით იძინებს, მთლიანად არ ქრება?

იგიმ ნაბიჯი შეანელა, კაცებს ჩამორჩა, თმიდან და სახიდან წვიმის წვეთები ორივე ხელით ჩამოიწურა და უკან მოიხედა. ნაფეხურები უნდოდა დაენახა.

ქარაფის წვერზე თეთრი ნისლი იწვა, მეტი არაფერი ჩანდა.

იგი უკანვე მოტრიალდა.

კაცების დაწინაურებული ჯგუფი უცნაურად შემჭიდროვებულიყო, შეკრულიყო და ერთიანი გორგალივით მიგორავდა თავდაღმართში.

ჯიშალ ქარჩხაძე

იგი



იგი ისე მიაჩერდა გორგალს, თითქოს რაღაც უცხო ჯიშის ნადირს წაწყდომოდეს.

ფეხს აუჩქარა. წამოეწია.

ერთიანი გორგალი კვლავ ცალ-ცალკე კაცებად იქცა.

ზოგი მეტად იყო მოხრილი, ზოგი — ნაკლებად; მაგრამ ყველანი მოხრილები იყვნენ. შუბლები მიწისთვის მიემვირათ, გრძელი ხელები უსიცოცხლოდ ქანაობდნენ.

წინ ბელადი მიდიოდა.

ბელადი ყველაზე მეტად იყო მოხრილი. ხელები ლამის მიწაზე დასთრევდა. იგის უცებ სახეზე ოლმურის სუნი აუვიდა და მუცელში ცხელმა გემომ დაუარა.

იგი ისეთი არ იყო, როგორც იყვნენ სხვები!

გამართული იდგა. შუბლი შორეული მთის წვერისთვის მიეშვირა.

ცხელი გემო კიდევ უფრო სწრაფად დატრიალდა მუცელში. ტანზე ცივმა შიშმა გადაურბინა და ბალანი აუჯაგრა.

და მარტოობის შემაშფოთებელი სუნი ეცა.

„კიდევ კარგი, არავის შეუმჩნევია გამართული იგი, — უხმოდ თქვა იგიმ თავის სხეულში. — იგი ახლავე მოიხრება და ისეთი ვახდება, როგორც არიან სხვები. მაშინ აღარც მარტოობა ეტკინება და აღარც ცივი შიში აუჯაგრავს ბალანს.“

იგი შეჩერდა, წინ მიმავალ თანამომხეებს დააკვირდა. ყველანი მშვენივრად იყვნენ მოხრილები. „იგიც მათ უნდა დემსგავსოს, რაკი მათი თანამომხეა“, — თავის სხეულში თქვა იგიმ.

მაგრამ ოდნავ მოიხარა თუ არა, ზურგში ავი ნადირით ჩააფრინდა ტკივილი.

იგიმ შეჰყვირა და გაიმართა.

ყვირობზე კაცებმა მოიხედეს. მოტრიალებით არ მოტრიალებულან; შედგნენ და მარტო თავები მოაბრუნეს.

იგის ბევრი სახე უყურებდა.

მერე ბელადმა ხმადაბლა დაიღრინა და გზა განაგრძო.

დანარჩენებიც მიჰყვნენ.

ხოლო იგი თავის სხეულში კიდევ კარგახანს ხედავდა მისკენ მობრუნებულ სახეებს. სახეები ისე მოსჩერებოდნენ, თითქოს აქამდე არასოდეს ენახათ.

სალამოს, როდესაც ცამ დღის თვალი დახუჭა და ლამის მკრთალი თვალი გაახილა, იგის სხეულში წუხილმა დაიდო ბინა.

წუხილი ისეთი ყოფილა, როგორცაა შინარე ტკივილი.

იგი წრიალებდა და ვერ ისვენებდა. თუ ფეხზე იდგა, დაჯდომა უნდოდა; თუ იჯდა, ფეხზე დგომა უნდოდა; თუ მიდიოდა, გაჩერება უნდოდა; გაჩერებული თუ იყო, წასვლა უნდოდა. საცა იყო, იქ ყოფნა არ უნდოდა; იქ უნდოდა, საცა არ იყო. მაგრამ როგორც კი მივიდოდა იქ, საცა არ იყო, უკვე იქ იყო, საცა იყო, და იქ ყოფნა აღარ უნდოდა.

ძალიან ცუდად ექცეოდა წუხილი იგის.

ხანდახან სხეულში ბელადი გაჩნდებოდა და მკაფიოდ. ესმოდა მისი ხმადაბალი ღრენა. მაშინ წუხილი ისეთი იყო, დამშეული ნადირი რომ ძვალს ღრღნიდეს.

იმ ღამეს იგიმ ვერ იქნა და ვერ დაძინა. იწვა თვალდახუჭულობა და უყურებდა, როგორ დაძვრებოდა სხეულში წუხილი.


დანარჩენებს ყველას ეძინა. მიმოტყენილიყვნენ ბნელ გამოქვაბულში კაცები და ქალები, დიდები და პატარები.

„ნისაც სძინავს.“ — თავის სხეულში თქვა იგიმ.

წუხილი უცებ საღდაც დაიმალა, მაგრამ მალევე გამოჩნდა. იგის გაუკვირდა, წუხილი რომ დაიმალა, მერე კიდევ თქვა: „ნის თვალეები ისეთია, როგორიცაა ცა.“

წუხილი კვლავ დაიმალა და იგი მიხვდა, რომ ნის გახსენება ებრძოდა წუხილს.

„ნი, ნი, ნი, ნი...“ — იმეორებდა იგი. მჭმინებელი წუხილი უგზოუყვ-



ლოდ დაიკარგა და იგი ერთხანს მოსვენებით იწვა. მაგრამ წუხილი ნელ-ნელა შეეჩვიოა ნის გახსენებას და ისევ შემოიპარა სხეულში. ახლა იგი სულ ტყუილად იმეორებდა: „ნი, ნი, ნი...“ წუხილი ძველებურად თავის ნებაზე დათარეშობდა. მერე ძვალს მიაგნო სხეულში და ღრღინა დაუწყაო.

მეტის მოთმენა აღარ შეეძლო იგის. საღრაც უნდა წასულიყო, რაღაც უნდა ექნა.

წამოდგა, სიბნელეს თვალი შეაჩვია; ფეხაქრფეთ დიძრა გასასვლელისაკენ. ფრთხილად მიიწვედა, რომ ძირს დაფენილი თანამოძმეებისათვის ფეხი არ დაედგა. როგორც იქნა, მიაღწია გასასვლელს და გავიდა.

ტყის მხრიდან ნიაფი უბერავდა და ტყის მწვანე სუნი მოჰქონდა.

იგი შეჩერდა, სახე ნიავს მიუშვირა, ტყის მწვანე სუნი ღრმად შეისუნთქა. მწვანე სუნმა რაღაც შემოიტანა სხეულში, რაც სიხარულის გემოს ჰგავდა. წუხილი შეკრთა და ძვალს პირი გაუშვა. მერე მიხვდა, რომ საშიში არაფერი იყო, და ისევ დაუწყაო ღრღინა.

იგი ტყისკენ წავიდა. რბილ ბალახზე მიაბიჯებდა. თვალები ვერ ხედავდნენ ბალახს, მაგრამ ფეხისგულები ხედავდნენ.

ტყეში შევიდა. მწვანე სუნში ჩაეფლო.

თავიდან კარგი იყო. მერე წუხილმა მწვანე სუნიც წუხილად აქცია. მართალია, ძვალს აღარ ღრღინდა, მაგრამ სხეულში დაძვრებოდა და, საცა გაივლიდა, ისეთ გემოს ტოვებდა, იღლიას რომ სველი ფოთოლი გამოედოს და ტანს ყრყოლამ დაუაროს.

ვერც ტყეში მოისვენა.

მაშინ ზღვის პირას გავიდა და ზღვის სველ სიმშვიდეში შეაბიჯა. სიგრილე ეამა. წუხილი მცირე ხნით მიყუჩდა. მერე კვლავ გაიკლანჯა და ამოძრავდა. ზღვის სიგრილეს წუხილად იქცა.

წუხილი ავი იყო.

ბოლოს იგი იქვე პატარა გამოქვაბულში შევიდა.

გამოქვაბულში ჩუმად იწვა სიბნელე და ეძინა.

„იგი ისეთი უნდა გახდეს, როგორც არიან სხვები. მაშინ იგი მარტო აღარ იქნება და წუხილიც თავს დაანებებს.“

იგიმ სცადა მოხრილიყო. ტკივილი დილანდელივით ჩააფრინდა ზურგში. იგიმ დაიკვნესა და გაიმართა.

ცოტა ხნის შემდეგ კიდევ სცადა. მერე კიდევ სცადა.

ტკივილი ყვიროდა.

იგი ებრძოდა ტკივილს, მაგრამ ტკივილი ძლიერი იყო.

„იგის მაინც ტკივილი ურჩევნია წუხილს.“ — თავის სხეულში თქვა იგიმ და კვლავ მოიხარა.

ტკივილი იცოდა, რაც იყო.

ტკივილი ისაა, ბრძოლის დროს რომ ნადირი კბილს გაჰკრავს და ფეხიდან წითელი სისხლი გამოუჟვა. ტკივილი ავია, მაგრამ დიდხანს არ ჩერდება სხეულში. ნაკბენი ადგილი კარგად უნდა გალოკოს და დანერწყვოს. ტკივილს შეეშინდება და გაეცლება.

წუხილი კი ვერაფრით ვერ შეაშინა იგიმ. წუხილი არხეინად იჯდა სხეულში და ნადირივით ღრღინდა ძვლებს.

ამიტომ ერჩივნა ტკივილი.

მოიხრებოდა იგი, იყო ასე, სანამ ტკივილს გაუძლებდა, მერე გაიმართებოდა, ცოტას შესვენებდა და ისევ მოიხრებოდა.

როცა შიშველი მთის თავზე დღის თვალი გამოჩნდა, იგი დიდ გამოქვაბულში დაბრუნდა და ღანარჩენ კაცებთან ერთად სანადიროდ წავიდა.



მარტობა ისეთი ყოფილა, მონადირეს რომ შეპყრობილი ნადირი გაექცეს და უიმედოდ გააყოლოს თვალი.

როცა მარტო იყო იგი, მაშინ არ გრძნობდა მარტობას; სხვებთან როცა იყო, მაშინ გრძნობდა.

ჯამალ პარხაძე
იზი



კაცები ისე უყურებდნენ, როგორც უცხო რამ სულიერს, და მის გვერდით ყოფნას ერიდებოდნენ. ბელადს კბილები ავად უელავდა და თვალეში მრისხანება ელგა.

იგი ყოველნაირად ცდილობდა თანამოძმეებს დამსგავსებოდა და მოახლოებული ხიფათი აეცდინა.

როცა ქვეყანაზე შავი სიბნელე ჩამოწვებოდა და ყველანი ძილს მიეცემოდნენ, ფრთხილად დგებოდა, თავის პატარა გამოქვებულს მიაშურებდა და მანამ ებრძოდა ტკივილს, სანამ ცასა და მიწას შორის ჩაწოლილ ღამეს დღის თვალთ ძლიერი სხივებით არ გაფანტავდა.

ტკივილი ჯიუტი იყო და იგის მძიმე ბრძოლის ვადახდა დასჭირდა. მაგრამ ბოლოს მაინც თავისი გაიტანა, ტკივილი დაამარცხა და ისეთი გახდა, როგორიც არიან სხვები. დადგა დღე, როცა სანადიროდ მიმავალი იგი სხვებისგან აღარაფრით გამოირჩეოდა. მოხრილი იყო, ხელები კოჭებამდე დასთრევდა, შუბლი მიწისთვის მიეშვირა. მართალია, ზურგში ჯერ კიდევ კბენდა ტკივილი, მაგრამ ეს პატარა ტკივილი იყო, ტკივილის შვილი, რომელსაც არც სიავე ჰქონდა, არც ძალა და არც ბასრი კბილები.

იგის ახლა ისე უყურებდნენ, როგორც თავისიანს. აღარავინ გაურბოდა, აღარავინ ერიდებოდა. ბელადის თვალეშიც გაქრა მრისხანება.

იგი მაინც დადიოდა თავის გამოქვაბულში და ტკივილის შვილს ებრძოდა.

როცა ტკივილი საბოლოოდ გაქრა, უხმოდ თქვა თავის სხეულში:

„ახლა იგის შეუძლია დიდ გამოქვაბულში დარჩეს და დაიძინოს“.



იგი დიდ გამოქვაბულში იწვა, ხელები თავიქვეშ ამოეწყო, თვალეები დახუჭა და ძილს ელოდებოდა.

სხვებს უკვე ეძინათ.

საცა იყო იგისაც ჩაეძინებოდა. იგი ფაფუკ ბურანში იყო გახვეული და ძი-

ლი ჩუმად, ფეხაქრფით მხდებოდა მისკენ.

სწორედ ამ დროს, სად იყო, სად არა, წუხილი გამოჩნდა.

წუხილი შმაგი ნადრივით წამოვიდა, უჩუმრად მომავალ ძილს გადაასწრო, ფაფუკი ბურანი გაარღვია და იგის სხეულში შეუძვრა.

თან მარტობის გემო შეიტანა.

იგი გამოფხიზლდა. გაკვირვებულნი გაინაბა, სუნთქვა შეიკრა, ყური მიუვლო წუხილს.

წუხილი სხეულში დაძვრებოდა.

მაშინ იგი ფრთხილად წამოჯდა.

„რა უნდა წუხილს იგისგან? — უხმოდ ჰკითხა იგიმ წუხილს. — იგი ხომ უკვე ისეთია, როგორიც არიან სხვები?“

წუხილმა არაფერი უბასუხა, ძვალს მიაგნო სხეულში და ღრღნა დაუწყო.

იგის სიბრაზის ფერი დაედო.

„თავი დაანებოს წუხილმა იგის!“ —

უხმოდ დაუყვირა იგიმ წუხილს.

ისევ დაწვა, თვალეები დახუჭა, ცდილობდა წუხილისთვის ყურადღება არ მიექცია და ძილს დადარაჯებოდა.

მაგრამ ძილი აღარ მოდიოდა.

წუხილი არ უშვებდა ახლო ძილს.

იგი ხან გულაღმა დაწვა, ხან პირქვე, ხან ერთ გვერდზე, ხან მეორეზე.

არაფერი გამოუვიდა. ძილს ემინოდა წუხილის და მოსვლას ვერ ბედავდა.

„არ მოვა ძილი, სანამ იგი წუხილს არ მოიმორებს,“ — უხმოდ თქვა იგიმ.

წამოჯდა. ფეხები შემოიკეცა, მკლავები შემოაჭლო, ნიკაბი მუხლებს შუა ჩადო.

წუხილი ძვალს ჩაფრენოდა და ხარბად ღრღნიდა.

იგის ველარაფერი გაეგო. ვანა იმისთვის არ იწვალა ამდენი, რომ წუხილის ნება შეესრულებია და ისეთი გამხდარიყო, როგორიც არიან სხვები? ვანა ამას არ მოითხოვდა წუხილი მისგან? მამ რაღად დაბრუნდა? რაღას მოითხოვს?



იგის ველარაფერი გაეგო. ახლა მარტო ის იცოდა, რომ ვერ მოისვენებდა, ვერ დაიძინებდა. იქ უნდოდა ყოფნა, საცა არ იყო. და თუმცა ძველი გამოცდილება აფრთხილებდა, როგორც კი იგი „იქ“ მივა, მაშინვე „სხვაგან“ ყოფნა მოუნდებო, მაინც არ შეეძლო წუხილის ნებას არ დაჰყოლოდა.

იგი წამოდგა, ნაჩვევი სიფრთხილით გადააბიჯა მიძინარე თანამომეგებს, გამოქვაბულიდან გავიდა და ტყისკენ გასწია.

ტყე სიბნელით იყო სავსე. იგი მიაბიჯებდა და სველი ბალახი ფეხის გულს უღიტინებდა. შუაგულ ტყეს რომ მიადწია, სიბნელეს მკრთალი შუქი შეერია. ხეებს შორის, მიწაზე, აქა-იქ ბალახი აკიაფდა. იგი მიხვდა, რომ დამის თვალი ღრუბლებს გასცდა და ქვეყანაზე ბრჭყვიალა სხივები მიმოაბნინა. სხივები უმთავრესად ხეთა კენწეროებს ეფინებოდა, მაგრამ, როცა რომელიმე მათგანი ფოთლებს შუა ხერელს იპოვიდა, იმ ხერელს ჩამოყვებოდა და ბალახში აკიაფდებოდა. ეს იგიმ ძველი დაკვირვებით იცოდა.

ახლაც ხის კენწეროებს შუა სხივი შემოპარულიყო და პატარა ბალახს დასცემოდა. იგი ახლო მივიდა. ბალახის პაწაწინეტლა ფოთოლზე მრგვალი წვეთი იდო და ისე ბრჭყვიალებდა, ვითომ თვითონაც ცის თვალი ყოფილიყოს. იგი ჩაცუტდა და ბალახს ზემოდან ხელი დააფარა. სხივი ახლა ხელს სცემდა. მაშინ ამ ხელს მეორე ხელი დააფარა. სხივმა მეორე ხელზე გადაინაცვლა. მეორე ხელს სახით გადაეფარა. სხივი აღარ ჩანდა. იგი იცოდა, რომ სხივი არ ვამქრალა, სადღაც მის თმაში ბრჭყვიალებდა. მართლაც, თავი რომ გადასწია, ისევ ზედა ხელზე დასკუბდა; ზედა ხელი რომ გადასწია, ქვედაზე გადაინაცვლა; ქვედაც გადასწია და მრგვალი წვეთი წვდანდელივით აბრჭყვიალდა ბალახის ფოთოლზე.

იგი წამოდგა და გზა განაგრძო.

სანამ სხივთან თამაშით იყო გართუ-

ლი, წუხილს, როგორც ჩანს, ჩასქინებულა; ან არადა, შეშინებულა, მაკუნებულა; კულიყო სადღაც კუთხეში. ახლა, რაკი იგიმ გზა განაგრძო, საფრიდან გამოვიდა და ძვალს დაუწყყო ძებნა.

ტყე გაილია და ზღვა გამოჩნდა.

იგიმ გვერდზე გაუხვია; თავის გამოქვაბულს მიაშურა. გამოქვაბულში რომ შევიდა, მაშინ კი გაუკვირდა და თავის სხეულში თქვა: „ნეტა რისთვის მოვიდა აქ იგი?“ მართალია, ძველი წუხილი სწორედ აქ დაამარცხა, მაგრამ მაშინ ისიც იცოდა, რომ წუხილის დასამარცხებლად წელში უნდა მოხრილიყო და სხეებს დამსგავსებოდა, რადგან მაშინდელ წუხილს მარტოობა ერქვა.

ახლანდელ წუხილს რა ერქვა, იგიმ არ იცოდა.

ქვაზე ჩამოჯდა და თვალები დახუჭა. წუხილი მოუსვენრად წრიალებდა სხეულში და ისე უღიტინებდა, ერთ ადგილას გაჩერება შეუძლებელი იყო. წამოდგა. სიარული დაიწყო. ჩქარი ნაბიჯით დადიოდა გამოქვაბულში. იარა და იარა. მაინც ვერ მოისვენა. მაშინ გარეთ გავიდა და ზღვისკენ გასწია.

დიდხანს იარა ზღვისპირას. მერე ტყეში შევიდა. ახლა ტყეში იარა დიდხანს. ვერ იქნა და ვერ მოისვენა. ბოლოს ისევ ზღვისპირას გავიდა. სილაში ჩაჯდა, მუხლები შემოიკეცა და ზედ მკლავები შემოაჭლო.

ზღვა მშვიდად სუნთქავდა. წყალი წამოვიდოდა, ფეხის წვერებს დაუსვენებდა და უკანვე ბრუნდებოდა.

წუხილი სხეულში უღიტინებდა და სხეულს აქრეოლებდა.

„თქვას მაინც წუხილმა, რა უნდა! იგი ყველა სურვილს შეუსრულებს. იმიტომ რომ იგის მეტი აღარ შეუძლია!“

უცებ შორს, საღაც ცა ზღვაში ეშვებოდა, სხივი გამოჩნდა. იგი დააკვირდა

ჯამალ ჯარინამ

იგი

და თვალი ააყოლა. სხივი ერთ ადგილას გაწყვეტილი იყო, ზემოთ ისევ ჩანდა. იგი უფრო მალა ააყოლა თვალი, კიდევ უფრო მალა, კიდევ უფრო მალა. ზურგში ტკაცანი გაისმა, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია. ბოლოს სხივის დედა დაინახა, დამის თვალი, რომელიც ღრუბელზე იჯდა და იგის უყურებდა. მთელი ცა ბრჭყვიალა კენჭებით იყო მოფენილი.

იგის რაღაცნაირი ხმა აღმოჩნდა.

ხმა თითქოს ისეთი იყო, როგორიცაა გამარჯვების ყიყინა, მაგრამ უფრო რბილი და თბილი სუნი ასდიოდა.

და მაშინვე იგრძნო, რომ წელში გამართული იჯდა.

სწრაფად წამოხტა, გაშეშდა და საკუთარ სხეულს მიაყურადა.

წუხილი გამჭრალიყო. წუხილს რაღაცის შეშინებოდა, ძვლისთვის პირი გაეშვა და, იგის რომ ხმა აღმოჩნდა, იმ ხმას გამოჰყოლოდა.

იგი იღვა. ცის თვალს შესცქეროდა. და უნებურად კბილები გამოუჩნდა. ოღონდ ისე არა, სხვა დროს რომ გამოსჩენია. სხვა დროს სხვებზე თუ გამოსჩენია: ავი კბილები, ბრძოლის, ხიფათის, სიბრახის; როცა არავის დაინდობდა, როცა მზად იყო საკუთარი სხეულიც კი ნაფლეთებდა ექცია. ახლა იგის კბილებსაც და მთელ სახესაც სითბოსა და სიხარულის სუნი ასდიოდა, როგორც იმ ხმას თუვიდა, წელან რომ აღმოჩნდა.

იღვა გამართული და ცის თვალს შესცქეროდა. და ცის თვალსაც, შორეულ ბრჭყვიალა კენჭებსაც, ტყესაც და ზღვასაც ისე გრძნობდა, როგორც საკუთარ ხელ-ფეხს.

არაფერი არ იყო „ცუდი“. არაფერი არ იყო „კარგი.“ ყველაფერი ისე იყო, რომ ვერც „ცუდი“ დააკლებდა რამეს და ვერც „კარგი“ შეჰმატებდა.

მერე საკვირველი სითბო, რომელსაც ზღვა გამოსცემდა, ცა, ცის თვლით მკრთალად განათებული ქედები, ტყე და ყველაფერი, რაც იხვეწოდა ჩანდა, ყოველი მხრიდან შემოვიდა იგის სხე-

ულში. იგი უნებურად თვალები დაზუტა და იგრძნო, რომ ისე იყო, თითქოს სულაც არ ყოფილიყო. ხოლო როცა შორეული ქედები, ზღვა, ტყე, ცა და ცის ბრჭყვიალა კენჭები ისევ გაიკრიფნენ იგის სხეულიდან და თავთავიანთ ადგილს დაუბრუნდნენ, იგის ტანზე გაკვირვების მსუბუქი სუნი აუვიდა.

თავში უცხო და გაუგებარი სიტყვების კორიანტელი ეღვა.

მართალია, უცხო სიტყვების წყობისად დალაგებას იგი კარგა ხანია მიეჩვეოდა, მაგრამ ამჯერად, რაც ქვეყანაზე სიტყვაა, ეტყობა ყველა ერთად აღაპარაკდა. ყაყანებდნენ სიტყვები, აქეთ-იქით აწყვდებოდნენ, იმსხვერვოდნენ და ნამსხვრევები უწესრიგოდ ირეოდნენ ერთმანეთში. იგის თავი ისე იყო, ბატარა გამოქვაბულში რომ დიდი ტომი დაბანაკდეს, ყველა ვერ დაეტიოს და არც არავინ გავიდეს.

სიტყვებსაც გაკვირვების სუნი ასდიოდა.

„რა მოსდის იგის?“ — უხმოდ იკითხა იგი და თავი მძლავრად გადაიქნია.

წელან იგი ისე იყო, თითქოს სულაც არ არსო. ამავე დროს არაფერი არ არსებობდა ირგვლივ ისეთი, რაც იგი არ ყოფილიყო. რა მოხდა? სად გაქრა იგი? ან როგორ დაიშალა და როგორ შეერია ყველაფერს? რისგანაა, რომ იგი ცა უყურებდა და ცა იგი იყო, ზღვას უყურებდა და ზღვა იგი იყო, ტყეს უყურებდა და ტყე იგი იყო?

ან ეს წუხილი რაღა იქნა? რამ დააფრთხო? ნუთუ იმან, რომ იგი წელში გაიმართა? აკი ამას წინათ სწორედ იმიტომ შეუძვრა სხეულში, რომ წელში გამართული დაინახა!

„უკვირს იგის“, — თავის სხეულში თქვა იგი.

(ახლა, როცა დიდი დაძინების ქარაფს მიუყვება, ყველაფერი ეს იცის. მაშინ კი, ის, რაც ახლა ცოდნაა, მხოლოდ გაკვირება იყო).

იგიმ კვლავ რამდენჯერმე გაიქნია თავი, რათა უცნობი სიტყვები გამოერეკა. მერე ბეშვით წყალი აიღო, სახეზე შეისხა, მოტრიალდა და იღმართს აუყვია. ტყეში რომ შევიდა, სხეულში ის ბალახი გაუჩნდა, ზედ რომ ღამის თვალი მრგვალ წვეთს აბრწყვიალებდა, და ძებნა დაუწყო, მაგრამ ვერ იპოვა. ღამის თვალს თავისი სხივები წიელი და სხვაგან წასულიყო.

იგის სხეულში უცებ ნი გაჩნდა და გაქრა.

ნი ძალიან კარგი იყო.

იგიმ გზა განაგრძო, ტყე გადაიარა, დიდ გამოქვაბულში ფეხაკრეფით შევიდა, ფრთხილად გადააბიჯა მძინარე თანამომეგებს და თავის იდგილას დაწვა. ხელები თავქვეშ ამოიწყო, თვალეზი დახუტვა.

თანამომეგები კარგები იყვნენ.

ბელადიც კარგი იყო...

იგის ჩაეძინა.

როდესაც დილით, სანადიროდ წასვლისას, იგის დანახვაზე ბელადმა ხმა დაბლა ჩაიღრინა და მისმა დიდრონმა თეთრმა კბილებმა დღის თვალის შუქზე ივად გაილევა, იგის ვახსენდა, რომ წინა ღამეს ბელადი კარგი იყო, და არც ბალანი აჯაგვრია და არც შიში აწრიალებია სხეულში.

თანამომეგებმა ისე შეხედეს, თითქოს იგი იგი არ ყოფილიყო, თითქოს იგი სულაც არ არსებობდა. ვისაც კი გვერდით ამოუდგა, ყველა სასწრაფოდ გაეცალა. ზედ არავინ უყურებდა.

მხოლოდ პატარა ზუ, რომელიც დღეს პირველად წაიყვანეს სანადიროდ, დროდადრო გამოაპარებდა ხოლმე თვალს, მაგრამ, წააწყდებოდა თუ არა იგის მზერას, მაშინვე შეტრიალდებოდა და დანარჩენ მონადირეებში მიიმალდებოდა.

ტანი რალაცას უგრძობდა იგის. რას უყრძობდა, ვერ გავგო.

მთელი დღე ამაოდ იწანწალეს და

საღამომ წელცარიელი დაბრუნდნენ უკან.

უხმოდ მიდიოდნენ.

ბელადი კიდევ უფრო მოხრილი ჩანდა. ისე იყო შეკუმშული, თითქოს ნადირის სუნნი იყრა და ნახტომისთვის მომზადებულაო.

გამოქვაბულს რომ მიუახლოვდნენ, პატარა ზუმ ბილიკიდან გადაუხვია. მონადირეებს მისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ. არც იგის მიუქცევია ყურადღება, იღბათ მუცელში შიმშილი აუწრიალდა და საკმელს ეძებო, თავის სხეულში ზოქვა. მართლაც პატარა ზუ გაბარდნილ ბუჩქს მიადგა და მის წვრილ, შავ ნაყოფს ჭამა დაუწყო.

ცოტა გზა რომ გაიარა, იგის სხეულში პატარა ზუ გაჩნდა, რომელიც ფეხაკრეფით გადადიოდა ბილიკიდან და თან ცალი თვალი ისე ექრა თანამომეგებისაკენ, თითქოს რალაცის ეშინიაო.

„ვის ემალება პატარა ზუ?“ — თავის სხეულში იკითხა იგიმ და სწრაფად მიიხედა.

პატარა ზუ გაშეშებული იდგა ბუჩქის ძირას, კეტი ორივე ხელით ჩაებლუჯა და თვალეზაფართოებული მისჩერებოდა იგის. როგორც კი იგიმ მიიხედა, სახეზე დამფრთხალი ნადირის ფერმა გადაურბინა, ბუჩქისკენ შეტრიალდა და ფაცხაფუცხით დაიწყო ნაყოფის კრეფა და ჭამა.

იგი მობრუნდა და გზა განაგრძო. რამდენიმე ნაბიჯი რომ გადადგა, წელანდელივით სწრაფად მოიხედა. პატარა ზუ მისკენ აღარ იყურებოდა, შავი ნაყოფის ჭამით იყო გართული.

ქალები და ბავშვები ხმამაღალი ღრიანცელით გამოეგებნენ მონადირეებს, მაგრამ, ხელცარიელები რომ დინახეს, უცბადვე დადუმდნენ, სახეზე შეუფოთების ფერი დაეღოთ და ბელადს მიაჩერდნენ. ბელადს ხმა არ ამოუშლია, არც ნაბიჯი შეუწელებია. მაშინ ქალები და ბავშვები მიიწ-მოიწიენ, ბე-

ჯიშალ ძარჩხამი

იგი

ლადსა და დანარჩენ მონადირეებს გზა დაუთმეს და, როცა კაცები გამოქვაბულში შევიდნენ, მახლობელ ტყეში მიმოიფანტნენ.

ბელადი საბელადო ქვაზე დაჯდა, კეტი ფეხებთან დაიდო. იჯდა ასე, ხელები კოჭებში ჩაველო, შუბლი მიწისთვის მიეშვირა. იჯდა უხმოდ და ოდნავ ირწეოდა.

დანარჩენებიც დასხდნენ.

იგიმ გამოქვავბულის შორეულ კუთხეში მოიკალათა. ახლა, როცა შიმშილი ბელადს ბელადობას ედავებოდა, იგის ერჩინა მოშორებით ყოფილიყო და მისი გამართული სხეული თვალში არაივის მოხედროდა. რომელიღაც გაუგებარი სიტყვა კარნახობდა, ასე მოექცეს იგიო, თორემ შიშით არ ეშინოდა. არც შიში და არც შემფოთება იმ დღეს იგის არ გაკარებია. შიმშილიც კი ისე უჩუმრად დასრიალებდა მის სხეულში, რომ ძლივს ამჩნევდა. ეგ იყო მხოლოდ, ტანი უგრანობდა რალაცას და უცნობი სიტყვა ურჩევდა, შორს იყოს იგი და თვალი ნურავის შეეჩხირებო.

ამასობაში ქალები და ბავშვები დაბრუნდნენ და ნაირნაირი ნაყოფი და ფესვები მოიტანეს. ნაყოფი და ფესვები დაძინებით ვერ დააძინებდა შიმშილს, მაგრამ ცოტათი მაინც დააშოშმინებდა.

გამოქვაბულის ცივი ღუმილი ხრამუნმა დაარღვია. ყველანი ჰამდნენ, მარტო ბელადი იჯდა უძრავად. ბელადს პირი არაფრისთვის დაუკარებია.

იგიმაც მალე მიატოვა ჰამა; ცოტაოდენი ფესვი გადქვა და თავი მიანება. გამოქვაბულში ხრამუნი და ქშენა ისმოდა.

უცებ იგიმ იგრძნო, რომ ვიღაც უთვალთვალეობდა. ერთი კი შეკრთა ოდნავ, მაგრამ არ შერხეულა. გატრუნულმა მიუგდო ყური. მერე ოდნავ, სულ ოდნავ მიაბრუნა თავი იმ მხარეს და ცალი თავლი გააბარა.

ზუ იყო. ზუ იჯდა, პიტი გამოტუნული ჰქონდა, ორივე ლოყა გამობეჭი-

ლი, მაგრამ დადევნა და ვადაყლაბე თითქოს დაეიწყებოდა. თვალუბგატაროებული მისჩერებოდა იგის.

„ზუს რალაც უნდა“. — თავის სხეულში თქვა იგიმ და სწრაფად მიტრიალდა ზუსკენ.

ზუმ მაშინვე ააჩინა თვალი და გამალებით აამუშავა ყბა.

ღამით იგის სხეულში გუშინდელი იგი გაჩნდა, რომელიც ცას უყურებდა და ხედავდა, რომ ცა იგი იყო, ზღვას უყურებდა და ხედავდა, რომ ზღვა იგი იყო, ტყეს უყურებდა და ხედავდა, რომ ტყე იგი იყო.

მთელ სხეულში თბილმა, ძალიან კარგმა გემომ დაუარა და გაეღვიძა:

ნის სუნი რომ მოუვიდოდა, მაშინ დაუვლიდა ხოლმე სხეულში ასეთი გემო.

ღილით ბელადმა კეტი მალე შემაერთა და, როცა ყველანი გაჩუმდნენ, თქვა:

— იგი არ წავა სანადიროდ.

იგის სხეულში გაკვირვება შეკრთა. გაკვირვებას უცხო სუნი ასლიოდა.

მონადირეებს ყრუ და გაუგებარი ხმა აღმოხდათ. მერე ისევ გაჩუმდნენ და ბელადს მიჩერდნენ. ყველანი ბელადს უყურებდნენ. მარტო ზუ უყურებდა იგის. ზუ საღდაც უქან იღვა და იგი ვერ ხედავდა მას, მაგრამ ბეჭები უგრძნობდა, რომ ზუ უყურებდა.


როცა სხეულში გაკვირვება გაჩუმიდა, იგიმ თქვა:

— იგი ქალი არა არის. იგი ბავშვი არ არის, რატომ არ წავა იგი სანადიროდ?

ბელადმა ქვემოდან ამოხედა იგის, მერე ისევ მიწას დააშტერდა. ყველანი ღუმდნენ. ბელადი იღვა, მიწას მისჩერებოდა და ისეთი სხებ ჰქონდა, კაცი რომ დიდ ქვას დაეჭიდოს და ვერ ასწიოს.

იგი მიხვდა, რომ ბელადს თქმა უნდოდა და სიტყვებს წყობისად ვერ ილაგებდა. ბოლოს, დიდი ღუმილის შემდეგ, მაინც თქვა:

— იგი თუ წავა სანადიროდ, მონა-



დირეები შიმშილს ინადირებენ. — აქ ისევ გაჩუმდა. მერე თვალი მიწას მოწყვიტა, იგის ახედა, თეთრი კბილები ავად დაკრიჭა, კეტი მიწას დაჭრა. — იგი არ წავა სანადიროდ!

მონადირეებმა უკან დაიხიეს და ბელადსა და იგის გამოქვაბულის შუაში ადგილი დაუთმეს. იგის თავში სიტყვები ჩნდებოდა და წყობისად ლაგლებოდა. ან უნდა შეებოდა ბელადს, ან უნდა გაცლოდა.

ბელადი ძლიერი იყო. იგი გაეცალა. შეტრიალდა, მონადირეებს გასცდა, ქალებისა და ბავშვების ავ მზერას წააწყდა და, ნეტა ნი სად არისო, თავის სხეულში იკითხა.

ბეჭები ზუს მზერას გრძნობდა. მერე ზუს მზერა მოშორდა ბეჭებს და იგი მიხვდა, რომ მონადირეები წავიდნენ.

ასეთი რამ არასოდეს მომხდარა. ვისაც ნადირობა შეეძლო, ყველა დადიოდა სანადიროდ. ვისაც არ შეეძლო, ის დიდი დაძინების ქარაფზე აპყავდათ.

იგი ხის ძირას იჯდა, ზურგითა და კეფით ხის ტანს ეყრდნობოდა და ცას შეჰყურებდა. თავში სიტყვები ისე მიედინებოდა, როგორც ნადირთა ჯოგი მიდის წყაროზე, ხოლო სხეულში ხან ბელადი ჩნდებოდა, ხან ზუ, ხან სხვები. ბელადი იღრინებოდა იგის სხეულში და მისი თეთრი კბილები ავად ელავდნენ.

რა უნდა ბელადს? რატომ არ წაიყვანა იგი სანადიროდ? ხომ არ ჰგონია, იგის ნადირობა არ შეუძლია? იქნებ ისა ჰგონია, ხელი რომ მოეცარათ და ვერაფერი მოინადირეს, იგის ბრალია?

იგი გაიტრუნა და საკუთარ თავს ყური მიუგდო. ბოლო სიტყვები უკან დაბრუნდნენ და ხელახლა გაიარეს იგის თავში. იქნებ მართლა იგის ბრალია? აქამდე არასოდეს დაბრუნებულან ხელცარიელი...

იგი წამოდგა და ტყისკენ გასწია. ქალებმა, რომლებიც გამოქვაბულის წინ ისხდნენ და თოთო ბავშვებს თა-

ვიანთ სხეულს აწოვებდნენ, თვალი გააყოლეს. იგის მათკენ არ მიუხედავს. ნელი ნაბიჯით გასცდა იქაურობას.

ტყეში, ნაკადულთან, სხვა ქალებს წააწყდა. ესენი ნადირის ტყავებს ალბობდნენ წყალში და, რომ ჩაუარა, მათაც გააყოლეს თვალი.

იგი ამ ქალებსაც გასცდა და ნაკადულს ქვემოთ დაუყვა. არც მარტობას გრძნობდა, არც წუხილს, არც შემფოთებას, მაგრამ ისე მიინც არ იყო, როგორც იყო აღრე, სანამ ბელადი ქალებთან და ბავშვებთან დატოვებდა. რაღაც გაურკვეველი გემო ჰქონდა სხეულში. რისი გემო იყო, ვერ გაეგო.

იმ ადგილს რომ მიუახლოვდა, სადაც ნაკადული ზღვას ერთვოდა, უცებ ნის სუნი ეცა.

თავიდან მყისვე ამოუვარდა ყველა სიტყვა და მხოლოდ სიტყვა „ნი“ დარჩა. სხეულიდანაც ყველა სახე ამოუვარდა და იქაც მხოლოდ ნის სახე დარჩა. შეჩერდა. იქაურობა დაკვირვებით მოათვალიერა.

ნი გაღმა ნაპირზე იყო; გულაღმა იწვა, მკლავები აქეთ-იქით გადაეშალა, თვლები დახუჭული ჰქონდა და მშვიდად სუნთქავდა. მრგვალი მუცელი ნელა ადიოდა და ჩადიოდა. იგი შეყოყმანდა, ჯერ გზის გაგრძელება დააპირა, მერე შეტრიალდა და ნაკადულში შეტოვა.

ნიმ თვალი გაახილა, მოიხედა და გვერდზე გადმობრუნდა. მერე წამოგდა, ხელისგულები თეძოების ორსავე მხარეს მიწას დააყრდნო და მისკენ მომავალ იგის მიაჩერდა.

ის, რაც ნის საამო სუნი იყო, უცრად გაჭრა და მის ადგილას მძაფრი და გამაბრუებელი ქალური სუნი გაჩნდა. იგის გააჩრეოლა და მუცელში სიმზურვალემ დაუარა. ეტყობა, თვითონაც გამოსცა საპასუხო სუნი, რადგან ნიმ ნესტოები დაბერა და ჰერი ხარბად შეისუნთქა.

ჯამივალ პარჩხამი.
იზი

იგი რომ მიუახლოვდა, ნი წამოხტა და უკან დაიხია. იგი შეჩერდა. მერე ნაბიჯი წინ წადგა. ნი შეტრიალდა და გაიქცა. იგი დაედევნა. ნიმ ხის ირგვლივ დაიწყო სირბილი, დროდადრო უკან იხედებოდა და ნაბიჯს თანდათან უნელებდა. ბოლოს იგი წამოეწია და ხელები წელზე შემოხვია. ნის სხეული აუკანჯალდა, ჩაიჩოქა, მერე გულადმა დაწვა და თვალები მილულა.

იგიმ მის გვერდით ჩაიმუხლა და ის იყო ისე უნდა მოქცეულიყო, როგორც იქცევინ ასეთ დროს სხვები, რომ უეცრად მძაფრ ქალურ სუნში ნის საკუთარი საამო სუნი შემოეპარა. ნის სუნმა ნელ-ნელა გამოარღვია მძაფრი ქალური სუნი და იგის მუცელში სიმხურვალე გაქრა.

ნი ახლა ისეთი იყო, როგორც იყო აღრე, როცა იგის სხეულში ჩნდებოდა და თან თბილი სუნი შემოჰქონდა.

იგიმ ხელი ფრთხილად გადაუსვა სახესა და თმაზე და თქვა:

— ნის საკვირველი სუნი ასდის. თბილი და საამო.

ნიმ ოდნავ გაახილა თვალი და იგი-სკენ მიჩოჩდა.

იგიმ კიდევ თქვა:

— ნის თვალები ისეთია, როგორიცაა ზღვა.

ნიმ ახლა ბოლომდე გაახილა თვალები და გაკვირვებით მიაჩერდა იგის.

ხოლო იგიმ კიდევ თქვა:

— ნის თმა ისეთია, როგორიცაა ჩამოცვენილი ფოთოლი.

ნი სწრაფად წამოჯდა.

— იგის სხვა რამე უნდა?.

ნის თვალეში გაკვირვებას ავი ფერი დაკრავდა და ყველა სიტყვა, რომლებსაც სიბოხის სუნი ასდიოდათ, ერთბაშად ამოუცვივდა. იგის თავიდან. ნის საამო სუნი კვლავ მძაფრმა ქალურმა სუნმა შეცვალა და იგი ისე მოიქცა, როგორც იქცევინ ასეთ დროს სხვები: ხელები მხრებში მოჰკიდა, დააწვინა და თვითონაც ქშენით დააწვა ზემოდან. ნიმ თვალეში ისევ მილულა, მკერდით მკერდზე მიეკრა

და ასხმარტალდა. მერე, როცა იგი ისე მოიქცა, როგორც იქცევინ სხვები, ნიმ სხმარტალი შეწყვიტა. ახლა ის უძრავად იწვა, მოშვებული და თვალედახეტული.

იგი ფრთხილად მოშორდა ნის სხეულს და წამოჯდა. თავში აღარც ერთი კარგი სიტყვა აღარ ჰქონდა. იჯდა, უკვირდა და ვერ მიმხვდარყო, რატომ მაინცდამაინც ნი ჩნდებოდა ხოლმე მის სხეულში და არა სხვა ვინმე.

ნიმ თვალი გაახილა.

— აღარ უნდა იგის ნისთან?

იგიმ არ უპასუხა. ადგა და ნაკადულს დაუყვა ქვემოთ. მის სხეულში ისევ ნი იყო, მაგრამ ახლა არ იცოდა კარგი იყო ნი თუ ცუდი, რადგან ნი ისე იყო დამახინჯებული, კაცი რომ გუბეში თავის თავს უყურებდეს და ამ დროს შიგ ქვა ჩავარდეს. იგი ცდილობდა ეს უცნაურად დაშლილი და დარღვეული ნი გაესწორებინა თავის სხეულში, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა.

დამახინჯებული ნი სხეულში ტკიოდა იგის.

ამიტომ გაძევება სცადა.

„გავიდეს ნი იგის სხეულიდან!“

ნი არ გადიოდა. ტანი მოღრეცილი ჰქონდა, სახე უსაშველოდ გაგრძელებული, ნიკაბი გვერდზე გაგდებული, ცალი თვალი შუბლზე აჯდა, მეორე სულ არ ჩანდა, ფეხები შემუშაებული იყო და შუაში გადატეხილი.

ცუდი სანახავი იყო ნი.

„გავიდეს ნი იგის სხეულიდან!“

ნი არ გადიოდა.

მაშინ იგი თვითონ გაჩნდა თავის სხეულში და გამეტებით ჰკრა ხელი ნის. ნი კიდევ უფრო დაირღვა და დაიშალა. იგი მთელი ძალით მიაწვა ნის. ნის ნაწილები სხეულის კუთხეში მიიყუთა, მაგრამ გასვლით არ გავიდა.

„იგიმ არ იცის სად არის ხერელი, საიდან უნდა გავიდეს ნი“, — მწუხარედ თქვა იგიმ. თავის სხეულში და გზა ვანავარძი.

სხეულში იგი ებრძოდა ნის და ვა-



ვოლა კიდეც, მაგრამ გაძევებით ვერ აძევებდა.

ამასობაში ზღვის სველი სუნი ეცა და ამით მიხვდა, რომ ზღვის პირას გავიდა, თორემ დანახვით ირგვლივ ვერაფერს ხედავდა, რადგან საკუთარ სხეულში იყურებოდა, სადაც იგი ნისებრძოდა.

თბილ სილაში ჩაიჩოქა. სხეულში იგი და ნი იბრძოდნენ. თითს უაზროდ უსვამდა სილას.

მახინჯი ნი ტკივა სხეულს. მაგრამ მახინჯი ნი არ გამოდის სხეულიდან. რა უცნაური სანახავია! წაგრძელებული სახე, გვერდზე გავარდნილი ნიკაპი, ცალი თვალი. შუბლზე... ტანი დაბრეცილი... ფეხები ასე შემუშებულნი... შუაში, აი, აქ. გადატეხილი...

უეცრად მახინჯი ნი გაქრა სხეულიდან და მყისვე იგის თვალებმა მახინჯი ნი სილაში დაინახეს.

იგის თითქოს რაღაცამ უბიძგაო, ზეზე წამოვარდა. თვალებში შიშისა და გაოცების ფერი ჰქონდა, სხეულში ყრუ ბავაბუგი ისმოდა.

დამფრთხალმა დაიხია უკან. მერე შეტრიალდა და გაიქცა. თავში სიტყვები ლაპარაკობდნენ, მაგრამ რას ლაპარაკობდნენ, არ ესმოდა.

მერე სიტყვები ნელ-ნელა დალაგდნენ, ბავაბუგიც ცოტა მიწყნარდა სხეულში და იგიმ ნაბიჯი შეანელა.

იქ, სილაში, მახინჯი ნი წევს. მახინჯი ნი იგის სხეულიდან გამოვიდა და სილაში ჩაწვა.

იგიმ ფრთხილად მოიხედა, მაგრამ ნი ვერ დაინახა; სილაში მხოლოდ საკუთარი ნაკვალევი ჩანდა.

როგორ გაჩნდა იქ ნი?

უცებ იგის სხეულში იგი შემოვიდა. ეს იგი მუხლებზე იღვა და თითს სილაში უსვამდა. თითის ნაკვალევი ერთმანეთს უერთდებოდა და რაღაცას ემსგავსებოდა.

და იგი მიხვდა!

იგის თითმა ვააკეთა სილაში ნი!

იგის ქრუანტელმა დაუარა სხეულში. თითი ოდნავ ასწია და ზედ დაიხედა.

თითი თითი იყო.

იგი შეტრიალდა და უკან წავიდა ისე მილიოდა, მძინარე ნადირს რომ წამოეპაროს. მილიოდა და იქაურობას დაკვირვებით ათვალიერებდა.

ნეტა წავიდა მახინჯი ნი, თუ ისევ სილაში წევს?

ბევრი კი უბრუნია აქეთობას.

„ეტყობა წასულა“, — თავის სხეულში თქვა იგიმ და ამ ღროს ნიც გამოჩნდა სილაში.

იგი შედგა. კინალამ წედანდელივით შეტრიალდა და გაიქცა. ძლივს შეიკავა თავი. მერე კიდეც რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. ნი იწვა და არ ინძრეოდა. იგიმ კენჭი აიღო და ესროლა, თან გასაქცევად მოემზადა, კენჭი ნის გვერდით დაეცა. ნი არ განძრეულა. იგიმ კიდეც ესროლა კენჭი და დაბრეცილ მკერდში მოარტყა. რაკი ნი არც ამჯერად გაინძრა, გული მოეცა და გაბედულად მიუახლოვდა. აქ ისევ შეჩერდა, დააკვირდა.

— ნი! — დაუძახა და გასაქცევად მოემზადა.

ნის არც მოუხედავს და არც ხმა გაუტყია.

„ეს ნი ნამდვილი არ არის, — უხმოდ თქვა მაშინ იგიმ, — ეს ნი ისეთია, როგორც იგის სხეულში იყო.“

ეს კი თქვა იგიმ, მაგრამ კარგახანს მაინც ვერ გაბედა მისვლა. ბოლოს მივიდა, ზემოდან დააცქერდა, მერე ფეხი ფრთხილად ასწია, ოდნავ შეეხო ნის ხელს და მაშინვე მოაშორა, თან ყოველი შემთხვევისთვის უკან დაიხია. იმ ადგილას, სადაც იგი შეეხო, ნის ხელი სხეულს მოწყობდა.

„ეს იგის ფეხის კვალია, — თავის სხეულში თქვა იგიმ, — იგის ფეხის კვალმა ნის ხელი მოწყვიტა.“

იგიმ კვლავ ასწია ფეხი და ნის სახეზე მიუსმოუსვა.

ნის სახე გაქრა.

მაშინ იგი დაიხარა, ნის სხეულს, ნის ხელებს, ნის ფეხებს თავისი ხელები გადაუსვა ზემოდან.

ჯამალ ჯარახამი
080

ქ. მარჯისის ს.ბ. ს.ქ. ს.ს.რ.
სახელმწიფო რ.ს.ს.ს.ს.ს.ს.ს.ს.ს.
ბიბლიოთეკა



ნი სულ გაქრა.

„ეს ნი არ იყო, — თავის სხეულში თქვა იგი, — ეს ნის კვალი იყო“.

ამ სიტყვებს გაკვირვების სუნი აუვიდა.

იგი ფუნს დაადგამს სილას და იქ ფის თითების კვალი რჩება. იგი ვაჩანხულ ხელს დაადებს სილაზე და ფის თითების კვალი რჩება. ეს მას შემდეგ იცის იგი, რაც ერთხელ დიდი დამინების ქარაფზე ძველი ბელადის ნაფეხურები ნახა.

მაგრამ იგის კვალს იგი ტოვებს. ბელადის კვალს ბელადი ტოვებს. თუკი ნი არ იყო, ნის კვალი როგორა დარჩა? განა იგის თითი ნი არის, რომ ნის კვალი გააკეთოს?

იგი კვლავ დახედა თავის თითს. თითი არაფრით არ ჰვავდა ნის.

იგი ჩაცუცქდა, თითი ფრთხილად დაადო სილას და გაუსვა. სილაზე რაღაც კვალი დარჩა, მაგრამ ეს არ იყო ნი. იქნებ ჯერ არ არის ნი და მერე გხდეს? იგი თითის მოსმა განაგრძო. უსვამდა და უსვამდა. სილაში ხაზები იკლავებოდნენ, ერთმანეთს კვეთდნენ, ერთმანეთში ირეოდნენ, მაგრამ ნის არ ჰვავდნენ. იგი შეჩერდა, კარგად დააკვირა თავისი თითის ნამოქმედარს. ხან ამ მხრიდან უყურა, ხან იმ მხრიდან, უცებ ამასწინანდელი ღამე გაახსენდა, როცა აქ იღვა და ირგვლივ ყველაფერი იგი იყო, ცაც იგი იყო, ზღვაც იგი იყო, ტყეც და ქედებიც... ალბათ ზოგჯერ ნიც იგია. ალბათ წელან იგის თითი მართლა ნი იყო, ამიტომ დატოვა ნის კვალი სილაში.

იგი ხაზებზე საგულდაგულოდ წაშალა, მუხლებზე დადგა და ნი მოიხმო.

„ნი შემოვიდეს იგის სხეულში, ნი შემოვიდეს იგის სხეულში!“

და ნი შემოვიდა იგის სხეულში. ნი წელანდელივით დარღვეული და მიხიწი იყო.

იგი დაკვირვებით უყურებდა ნის და თითი მსუბუქად დაცურავდა სილაში. თავიდან თითის მოძრაობას ვერ ხედავდა, რადგან მთელი გულისყური

სხეულში ჰქონდა. მერე და მერე მოახერხა ისე, რომ ნისაც უშუალოდ და თითსაც აღევნებდა თვალს.

ნი ნელ-ნელა ქრებოდა სხეულში და სილაში ჩნდებოდა.

ბოლოს თითი გაჩერდა. ნი სილაში იწვა. მიხიწი, დაბრეცილი, დაშლილი.

იგი იღვა მუხლებზე და სილის ნის დასცქეროდა. სხეული ცარიელი ჰქონდა, თავში სიტყვები არ მოძრაობდნენ.

მერე წელში გასწორდა, შორეულ ქედებს გახედა. თითქოს გაიშალა, გაიზარდა და მთელი სივრცე ამოავსო. ახლა რაც კი იყო ირგვლივ, ყველაფერი გაერთიანდა, ერთ არსად იქცა ყველაფერი. არ არსებობდა ცალკე ზღვა, ცალკე ცა, ცალკე იგი. არსებობდა მხოლოდ ერთი რამ და ეს ერთი რამ იგი იყო, და ეს ერთი რამ ცა იყო, და ეს ერთი რამ ზღვა იყო... ერთი რაღაც გაცხადებულიყო ყველაფერში და ყველაფერი სათითაოდ ეს ერთი რაღაც იყო...

იგი იღვა მუხლებზე და მთელ სივრცეში მხოლოდ თავის თავს ხედავდა.

მერე, როცა გარემოს მოწყდა და ისევ საკუთარ სხეულში მოექცა, დანარჩენი საგნებიც თავთავიანთ სხეულში დაბრუნდნენ და ზღვარი, რომელიც მათ ერთმანეთისგან ჰყოფდა, აღდგა. ახლა ზღვა ზღვა იყო, ცა ცა იყო, ტყე ტყე იყო და იგი იგი იყო. ყველაფერი თავის ძველ სახეს დაუბრუნდა; ოღონდ მათ შორის რაღაც იღუმელი კავშირი მინც დარჩა და ეს კავშირი იგი იყო. იგი უცნაურ გრძნობას შეეპყრო: თითქოს ქვეყნად უამრავი იგი არსებობდა, ოღონდ ზოგ მათგანს ზღვა ჰქონდა სხეულად, ზოგს მთა, ზოგს ცა... და იგის შეეძლო, როცა მოესურვებოდა, გადაეხსნა ეს სხეული და მაშინ ქვეყნიერება წელანდელივით მხოლოდ იგი იქნებოდა, ერთიანი და განუყოფელი იგი, რომელსაც არაფერი არ ექნებოდა სხეულად.

რაკი იგი კვლავ თავის სხეულს დაუბრუნდა, თვალებმა სილის ნის დახედეს.



სილაში
2016-01-01

სანამ ნაკადულის პირას ის მოხდებოდა; რაც მოხდა, მანამ იგის სხეულში მუდამ სხვაგვარი ნი ჩნდებოდა, ლამაზი, თბილი, კარგი, თვალები რომ ზღვას უგავდა და თმა — ჩამოცვენილ ფოთოლს. ახლა რაღა მოუვიდა ნის? რად დამახინჯდა? რად დაირღვა?

თვალეები სილის ნის უყურებდნენ. ასეთი სახე არ ჰქონდა ადრე ნის.

იგიმ, ფრთხილად გადაუსვა ზელი სილის ნის და სახე წაუშალა.

როგორი სახე ჰქონდა ნის ადრე?

იგიმ თვალეები დახუჭა და გაირინდა. სხეულში ძველი ბელადი გაჩნდა და გაქრა. მერე ახალი ბელადი გაჩნდა და გაქრა. მთელმა ტომმა გაიარა, როცა ციდან წვიმა მოდიოდა. და აი, ბოლოს ნიც გაჩნდა.

ნი გაჩნდა, მაგრამ ძალიან სწრაფად გაქრა და იგიმ ვერ გაარჩია, როგორი სახე ჰქონდა.

იგიმ თვალეები გაახილა და ისევ დახუჭა.

ახლა მის სხეულში პატარა ბალახი გაჩნდა, რომლის ფოთოლზე დამის თვალი მრგვალ წვეთს აბრწყვიალებდა, იქვე იგი ჩაჩოქილიყო და ბალახს დაპყურებდა. მერე ბალახიც გაქრა და ივიც. მათ ადგილას ზღვა გაჩნდა. ზღვა ლივლივებდა და შორს, დასალიერთან, ცას ერთვოდა.

და უცებ კვლავ გაჩნდა ნი. ნი წყლანდელივით სწრაფად გაქრა, მაგრამ იმჯერად იგიმ მოასწრო იმის შემჩნევა, თუ როგორი ცხვირი ჰქონდა ნის. იგი უყურებდა ნის ცხვირს და ნის ცხვირს ნელ-ნელა მთელი სახე გამოესხა. ძველი ნის სახე. კარგი, საყვარელი, ცის თვალვით რომ სითბოს აფრქვევდა. აი, ეს არის ნამდვილი ნი. და არა ის დაშლილი და დაბრეცილი ნი, რომელსაც არაფრით არ უნდოდა იგის სხეულიდან გასვლა.

იგის თითი ნელა მოძრაობდა სილაში. იგი ახლა მკაფიოდ ხედავდა, როგორ ქრებოდა მის სხეულში ნი ნაწილ-ნაწილ და როგორ ჩნდებოდა სილაში ასევე ნაწილ-ნაწილ.

თითმა მოძრაობა დაამთავრა. სილაში ახლა ძველი ნი იყო, ის ნი, რომლის ყოველ შემოსვლაზე იგის სხეულში უჩვეულო და საამო ბაგაბუგი ატყდებოდა ხოლმე და უჩვეულო და საამო სუნი დატრიალდებოდა.

იგი წამოდგა და მადლიდან დახედა სილის ნის. მერე ირგვლივ შემოუარა, თან თვალს არ აშორებდა. შემოვლა რომ დაამთავრა, სილის ნის იგის ფეხის ნაკვალევი შემოეკრა. იგიმ კვლავ შემოუარა, ისე რომ ფეხს კვალსა და კვალს შორის ადგამდა. რამდენჯერმე რომ შემოუარა, სილის ნის უკვე ერთიანი კვალი ერთკა გარშემო. იგის მოეწონა.

და არც კი განუზრახავს, ისე თქვა თავის სხეულში:

„იგიმ რაღაც იცის ისეთი, რაც სხვებმა არ იციან“.

ეს რომ თქვა, მაშინლა იგრძნო, რომ მთელ სხეულში ცხელი გემო ტრიალებდა. ცხელი გემო ტრიალებდა, თან ზემოთ მოიწვევდა და თითქოს იგის სხეულსაც სადღაც ზემოთ ეწვოდა.

„იგიმ რაღაც იცის ისეთი, რაც თვით ბელადმაც კი არ იცის“.

და ბელადი გაჩნდა იგის სხეულში. ბელადმა კეტი შემართა და თქვა: „იგი არ წავა სანადიროდ!“ მერე ასეთი ბელადი გაქრა და სხვანაირი ბელადი გაჩნდა. ის ბელადი გაჩნდა, რომელმაც თავისი მამა დაამარცხა, მის ადგილას დაჯდა, ნადირის თავი ჩაბლუჯა და გულში ჩაიკრა.

ეს ბელადი დარჩა იგის სხეულში. იგი ბელადი, კბილებდაკრეჭილი, ფაფრიაყრილი, თვალეზნასისხლიანებული. იგის თითი კვლავ ამოძრავდა სილაში.

ბელადი ნელ-ნელა გამოდიოდა იგის სხეულიდან და სილაში ჩნდებოდა.

იგიმ სილის ბელადსაც შემოავლო კვალი.

„იგიმ დიდი რაღაც იცის“.

ცხელი გემო, რომელიც სხეულში

ჯეჟალ ჰარჩხაძე
იპი



ტრიალებდა და მალა მიიწევდა... უცნაურად საამო იყო. ისეთიც, როგორცაა პირველი ნადირობა და ისეთიც, როგორცაა ნისთან წოლა. ნაკადულის პირას...

ამ დროს ქვეყანაზე წვიმა წამოვიდა. იგიმ დააპირა პატარა გამოქვაბულში შეეფარებოდა თავი, მაგრამ უცებ შენიშნა, როგორ ეცემოდა წვეთები სილის ნისა და სილის ბელადს, და შეჩერდა.

წვეთები პატარ-პატარა ღრმულებს აკეთებდნენ ნისა და ბელადის სახეებზე. მერე ღრმულები გაფართოვდნენ, ერთმანეთს შეუერთდნენ, მთელ სახესა და მთელ სხეულს მოედგნენ და მალე ნისა და ბელადის ადგილას სველი სილის მერი აღარაფერი დარჩა.

იგი უყურებდა სველ სილას და სხეული გაჯირვებით ეცვებოდა.

როცა დიდი დამძინების ქარაფზე წვიმაში ძველი ბელადის ნაბიჯები კვალს ტოვებდა, იგის ეგონა, კვალი წვიმის გამო რჩებოდა. აქ კი წვიმამ სილის ნივ წაშალა, სილის ბელადიც და იგის კვალიც.

იგი უყურებდა სველ სილას და თვითონაც სველდებოდა. მერე თავის სხეულში თქვა:

„ნეტა როგორ უნდა ვააკეთოს იგიმ ისეთი კვალი, რომ არ წაიშალოს?“

იგის თავში არ იყო ისეთი სიტყვები, რომლებიც ამ კითხვას უპასუხებდნენ. ერთხელაც დახედა სველ სილას და დიდი გამოქვაბულისაკენ გაუდგა გზას.

ქალებსა და ბავშვებს გამოქვაბულში შეეფარებინათ თავი. ქვეყანაზე ძლიერი წვიმა მოდიოდა და იგის გაუკვირდა, ნი რომ გარეთ დაინახა. ნი, ბალახში იღვა, მკლავები განზე გადაეშალა, მთელი სხეული წვიმისთვის შეემზავრა, თავით ფეხამდე სველი იყო და ისეთი სახე ჰქონდა, პატარა ბავშვი რომ დედას დაინახავს.

იგი შედგა და ცქერა დაუწყო. ნის რაღაც ჰქონდა ისეთი, რის გამოც ძველი ნი იყო, და რაღაც ჰქონდა ისეთი, რის გამოც ძველი ნი არ იყო.

ამ დროს. ნიმ იგი იგრძნო და შეუხვედრა. ახლა აღარ ჰქონდა ისეთი სახე, რა ტარა ბავშვი რომ დედას დაინახავს. მკლავებიც დაუშვა.

იგი იღვა და უყურებდა.
— რა უნდა იგის? — იკითხა ნიმ, ნი რაღაცნაირი იყო.

— ნი არ არის ნამდვილი, — თქვა იგიმ. — ნამდვილი ნი სილაში იყო და წვიმამ წაშალა.

იგი უყურებდა ნის და სხეულში ნამდვილი ნი გაჩნდა; ძველი ნი, რომელსაც უჩვეულო სუნი ასდიოდა.

— ნუ უყურებს იგი ნის, — ჩურჩულით თქვა უცებ ნიმ. — ნის ეშინია.

იგი შეკრთა, სწრაფად აარიდა თვალი და ზურგი შეაქცია.

„რატომ ეშინია ნის? — უხმოლ თქვა იგიმ. — განა იგი მძვინვარე მხეცია, რომ საშინო იყოს?“

მაშინვე ტანმა რაღაც უგრძობი და ცივმა ქრუნტელმა თავით ფეხებამდე დაუარა. ამჯერად თითქოს მიხვდა კიდეც, რა სიტყვა ერქვა ამ გრძობას, მაგრამ ყურს მონადირეების შორეული ხმა მიწვდა და ნაპოვნი სიტყვი ისევ გაქრა.

მონადირეების ხმამ გამოქვაბულშიც შეაღწია. ქალები და ბავშვები გნასით გამოცვივდნენ გარეთ.

წინ, წესისამებრ, ბელადი მოდიოდა. და თუმცა კარგად ენადირათ, მაინც ქუშად ჩაჰყურებდა მიწას. უკან ძველი მონადირეები მოჰყვებოდნენ. ამით ვეებერთელა ნადირი გაედრო მხრებზე და მოჰქონდათ. ზუ ბოლოში მოაბიჯებდა.

ქალები და ბავშვები მონადირეების ირგვლივ დახტოდნენ, ხელებს იქნევდნენ და ყურთასმენის წამლებად ჰყიოდნენ.

იგი განზე იღვა.

ბელადმა და დანარჩენმა მონადირეებმა ისე ჩაუარეს, არ მოუხედავთ. მხოლოდ ზუმ მოიხედა. ზუმ ნელა მოატრიალა სახე, მაგრამ, როგორც კი იგის მხერას წააწყდა, მაშინვე აარიდა თვალი.

გამოქვაბულის შესასვლელთან ქალე-
ბი და ბავშვები გვერდზე მიდგნენ და
კაცებს დაუთმეს გზა.

ძველმა მონადირეებმა ნადირი გამო-
ქვაბულის შუაში დადეს და განაწილე-
ბას შეუდგნენ. სხვები ისხდნენ და მათ
უყურებდნენ. თვალებიდან ყველას ში-
შმილის სუნი ასდიოდა.

თავი ბელადს მიუტანეს და ფერხ-
თით დაუდეს. ბელადმა აიღო, შეატრი-
ალა და, სადაც წითელი სისხლი ჰქონდა
შერჩენილი, იმ ადგილს დაეწაფა. ისე
წოვდა, ჩვილმა ბავშვმა რომ დედის
სხეული მოწოვოს. თან თვალები და-
ხუჭა. სახიდან სიავის სუნი გადაეცალა
და სითბოს სუნი დაეფინა.

მონადირეები ნადირის განაწილებას
განაგრძობდნენ.

იგი შორეულ კუთხეში იჯდა.

ყველაზე ძველი მონადირე რიგრიგ-
ობით ეძახდა თანამოძმეებს.

„ახლა იგის დაუძახებენ“, — უხმოდ
თქვა იგიმ, როცა მისი ჯერი მოვიდა.

მაგრამ ყველაზე ძველმა მონადირემ
სხვას დაუძახა. მერე კიდევ სხვას დაუ-
ძახა და მერე კიდევ სხვას. ზუტ რომ
გაისტუმრა, მხოლოდ ამის შემდეგ და-
უძახა იგის.

იგი წამოდგა.

ბელადმა წოვა შეწყვიტა. პირი არ
მოუშორებია ნადირის სისხლიანი კისრ-
ბხთვის, ისე შეწყვიტა წოვა, ცალი
თვალი გაახილა და ძველ მონადირეებს
გამოხედა. სახეზე სითბოს სუნი გადაე-
ცალა და სიავის სუნი დაეფინა. მერე
წამოდგა, ნადირის თავი საბელადო ქვა-
ზე დადო და შუა გამოქვაბულისაკენ
წამოვიდა.

ყველანი ბელადს მისჩერებოდნენ.

ის იყო იგიმ თავისი წილი ხორცი
ჩამოართვა ყველაზე ძველ მონადირეს,
რომ ბელადიც მოვიდა.

ბელადმა გრძელი კბილები გადმოჰ-
ყარა, ქვემოდან ახედა იგის და იგიმ
განძრევაც ვერ მოასწრო, ისე უცებ გა-
მოგლიჯა ხორცი ხელიდან.

გამოქვაბულს გაკვირვების ღმუილმა
გადაუარა.

— იგის არ უნადირია, — თქვა ბელა-
დმა და თავის ადგილს დაუბრუნდა, და-
ჯდა, ნადირის თავი კალთაში ჩაიღო და
ზედ იდაყვები დააჭირა, იგის წილ ხო-
რცს კი ძიძგნა დაუწყო, თან ცალი თვა-
ლი იგისკენ ეჭირა.

მთელი გამოქვაბული ახლა იგის უყ-
ურებდა. ძველმა მონადირეებმაც კი შე-
წყვიტეს ხორცის განაწილება და ისი-
ნიც იგის მიაჩერდნენ.

იგის ბალანი აეჯავრა, სხეული მრისხა-
ნებამ აუვსო, კეტს ხელი მაგრად მოუ-
ჭირა და მალა ასწია. ბელადმა მამი-
ნეე შეწყვიტა ჰამა და თვითონაც კეტს
დაავლო ხელი, ოღონდ წამოდგომით
არ წამომდგარა.

უცებ საიდანღაც სიმშვიდის სუნი
მოვიდა. სიმშვიდის სუნი ირგვლივ შე-
მოეფინა იგის, მერე სხეულშიც შეაღწია
და იქიდან მრისხანება გამოდევნა.

იგიმ კეტი დაუშვა და წყნარად თქვა:
— იგის არ უნადირია, იმიტომ რომ
ბელადმა არ წაიყვანა სანადიროდ.

ბელადმაც დადო კეტი და იგის წილი
ხორცის ძიძგნა განაგრძო.

მამინ იგი ახლო მივიდა, ზემოდან
დახედა და გაიმეორა:

— იგის არ უნადირია, იმიტომ რომ
ბელადმა არ წაიყვანა სანადიროდ.

ბელადმა ხორცის ძიძგნა შეწყვიტა,
თავისი წილი და იგის წილი ერთად ჩა-
ბლუჭა, საიმედოდ მიიჭრა გულზე და
იგის შეხედა. სახე ისეთი ჰქონდა, მონა-
დირეს რომ ტყეში ღმუილი შემოესმას
და ვერ გამოიცნოს, რომელმა ნადირმა
დაიღმუველა.

იგი ატყობდა, რომ ბელადის თავში
უცნობი სიტყვები დაქროდნენ და
ბელადი ვერ ახერხებდა მათ დალაგება-
სა და დავკვშირებას. იგის სხეულში
უხმოდ გაჩნდა გამარჯვების ყიჟინა. ბე-
ლადმა იცოდა, რომ, რაკი იგის არ უნა-
დირია, არც ხორცი ერგებოდა. მაგრამ
ახლა გაიგო, რომ თვითონვე უთხრა
უარი სანადიროდ წაყვანაზე. ხოლი
უარი რატომ უთხრა, ამას ვერ გაიგებ-

გამოქვაბულს

იგი



და, რადგან გუშინდელი დღე ბელადის სხეულში არ გაჩნდებოდა. ეს იცოდა იგიმ და მშვიდად ელოდა. ბელადისთვის ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ წართმეული ხორცი უკანვე უნდა დაებრუნებინა, მაგრამ ნადავლი არ ეთმობოდა და ამიტომ ჯიუტობდა.

გამოქვაბულში სიჩუმე იდგა. იგი ელოდა. იცოდა, რომ ბელადს სხვა გზა არ ჰქონდა, ხორცი უნდა დაებრუნებინა.

იგი მშვიდად ელოდა. მაგრამ უცებ ეს სიმშვიდე რაღაცამ შეაკროთ. იგის უკნიდან ვიღაც ჩაციებით მოსჩერებოდა. ბეჭებს ეტკინა დაქინებული მზერა. იგის ჯერ ზუ ეგონა, მერე მიხვდა, რომ ზუ არ იყო. და როცა უხმოდ თქვა, ნეტა ვისი მზერა ტკივა ასე იგის ბეჭებსო, გამოქვაბულში ნის ხმა გაისმა:

— იგი ისეთი არ არის, როგორიც არიან სხვები.

ღმუილი რომ მიწყნარდა გამოქვაბულში, ნის ხმამ კიდევ თქვა:

— იგი სხვა ჯიშისაა.

ამჯერად არავის დაუღმუვლია. გამოქვაბულში დიდი სიჩუმე იდგა და დიდი სიჩუმე ყურებში წიოდა.

ნის სიტყვები ავი ნადირის კბილებით ჩაესო იგის. სხეულში ძლიერმა ტკივილმა იყვირა. იგიმ ძლივს შეიკავა თავი, რომ თვითონაც არ ეყვირა; კბილი კბილს მაგრად დააჭირა, თვალები დახუჭა და ასე ერთიანად დაძაბული ელოდა, როდის გადაივლიდა ტკივილი.

ტკივილმა მართლაც გადაიარა და იგიმ თვალები გაახილა.

გამოქვაბულში კვლავ სიჩუმე იდგა.

ბელადს ხორცი, ნადავლიცა. და თავისი წილიც, ისევ ისე გულში ჰქონდა ჩაკრული, პირი გაეღო და ქვემოდან ამოსტეპროდა იგის. გაფართოებულ თვალებში გაკვირვება ედგა და იგის მოეჩვენა, რომ ამ გაკვირვებაში თეთრა შიშვიც ერია.

გამოქვაბულის ყოველი კუთხიდან თანამოძმეთა თვალები მოსჩერებოდნენ იგის.

იგის სხეულში ნი ლამაზი და თბილი

იყო და საამო სუნი ასლიდნდა. და იგიმ ვერ გაეგო, რატომ გაუჩნდა სხეულში ასეთი ნი და არა ის ნი, რომელმაც საშინელი სიტყვები თქვა.

ამასობაში ბელადის თვალებს გაკვირვების სუნი გადაეცალა. ბელადმა ცალი ხელი შეუშვა ხორცს, ძირს დავდებულ კეტს მოჰკიდა და თქვა:

— იგი სხვა ჯიშისაა.

საიდან გაჩნდა ეს სიტყვები, ან რას ნიშნავდა, არავინ იცოდა. მხოლოდ ის იცოდნენ, რომ საშიში და ავი სიტყვები იყო, ისეთივე საშიში და ავი, როგორიცაა „მძინვარე მხეცი“.

ბელადი წამოდგა, კეტი მალსა შემართა (ხორცი ცალი ხელით ისევ გულში ჰქონდა ჩაკრული) და დიდი ხმით თქვა:

— იგი ისეთი არ არის, როგორიც არიან სხვები. იგი სხვა ჯიშისაა.

ბეჭები ახლა ზუს მზერას გრძნობდნენ, მაგრამ ზუს მზერა არ ტკიოდა ბეჭებს. ეს ამბავი იგის ცოტათი უკვირდა, მაგრამ ამისთვის არ ეცალა. ბელადის თვალებში ახლა ისევ სიაცე და მრისხანება იდგა.


თავში სიტყვები აიშალნენ. სიტყვები იყო ახლა ერთადერთი ხსნა, რადგან იგიმ იცოდა, რომ ასეთ ღონიერ ბელადს კეტით ვერ გაუმკლავდებოდა.

თვალი თვალში გაუყარა ბელადს. მანამ უყურა, სანამ მის მრისხანე მზერაში შეშფოთება არ შეერია. მერე მშვიდად თქვა:

— იგი ისეთია, როგორიც არიან სხვები. იგი არ არის სხვა ჯიშის.

ბელადმა პირი გააღო. მერე თავი გვერდზე გადაიგდო, ლამის ბეჭს დაეყრდნო და ისე მოაჩერდა იგის. სახეზე ავი სუნი გადაეცალა და ისევ დაეფინა, კიდევ გადაეცალა და კიდევ დაეფინა, როგორც მინდორს გადაეცლება და დაეფინება ჩრდილი, როცა ცის თვალის ქვეშ ღრუბლები დაცოცავენ. ბოლოს თავი ისევ აწია, პირი მოკუმია. ისეთი სახე ჰქონდა, დაღლილი მონადირე რომ დიდი ხეტიალის შემდეგ ნადირის კვალს წააწყდეს.

და თქვა:



— იგი ისეთი არ არის, როგორც არიან სხვები. იგი გამართულია:

ეს სიტყვები ყველაზე თვალსაჩინოდ აღვიდა იყო და ბელადს მათი პოვნა არ გაუჭირდებოდა. ეს იცოდა იგიმ და ამიტომ პასუხიც მომზადებული ჰქონდა. როგორც კი ბელადმა თავისი სიტყვები თქვა. იგი მოიხარა; ზურგში ტყვილი კბენდა, მაგრამ მოითმინა, ბოლომდე მოიხარა, ბელადს თვალი ფვალში გაუყარა და ჰკითხა:

— ახლა იგი ისეთია, როგორც არიან სხვები?

და იგიმ მკაფიოდ დანახა, როგორ გადაიბინა თეთრმა შიშმა ბელადის სახეზე. ბელადმა ნაბიჯი უკან გადადგა და, ხორცი რომ ეჭირა, ის ხელიც კეტს დაავლო. ხორცი ძირს დავარდა. იგის წილი ფეხებთან დაეცა, ნადირის თავი კი გაგორდა და მოშორებით გაჩერდა. ბელადმა ცალი ფეხი გაიშვირა, გაქიშა, როგორც იქნა, მიაწვდინა ნადირის თავს და ახლო მოიჩოჩა. თან იგის თვალს არ ამორებდა. ბოლოს ხორცი, თავისიც და იგისიც, ფეხებშუა საიმედოდ მოიქცია; იდგა ავი და კბილებდაკრეჭილი, კეტი მომარჯვებული ეჭირა და იგის შესცქეროდა. მაგრამ მის სიძვეში დროდადრო მაინც ჩანდა თეთრი შიში.

იგი უყურებდა და ელოდა.

ბელადი უხმოდ მისჩერებოდა.

მაშინ იგი გაიმართა და ისევ მოიხარა. კიდევ გაიმართა და კიდევ მოიხარა. და ჰკითხა:

— ახლა იგი ისეთია, როგორც არიან სხვები?

ბელადს შიში გაუქრა. ახლა მის ვახვებულ სახეს გაკვირვების სუნი ასდიოდა. ბოლოს თქვა:

— ახლა იგი ისეთია, როგორც არიან სხვები.

და კეტი დაუშვა.

ამ დროს ნიმ თქვა:

— იგის ისეთი სიტყვები აქვს, როგორც სხვებს არა აქვთ.

ბელადმა ისევ მოიმარჯვა კეტი და დაიძაგრა.

— რა სიტყვები აქვს იგის?

ზურგში ნის მზერა და ზუს მზერა ერთმანეთს შეერია. იგი ვერ აღუვინდა ტკიოდა თუ არა. სხეული გამტკივებული ში წუხდა და გარეთ ყოფნა უნდოდა.

ბელადი იდგა ერთიანად მოზიდული და ავად შესცქეროდა.

უცებ იგის დიდი სიმშვიდე დაეუფლა. ბელადს თვალი ააჩიდა, სივრცეს გახედა მის აშლილ ფაფარს ზემოთ და თქვა:

— იგის არა აქვს სიტყვები. სიტყვები არავეს არა აქვს. სიტყვები რაღაცაა და თავისთვისაა. ხოლო რაღაცა ყველაგანაა. ხეში, ზღვაში, შორეულ ქედებში, ტყის მწვეანე სუნში, ბალახის ღეროში. ხანდახან იგის თავში შემოდის, იქ სიტყვებად იქცევა და პირიდან გამოდის. განა სხვებს არ დამართნიათ ასეთი რამ? განა ბელადს არ დამართნია ასეთი რამ?

— არა. ბელადს არ დამართნია! — დიდი ხმით თქვა ბელადმა.

იგის პირი ფავისთავად გაეხსნა, თეთრი კბილები გამოუჩნდა, სახეზე სითბოს სუნი აუვიდა.

სხეულში ბელადი გაჩნდა. მაგრამ ეს ბელადი ნადირის უმწეო ლეკვს ჰგავდა, ახალშობილს, ბრმას, რომელიც წკვეჭკვეჭებს და უსინათლო თვალებით დედას ეძებს.

იგიმ სხეული შეიბერტყა და ხილვა გააძევა. მერე ბელადს შეხედა. მისი სახის ავ გამომეტყველებას სინამდვილეშიც ახლდა რაღაც ისეთი, რაც ბრმა ლეკვის უმწეობას ჰგავდა.

და იგიმ თქვა:

— რაღაცა ყველაფერშია. ყველაფერი რაღაცაა. — უცებ თავში სიტყვები მოზღვავენ და იგის უკითხავად წამოვიდნენ. — ქვეყანა ზეცაა, მაგრამ ქვეყნის სახე აქვს, ფოთოლი ხეა, მაგრამ ფოთლის სახე აქვს, ღამის სიბნელეცის თვალია, მაგრამ სიბნელის სახე აქვს. ყველაფერი რაღაცაა; და როცა იგი რაღაცას ხედავს, მაშინ იგიც ყველაფერია. იგი ზღვაცაა და ცაც, ნადირიც

და მონადირეც. იგი ყველაფერშია და ყველაფერი იგიშია... იგი...

მოზღვავებული სიტყვები ნის ხმამ შეაჩერა.

ნიმ თქვა:

— იგი ნიც არის?

— ნიც არის. იგი ყველაფერია.

ბელადი შეერთა. ცალი ფეხი უკან გადადგა. თვალები გაუფართოვდა და იგის მოეჩვენა, რომ ხმაც გაუფართოვდა.

— იგი ბელადიც არის?

გამოქვამულმა ერთი დაიდმუგლა და მერე სიჩუმეზე უფრო ძლიერი სიჩუმე ჩამოწვა.

მოზღვავებული სიტყვები, რომლებიც წელან ნის ხმამ შეაჩერა, დატრიალდნენ, ერთმანეთში აირივნენ და უცნაურ, გაუგებარ გროვად იქცნენ. იგის სხეულს უფრო მეტად მოუნდა გარეთ ყოფნა.

დუმილი დაქინებით მისჩერებოდა და პასუხს ელოდა.

იგიმ თვალები დახუჭა და გაირინდა. სხულში აწრიალებული შემფოთება მიყურდა. თავში სიტყვების გაუგებარი გროვა ნელა შეირხა, გადაიხსნა და წყობისად დალაგდა. მაშინ იგიმ თვალები ისევ გაახილა და ბელადს მიაპყრო.

— იგიმ ისეთი რამ იცის, რაც სხვებმა არ იციან. იგიმ იცის, რომ იგი ყველაფერია და დანარჩენებიც ყველაფერი არიან. ყველაფერი იგის სხეულშია და იგის შეუძლია ყველაფერი თავისი სხეულიდან გამოიყვანოს. იგი აჩვენებს ბელადს, როგორ გამოვა იგის სხეულიდან ყველაფერი. გამოვიდეს ბელადი გარეთ. დანარჩენებიც გამოვიდნენ.

იგი შეტრიალდა და, წელში გამართული, ნელი ნაბიჯით წავიდა გასასვლელისკენ.

თავიდან არავინ განძრეულა. ყველა გაშეშებული იდგა და იგი გრძობდა, რომ ყველა მას უყურებდა.

იგის არ მოუხედავს, ისე გავიდა გამოქვამულიდან.

ქადილით კი დაიქაღნა. მაგრამ არ იცოდა, შეასრულებდა ნათქვამს თუ ვერა. რაც ზღვის პირას მოხდა, თავისთავად

მოხდა, თავისთავად გაჩნდნენ იგის სხეულში ნიცა და ბელადიც, თავისთავად გამოვიდნენ იქიდან მერე და სილაში ჩაწვდნენ. ახლა კი იგი ბელადს იყო მინდობილი, როგორც მონადირე, რომელმაც კვალს ვერ მიაგნო და ალლოთი დაეძებს ნადირს. თუ ალლომ უმტყუნა იგის, ბელადის რისხვა დიდი იქნება და ძლიერი.

იგიმ აქაც უნდა გააყეთოს ის, რაც ზღვისპირას გააყეთა.

იგი ჩაიხუტკა, საჩვენებელი თითი გაშალა და, მიწას რომ შეახო, სხეულში ცივმა შემფოთებამ დაუარა. ზღვის პირას რბილი სილა იყო და თითი ადვილად ეფლობოდა შიგ, აქ კი მაგარი მიწაა, ამ მიწას თითი ვერაფერს დააკლებს...

იგის ბრძოლა მოუწყვეს ბელადთან. კეტი მაინც არ დარჩენოდა გამოქვამულში.

იგი ზეზე წამოვარდა, უკანვე შეტრიალდა, მაგრამ გვიანდა იყო: გამოსასვლელში უკვე მოჩანდა ბელადი. თავში, თითქოს იგის სულაც არ ეხებოდა, ისე ჩაიქროლეს სიტყვებმა: „რომც არ დარჩენოდა კეტი გამოქვამულში, ასეთ ბელადთან მაინც რას ვახდებოდა იგი!“

მაგრამ სხეული ხსნას ეძებდა და სიტყვებს ყურადღებას არ აქცევდა. სხეული სწრაფად დატრიალდა, თვალებმა რალაცას დაუწყეს ძებნა, ბოლოს ქვაზე შეჩერდნენ. ფეხებმა სწრაფად მიიბრუნეს იმ ქვასთან, ხელებმა აიტაცეს. იგი ცდილობდა გაერკვია, რას აპირებდა მისი სხეული, მაგრამ სხეული გაეცა იგის და იგი აღარ იყო სხეულის პატრონი. და მხოლოდ მაშინ, როცა ხელებში ატაცებული ქვა შუაზე გადატყდა, იგი დაეწია თავის სხეულს.

„რალა რბილი ქვა მოყვა ხელში იგის!“ — უხმოდ თქვა გამოწარებულმა იგიმ და ქვას ხელი გაუშვა. ნატეხი ძირს დაეცა და კიდევ შუაზე გადატყდა.

იგი დამტკრეულ ქვას დააკეჭრდა და უცებ სხეულში ძლიერი სინათლე შემოიჭრა. მაშინვე თვითონაც სინათლედ იქცა, ყოველ მხარეს გაიფანტა, ყველაფერში შეაღწია, ყველაფრად იქცა და



ყველაფერი იგიდ აქცია. ახლა სამყარო და იგი ერთი განუყოფელი რაღაც იყო.

იგის არ გაუგია, როგორ დავარდა მუხლებზე და როგორ აიღო დამსხვრეული ქვის მოზრდილი ნატეხი, რადგან, როცა საკუთარ თავს დაუბრუნდა, ქვის ნატეხი ხელში ეჭირა და ზედ გამალებით უსვამდა ფრჩხილს. ფრჩხილი მკრთალ კვალს ტოვებდა. სხეულიდან კი ძლიერი ბაგაბუვი ისმოდა.

როცა ქვა სულ ერთიანად დაიკაწრა, იგი შეჩერდა და ნაკაწრს დააკვირდა. ის ხელი, რომელიც წედან კაწრავდა, ახლა იგის გვერდით მიწაზე დაფათურობდა და რაღაცას ეძებდა. ბოლოს ამ ხელმა მაგარი ქვის ნატეხი იპოვა და აიღო.

იგიმ რბილი ქვა გადმოაბრუნა და მეორე, დაუკაწრავ მხარეს მაგარი ქვა გაუსვა. მაგარი ქვის კვალი კიდევ უფრო ღრმა და მკაფიო იყო, ვიდრე ფრჩხილის კვალი.

სხეულიდან კვლავ ისმოდა ბაგაბუვი. მაშინ იგიმ თავი ასწია. უკვე ყველანი გამოსულიყვნენ გამოქვაბულიდან. იდგნენ და იგის შესცქეროდნენ.

იგის სახეზე სითბოს სუნნი აუვიდა, თეთრი კბილები გამოაჩინა და ბელადს მიუბრუნდა:

— რომელი ქვა აიღოს იგიმ?

ბელადმა იგის შეხედა. მერე თავი გვერდზე გადახარა, ლამის ბეჭზე დაიდო და ისე უყურა. ბოლოს თქვა:

— რომელიც უნდა.

თან კეტს მაგრად მოუჭირა ხელი. იგიმ ბრტყელი ქვა აირჩია. ფრთხილად აიღო, რომ არ გადამტყდარიყო, ბელადთან მიიტანა და აჩვენა.

— ხომ ხედავს ბელადი ამ ქვას? იგის შეუძლია, რაც ბელადს სურს, ის გამოიყვანოს თავისი სხეულიდან და ამ ქვაზე დადოს.

ბელადმა პირი ვალო, ნაბიჯი უკან გადადგა და ფრთხილად მიხედა თანამომევეს.

— რა გამოიყვანოს იგიმ თავისი სხეულიდან? — ჰკითხა იგიმ.

ბელადს კეტი მომარჯვებული ეჭირა.

იგისთვის არ შეუხედავს, მიწას დასწყურებდა. ბოლოს თქვა:

— რაც თვითონ უნდა, ის გამოიყვანოს. — და კიდევ ერთი ნაბიჯით დაიხია უკან.

— კარგი. — თქვა იგიმ, ჩაინუხლა, რბილი ქვა მიწაზე დადო, ცალი ხელი ზედ დააჭირა. მეორე ხელით მაგარი, წვეტიანი ქვა მოიმარჯვა, თვალები დახუჭა და სხეულში ნი მოიხმო.

ნი გაჩნდა. ლამაზი ნი იყო. მაშინ იგიმ თვალი გაახილა, წვეტიანი ქვა რბილ ქვას დაადო და ნელა გაუსვა.

ნი ქრებოდა სხეულში და ჩნდებოდა ქვაზე.

იბრველივ ისეთი დუმილი იდგა, თითქოს იმ არემარეზე კაცი არ ქაჭანებდა.

სხეულში ბაგაბუვი მაშინ შეწყდა, როცა ნი მთლიანად გადმოვიდა ქვაზე.

იგი წამოდგა, ჯერ თვითონ დახედა ქვის ნის, მერე მალლა ასწია და თანამომძმეებისაკენ შეტრიალდა.

ისეთი წივილი-კვილი ატყდა. თითქოს მძვინვარე მხეცი დასხმოდეთ თავს. თვალის დახამხამებაში ყველანი გამოქვაბულში შეცვივდნენ.

გარეთ მხოლოდ ზუ დარჩა. ზუ იდგა და ქვის ნის თვალს არ აშორებდა.

იგის გაუკვირდა.

— „არ ეშინია ზუს?“ — იკითხა თავის სხეულში და ის იყო ხმამალა უნდა ეთქვა, რომ გამოქვაბულიდან ბელადის თავი გამოჩნდა.

ბელადმა ქვის ნის შეხედა და ისევე მიიმალა, მაგრამ მალე კვლავ გამოჩნდა. ერთხანს ზღურბლზე იდგა, მერე წამოვიდა და შორიახლო გაჩერდა.

მაშინ დანარჩენებიც გამოვიდნენ და ბელადის უკან დადგნენ.

— ქვის ნი საშიში არ არის. — თქვა იგიმ.

ბელადმა კბილები დაკრიჭა, სახეზე ავმა ფერმა გადაკრა.

— ბელადს არ ეშინია! — დიდი ხმით თქვა, სწრაფი ნაბიჯით მივიდა იგისთან,

შემალ მარჩხაძე
080

ქვის ნი გამოართვა და დახედა. უყურა, უყურა და თქვა:

— ქვის ნი საშიში არ არის. — მერე ივის მიუბრუნდა, ქუშად შეხედა. — ქვის ბელადსაც გამოიყვანს იგი თავისი სხეულიდან?

— გამოიყვანს. — თქვა ივიმ.

ბელადმა ქვის ნი დაუბრუნა ივის, კეტი მაგრად ჩაბლუჯა. თვალეზში მრისხანების ფერი ჰქონდა.

— მამ გამოიყვანოს ივიმ ქვის ბელადი.

ივიმ ქვის ნი ძირს დადო, სხვა რბილი ქვა მოძებნა, ჩაიმუხლა, თვალეზი დახუჭა, ბელადს მოუხმო სხეულში. მერე, როცა ბელადი შემოვიდა, თვალეზი ისევ გაახილა და საქმეს შეუდგა.

ზუს მზერას ძალიან ახლოდან გრძნობდა.

როდესაც ბელადი სხეულიდან მთლიანად გადმოვიდა ქვაზე, იგი წამოდგა, ქვა ასწია და ქვის ბელადი ყველას დაანახა.

ამჯერდ მხოლოდ ღმუილი გაისმა. გაქცევით არავინ გაქცეულა.

ბელადმა ქვის ბელადი გამოართვა ივის და დახედა. დიდი ფაფარი ეყარა მხრებზე და ავი თვალეზი ჰქონდა.

— ახლა აღარა ჰყავს ივის სხეულში ბელადი? — იკითხა ბელადმა.

— ჰყავს! — მიუგო ივიმ.

— ხომ გამოიყვანა? — ბელადი თვალეზში უყურებდა ივის.

— ჰყავს. — გაიმეორა ივიმ. — სანამ იგი არის მის სხეულში არც ბელადი გამოილევს, არც ნი, არც არაფერი. ბელადსაცა ჰყავს სხეულში ივი, ბელადი ივია და ივი ბელადია.

— ბელადი იგი არ არის! — დიდი ხმით დაიყვირა ბელადმა და კეტი მომარჯვა, ხოლო რაკი კეტი მომარჯვა, ქვის ბელადი ხელიდან გაუვარდა.

ქვის ბელადი ძირს დაეცა და შუაში გატყდა. ნახევარი ბელადი აქეთ ეგდო, ნახევარი — იქით.

ბელადმა დაიღმუვლა. დანარჩენებმაც დაიღმუვეს.

ყველანი ახლო მოცივდნენ და ორად გაყოფილ ბელადს დასწერდნენ.

ბელადი დაიხარა, თავის ნაწილებს უყურა, ხელში აიღო, ატრიალა; ივის შეხედა, თანამომძეებს შეხედა, ისევ ქვის ბელადის ნატეხებს დააქერდა. ერთ ნატეხზე წელს ზევით იყო ბელადი, მეორეზე — წელს ქვევით. ბელადის კეტიც ნახევარი ერთ ნატეხზე იყო, ნახევარი — მეორე ნატეხზე.

იგი ზუს მზერას გრძნობდა.

უცებ ბელადმა ნატეხები მოიქნია და შორს გასტყორცნა. ნატეხები ბუჩქებში დაეცა და იქიდან მსხვრევის ხმა მოისმა. მსხვრევის ხმას საერთო ღმუილი მოჰყვა.

მერე ბელადმა კეტი მალა შემართა და, სიჩუმე რომ ჩამოვარდა, თქვა:

— როცა ცა დღისთვალს გაახელს და ქვეყნიერებას სიბნელეს გადააცლის, იგი ავა მალად ქარაფზე და დიდი დამინების ხახაში ჩაეშვება.

ასეთი რამ ჯერ არც ერთ ბელადს არ ეთქვა.

შეშფოთებამ ივის თავით ფეხამდე დაუარა.


იგი მიხვდა, რომ ქვეყნად რაღაც ახალი გაჩნდა. ბელადმა ახალი სიტყვები გააჩინა.

ივიმ არ იცოდა, მისი სხეულის რომელი ნაწილი გრძნობდა, რომ ეს სიტყვები აღარასოდეს გაქრებოდა და ყველა მომავალი ბელადის თავში იქნებოდა საშიში და გამზადებული, როგორც მონარჯვებული კეტი.

ირგვლივ ღმუილი იდგა.

ივიმ ბელადს აარიდა თვალი და მზერა შორეული მთების სიმაღლეს მიაბჯინა. მთების დიდმა სიმშვიდემ შეშფოთების გემო ნელ-ნელა გამოდევნა სხეულიდან.

ყველანი მოხრილები იყვნენ, მაგრამ ბელადი ყველაზე მეტად იყო მოხრილი. გრძელი ხელები ლამის მიწაზე დასთრევედა. შუბლი ვიწრო და ბრტყელი ჰქონდა, კბილები — მრისხანე და დაკრეპილი. მორიგეობით ინაცვლებდა ფეხს და ადგილზე ირწყოდა.



იგიმ იცოდა, რომ ან უნდა დამორჩი-
ლებოდა ბელადს, ან უნდა შეებოდა.

შებმას აზრი არ ჰქონდა: ასეთი ბელა-
დის დანახვაზე ძლიერი ნადირიც კი
დამფრთხალი გარბოდა.

ბელადი იგის უყურებდა და ელოდა.
ვილცამ გამოქვაბულიდან კეტი გა-
მოუტანა იგის და ფეხებთან დაუდო.
იგიმ კეტი აიღო. ბელადი დაიძაბა და
შეიკუმშა.

რომც ჰქონოდა შებმას რაიმე აზრი,
იგი მაინც უარს იტყოდა. სხეული დიდი
სიმშვიდით იყო სავსე და ამ დიდ სიმ-
შვიდეს ვერაფერს ვერ დაარღვევინებ-
და.

იგიმ კეტი ძირს დააგდო და ბელადს
ზურგი შეაქცია.

მაშინ ბელადმაც დაუშვა კეტი და გა-
მოქვაბულში შევიდა.

დანარჩენებიც მიჰყვნენ და შეწყვეტი-
ლი ჰპაა განაგრძეს. ბელადმა ჯერ იგის
წილი ხორცი შეჭამა, მერე თავის წილს
დაუწყო ძიძვანა.



იგი თვალდახუჭული იწვა, მაგრამ არ
ეძინა.

დიდი დაძინების ქარაფზე ხშირად
ასულა, ოღონდ შუაწელს არასოდეს
გასცდენია. მუდამ შუაწელზე რჩებო-
და, ბოლო ხის ძირას. როცა ვინმე თა-
ვისი ფეხით ადიოდა ქარაფის წვერზე,
რათა დიდი დაძინების ხახაში ჩაშვებუ-
ლიყო, მაშინ დანარჩენები ბოლო ხის
ძირას რჩებოდნენ; ხოლო თუ ვინმე გა-
მოქვაბულშივე დაიძინებდა დიდი დამი-
ნებით, კაცებს აჰქონდათ ქარაფის წვერ-
ზე; იქ ხელებში და ფეხებში მოეჭიდებ-
ოდნენ, გაიქნევდნენ, გამოიქნევდნენ
და გადააგდებდნენ. იგი ამ დროსაც ბო-
ლო ხის ძირას რჩებოდა სხვებთან ერ-
თად. ახლა იგის ჯერიც მოვიდა. ცა რომ
დღის თვალს გაახელს, იგი ავა დიდი და-
ძინების ქარაფზე და უკან აღარ დაბრუ-
ნდება.

სხვები? სხვები დაბრუნდებიან? იგის
სხეულში დიდი გაკვირება შევიდა და
იქიდან ყველაფერი გამოდევნა.

როგორ დაბრუნდებიან სხვები, თუკი
იგი აღარ იქნება? როგორ იარსებდნენ
როგორ ინადირებენ, როგორ იტყუიან
სიტყვებს? ან ბალახზე როგორ აბრჭყ-
ვიალდება მრგვალი წვეთი, ან წვიპა
როგორ მოვა ქვეყანაზე? შეუძლებელი
ჩანდა რაიმეს არსებობა, როცა იგი აღარ
იარსებებდა. იქნებ იგი იარსებებს? იქ-
ნებ მთლიანად არ გაქრება? იქნებ ის
რალაც, რაც იგიც არის, ტყეც, ზღვაც,
ცაც და ყველაფერი, დარჩეს ქვეყანაზე?
გამოქვაბულში ფაჩუნი გაისმა. იგიმ
ცალი თვალი გაახილა. კუთხეში ვილა-
ცის ლანდი წამოღვა.

„ზუსა ჰვავს, — უხმოდ თქვა თავის
სხეულში — სად მიდის ზუ?“

ზუ ფრთხილად მიიკვლევდა გზას თა-
ნამომქმეთა სხეულს შორის. იგის რომ
მიუახლოვდა, შეჩერდა. იგიმ თვალეზი
დახუჭა და თავი მოიმძინარა. ზუს მზე-
რას სითბოს სუნი მოჰყვებოდა. „რა
უნდა ზუს?“ — თავის სხეულში იკითხა
იგიმ. მერე ზუს მზერა წავიდა და იგიმ
თვალი გაახილა. ზუმ გასასვლელს მია-
ღწია და გამოქვაბულს გასცდა.

იგიმ დაძინება სცადა, მაგრამ ვერ
დაიძინა. დიდხანს იწვალა. ბოლოს ადგა
და ფეხაკრეფით გავიდა გარეთ. ზუ არ-
სად ჩანდა.

„რალაც დარჩება იგისგან, — თავის
სხეულში თქვა იგიმ — ოღონდ იგიმ არ
იცის, როგორ დარჩება რალაც... ნეტა
ზუ სად უნდა წასულიყო?“

ღამის თვალი ბრჭყვიალა სხივებს
ჰფენდა არემარეს და იქაურობას ანჭ-
თებდა.

იგი ხის ძირას დაჯდა, თვალეზი მო-
ჭუტა და ღამის თვალს მიაჩერდა. ასე
უფრო ბრჭყვიალებდა სხივები.

„დღის თვალიც და ღამის თვალიც დი-
დი დაძინების ქარაფს იქით ეშვება, —
უხმოდ თქვა იგიმ თავის სხეულში —
სად მიდის? ან მერე რალად ჩნდებიან
შემველი მთის თავზე? ქვის ნის მაგიფ-
რად რომ ქვის მძვინვარე მხეცი გაეკე-“

ჯამალ ძარხაძე
მწმ



თებინა იგის, მაშინაც გაბედავდა ბელადი გამოქვაბულიდან გამოსვლას? ქვის მძინვარე მხეცი რომ გაეყეთებინა, ალბათ გამოქვაბულში არც შეცვივოდნენ, სულ გადაიკარგებოდნენ ამ არემარედან. ზუსტად უნდა გართეთ? სად წაეიდა ზუ? დარჩება რაღაც, იგი რომ გაქრება, თუ არ დარჩება? ძველი ბელადი რომ ჩაეშვა დიდი დაძინების ხახაში, რა დარჩა მისგან? კვალი? არა. კვალი სხვა რამეა. იქნებ ის დარჩა, რომ იგი ამბობს: ძველი ბელადი. ძველი ბელადი რომ არ ყოფილიყო, იგი არ იტყოდა: ძველი ბელადი. რაკი ძველი ბელადი იყო და გაქრა, იგი ამბობს: ძველი ბელადი.“

ბურქებიდან ფაჩუნი მოისმა. იგი ყურები ცქციტა.

„ზუ იქნება“. — უხმოდ თქვა თავის სხეულში და ხმადაბლა დაიძახა:

— ზუ!

ფაჩუნი შეწყდა. მერე ზუს ლანდმა მინდორი ვადაირბინა. ხელში რაღაც ეჭირა.

„ზუს ქვა მიაქვს“. — თავის სხეულში თქვა იგი და კვლავ დაუძახა:

— ზუ!

ზუს არ მოუხედავს. ხელში რომ ქვა ეჭირა, ის ქვა გულზე მიიხუტა, სირბილს მოუმატა და მალე ტყეში გაუჩინარდა.

იგი წამოდგა და იმ ბურქისკენ გასწია, საიდანაც წოდან ფაჩუნი შემოესმა. ბურქის ძირას ქვის ბელადის ნამსხვრევები ეყარა. ნამსხვრევები ვიღაცას მოეგროვებინა და ისე მიედო ერთმანეთზე, როგორც მანამ იყო, სანამ დაიმსხვრეოდა. ოღონდ რამდენიმე ნატეხი აკლდა. ის ნატეხები აკლდა, რომელზედაც ბელადის ვიწრო შუბლი და ცალი ფეხი უნდა ყოფილიყო, იმიტომ რომ ქვის ბელადს ახლა შუბლი და ცალი ფეხი არ ჰქონდა. აი თურმე რა უნდოდა ზუს!

იგი ბურქებიდან გამოვიდა. გამოქვაბულის შესასვლელთან ლანდს მოჰკრა თვალი. ლანდი გამოქვაბულიდან გამოდიოდა.

„ზუს არა ჰგავს, — უხმოდ თქვა იგი. — ნისა ჰგავს.“

იგის სხეულში ნის სიტყვები გაჩნდა:

იგი ისეთი არ არის, როგორც არიან სხვები. იგი სხვა ჯიშისაა“ ნის სიტყვები. იგის რაღაც ატყინა სხეულში.

ნიმ იგი შეამჩნია და მისკენ გამოეშურა.

— ნიმ დაინახა, იგი რომ გამოქვაბულიდან გამოვიდა, — თქვა ნიმ. ნი იგის გამოჰყვა.

ნი ლამაზი იყო.

— რა უნდა ნის? — იგის სილამაზე მაც ატყინა რაღაც.

ნიმ წყნარად თქვა:

— ნის იგისთან უნდა.

იგის სხეულში ნი გულადმა დაწვა და თვალეები მილულა.

— კარგი, — თქვა იგი, — დაწვეს ნი.

— არა, — თქვა ნიმ და სახეში შეხედა იგის. ნის თვალებიდან უცნობი სხივები იფრქვეოდა. — ნის არ უნდა იგისთან დაწოლა.

იგის გაუგვირდა.

— აბა, რა უნდა ნის?

— ნის იგის გვერდით ყოფნა უნდა. ნის უნდა, რომ იგის გვერდით იჯდეს ხის ძირას.

„რა დემართა ნის?“ — უხმოდ იგითა იგი და ყურადღებით დააცქერდა.


ადრე, სანამ ნაკადულის პირას ის მოხდებოდა, რაც მოხდა, იგისაც უნდოდა ნის გვერდით მჯდარიყო უხმოდ და ყველა სიტყვას სძინებოდა. მაგრამ ეს, ალბათ, იმიტომ უნდოდა, რომ ნი ლამაზი და თბილი იყო, ანდა იმიტომ, რომ იგი თურმე ისეთი არ არის, როგორც არიან სხვები. ნის რაღა დემართა? ნუთუ არტნია ისეთი...

იგიმ თავი გაიქნია და სიტყვები გაფანტა.

დასხდნენ ხის ძირას და ისხდნენ უხმოდ. მერე ნიმ თქვა:

— იგიმ ქვის ნი ჭააკეთა. რა უყუო იგიმ ქვის ნი?

— იგიმ აქ დატოვა ქვის ნი. — თქვა იგი და უცებ სხეულში ზუ გაჩნდა, რომელსაც ხელში ქვა ეჭირა და ტყისაკენ მირბოდა. „ქვის ნი მიჰქონდა ზუს. — უხმოდ თქვა იგი. — რად უნდოდა



ზუსტის ნი?" — მერე ხმადალა დაუ-
მატა: — სადმე იქნება ქვის ნი.

— იგის საკვირველი სიტყვები აქვს.
— თქვა სიჩუმის შემდეგ ნიმ. — ნის
ენატრება იგის საკვირველი სიტყვები.

ნის სხეულიდან სითბო წამოვიდა. და
უცებ ნი ისეთი ვახდა, როგორიც იყო
მანამ, სანამ ნაკადულის პირას ის მოხ-
დებოდა, რაც მოხდა.

იგი ნის საამო სითბოში გაეხვია და
თვითონაც სითბოდ იქცა. სითბო ყველა-
ფერს მოედო. ახლა ყველაფერი სითბო
იყო; ახლა ყველაფერი იგი იყო. და ახლა
ყველაფერი ნი იყო.

იგის ხელმა ნის ხელი მოძებნა და
ფრთხილად შემოეკვდო. ნის ხელი ოდ-
ნავ ტოკავდა.

— როცა იგი დღის თვალს უყურებს,
იგის უხარია ნი, — წყნარად თქვა იგიმ
და სიტყვები ისე შრიალებდნენ, რო-
გორც შრიალებს ტყე, ნიავი რომ დაუ-
ბერავს. — როცა იგი ღამის თვალს
უყურებს, იგის ენატრება ნი. ნის თვა-
ლები ისეთია, როგორიცაა მთვლემაჩრე
ზღვა; ნის თმა ისეთია, როგორიცაა ჩა-
მოცვენილი ფოთოლი. როცა იგი მარ-
ტოა, ნი ჩნდება იგის სხეულში და იგი
აღარაა მარტო. როცა იგის ნის სუნთქვა
ესმის, იგის ჰგონია, რომ ნის სუნთქვაა
ის რაღაც, რის გამოც ყველაფერი ერთი
და იგივეა, რის გამოც იგი ყველაფერშია
და ნიც ყველაფერშია...

ნის ხელი ოდნავ ტოკავდა. მერე ნიმ
ნიავევით დაიჩურჩულა:

— იგი ისეთი არ არის, როგორიც
არიან სხვები. იგი კარგია.

ქარაფის შუა წელზე, ბოლო ხესთან,
ყველანი შეჩერდნენ.

იგიმ მარტო ვანავრძო გზა აღმართ-
ში.

ნელა მიაბიჯებდა. გამართული. თავ-
აწეული. ქარაფის წვერს ახლადგახე-
ლილი დღის თვალი დაჰნათოდა. მკა-
ფითოდ ჩანდა ყოველი ბუჩქი, ყოველი
ბალახი, მიწის ყოველი ნამცეცხი.

ქარაფის წვერზე დიდი სინათლე
იყო.

იგი ნელა მიაბიჯებდა.

ეს გზა იმთავითვე იგისთვის იყო
გამიზნული. ვილაცამ თუ რაღაცამ იმ-
თავითვე იცოდა, რომ იგი უნდა გამარ-
თულიყო და მერე ასე გამართული
ასულიყო დიდი დაძინების ქარაფზე.
ამიტომ ესმინებოდნენ შორეული ქე-
დები: გაიმართოს იგი! ამიტომ დუღუ-
ნებდა ვრცელი ზღვა: გაიმართოს იგი!
ამიტომ ჩამოსძახოდნენ ცა და ცის თვა-
ლები: გაიმართოს იგი! ნის საკვირვე-
ლი სითბოც მუდამ გამართვას მოით-
ხოვდა იგისგან.

სტენაირად არ შეიძლებოდა. იგი
უნდა გამართულიყო და მერე ასე გა-
მართული ასულიყო დიდი დაძინების
ქარაფზე.

ბელადი ქვემოთ იცდის, ბოლო ხეს-
თან. დანარჩენებიც იქ იცდნენ.

„იგი ბელადზე უფრო ძლიერია“. —
მოულოდნელად თქვა იგიმ თავის სხე-
ულში და უკან მოხედვა მოუხდა, მაგ-
რამ არ მოუხედავს.

მშვიდად მიაბიჯებდა.

„ისიც რომ იცოდეს იგიმ, — უხმოდ
ამბობდა იგი, — რა დარჩება მისგან,
როცა ქარაფის წვერიდან გადაეშვება,
მაშინ ყველაფერი ისე იქნებოდა, რო-
გორც იყო წუხელ, ღამის თვალი რომ
ბრჭყვიალა სხივებს აფრქვევდა ქვეყა-
ნაზე და იგი და ნი გვერდოვერდ ისხ-
დნენ ხის ძირას. მაგრამ ამის ცოდნა
იგიმ ვერ იპოვა. ძველი ბელადისგან
კვალი დარჩა. მაშინ წვიმა მოდიოდა.
ახლა წვიმა არ მოდის და იგის კვალი
არ დარჩება... თუმცა კვალი სხვა რამეა;
კვალი არ არის ის, რაც უნდა დარჩეს“.

იგიმ ქარაფის წვერს მიადწია.

ისინი ქვემოთ უცდიან, ბოლო ხეს-
თან.

იგი ისე სწრაფად მოტრიალდა, თით-

ჯამაღ მარჩხამქ
080

ქოს რაღაცამ უბიძგა და ძალით მოატ-
დაილაო.

და უცებ შეკრთა. სხეულში თბილმა
ტალოამ დაუარა. და სანამ თვალეზი
მიხვდებოდნენ, რა დაინახეს, სიტყვებ-
მა უხმოდ თქვეს: „იგიმ იცის, რა და-
ჩება მისგან!“

ისინი იდგნენ მოხრილები, გრძელი
ხელები კოჭებამდე დასთრევდათ, ვიწ-
რო შუბლები მიწისთვის მიეშვირათ
და ქვემოდან შემოსცქეროდნენ იგის.

ხოლო ბოლოში, ყველაზე უკან იდ-
გა ზუ. და იგის თვალეზი ისე იყვნენ
გაკვირვებული, რომ გვიან მიხვდნენ:
ზუ იდგა გამართული, მხრებში გაშლი-
ლი, თავი მალა აეწია, მშვიდი მზერით
შემოჰყურებდა ქარაფის წვერს.

და იგი მიხვდა, რომ ყველაზე უფრო,
ცის თვალეზზე, შორეულ ქედებზე,
ზღვაზე და ტყეზე უფრო, მისი წელში
მოხრილი, ვიწროშუბლიანი ძმები შეს-

თხოვდნენ და ევედრებოდნენ: გვიმცრე!
თოს იგი! დაწინაურდეს იგი!

იგის სხეულში დიდი სისწრაფით შე-
კდიჭრა ურიცხვი ტომი. ყველა გამარ-
თული იყო, ყველა — მხრებში გაშ-
ლილი. ცას უყურებდნენ. სხივოსანი
თვალეზი ჰქონდათ. მხრებზე რაღაც
თეთრი წამოესხათ და ეს თეთრი მო-
სასხამი დღის თვალის შუქზე დღის
თვალეზივით ლაპლაპებდნენ. და საკ-
ვირველი ტომი ისე შემოიჭრა იგის
სხეულში, რომ იქ ყველაფერი გაანათა.

იგი ზუსაც უყურებდა, სხივოსან
ტომსაც და თავის განათებულ სხეულ-
საც.

მერე უკან გადადგა ნაბიჯი. სახეზე
სითბოს სუნის ასდიოდა.

კიდევ გადადგა უკან ნაბიჯი და, ფეხ-
მა რომ ქვეშ მიწა ველარ იგრძნო, უხ-
მოდ თქვა თავის სხეულში: „იგისაგან
სწორედ ის ღარჩა, რაც იგიში იგი იყო“.



შენახვარა

ოპ, ჩემო მთებო,
ჭალავ ჩემო,
ჩემო დობილო,
მე თუ მოვრჩები
აქ მოვრჩები
სიმშვიდის წამლით,
მე და წარსული
ვართ ყელიყელგადაჭდობილი,
როგორც ალექსის
და ვარდენის
ბუხრების კვამლი.

მამას და ბიძას
შემომეგება
ტოროლების ტია-ტიათი
თემი,
— „მობრძანდი“ — აკერია
სუყველას პირზე...
როგორც ეს მწვანე
და ხახხასა ზეცა სინათლით —
დღეს ჩემი სული
სიყვარულით
საგსუა ისე.

მ დ მ ნ დ

დაბოლოს, ოდეს
მეც მოვიმიკი ვარდს და ნარ-ეკალს,
ამ ქვეყნით ჩემი
თასვლის ზარი ოდეს დარეკავს,
თუნდაც ცრემლის ღვრით
დამანანე შეულეველია
მამული ჩემი,
მისი მთები,
მისი ტყე-ველი,
შვილები,
ცოლი,
ლეჟი — ჩემი სულის ფანცქალი
და სხვაც ბევრი რამ —

დახათობი ძნელად რაც არი.
მატირე, ოლონდ
სასომიხდილს სამარის კართან,
სასაყვედურო ნუ მექნება
საკუთარ თავთან.
არ მათქმევინო:
რად ვინვეჭდი იმ ყალბ ჯილდოებს,
შემეძლო მეტი სიკეთის ქმნა
და არ ვინდომე.
მაომე ქანცის გაწყვეტამდე
სიტყვასთან ურჩთან,
ოლონდ არ დამცდეს სინანულით:
— ვიცხოვრე ფუჭად.

იციინოდოო წუხელ სიზმრად,
მითხრა ცოლშვილმა.
იციინოდოო,
მთელი ღამე იციინოდოო.
ვერ გავისხენე,
ვერაფერი გამოვიტანე
იმლამინდელი ზმანებიდან.
უფალო, გმადლობ გახარებისთვის,
იმ გულიანი გაცინებისთვის.

მაგრამ თუ ჩემთვის
მართლა გულით გსურდა სიკეთე,
შე დალოცვილო,
რალა ძილში მახედნიერე,
რად არ მახარე ცხადში,
ცხადში რად არ მაცინე.
მე უფნ გეტყვი და
თავსაყარად მაქვს
სიხარული და ბედნიერება.



რაც თავი ახსოვს:
 მიჰყვებოდა
 ხმლის და დანისპირს —
 ყოფნა არ ყოფნა
 და ოცნება ძველი დმანისის.
 დამიდგეს თვალი;
 ხაგსი ღეჭავს
 მორღვეულ ტაშირს,
 მიწის კივილზე დავაბიჯებ
 და მბურძგლავს ტანში.

გაცოცხლებულა
 და ჩემს თვალწინ
 აღმდგარი მკვდრეთით —
 ტირის, ხარხარებს
 იბერიის შეშლილი ბედი.
 ნაქალაქარი
 საკუთარ შეილს
 ვერა და ვერ მცნობს...
 აქეთ მოძალდი
 საქართველოს სიცოცხლის ცეცხლო!

პირველად ვხედავ

პეი, ფარნავაზ,
 ანდუყაფარ,
 ყაფლან,
 ნინია! —
 როდის დაანთეთ
 თეთრ კოცონად ეს ბაზილიკა.
 დადის,
 წიაჭობს,
 თითქოს დედას
 უხმობს წივწივით —
 ძველი დმანისის მარტოობის

მწვანე წიწილი.
 მტრებს უგემნიათ, —
 რძე დამშრალა და დაშრეტილა
 და წვეთავს სისხლი
 დაღუჭილი ძუძუს კერტიდან.
 დათხრილ თვალუბით
 როგორ უნდა შემომცინოს, —
 პირველად ვხედავ
 ამ სამოთხეს,
 ვაი, სინცხვილში!

ზალვა საბავშვილი

ათასი წლის მერე
 მდინარე ცისფერი
 ისევ აქ გაივლის?
 ათასი წლის მერე
 ეს გული — სიზმარი
 რა ფიქრებს გაივლებს?
 ისევ თუ იქროლებს
 შეჩვეულ ბგერათა
 ნაცნობი აკორდნი?

ათასი წლის მერე
 ფიქრებს აჩქარებულს
 რა სევდა დაკორტნის?
 სიცოცხლის საწყისი —
 დელვა და ძახება
 ამ ლაჟვარდისფერის —
 ვის მწყურვალ თვალეში
 გარდაისახება
 ათასი წლის მერე?

სულში მრავალჯერ ატყდა ქარი და ისევ ჩადგა, სურვილნი ზათქით აქარიშხლდნენ, მოსკდნენ გროვებად, სული ატყხილ ოკვანეს წააგავს, რადგან მას დასასრული ან ნაპირი არ ეპოვება.

სულში გრიგალი ახმაურებს ვეება ლოდებს, სულში ყოველთვის რაღაც ხდება და თან არც ხდება, სულში ერთი ხმა მუდამ ტკბება, მეორე ვოდებს, რაღაც იმარჯვებს და სასტიკად რაღაც მარცხდება.

სულში ტალღები იჭორება, შეჰკრავს კამარას, იქ ბევრმა წლებმა, ბევრმა უცხო სმებმა იალეს, სულში რაღაცას მუდამ ვხედავ ბედის ამარას, თავმინებებულს და ზვირთებში მობორიალეს.

სულს განუწყვეტლივ მოგუგუნე შმაგი ძალები მრავალჯერ აქცევს სიხარულად, ფიქრად, დარდებად, ხან ქარიშხალიც, ათასწლობით ნაგრიგალები, ჰკარგავს ძალას და სიღრმეებში დასამარდება.

იქ უნაპირო, მარად მბორგავ სივრცეში მრავლად მოსჩანს რიფები, შვერილები, უფსკრულთა წყება და ისმის ზოგჯერ დასასრულად, ზოგჯერ აღსავლად კლდეების მსხვრევა თუ ტალღების გრგვინვა და ყფა.

სულს ხშირად უნდა აღიმართოს, რომ კვლავ დაეცეს, სწყურია გზები გადახერგოს, და ბევრიც სხვა რამ, სულში ვიღაცა გამუდმებით შველას დაეძებს, ხოლო ვიღაცა — სხვებს უქარგებს დარდსა და ვარამს.

სულში ხან სრული დუმილია, ხან რეკავს ზარი, იქ ვხედავ ზეცას, ხან ავდრიანს, ან მოკრიალეს, სულში მრავალჯერ შემოვიდა ამინდი წყნარი, ბევრჯერ კი შმაგმა ქარიშხლებმა გადიგრიალეს.

სულს შეუძლია ზღვები შესძრას, ცაშიც ავარდეს, იგი გაჰკვივის, ბორგავს, შფოთავს, ძრწვის და ხმოვანებს, სულში ჟინს ვხედავ — თავაწყვეტილს და მონავარდეს, აგანგაშებულს, ალტაცებულს, აღმაფრთოვანებს;

იქ კრთის ასონი უპირველეს ფიქრთა ანბანის, წარმტაცი მზერა გაზაფხულის ლურჯფერ იათა, და სულ სხვა გრძნობას, ყველაფრისგან უცებ განბანილს, შევასწრებ ხოლმე წამით მზერას მე იშვიათად.

სული სარკეა, და ეს სარკე მაშინებს ხშირად, ის მეტს ასახავს, ვიდრე სუფევს ამ სარკის გარეთ,

მას უყვარს ზოგჯერ გაქროლება უფსკრულის პირად
და თვითონაც ჰგავს იგი უფსკრულს, მზირალს მშფოთვარედ.

უმძაფრესია მისი წვიმა, მისი თქემები,
მასში ბევრია მიუკვლევი, უგზო, უგემო,
რა ბევრი რამის არის იგი მანუგემები,
თვითონ კი ბევრჯერ უმწეოა და უნუგემო.

სულში მრავალჯერ ატყდა ქარი და ისევ ჩადგა,
სურვილინა ზათქით აქარიშხლდენენ, მოსკდენენ გროვებად,
სული ატეხილ ოკეანეს წააგავს, რადგან
არც დასასრული, არც ნაპირი არ ეპოვება...

როდემდე? მუდამ, ვით დღეს და ვით ხვალ,
თუნდ ზეიმობდე, თუნდა ჰგოდებდე,
არ მოგცილდება ეს ერთი კითხვა:
„მაინც რამდენხანს? მაინც როდემდე?“


რაც უნდა ხშირი წავიდეს წლები,
ბევრს რასმე ნახავ, ბევრ ცრემლს დაიდენ,
მაგრამ იქნება მარად თანმსლები
ერთი მარტივი კითხვა: „საიდან?“

რამდენჯერ გნახავ, აღუშფოთავი.
წყნარო დაისო, ცივო სისხამო,
მაგრამ იქნება ეჭვის მოთავე
კითხვები: „რისთვის?“, „მაინც რის გამო?“

თუნდ ასჯერ მეტი, თუნდ მესავდი, —
თუნდ ცისკრად თრთოდე, თუგინდ გოდებდე,
არ მოგცილდება კითხვა ასეთი:
„რისთვის? რის გამო? როდის? როდემდე?“

მარად სხვაგვარ და სხვაგვარ
ახალ სიმღერებს მღერი, —
არ გამეორდეს სიტყვა!
არ გამეორდეს ფერი!
უცხო, ახალი, მძაფრი,
ისევ, ყოველთვის, მარად,
იქვე უეცარ ელვად,
გაჩნდი მოვარდნილ ქარად.
წინ წაუძეხი ათას
ფიქრებს — რთულთა თუ ცხადებს,
ძველთა სურვილთა წვდომა
ახალ სურვილებს ბადებს.

ყველა სხვაგვარი ხდება,
დრო არ ჩერდება, მიდის,
შენი ვალია ხილვა
ყველა შორეულ კიდის.
სულ სხვა ცა იყო გუშინ,
სულ სხვაა ხმები ხვალის,
არვის სჭირდება ძებნა
ერთხელ გაშიფრულ კვალის.
მარად სხვაგვარ და სხვაგვარ
ახალ სიმღერებს მღერი, —
არ განმეორდეს სიტყვა,
არ განმეორდეს ფერი!



რამდენი რამე გაიარე,
ჯერ კიდევ გელის
ბუჩქნართ გაკვალვა,
ველთ მოხილვა,
აღმართთა ავლა,
დაკარგავ მრავალს,
ერთადერთი შეგრჩება დავლა:
ძალა ფიქრისა, მონობასთან შეურიგალის,

იმუქრებიან სივრცეები უდაბურ ველის,
ყვავმა უმიზნოდ გადიფრინა,
გადაიჩხავლა...
რამდენი რამე გაიარე, ჯერ კიდევ გელის
ულრანთ გაკვლევა,
დელგმათ ხილვა,
ნამქერთა გავლა!..

ახლა სრულიად სხვაა
ჩემი ფიქრების გეზი,
ვფიქრობ ჩემს თვალწინ ზევაად
ჩავლილ უთვალავ დღეზე;
ყველა მათგანში ჩარჩა
რალაც გაურკვევე-ბნელი,
მინდა დაიმსხვრეს ჩარჩო
და მათს გაშიფრვას ველი.
აიხსნებოდეს ვიდრე
ფიქრები, რაიც წინ არს,

ფიქრთა სიღრმეში ვითრე
სულს, დამშვიდებით მძინარს.
ახლა ყველაფერს მართლაც
დროა დაედოს ფასი, —
იცდის თბილისი, ქართლი,
კუთხე-მიდამო ასი.
დიახ, ყველაფერს უნდა
მივცეთ, ეკუთვნის რაიც,
როგორც იანვარს — გუნდა,
როგორც ყვავილი — მაისს...

დღეს მე ვეძებდი (და ნეტავი რად!)
ველოდი უცხო ფერებს და საგნებს,
რასაც ეძებენ ძალიან ხშირად,
მაგრამ ვერასდროს ვერავინ აგნებს!

და მინდა ხშირად, ძალიან ხშირად —
ვნახო რაიმე მარადიული.

ჩვენი სიცოცხლის ფარულ კავშირად
ცის სილურჯესთან გადარბის სული,

და თუმცა გასვლა სამყაროს პირად
რთულია, ვიდრე გზები დიდების,
ძალიან ხშირად, ძალიან ხშირად
მე იმ სიშორეს გავეკიდები.

ალო სანთლისა, რად ცახცახებ, რატომ მიქრები?
საით ილტვიან შეფხოთებით შენი ფიქრები?

შორს, ხეობებში? იქით, სადაც უბერავს ქარი,
დამეს რომ შერჩა მარტოღმარტო, მიუხაფარი?

ის მუდამ ფხიზლობს და არასდროს დაუძინია,
მას საკუთარი ბოროტების თვით ეშინია;

შენ კი ნუ შიშობ! ქარი ვერ გძლევს. იმედის მფენი —
ამ წყვდიად ღამეს წმინდა შუქი სჭირდება შენი!



ალო სანთლისა, ნუ ითრთოლებ, ნუ ჩამიქრები,
გარშემო სივრცეს მიმოჰფინე შენი ფიქრები!..

ვერ დამიბრუნდება

სურვილნი, შთენილნი ზღვის დღეღვის ანაბრად,
ხან ძებნა, ხან დგომა, ხან ფიქრი, ხან ძილი,
თანდათან, ნელნელა, მკაცრად და თანაბრად
დიდდება სიშორე, იზრდება მანძილი.

ძვირფას თვლით მოთჭვილ, იაგუნდებიან
სურათთა დაკარგვა... დროს უქმად შეები:
არ გაცოცხლდებიან, არ დაბრუნდებიან,
არ იშრიალებენ ჩავლილი დღეები.

ზღვას მიაქვს მცურავი, ობოლი კუნძული,
არ ვთვლი: დღეთ — დაკარგულთ, ღამეებს — განათევს,
და ცა, ვარსკვლავებით უხვად დახუნძლული
უმიზნოდ, გულცივად, გულგრილად ანათებს!

სადღაც გროვდებიან დღეთა ნალექები,
ვიღაცა იქ მსხვერპლთა გადათვლას უნდება;
ვერასდროს ვიხილავ, ვერსად დავეწევი,
ვერ გამიცოცხლდება, ვერ დამიბრუნდება!..

ჯეჟალ ინჯია

ზ ღ ა პ ა რ ი

ჩანგს ვუყურებ ღაზათიანს — ზღაპარივით ღამაზია,
ხელთ უჭირავს ასათიანს — უკვდავების თანაზიარს.
ნაკადული ზღაპარს ჰყვება, ზღაპარს არ აქვს სათაური,
მანც არვინ არ იკითხავს — ზღაპარია სადაური, —
ქართულია, — ქართულ ქარში ჩინარივით ჩარჩენილი.
ქართულია, — აჩქარებით მიჩქრიალებს ჩანჩქერივით
და ზღაპარი ღამაზ ნაძვებს მოეხვევა ბადესავით,
ამბავს ეტყვის, როგორ მოკვდა მათი ძმა და ნათესავი.
მალღა მთისკენ აიჭრება, შთაგონებით დაიჭრება —
ვინ დაჰკარგა საქართველომ, ვინ დაჰკარგეს ძმა-ბიჭებმა.



მერე, როცა დათვრებიან უცნაური გატაცებით,
 მწვანე მოღზე დასხდებიან ზღაპარ-კაცის ძმაკაცები.
 დასხდებიან, პირს საესე ყანწს წაუქცევენ ლადოსავით.
 აღიდებენ... ვით ფიროსმანს აღიდებდა ჯადოსანი.
 უცებ, სადაც ტყის ჩეროში, საიდუმლოდ დამალული,
 მგოსნის ცრემლით დანამული ატირდება სალამური
 და მაშინვე ზღაპარ-კაცის ძმები გულებს გადაშლიან.
 ეს ნიშნავს, რომ ზღაპრული ხმა კიდევ ცოცხლობს, ძალაშია.
 ეს ნიშნავს, რომ ვაჟებს უნდათ სიკვდილის გზა გადაღობონ
 და ზეცაში აფრინდება ვაჟკაცური „სალაღობო“.
 იმ ნაძვებში, პოეზია სადაც გულით დაიწერა,
 ლადოს ლექსის იალქანი ჰამაკივით დაირწევა...
 ერთი კაცის ოქროს ჩანგის ზღაპარს ჰყვება ნაკადული,
 ნაკადული — მოჩუხჩუხე და ბროლივით გაბადრული.
 ეს ხმა სხვაგან არსად არის, ზღაპარს არ აქვს სათაური,
 ზღაპარს ჰყვება და ზღაპარი ნაძვებს ფრენით გადაუვლის.
 ხან ნაზად ჰქრის, როგორც სიო, მწვანე რტოსთან მიპარული,
 ხან ბობოქრობს, როგორც მკერდში ნადრევი სიყვარული.
 ზღაპარს არ აქვს სათაური, ზღაპარს არ აქვს დასასრული,
 მიჰქრის, მიჰქრის და კაშკაშებს ელვასავით გაბზარული.
 ჩანგს ვუყურებ ლაზათიანს — ზღაპარივით ლამაზია,
 ხელთ უჭირავს ასათიანს — უკვდავების თანაზიარს.

ზუმრუდ გოდერძიშვილი

საქართველოს

ჩემი მამულის
 ვრცელო ზეგანო,
 მწვანე კორდებო
 უკიდვებანოვ,
 ყანავ, თავთუხო,
 ჭრელო ქედანო,
 ცამდე ასულო
 ხეო კედარო,
 წმინდაო მიწავ,
 ცაო დიადო,
 დღევ ხვალინდელი
 საგანთიადოვ!
 შენმა დიდებამ
 მარად იმარჯნოს,
 შენ გადღეგრძელებ,
 შენ გაგიმარჯოს!..

გაზაფხული



საქართველოს
წიგნიერების
კავშირები

დილა, როგორც სუნთქვა ჩვილის,
როგორც ნამის ციმციმი...
დაფათურობს სიო თბილი,
მზე კვირტებში იცინის,
წეროები გალადებით
ცაზე ფერხულს უვლიან,
ჩურჩულებენ ბალახები, —
უკვე გაზაფხულია!



სადღაც დაკარგულა ჭალა,
სადღაც გაფრენილა ჩიტი,
ღერო გახმობია ბალახს,
ხეზე გაწოლილა ფითრი,
ჩემი სიყმაწვილის წლები,
ფერად ოცნებათა მსგავსი,
წამწამს დაკიდული ცრემლი,
ერთი სიყვარულის ფასი,
მთები აღარსაით ჩანან
ზღაპრულ დევებად რომ ვთვლიდი,
სადღაც დაკარგულა ჭალა,
სადღაც გაფრენილა ჩიტი.



როგორც პრიზმაში, —
გადატყდა სხივი
შენდამი ლტოლვის,
და ნაცრისფერი, მშრალი
ყინულით
დაიფარა უცხო სამყარო,
რომელსაც ახლა მოგონება
ჰქვია სახელად...



ნონასნობა

რომანი

ნაწილი მეორე

ხ ი ლ ი

საადამიკოს ეზო ლამაზი იყო. — ამას მაშინ ვამჩნევდი, როდესაც არაფრისა აღარ მეშინოდა. ვიცოდი, რომ ლამაზია ის, რაც მწვანეა და მაღალი. ყველაფერი ნათლდებოდა ამ დროს. დამეც კი მაგიწყდებოდა თავისი ბნელი უხილველობით...

კიდით კიდემდე მზე ენთო ეზოში. ეს რაღაცა დიდის ერთი მხარე იყო, რომელიც თხელი, სიფრიფანა სიცივიტ ისაზღვრებოდა მეორე მხრიდან, საითაც გრძელცხვირა და დიდკბილგა სიბნელიდან აგორებულო, მოხუცების მონაცოლებით გაბერილი შიშის გუდა ეგდო. მკბენარა ჯავრით აზღარბულ გუდაში კატა იჯდა, სიბნელის კნავილს ანთხევდა და მწვანედ უღვიოდა თვალეზი...

წვრილი ნემსეზით იჩხვლიტებოდნენ... ჩრდილი, რომელიც ყოველდამ მოცოცავდა კედლიდან, ახლაც ჩვეულებრივად ჩამოეკიდა. ეს ერთადერთი ლანდი არ მაძინებდა ბავშვობიდანვე... დღევანდელი ჩრდილი არ ჰგავდა უწინდელს. უკვე ბებერი იყო — მოღლილი და უღონო მაგრამ, მაინც ვერ მივხვდი, რატომ

ვნახე წუხელ სიზმარში დონ-კიხოტი, რომელიც სერვანტესს არ ჰგავდა... ესპანელ გენიოსს მიმჰკნარი მკლავის მაგიერ მოძრავი ჩრდილის ბურთი ეკიდა მხარზე...

დონ-კიხოტის სერვანტესი მისივე ცხენისფერ უსასრულო ველზე მიაბიჯებდა, ერთადერთი კბილი მოუჩანდა და ყვითლუკა გოგრებში ჩამხმარ ხვიარებს წეწდა ფლოკვებით...

მფეთქავი ჩრდილი გაიზარდა და სერვანტესის გამხდარ სხეულზე ჩამოეკიდა. მწამდა, რომ ჩემი შიში გაძლებდა მანამდე, სანამ ჩონჩხადქცეულ ესპანელს ჩვრადქცეული მკლავი დაედღებოდა...

სიბნელე, რომელიც კატის ჩხავილიტ მოდიოდა, დამდნარი ფისივით იყო და ერთი მიმართულებით ტრიალებდა... ამ სიბნელეში ექთანის შემოდიოდა ოთახში და წამოსასხამისფერი, სხვადასხვა ფორმის ხაზებითა და ჯვრებით აჭრელეზულ ტაბლეტებს ალაგებდა კარადაზე.

თეთრწამოსასხამიანი ადამიანები მუშაობდნენ და საღამოობით შინ მიდიოდ-

ნენ ზუსტად ისევე, როგორც მამაჩემი, — ბენზინის სუნი რომ ასდიოდა მუდამ...

მამის გახსენება მახვევებს. — ჯაგარა უღვაშინი, შავი, დიდცხვირა, თვალებბრიალა და კეთილი კაცის ნახვის სურვილი რაღაცა უცნაურ გრძნობას ებლანდება. ჩემი აკანკალებული ხელები ბლუჯავენ საწოლის კიდეს და სიბნელიდან გამოწურული სინათლით ვუღიმი მკურნალს...

როგორ ვარ? — რა მიჭირს? კარგად. ჯანმრთელად ვარ, არას ვუჩივი და არცა მტკივა რა, ერთის მეტი — გრძელტრჩხილა და თმაგრძელი ალები დამდევენ, რომლებითაც პატარაობისას მაშინებდნენ...

ექიმი კი, საშიში არაფერიაო, საკუთარ თავს თვითონ უნდა მოერიოთ, ყველაფერი მოლანდებაო. შენი მაჯლაჯუნა, არჯალი და ქონდრისკაცი მოლანდება, პიპოქონდრიაო, აჩემებული შიშია და მეტი არაფერიაო...

ბოლოს ყველაფერი ერთი სურვილის გულში ექცევა — ნეტავ აქ არ ვიწვე და ექიმი ქუჩაში, რესტორანში ან ტროლეიბუსში ამიხირდებოდეს, ცხვირპირს დავალეწავდი...

კეფას ამატკივებს ხოლმე დარდი და იმ მინდვრის დანახვას ვცდილობ, წვიმამ რომ მომისწრო... დაკეპილ ქინძზე დასხმული რძის სუნი დგას, მაგრამ მინდვრის მგელს ვხედავ და დაფლეთილი ხორცის ტკავილი მაყრიალებს...

მინდვრის მგლის შიშის გამო ხელმეორედ იკვლევენ ჩემს ფსიქიკას. თვლები დამახუჭინეს, ვაწვდილ ხელებში მრგვალი ქვეები ჩამიწყვეს — ერთჯერ, ორჯერ, სამჯერ, ოთხჯერ... საით არის დიდი? საით — პატარა? — მარცხნივ — დიდი, მარჯვნივ — პატარა, იქით — თბილი, აქით — ცივი... წამმზომი წიკწიკებს, ისარი ცახცახით მიცოცავს... რვეულში რაღაც ჩაიწერეს... ამ ჩანაწერს სათაურად რაღაც ციფერი

დაუსვეს და ჩემი სახელი და გვარი მიწერეს...

დროდადრო წინანდებურად გამოიღარებს. გაჭლარავებულ დედას შემოუშვებენ... დედა ტირის... დედა ავად არის — თანაც ჩემზე უფრო ძლიერ...

დედა სხვა დედებივით ტირის... არადა, ორიანის გამო როგორ მცემდა ხოლმე ბეჭდიანი ხელით. ამის გახსენება მაღიზიანებს, მაგრამ ვიცი — დედა ავად და არ შეიძლება დედაზე გაბრაზება. ეს არ შეიძლება, მაგრამ პატარაობა, პაპა, მბეჭუტავი დღე და იმდროინდელი უსუსურობა მეძალება. გვრძნობ, როგორ ჩავდივარ, ვიჭედები და ვიტმასნები საკუთარ პატარაობაში, რომელიც კენესის, იგრიხება, ჰკვივის...

გახლჩილ პატარაობას ნისხლი სდის, — წარსულს მიწვალებენ და მიმახიზვებენ...

ეს დასრულდება თუ არა, პატარა ახო იყვავილდება — გათელილი, წითლად გაგლესილი თავვის ყანა, სიცხეში ჩათაქრული პულსაცია და ჭრელსაცვლიანი გოგონა...

მოსადამოვდება და დედა მიდის. ცარიელა ჩანთას მიაკონწიანებს. კარადაზე, თეთრი ტაბლეტები რომ ჰყრია, — თაფლი, მწვანელი, რძე, საზამთრო და ხილი რჩება...

როცა კუბებამოყრილი დედა საავადმყოფოს ეზოში მიაბიჯებს, მიდამო ისევ ლამაზდება, ნათდება და ვტერი — დედა მეცოდება, მისი სატკივარი ელრდნის და მავიწყდება ბეჭდიანი ხელის სიმწარე...

დედა ნელა მიდის, თეთრ შენობებს უმზერს, რომლებიც საავადმყოფო ჰგონია და ყველა მაცხოვრებლის კარგად ყოფნას ნატრობს ლოცვით. ბოლოს გრძელი ეზო ჩათავდება. ჭიშკართან მცირე ხნით შეყოვნდება პატარა ქალი, ფეხებდაკვლანძვულ კარისკაცს რაღაცას

ეტყვის, მოიხედავს და ბრაცუნით მიეფარება კედლებს...

ფრთხილად ვცილებები სარკმელს, საწოლზე ვჯდები და კარადაზე დაწყობილ სანოვაგებს შევყურებ. — ბალიშისნაირი ტომსიკა თათართაა საესე. — თეთრი ძაფითაა შემოკერილი, რომლის ბლანდში ჩაბუღებული სითბო, აკვანში ჩაკრული ჩვილის უფერო თვალებით დანახული ღედის რუღუნებაა...

ჩემი სიცოცხლე წარსულის ფეთქვით სულდგმულობს და ოდესღაც ჩამოცვენილი ცრემლებით იშანთება.

პროფესორი მეუბნება, რომ მოგონება სისულელეა და ამაზე არ უნდა ვიფიქრო, რადგან ყველაფერი ფობია და პიპოქონდრიის გამოვლინებაა. პროფესორი მეჯავრება ამ დროს, რადგან მარწყმუნებს, რომ ნაჭრის პატარა ტომსიკაში გამოკრული, ღედის ნახელავი თათარა პიპოქონდრიული ფობიაა...

ფეხდახლართული კარისკაცი დიდხანს გაპყურებს ღედას. მერე თავჩალუნული კეტიავს ჭიშკარს...

პალატები ნესტიანი სიჩუმით იყდინება. საათს შევცქერა და ორმოცდაოთხ წუთს ვითვლი. ვიცი, ახლა ღედა უკვე შინ არის, მაგიდასთან მიდგმულ ტახტზე ზის სახეგამშრალი...

საათი კი წიკწიკებს. მეზობელ პალატაში მწოლარე თეთრი, ჭრელთვალა, ხუჭუჭთმიანი, ჩასუქებული ბიჭის სიცილი მესმის. ბიჭი საათებს ამტვრევს. სადაც კი მოასწრებს, ამტვრევს. კაციშვილს არ შეარჩინა. პროფესორსაც წაეტანა ამას წინათ და კინალამ წააძრო მაჯიდან.

ყველა დამლაგებელი ერთმანეთს ჰგავს — მოღუშულები, სულ ყირაზე ღვანან, სიტყვას არ შეგარჩინენ და ცოცხს გიტრიალებენ ცხვირწინ... სკოლაში, მეოთხე სართულზე, სადაც ჩვენი საკლასო ოთახი იყო, სწორედ ასეთი

დამლაგებელი მორიგეობდა. ისეთი მოწადინებული ქალი იყო, რომ დილაობით, ზარის დარეკვის შემდეგ, ნახევარსაათს რჩებოდა შემოსასვლელში (დირექტორი საგანგებოდ ნიშნავდა მორიგედ) და აღარავის უშვებდა. ერთი დიდი ჯოხი ჰქონდა, ყველაფრის ამომგდები წყევლა იცოდა. სწორედ ამ კაპასი, ღრიალა და ჭორფლიანი დედაკაციდან იწყებოდა დილაადრიაანი შიში.

ფიქრი უცბად გამიხლიჩა ნაღველმა — თეთრი სიზმარივით თვალნათლივ დავლანდე ჯაგარაულვაშიანი, შავი, დიდცხვირა, ჩამომხმარი, თვალებბრიალ მამაჩემი რომელიც ბავშვსა ჰგავდა...

მოგონებამ კედის მარცხენა მხარე ამატყვივა, თვალეები ამქავდა, ჩამისისხლიანდა და მიდამო იძრა.

ეს უკვე მესამედ მომივიდა. — მიწა აღვიღზე ღვას, ყველაფერი კი ბროწილებს, იღვებება, გადი-გამოდის და გაფანტულ, რბილ სიცარიელისკენ მიჰქრის...

გადასწვრივ მდგარ თეთრ კორპუსებს დილიდან-საღამომდე გავყურებ. — მეოთხე სართულზე, მარჯვნივ, ორი გოგონა და ერთი პატარა ბიჭი ცხვირობს. მშობლები, მოხუცები და ნათესავები არა ჩანან, ამიტომაც შეენატრი მათ...

თმაგრძელი, მაღალი გოგო რვის ნახევარზე დგება. თეთრი, შეხეზიანი და ჯვრებიანი პერანგი იცვია. არადა, როგორც კი ის გოგო გახდას დააბირებს, სწორედ მაშინ შემოდის დაბღვერილი დამლაგებელი. ცოცხითა და ჯოხის რაკუნით მიკვებს, ტილოს წურავს, ტაშტს ახრიალებს, ხვნეშის, იწყევლება და პენსიის მომტან ფოსტალიონსა ვხედავ იმ ჭრელპერანგიათი გოგოს მაგიერ...

ჯამალ დავლიანიძე
წონასწორობა

როცა დამლაგებელი გადის, გოგონა უკვე ჩაცმულია და სარკის წინ კოპწი-აობს... მეორე გოგონა ათ საათზე იღვიძებს. მთელი ნახევარი საათი ეთამაშება ძმას — ლოგინში ტრიალებენ, ერთმანეთს აბრაზებენ... მეორე გოგონას მოკლე პერანგი აცვია, თქობებამდე ძლივს სწვდება, სადაა და მელნისფერი. როცა გოგო სარკესთან მიდის, პროფესორი შემოდის და ჭუჭყისფერი კითხვებით მდღის: ხომ არ მცია? როგორ ვარ? მძინავს თუ არა დამდამობით? რას ვუჩივო? ბოლო კითხვაზე ერთი სურვილი მიჩნდება — დამლაგებელს ვუჩივლო, ბატია და ბოროტი... მაგრამ, ეს რომ ვუთხრა, პროფესორი სკოლის დირექტორს დაემსგავსება. ამიტომ ჩუმი ვარ... პროფესორი წნევას მიზომავს. პულსს ეძებს, ძლივს პოულობს და სუნთქვის სიხშირეს ითვლის. მერე ჩინჩხვარივით ხმელი, გამომშრალი ექთანის შემოვა, ნემსს გამიკეთებს და მოლად გამომაყეყეჩებს. თფლი მდის, თავბრუ მეხვევა, თაფლის სკები და მოკლებერანგის გოგონას მიწისფერი ფეხები მეჩვენება...

სედუქსენის ტაბლეტებს ვყლაპავ ძილის წინ და თეთრი კორპუსი, სადაც პერანგის გოგონები ცხოვრობენ, მიწიდან ამოდის, სინათლეებით ჭრელდება და ბღღვრიალებს...

იმ მიდამოს, სადაც უამრავი ხე ღვას, ზედ დაფარებული, ვასიბული სიბნელე სცილდება, ლირტივი ნაჭერივით იფხრიწება, სკდება და მაისის ობობება მოჩანან. — თეთრი, მრგვალი პარკუჭები უკავიათ მიწისფერ მწერებს, ბელტიდან ბელტზე დაძვრებიან და სალდაც მიაბუნებენ...

ადრე, პატარაობისას, ხალხი რომ გამოიშლებოდა ბაღებში და ბარვას დაიწყებდა, ახლად ამობრუნებულ ბელტებზე მინახავს ეს მწერები. ბიძაჩემი მეუბნებოდა, პარკუჭებში პაწაწკინტელა ობობები სხედანო... ბიძას არ დავუჯერე და დიდი ქვის უკან, დღესაც ზვა-

რში რომ ვდია, ობობა დაეჭვებოდა ფეხებიდან ძლივს გამოვგლიჯე თეთრი პარკუჭი და გავხიე. — ათეულობით პაწაწა, თეთრი ბაბაჭუა დავინახე. იმ ობობებისა აქამდე არ მეშინოდა, ახლაკი მაკრთობენ და ეს სიცივე სოფლის სადამოში ითქვიფება: ეკლიანი ორღობეები, ნაძრახი ადგილები, კუნძებზე ჩამომხდარი მოხუცების საუბარი. — ბებერმა ტატამ ბუქნაჭოტებზე იცოდა მოყოლა... ბუქნაჭოტი იგლისში იცის; ის რომ დაიძახებს, ნასახლარებიდან კუნდიანები ამოძვრებიან და სოფელში ჩამოდიან. ჯერ ბოსლებს მოედებიან, ცხენებს ფაფარსა და კუდს გამოუწნავენ, მერე ორღობეებში დაიბუღებენ, ციცი-ნათელებზე ამხედრდებიან და სიბნელის კისკისით იკლებენ იქაურობას. ბუქნაჭოტობისას კაკლის ძირში თუ ვინმე დაიძინა, გავუდულს იპოვიან დილით და ყელზე ალქაჯის, ანდა ცხენქალას გრძელ ნათითურებს შეამჩნევენ... კაკლის ძირში გავუდული კაცის დასაფლავების შემდეგ, ღამით, არსად ვაისვლება. არც ორღობეში ვაივლება — ალქაჯებზე ცხენქალები სხედან. ციცი-ნათელების სიმღერებს მღერეიან და კისკისა დაჭერობანას თამაშობენ...

გვიან ღამით მორიგე ექიმი ჩამოვივლის. მერე დასაძინებლად მიდის... ადრეც შემემჩნევია — მოძრაობა მუსიკის მსგავს, დუღუნა ბგერებს ესადაგება და ეს ბგერები ყლერს, სანამ მოძრაობა შეწყდება. — მიმავალი მორიგე ექიმი, ყვითელიატაკიანი დერეფნის სუნი, ხოჭოს ფხაჭუნის შიში, ერთად რომ შეკოწიწდება და გათიშული, ხილული, რბილი არარაობით ალასლასდება — დოლ-გარმონისა და ზურნის ხმა მესმის... როცა ეს ხმა იტრიაანთ სასაფლაოსკენ მიმავალ ორღობეს შეაკრთობდა, ფოთლებს შიშის ეკალს დააყრიდა, ბავშვები შეიკრიბებოდნენ, კალოზე გადმოდებოდნენ, კანკალით უყურებდნენ მიცვალებულსა და შავებით მოსილ იდამიანებს. დიდი, მრგვალი, სამკუთხე-

და თავი უღლებით აჩონჩხილი, ქონივით აყლარწული რამდენიმე ავტომობილი მიჰყვებოდა ხალხს. მერე სასაფლაო ცარიელდებოდა, მოზრდილი ბიჭები აიყოლიებდნენ ბალებს, ახლად მიწამიყრილ საფლავთან მიიტყუებდნენ, თავი უღლებსაგან სახრეებს, ხმლებს აკეთებდნენ და მკვდარ ორღობებს აცოცლებდნენ... ამიტომაც მეზობლებს გაღმა კორპუსის საარქმელებში გამომდგარი ყვავილები და მიხარია, რომ არც იმ გოგოებს უყვართ ყვავილები...

ერთ დილას ნემსის ვაკეთებდნენ შემდეგ, სანამ მიღამო ატორტმანდებოდა, უმცროსი მეცნიერი მუშაკი ჩამომიჯდა საწოლზე. კინალამ ვკითხე, როდის გამწერთ-მეთქი, მაგრამ შევშინდი, სხვანაირად შეიძლება გაეგო და დავდუმდი. უმცროსმა მეცნიერ მუშაკმა პულსი გამისინჯა, შებრუნდა, თავი ჩაღუნა და გაიხსენა, მეზობელს რომ ვარდები მოჰპარა ბავშვობისას...

მე ნათლად აღვიკვი, რომ ეს მოკუნტული, თეთრწამოსასხამიანი ბიჭი (უმცროსი მეცნიერი მუშაკი) საკლთარ წარსულს მომითხრობდა და ფეხები გამიცხელდა; მკბენარა, ბუსუსა, მსუსხავი წითელი ჟრუანტელი აიძრა ქვემოდან ზემოთ, გავარვარდა, აინთო, კეფას მიავწვა — ვერ აგლიჯა, შუბლის მიღმა აგორდა, თვლებს უკან დავუბღა და მზერა გადმომიკარკლა...

მერე წამალმა იმოქმედა — გაღმა, საითაც მწვანე ფერღობები მოჩანდა, თერთმა შენობამ ამოყვინთა და სინათლეებით მოირთო. ეს კორპუსი სხვებისაგან იმით განირჩეოდა, რომ საარქმელებზე დარღები არ იყო ჩამოფარებული, ყვავილების ქოთნები არ იღვა და ორი პერანგიანი გოგონაც ამ კორპუსში ცხოვრობდა...

ღეღა მოვიდა, კარადასთან ჩამოჯდა მთლად მოდრეკილი და კუხუბამოყრი-

ლი. ჰალარა თმა და ფერმკრთალი სახე ჰქონდა. ახალი წლის დამესაც ასეთი იყო დედა. — დილით ბაზარში გამავზავნა, ქაღალდის პატარა ნაგლეჯზე ჩამომიწერა, რაც უნდა მეყიდი. მთელი დღე ემზავდა. საღამოს ათ საათზე მეზობლებმა თოფი გაისროლეს წინდაწინ და სიმღერა შემოსძახეს. მივხვდი მარტონი ვიქნებოდით ახალ წელს; სუფრა გაწყობილი იღვა მეორე ოთახში. აქეთ, შუქჩამქრალ ოთახში, ვახურებულ ღუმელთან ვისხედით პირველ საათამდე და ახალი წლის არეულ-დარეული ფერებით მოტორტმანე ქალაქს გავყურებდით... დედა შემეცოდა და ვიტირე. დედა კი თავისთვის დარდობდა — საახალწლო წვეულებაზე რომ არ გამიშვა.

მზე რომ ჩავიდა, სასეირნოდ გავიყვანეს. სპორტული მოედნის მსგავს, მავთულებით შემოღობილ ეზოში დავგატარებენ. ის ბიჭი, საათებს რომ ქეჰყავს, ცალკეა გაღურსული.

ზემოთ, ღია საარქმელში პროფესორის ჰალარა თავი გამოჩნდა. — ჩვენი მზერა ერთმანეთს შეხვდა. მოხუცმა ხელი დამიქნია, აქ ამოდიო.

ცულ ხასიათზე იყო პროფესორი, მაგრამ ჩვეულებისამებრ გამომკითხა ჯანმრთელობის ამბავი. ბოლოს გულთბილი საუბარი ვავაბით. პროფესორმა საკუთარი წარსული გაიხსენა — აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავალი“ მიამბოთ თავიდან ბოლომდე. თურმე, პროფესორს ძალზე მოსწონს და უყვარს ეს ნაწარმოები, სადაც პატარა აკაკის აღუწერია მავიდა, რომელსაც ცალი ფეხი მოკლე ჰქონია და ყოველ პურისჰამაზე რაღაცით ამაგრებდნენ...

ვერ ვავისხენე „ჩემი თავგადასავლის“ რომელ ნაწილში იყო ლაპარაკი იმ ფეხმოდრეკილ მავიდაზე.

მერე პროფესორმა მირჩია, ყველაფერი მომიყვიე შენს ბავშვობაზეო, მაგრამ

ჯეზალ დავლიანიძე
წინასწორი



რატომ უნდა გავუმხილო ჩემი ბავშვობა თუნდაც პროფესორს, უმცროს მეცნიერ მუშაკს, ექთანს, დამლაგებელს, დედას?..

ბოლო სიტყვამ ისევ დედის ავადმყოფობა გამახსენა — „დედა ავად არის,“ ამის გაფიქრებაზე ეკალმა დამაყარა — თაგვებმა დაიწყეს კუნთებში სირბილი.

პროფესორი პასუხს ელოდა, მაგრამ არამც და არამც არ ვუთხარი ჩემი ბავშვობის ამბები. ანდა, რატომ უნდა გამეხილა ეს უდიდესი საიდუმლოება?.. არა, ვერავის ვეტყვი იმას, რაც სამმა ბიჭმა იცოდა. გველს ნატვრისთვალი რომ წაართვა, ანკარას უნდა შეეხვეწო, მოუყვე ყველაფერს და სთხოვო, გველს ნატვრისთვალი წაართვიო...

დედის მიერ მოტანილ თაფლის ქილაზე ბუზი იჯდა, ზელი გავუქნიე. მწერი გაფრინდა. თაფლის ქილა მოვიყუდე და მთლად დავცალე... ცოტა ხანში კარს მოაწვა რაღაც. — დამლაგებელი შემობორიალდა, ნახევარი საათი იტრიალა ოთახში, კუთხე-კუთხულს მიედ-მოედო, გამოგვილი ხელმეორედ გამოგავა, საწოლი გვერდზე გააცურა, ფენსაცმელებს ცოცხი გაპკრა. დღეს რაღაც არაჩვეულებრივად იწყველებოდა. კარადასთან ფეხი გაუსხლტა, თავი ვერ შეიმაგრა, თაფლის ქილას ჩამოართყა სახე, გადმოაგლო და გატეხა...

ნახევარი საათის შემდეგ დრო თვალთ დასანახი შეიქმნა, დაგუბდა. — ოთახი გაიბერა, იატაკი საცერცივით განდაგან გავიდ-გამოვიდა და გუდიანი კაციც შემოიქედა კარში. მწვანე ჭიანჭველებით ამოვსო გულა და თავი მოეკრა. თვალი გავუსწორე გუდიანს. — არჩალს არ ჰგავდა. დავმშვიდდი. უხსოვარ დროს მტრირალი ბაბოს ცრემლი დამეცა კისერზე...

ბაბო ახლაც თეთრ ისამნებთან, პაპას ნახელავ დაფუტუროვებულ სკამზე ზის.

ბაბო წაიქცა კბესთან. — მოდლილმა ფეხმა უმტყუნა. ბაბოს წაქცევა ჩემი

პირველი ტკივილია. ეს ტკივილი ცუდი დად შეკრულ ფიჩხის. კონასა ჰგავს. ვცდილობ გავიხსენო, ბაბოს ოდესმე თუ შევუშინებია, მაგრამ ვერაფერს ვიხსენებ... ბაბოს პირველად წაქცევის ტანჯვა კი ჩემთანაა მუდამ...


გუდიანი კაცი წასულიყო. გულა ძირს იდო, პირი მორღვეოდა და მღორედ სლიპად მოედინებოდა ჭიანჭველების მწვანე, ანკარა ნაკადი... წერაქვს დავწვი და პაპას დარგული, გამხმარ თუთის ფესვებს დავუშინე. ფესვები უფერული, გამომშრალი იყო, მყაყე ფერი დაპკრავდა და სიცარიელე დაუდიოდა ძარღვებში.

თუთა იყო და აღარ იყო. ამიტომ, წერაქვი რომ ჩავცხე, ერთი ფესვი გასხლტა, ჩაიკარგა, მიწამ უყო პირი. ზედიზედ დავუშინე წერაქვი: ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა...

მყაყისფერი ჭიანჭველები ჩარყლანენ. ცული მოვიხელთე, წავიკუხე, ჩავაცივდი, ჩავაკვდი და მიწისქვეშეთში ჩავყე, სადაც დამე ენთო, მიდამო ბინდისფრად იწვოდა და ყველაფერი თავდაყორა იდგა. ირგვლივ ფესვები დაცოცავდა; იკვანძებოდა და მიწისქვეშეთის სიმღერა ისმოდა.

შალახოს უკრავდნენ. მარიამობა იდგა, მარიამობისთვის ოტდარვა. რკონის არემარეზე ჩარდახიანი. ურეპები იდგა, გამოშვებული კამეჩები იცოხნებოდნენ და შარვალჩამძვრალი ჩანურები კინტაურს ცეკვავდნენ...

ქვაფენილით მოკირწყლულ სცენაზე კბილებდაკრეპილი მოცეკვავეები ზედიზედ გამოდიოდნენ და ხმლებს ატრიალებდნენ. კამეჩები ზანტი ცოხნით უყურებდნენ მოცეკვავეების ხლართვას. ნიშანდასმულ, დადაღულ, გახვრეტილ ყურებს აპარტუნებდნენ და ჩლიქებზე იკონწიალებდნენ განდაგან მოქანავე გამბაზებს...



● დამლაგებელს ახრჩობდით, რომ მი-
თხრეს, არ დავიჯერე, რადგან სარკმლის
მიღმა აღარ ჩანდა ალვის ხეები და თე-
ორი კორპუსი. ნანემსრები კოცონივით
ენტო და ყრუ ტკივილით მტეხდა. ეჭი-
მებმა თავს დააბრალებს ყველაფერი,
ექიმების თქმით, თურმე შაქრიანობამ
ამიწია, დამლაგებელს მიეწვდი და რომ
არ შემოესწროთ, გავგულდავდი.

●
სარკმელთან ვიდექ.

საავადმყოფოდან ნელ-ნელა მიდიოდ-
ნენ ექიმები. ის ძველი ნალველი შემო-
მაწვა, რომელიც ადრე მაიძულებდა მო-
გონებებით მეცხოვრა.

საწოლთან მივედი, ლეიბი ავწიე, ნა-
ხევრად შევსებული რვეული გამოვიღე,
სარკმელთან დავჯექი და კოჭლობით მი-
მავალ დამლაგებელს გავაყოლე თვალი...

● ასკილის წვენი არ ვსვამდი, რადგან
ასეთი ამღვრეული სითხე აყროლებულ
ცხოველს მაგონებდა. ექიმებმა დამაძა-
ლეს, ასკილის წვენი მარგებელიაო. გე-
მო გავუსინჯე და მომეწონა. რაც ას-
კილის წვენის სმა დავიწყე, ის კორპუ-
სი, მოკლებერანგიანი გოგოები რომ
ცხოვრობენ, აღარ ჩანს.

● ... ერთ საღამოს ძალზე დავნადღლია-
ნდი. გრგონები ძალზე მომენატრა. რო-
ცა შევატყე, დარდმა ვერ მიშველა, თვა-
ლები დავხუჭე. ახლა ვიცოდი ჩემი ავა-
დამყოფობის მიზეზი. ვუყურებდი ტვინ-
ში გაწოლილ ყვითელ თხემებს, რომლის
ხეობებში ზვავები წამოწოლილიყო და
აზროვნების დღეები დაეგუბებინა.
უცებ ნათლად დავინახე. — ყველა ფე-
რი, რაც ვიცოდი, კვინიხზე დაიღემა და
რბილ ნეტარებაში გადაიშალა ყვავი-
ლად...

ეს იყო მარადიული ფეთქვის მიზეზის
ცეცხლოვანი მინდორი.

აქ არაფერი იწყებოდა და მთავრდე-
ბოდა. რბილი, მოტკბო, ლირტყი ქრუ-

ანტელის საუფლო იყო. ასეთი რამ მად-
ლაც მენახა... გოგონას მუცელი და მუხუ-
ხლები იყო ეს ქრუანტელი, გაჩენისა და
მოსვლის სწრაფვაში ჩაკვერილი რბილი
სითეთრე... დაბადების მიზეზისა და სა-
წყისის ქვეყანაში აღადანებული ყვავი-
ლები... ქალწულის მხურვალე ლოცვისა
და ზარების გალობა ისმის და ირგვ-
ლივეთი იმ გარდაცვლილი ქრუანტე-
ლით ცოცხლობს, რომლითაც დედამ-
იწაზე იბადებიან პეპლები, კალოები,
ლოკოინები, ხვლიკები და ადამიანები.
— აქ უსასრულო დაბადების ნათელი
ყვავილების მინდვრები დაღანებს და
ქალწულის ძუძუების კვირტებს წუწ-
ნიან ბზისფერი ფუტკარები...

მივევირდა, რომ ამ სანახაობამ არ გა-
მაოცა. თვალები გავახილე. თავი მეტ-
კინა. ყველაფერს თითქმის დამწვარი ხა-
ხვის სუნი ასდიოდა. ამ წუთში ვიცოდი,
რომ საავადმყოფოში ვიწექი და ეს იყო
ერთადერთი გამოსავალი... ვიგრძენი,
ჩემს სისხლში განელეებულ წამლებს ჩა-
ებლუჯათ ის ნერვები, რომლებსაც თავ-
დაყირა დავყავარ და მიწას მიქანავებენ
ფეხქვეშ.

● ... იმ საღამოს, ფერდობებისაკენ ხე-
ლახლა აღიმართა შენობა და გოგო და-
ვინახე. ვიცანი, გამიკვირდა — გოგო
მარტოკა იყო... დიდი ვარცლი (ბაბოს
ვარცლი, რომელშიც პურის ცომს ზელ-
და ხოლმე გამოიტანა გოგომ, ოთახის
შუაგულში დადგა. ორთქლი ასდიოდა
წყალს... გოგომ თმა ჩამოიშალა და იმ
ვარცლში, ბაბო რომ დედას პურისთფის
ცომს ზელდა, ხორცისფერი ფეხები ჩა-
დგა... გოგოს ნაზი თითები სლიპ კანზე
დაცურდნენ. — ზამბახისფერი საცვალი
ცომივით რბილად დაეშვა, აგუნდავდა...
ბაბომ ფიჩხი ჩაამატა თონეში. თონე
გამზარული იყო და შვინდისფრად ღვი-
ოდა. ჩამეჭეჭებულნი, გვირდებლანძუ-
ლი კედლები რბილად ტყაცუნებდა,

ჯამალ ავასლიანიძე
წიგანსაწერია



ბურდა და გუნდის ჩაკვრას ელოდა...
ნერწყვი მომივიდა. ზამბახისფერი, მსუ-
ბუქი, თბილი ცომის გუნდა ცალკე
იღო...

შავ კაბაზე თეთრი კანი იმ ნატვრის-
თვალივით ბრჭყვიალებდა — ნაძრახი
ორლობების გველები რომ ფლობენ...
ზამბახისფერ თხელ ცომს, პატარა გო-
გომ რომ ჩამოიგუნდავა ტანიდან, სორ-
სოლა სითბო ჰქონდა და მიუქარებლო-
ბის შუქი ადგა...



ბავშვობისდროინდელმა აჩუკულამ
მოკლევებიანი ნანა ჩამოსვა ციდან. თე-
დაზე მივდიოდით საბანაოდ. დაღუპუ-
ლიანთ სახლებთან ნანას ეკალი შეერ-
ჭო და ასკინკლით ჩაიმუხლა. ზურგზე
შევსივი. ის ადგილი, სადაც პატარა ნანა
იჯდა, ახლაც მეწვის და სიტყვა „აჩუ-
კულა“ ისე მეაღერსება, როგორც თვა-
ლცრემლიანი ბაბო...



დამლაგებელმა კარაჭიანი პური წაი-
ღო...

მივხვდი, რომ ჩემი ავადმყოფობა იმ
ნერვის ტკივილია, რომელზედაც ჰკიდია
ყველაფერი, რაც დაბადებამდე მაშინებ-
და. ისიც ვიცოდი, რომ ყოველივე და-
სასრული ზღაპრის დაბოლოებას, კომ-
შისფერ დაუსაბამობას, იყო და არა იყო
რას ჰგავს. — დასასრული მოსვლისა და
წასვლის, ამოსვლისა და ჩასვლის, და-
ბადებისა და სიკვდილის, გაჩენისა და
გარდაცვალების მარადიული უკვდავე-
ბაა, რადგან მოძრაობა სიმღერაა, პატა-
რა დიდთანაა, ყოველი დიდი პატარაა
უფრო დიდთან, მოძრაობა უსასრულო-
ბის უკვდავი სიმღერაა. უსასრულობა
პატარაობის გაუთავებელი გამეორებაა,
მოსვლა დედა წასვლისა; დასასრული
აღდგომაა მოსვლისა; სიცოცხლე ამონ-
თხვევა გოლიათების მზისფერი ტკივი-
ლისა, შიშით გაქლენთილი გაურკვევ-
ლობისა, რომელიც მოსვლით აიძრა და
წასვლით დამთავრდება, რათა დაღუწ-
ილ, კირისფერ სათონესთან მერეც და-

დგნენ სიცივით გათოშილი, ^{დაცნაქული}
ბიჭი და გოგო და კბილებს ^{საწყაქონ}
უგალობონ თეთრი ცეცხლის გოლიათ-
თებს მოსვლის სიმღერები:

მზეო ამოდი, ამოდი,
ნუ ეფარები გორასა,
სიცივეს კაცო მოუკლავს
აგერ, საითა გორავსა!

მერე კი შედამებისას, ბოლოცეცხლე-
ბი აფრთხილებიან ფშატებში, კუდზე
დანთებულ, ცეცხლოვანი გოლიათების
ციცინათელებს ააშუქებენ და ხელახლა
მოითესება აღსავლის სიმღერა:

მზეო!... ამოდი!...



... პარასკევობით ყვითლუქა ბიჭის
დედა ჩამოდიოდა სოფლიდან. მა-
ღალი ქალი იყო და მაინც დედაჩემს
ვამსგავსებდი. ყოველთვის მომიკითხავ-
და ხოლმე ყვითლუქას დედა, თეთრე-
ულს გამისწორებდა, ხილს შემომიტან-
და, საწყალი დედაშენი როგორღა
არისო, — მკითხავდა, გაჩუმდებოდა,
უხმოდ მიყურებდა კარგა ხანს,
ისედაც დამწუხრებულ სახე
სულმთლად დაუნაღვლიანდებოდა და
ფეხაკრეფით წავიდოდა თავის შვილ-
თან... ამ დროს სარკმელში გაჭედვილ,
ოთხკუთხედად დატყვევებულ სივრცე-
ში ტბორი გაჩნდებოდა და წვიმის
წვეთები წკარუნებდა. მომწვანო წყალი
იდგა ტბორში და თანდათან ილეოდა,
შრებოდა. მეცოდებოდა ის თევზები,
დაღუპვა რომ ეწერათ და თემისპირა
ქალებზე მოლაპლაპე გუბები მეჩვე-
ნებოდა, რომლებშიც ლიფსიტები
დაჰქროდნენ. სიცხე რომ დაიჭერდა,
გუბე მყაყდებოდა, ხავსი იბადებოდა,
მწვანედ იზრდებოდა — ლიფსიტების
ნაცვლად თავკომბალები და დავგალუ-
ლი, ჭუჭია ბაჭყატები ამღვრევდნენ
აშმორებულ წყალს. — ეს იყო ბუნდო-
ვანი ეჭვი, რომ სუფთა გუბეშიც სიცო-
ცხლეა და გუბის სიკვდილშიც სიცო-
ცხლე იბადება...

მერე, შებინდებისას, ყვითლუქამ



დღეც კუზებამოყრილი მიაბიჯებდა ეზოში. ჭიშკართან შეყვინდებოდა, ერთს გამოიხედავდა უკან და კედელს მიეფარებოდა...

●
საათის წიკწიკმა აღარ მომასვენა.

არაღ, ვიცოდი, რომ ოთახში საათი არ იყო. კარადისკენ წავიღე ხელი, ტაბლეტებში გავურეე, ყველაზე მოზრდილი ვიპოვნე და ჩავყლაპე... საათის წიკწიკი მალე შეწყდა...

ღერეფანში შუქი ენთო. — ექთანის ჭემპრს უქსოვდა შვილს. ექთანის შვილი კეთილი ბავშვია. როგორც კი დამინახავს, მოცუნცულდება, შოკოლადს მთავაზობს პაწაწა ხელებით... ექთანის წინაწინევე ამზადებს ბავშვს სკოლისათვის: ჩანთა, სახატავი რვეულები, საშლელო, სახაზავი, ფანქრები, ტანსაცმელი, ქამარი უკვე ნაყიდი აქვს.

ნაღვლიანად შევცქერა შოკოლადით ხელებგათხუზულ ბაღს. გავა წლები და შოკოლადის ნაცვლად, ვინ იცის, სად უაურევს ხელს. ვინ იცის, რას იზამენ ახლა პატარა, საყვარელი და თოთო ხელები...

იმას, რაზეც ახლა ვფიქრობდი, მკავე გემო ჰქონდა, ნერწყვი მომდიოდა. — მერე უფრო პატარა ტაბლეტი გადაყლაპე...

●
ექთანის ბავშვის ნაჩუქარი შოკოლადი მაგიდაზე იდო. იქ კიდევ ერთი ბავშვი თამაშობდა. — სახით მე მგავდა და იღუბნოდა, უფრო ნაცნობი ჩურჩულით მეუბნებოდა, შენი შვილი ვარო... ბავშვი იწვა. ზემოდან (არსათობის სიმბოლოდან) ქართული გალობა ისმოდა და ვხედავდი, როგორ ეზრდებოდა ჩემს შვილს ცხვირი — უკეზიანდებოდა, უკაუჭდებოდა, ძველ-ქართული ცეცხლის როკვას ერწყმოდა, რომ მერე, მის შემხედვარეთ ეთქვათ, ქართველიაო...

გალობა დედის იავნანას ჰგავდა და ჩოხებში გამოწყობილი, ღიპიანი მამა-

კაცების პირლია გუნდი (თეიმურაზი) ქმედებითი კოლექტივი, ანსამბლი... ჩანდა... მოკლედ, შვილი, რომელიც არ მყოლია, — ცელქობდა, ხტუნაობით მომდევდა გვერდით. მზე დასავლეთიდან ამოდინდა, ჩრდილები კი მაინც წინ ეყარა და ფეხქვეშ კენსოდა გასხვისებული ტკივილით. საბავშვო ბაღისკენ მივდიოდით. გზად ნანახი ერთადერთი საკვირველება კარგად დავიმახსოვრე — პირმოღრეცილი ბიჭი დასავლეთიდან ამონთებულ მზის ბილიკს მოუყვებოდა. ბიჭმა სიმღერა დაიწყო უცბად და როცა ექთანის ბავშვის ნაჩუქარ შოკოლადად იქცა, მაშინაც კი ვერ გავიგე, რა ამღერებდა იმ ბიჭს. ბოლოს და ბოლოს კაცი მოდიოდა სიმღერით დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ და უმიზეზოდ მღეროდა. ეს გაუგებარი იყო. უფრო სწორად, ვერა და ვერ გავიგე, რატომ აღებდა ბიჭი პირს, რატომ მღეროდა. ამიტომ სიმღერა შემძაგდა. ყველაფერი შემეზინდა. რაც კი სიმღერასა ჰგავდა და გასროლილი ბირთვის სიმძიმე ვიგრძენი...

●
ექთანის მოვიდა და მითხრა, პროფესორი გეძახისო.

ღერეფანში ბევრი ხალხი იყო... კაბინეტში პროფესორი და უმცროსი მეცნიერი მუშაი იყვნენ.

უმცროს მეცნიერ მუშაკს ცული ფერი ედო.


პროფესორმა სკამი დამიდგა, დაჯექით.

პროფესორი: შენ მწერალი ხარ... უკეთესობა გეტყობა. გჯერა, რომ მოგარჩენთ?

მე: ვერც თქვენ და ვერც უმცროსი მეცნიერი მუშაკი ვერ მომარჩენთ... თუ მაინც მომარჩენთ — შეგეშლებათ...

პროფესორი: რამდენი ხანია მოთხრობა აღარ დაგიწერია?

ჯიშალ დავლიანიძე
წონასწორობა



მევერთი, კარისკენ გავიხედე, მაგრამ, როცა მივხვდი, კარი დაკეტილი იყო და გასაღები უმცროს მეცნიერ მუშაკს ედო ჯიბეში, — დავმშვიდდი.

უმცროსი მეცნიერი მუშაკი: ნუ გეშინია... შენს მოთხოვრებას არავინ დახვეს. ჩვენ უკვე წავიკითხეთ შენი ნაწერი... ლეიბის ქვეშ აღარ დამალო... ბრწყინვალე მოთხოვრება...

მე: დამლაგებელი აღარ დამანახოთ ჩემს ოთახში!

პროფესორი: ის არაფერ შუაშია. ჩვენ თვითონ ავიღეთ ნაწერი, როცა სარკმელში იყურებოდი.

მე: დამლაგებელი არ დამანახოთ ჩემს ოთახში!

პროფესორი და უმცროსი მეცნიერი მუშაკი საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ ნათლად ვაზროვნებდი, როცა საუბარი ჩემს ნაწერებსა და ცხოვრებას შეეხებოდა.

პროფესორი: სად დაიბადე?

მე: ქართლის პატარა სოფელში — გარიყულა ჰქვია.

პროფესორი: რომელ წელს დაიბადე?

მე: ათას ცხრაას ორმოცდაშვიდი წლის ოცდამეორე იანვარს.

პროფესორი: მშობლები რა პროფესიისანი არიან?

მე: მამაჩემი მძღოლია... დედაჩემი მასწავლებლად მუშაობდა. კონსპექტები ახლაც შენახული აქვს სახლში. მერე უმაღლესში ჩააბარა, უნივერსიტეტის გეოგრაფიულ-გეოლოგიურ ფაკულტეტზე, მაგრამ გაათხოვდა და მამაჩემმა აღარ მისცა სწავლის უფლება, გაუნათლებელი ვარ და შენ რაღად გინდა სწავლაო.

პროფესორი: თბილისში რომელი წლიდან ცხოვრობთ?

მე: ათას ცხრაას ორმოცდაცხრა წლიდან.

პროფესორი: სკოლაში რა ნიშნებზე სწავლობდი?

მე: სამოსანი ვიყავი... შემეძლო და არ ვსწავლობდი. მასწავლებლები ყურებს გვიწვიდნენ, საყვარელი მოწაფეები ჰყავდათ...

პროფესორი: რომელი ენაზე იყავი ყვარდა?

მე: გეოგრაფია, ბუნებისმეტყველება, ანატომია, ასტრონომია, რომელსაც ფორმულების კორიანტელით გვასწავლიდნენ...

პროფესორი: გიყვარდა ვინმე სკოლაში?

მე: თეკლე მიყვარდა... მაგრამ იგი ჩემს სიყვარულს დასცინოდა... ძალიან ცუდად ვიყავი ჩაცმული, ტილოს დახეული ფეხსაცმელი, გამოყვანილი შარვალი... ასეთები დღესაც არ უყვართ გოგოებს...

პროფესორი: სკოლა რომ დამთავრე, პირდაპირ ფილოლოგიურ ფაკულტეტზე აპირებდი შესვლას თუ კიდევ გქონდა სხვა სურვილი?

მე: სწავლის გაგრძელება საერთოდ არ მინდოდა.

პროფესორი (გამოცოცხლდა): რატომ?

მე: ხმაური, ბევრი ლაპარაკი და გაუთავებელი ურთიერთობა არ მიყვარს...

პროფესორი: ესე იგი, მყუდროება გიყვარს... გიყვარს შენი სპეციალობა?

მე: მასწავლებელი ჩემგან არ დადგება...

პროფესორი: რატომ?

მე: მისაღებ გამოცდებზე კარგი ნიშნები მივიღე: ქართულ წერაში — ხუთი, ზეპირში — ოთხი, უცხო ენაში — ოთხი, ისტორიაში ხუთიანი *მეკუთვნოდა, სამიანი დამიწერეს და ამისათვის სტუდენტობა არ მეღირსა... მამაჩემმა მითხრა, შენგან კაცი მაინც არ დადგება, მძღოლი მაინც გამოდიო და გარიყულა მომამწყო ავტომობილების მრეცხავად...

პროფესორი: შენი აზრით, მამაშენს ცუდი უნდოდა შენთვის?

მე: არა... მეტი არ იცოდა... ჩემი არა სჯეროდა... რამეს რომ დავწერდი, სულ დამცინოდა...

პროფესორი: ხელმეორედ ჩააბარე უნივერსიტეტში?

მე: არა, ნოემბრის ოცდასამში ჩემი



მეგობარი მოვიდა და მითხრა, სიაში ამოიკითხეს შენი გვარი და სახელით.

პროფესორი: ესე იგი, სიმართლემ გაიმარჯვა.

მე: ჰო, მამაჩემი თუ სიმართლეა, მართლა გაუმარჯვნია... სამინისტროში დაბრუნდა, კინალამ დაცოფა ხალხი... მაგრამ სალამოს განყოფილებაზე ჩამრიცხეს...

პროფესორი: არ გინდოდა სალამოს განყოფილებაზე გესწავლა?

მე: ამისთვის უნდა მემუშავა...

პროფესორი: სად მუშაობდი სწავლის პერიოდში?

მე: მტკირთავად ფოსტაში, სადაც დირექტორიდან დაწყებული, ყველა შენიშვნას მაძლევდა: რას გიგავს თმა, შეიჭერიო. ერთხელ დირექტორის მოადგილემ მითხრა, მაგ თმას თუ არ შეიჭრი, თვალთ არ დამენახო სამსახურშიო... მეორე დღეს განცხადება დავწერე, გამათავისუფლეთ-მეთქი...

პროფესორი: მერე სად მუშაობდი?

მე: ცეცხლფარეშად... მაგრამ, ჩემი უფროსი ლოთი იყო... არაყზე არ გავგზავნენ ერთხელ და დაგვიანებისთვის სამსახურიდან გამათავისუფლა...

პროფესორი: უნივერსიტეტში რამდენი წელიწადი ისწავლე?

მე: მგონი — ცამეტი.

პროფესორი: კურსზე დაგტოვეს?

მე: არა. მეორე კურსი რომ დავამთავრე, ტუბერკულოზით გავხდი ავად.

პროფესორი: მძიმედ იყავი ავად?

მე: ოპერაციაზე უარი მითხრეს... ოთხ თვეში მოვრჩი...

პროფესორი: ცოლი როდის შეირთე?

მე: ათას ცხრაას სამოცდარვა წელს...

პროფესორი: რუსეთში ცხოვრობდი?

მე: სამი წელიწადი...

პროფესორი: იქ მალე იშოვნე სამსახური?

მე: კი, რესტორანში მუსიკოსად დავიწყე მუშაობა.

პროფესორი: რა ინსტრუმენტზე უკრავ?

მე: გიტარაზე.

პროფესორი: გიყვარს მუსიკა?

მე: მიყვარს...

პროფესორი: სვამდი?

მე: ძალიან ცოტას...

პროფესორი: შიში როდის დაგეწყო?

მე: შიში ბავშობიდანვე მქონდა.

პროფესორი: ახლაც გეშინია?

მე: ახლა არაფრის აღარ მეშინია...

პროფესორი: პაპაშენი რამდენი წლისაა?

მე: ოთხმოცდაორის.

პროფესორი: ყოჩაღადაა?

მე: ძალიან...

პროფესორი: ბევრ გაჭირვებას გადაიტანდა...

მე: პირველი მსოფლიო ომიდან მოყოლებული, სადაც კი ტყვია გავარდნილა. ყველგან ნამყოფია... მეორე მსოფლიო ომში ბევრი მადლობა აქვს მიღებული და ათას ცხრაას სამოცდაათობმეტ წელს პენსია დაუნიშნეს...

პროფესორი: რა ხელობის კაცია?

მე: პროფესორი.

პროფესორი: გაოცდა და კითხვა გამიმერა:

— რა ხელობის კაცია?

მე: კალატოზი.

პროფესორი: ბაბო როგორაა?

მე: ცუდად.

თავი ჩავლუნე. დავნადვლიანდი. პროფესორმა შემამჩნია და უცბად შეცვლა საუბრის თემა:

— ციო ვინ არის?

შეეცბი.

პროფესორმა სახე ახლოს მომიტანა:

— ზურგის ტვინიდან სითხე ამოვადღეს?

მე: არა.

პროფესორი: გაზეთის მოწინავე სტატიებს კითხულობ?

მე: მოწინავე სტატიებს თვითონვე ვწერდი, როცა პასუხისმგებელ მდივნად ვმუშაობდი.

ჯამალ ლავლიანიძე
წონასწორობა



პროფესორი: რა პროფესია მოგწონს?
 მე: მეტყვევებ ვიმუშავებდი...
 პროფესორი: ციოს ვის ეძახი?
 მე: თითქმის ჩემი მეუღლეა...
 პროფესორი: გული წაგვვლია ოდენზე?

მე: არა.
 პროფესორი: სისხლის დანახვისა გეშინია?

მე: ყველა სულელია, ვისაც სისხლის დანახვა ზარავს.

პროფესორი: რისა გეშინია ყველაზე მეტად?

მე: ქუხილის.

პროფესორი: ცეცხლისა და წყლისა?
 მე: ცეცხლის, წყლისა და პაერისა მხდალებს ეშინიათ.

პროფესორი: რა წამლები მიგიღია. სახელები თუ გახსოვს, ჩამომითვალე.

მე: სტრეპტომიცინი, ნისტატინი, ფტრივაზიდი, ტუბაზიდი, პასკი, ლუმინალი, მეპრობამატი, ბიცილინი, სედუქსენი, ფრენოლონი, ინსულინი, ბისმავიროლი, ბიოხინოლი, ალოხოლი, ნოშპა, კანაცინი, სუპრასტინი, მაპი, პაბავერინი, ბელასპონი...

პროფესორი: მოგზაურობა გიყვარს?

მე: მიყვარს, ოღონდ მაგის საშუალება არა მაქვს. თუ ოდესმე მანქანა ვიყიდე, სულ ვივლი...

პროფესორი: ციო არ არსებობს?

მე: არსებობს...

პროფესორი: ესე იგი, ციო შენი ოცნებაა, ანუ ბეატრიჩე.

მე: ბეატრიჩე... დანტეს ბეატრიჩე... რა კარგი სახელია...

პროფესორი: სად არის დანტე?

მე: სიმართლე რომ გითხრათ, გიყად არ ჩამთვლით?

პროფესორი: არა.

მე: დანტე შორეული უსასრულობის უსაზღვრო წალკოტებში ცხოვრობს, მოგონებებით იტანჯება და უფრო უარეს ჯოჯოხეთსა წერს.

პროფესორი: მჯერა.

მე: არ გჯერათ... სიმართლე მითხარიო... მე ხომ სიმართლეს გელაპარაკებო?

პროფესორი: კეთილი მართალი მჯერა რომ დანტე წალკოტებში ცხოვრობს.

მე: გამადლობთ.

პროფესორმა თვალი გამისწორა:

— ბევრი ნაწერი გაქვს?

— ბევრი.

პროფესორი: შენი ნაწერები მოსწონს საზოგადოებას?

მე: სამჯერ დაიბეჭდა ჩემი მოთხრობები.

პროფესორი: ლექსები არ დაგიბეჭდავს?

მე: არა.

საუბარში უმცროსი მეცნიერი მუშაკი ჩაერია:

— ალბათ დაიღალე... მეც მინდა შენთან ლაპარაკი, საინტერესო თანამოსაუბრე ხარ. მომწონს, შენი ნაწერები, ლექსები მაინც...

მე: მაგნიტოფონზე იწერთ ჩემს ნალაპარაკებს?

უმცროსი მეცნიერი მუშაკი: ჰო.

მე: რად გინდათ? თუმცა, რა ჩემი საქმეა...

უმცროსი მეცნიერი მუშაკი: რა არის სიცოცხლე?

მე: თქვენ გგონიათ, ადვილია მაგ კითხვაზე პასუხის გაცემა?

უმცროსი მეცნიერი მუშაკი: შენი აზრი მაინტერესებს.

მე: შეიძლება ლექსად გიპასუხოთ?—

უმცროსმა მეცნიერ მუშაკმა თავი დამიქნია.

პროფესორი უკმაყოფილოდ შემოგვექმროდა.

ღრმად ჩავისუნთქე და ლექსის კითხვა დავიწყე...

როცა გავჩუმდი, პროფესორმა უკმაყოფილოდ მითხრა, წადი პალატაშიო.

გავედი და კართან ავიტუზე... პროფესორი უმცროს მეცნიერ მუშაკს მიუბრუნდა:

— შენ ხელი შემიშალე...

უმცროსი მეცნიერი მუშაკი: მაგ ბიჭზე სხვა აზრისა ვარ.

პროფესორი: მდგომარეობა არც ისე საიმედოა.



უმცროსი მეცნიერი მუშაკი: ბატონო პროფესორო, რაც აქ წევს, არც ერთი წამალი არ მიუღია.

პროფესორი შეცბა.

— რა იცი?

— მე ჩემებურად ვაკვირდებოდი...

ნახევარ წამლებს სარკმლიდან ჩაყარდა, ნახევარი ტულეტში მიჰქონდა... მხოლოდ ინსულინი აქვს მიღებული...

— მაგითი რისი თქმა გასურს?

— აბსოლუტურად ჯანმრთელი ადამიანია...

ნაწილი მისამე

გ ზ ა

ციო ხორცის რიგში იდგა და ისე უხაროდა, რომ მისთვის სულ ერთი იყო, როდის მოუწევდა ჯერი... როცა მის წინ მდგომმა ქალმა უკმაყოფილოდ ჩაიხუზუნა, ურიგოდ მიდიან ეს უსინდისობები, ციომ პატარა ქალადი გაშალა და კიდევ ერთხელ გადაავლო თვალი: „ერთი კარაქი, ბროწეულის წვენი, სამი კილო ხორცი (თუ ხორცი არ იყოს — ქათამი ან ძეხვი), ორი ტორტი, ყავა (იქნება იყოს), სამი სელექსენი, ვალიდოლი (ორი), ნოშპა (თუ იყოს, ხუთი ცალი), სამი ლიმონათი (გულაბის), ოთხი ბოთლი „საირმე“ ან „ნაბელავი“, „ვოკრუგ სვეტა“, „ზა რუბეკომ“, „ნედელია“, „ზღორთვიე“ (თუ არ გამოგიჩინოს, ჩემი სახელი უხსენე), ხუთი ცალი სპორტლოტოს ბილეტი, შავი ჩაი (აუცილებლად იყიდე, მწვანე არ წამოიღო), ათი კვერცი (ბაზრისა სჯობია. ჯერ ჰკითხე სადაურია და ისე გამოართვი), ერთი ბოთლი არაყი („ექსტრა“)... თუ „უწერას“ მოჰკრა თვალი, ერთი ყუთი წამოიღე... დანარჩენი შენ იცი. ეცადე. ხორცი და კარაქი არ დაგავიწყდეს... დანარჩენს მე ვიყიდი ხვალ...“

ნაწერის ბოლოზე მინაწერი იყო — „გოცნი. მალე მოდი,“

...გამყიდველმა ნახევარი ძროხა შემოიტანა, რამაც რიგში მდგომნი ძალიან გაახარა...

ციომ თვალი დააღვა ერთ კარგ

ნახერს, დაიგულა, მერე ამოისუნთქა, მიმოიხედა და თავისი დაქალის დანახვაზე ოდნავი, ავადმყოფური სისუსტით დაღუნებული ხმით შეჰკვილა — „ნია!.. გენაცვალე!“

ერთმანეთი გადაკოცნეს...

გამყიდველი გულმოდგინედ ჩეხლა ხორცს...

ნიაც ავადმყოფური, მინაბული სინაზით ეუბნებოდაც ციოს, უფრო და უფრო ლამაზდები, ალბათ ქმრის გამო. ჯანმრთელებამაც იმოქმედაო...

ციო ხმადაბლა პასუხობდა, უნდა ხშირად გამოგვიარო, უკვე მანქანა შევიძინეთ. ცოტაც დამაცადე, ხორცს ვიყიდი და გავისეირნოთო.

ნია უფრო გაამხიარულა ამან და თქვა — ალბათ შენს ქმარს ბიძები მიეხმარნენო.

ციომ გაიღიმა პასუხად, არავინაც არ დაგვხმარებია, ჩემმა ქმარმა რომანი გამოსცაო...

ნიას უფრო გაუხარდა და ციოს შეეხვეწა, — ერთი კილო ხორცი ჩემთვის აიღე, გარეთ დაგელოდები, მიცდიანო და ჰაეროვანი სინაზით შეჰკვილა:

— ციო!..

ციოს პასუხი ასეთივე ჰაეროვანი, მსუბუქი და ნაზი იყო:

— ნია!..

ჯამალ დავლიანიძე
წონასწორობა



●
 ციო რიგში იღვა და დიდთვალემა გოგოს უსმენდა, რომელიც ამხანაგს მოუთხრობდა თუ როგორ განიცადა (ვიღაც) საწყალი ქალის სიკვდილი: თუმცა დასაფლავებზე ვიყავი, მაგრამ ჯავა გენიალურია შემოდგომით: ყველი, მწვანილი, ქათამი... თან კი სასაცილო იყო ღამის ათ საათზე ჭამა, მაგრამ ისეთი ბრწყინვალე (კარის მეზობელი) თმაქალარა, პატარა, ლამაზიღიანი კაცი (სულაც არ მისცემდი ორმოცდაათ წელს) თამადაობდა, გელარაფერი ვაწამე (სამწუხაროდ)... ლინას კი ცრემლი გაუშრა... პალტო კინალამ შემოიხია, კინალამ დავარდა და ცუდად შეიქნა... იმდენი ვიტირეთ, იმდენი... ყველა სიკვდილის შვილები ვართ... ეეეჰ...

— ვინ მოკვდა, ახალგაზრდა იყო? — დაინტერესდა მათ უკან მდგარი სქელი ქალი.

როცა უბასუხეს, ოცდაცხრამეტი წლისაო, ავიშვიშდა და ხარბად დააცქერდა ხორცის ნაჭრებს, გამყიდველმა ვიტრინაში რომ გამოაწყო...

ციომ ის იყო მანქანის კარი გამოაღო, რომ ნიამაც მოიბრინა. ბიჭი ახლდა თან, რომელსაც სველი თმა გაყოფილი ჰქონდა და თეთრი კანი ზოლად მოუჩანდა.

— ციო, გენაცვალე, ხომ არ დავიგვიანე... ვაიციანი, რეჟისორია... იტალიური ფილმები ჩამოუტანიათ, ნულა იტყვი... ვგოედები... იქნება წამოხვიდე, ჩემი ლიდრე გამიხერხებს საშვს...

ლიდრემ გაიღიმა და გაწითლდა.
 ...ნია ენას ვერ აჩერებდა:

— ციო!.. დმერთო ჩემო! რა გენიალურად მიგყავს მანქანა... გადასარეგია... ციო, ჩვენც მალე ვიყიდით... ვინ გასწავლა? მეც იმას მიმაბარე... ჰა-ჰა-ჰა!..

— ქმარმა მასწავლა, — ღიმილით უთხრა ციომ.

— რა კარგია! იმას ვიღამ ასწავლა? როდის მოასწრო?

— ტამბოვში რომ ვცხოვრობდით,

მძლოლად მუშაობდა... ცუდად ქმარმა იმ დროის გახსენებაზე...

ნია ერთი წამით გაჩუმდა, ლიდრეს ანიშნა, მერე მოგიყვები ყველაფერსო, სიგარეტს მოუკიდა, უკვე დიდი ხნის ჩამქრალი ასანთის ღერი ათიოდეჯერ გაიქნია, მედიდურად გაისროლა გარეთ და ციოს მიუბრუნდა:

— ციო, ისევ იქ ცხოვრობთ?

— არა, ნია, გენაცვალე, ოთხოთახიანი ბინა მივიღეთ...

— გენიალურია... შენი ქმარი ისევ ვარჯიშობს?

ციოს გაეცინა:

— ნია, დღეს ბევრი რამე მაქვს საყიდელი, შაბათს ჩვენთან მოდი...

— რა ამბავია? დაბადების დღეს იხლეთ?

— არა. ჩემი ქმრის წიგნი გამოქვეყნდა... ახლობლები და მეგობრები გვეყოლება... ოლონდ, მარტო არ დამენახო, შენი რეჟისორიც გავაცანი (ლიდრეს ქოჩორგამყოფი თეთრი ხაზი გაუწითლდა)... იქნებ ჩემს ქმარს იცნობს კიდეც...

ლიდრემ მოკრძალებით გაიღიმა, მხრები აიწურა და ციოს მადლობა უთხრა.

ნია პურის მაღაზიასთან შეაჩერებინა მანქანა.

ციომ ხელჩანთიდან სავიზიტო ბარათი ამოიღო და ნიას გაუწოდა, ნიამ სწრაფად გადაავლო თვალი და ალტაცებით შესძახა:

— ტელეფონი... ოთხოთახიანი ბინა! გენიალურია!.. აუცილებლად მოვალთ... მერე ლიდრეს მიუბრუნდა:

— ხომ მივალთ, მამუნო?

ლიდრემ შეიფერა მოფერება და თავი დაუქნია.

●
 ოთხივე ოთახი სინათლით იყო გაჩახახებულნი. ინგლისური სიმღერები ისმოდა. დაბალ მაგიდეებთან რბილი სავარძლები იდგა. მაგიდაზე საფერფლეები და ყავის ფინჯნები ეწყო. იტაკზე ნოხები და დათვის ორი ტყავი



ეფინა. სარკმლებიდან განათებული ქალაქი მოჩანდა... ოთახებში ცხელოდა. ყველა სარკმელი დაკეტილი იყო...

— ციო! სამზარეულოში ფუსფუსებდა. — ღილი დანით ხორცს ჩეხდა... მე შემწვარ გოჭს ვაჭირდი თავს. იქვე ბოლოკი და ოხრახუშის ერთი ძირი იღო, რომლებიც გოჭის პირში ჩასაღებად იყო გამიზნული.

— ყველაზე პატარა ოთახში ვარაზი და ლაღო თამაშობდნენ. — სქელი, სპორტული კოსტუმები ეცვათ და ოფლი სდიოდათ...

როგორც იქნა, კრიკა გავუხსენი გოჭის თავს და ძალიძალათი ჩავტენე ბოლოკი. მერე სკამზე ჩამოვჯექი, ხელები შუვიწმინდე ტილოზე, სიგარეტი ამოვაცოცე კოლოფიდან, ასანთი გავკარი, სიამოვნებით მოვუვიდე და დავფიქრდი...

— ტორტზე როდის წახვალ? — მკითხა ციომ და სამზარეულოს ოთახში ვარით დაცვარული შუბლი მოიწმინდა.

გამოვერკვიე და გავიღიმე:

— ჯერ აღრეა... ვასიკო გამომივლის მანქანით და ხელათში მოვიტანთ...

ბოლომდე მოვწიე სიგარეტი, ხენეშით წამოვდექი, წელზე მოვიკიდე ხელი, დავიჭყანე, საძინებელ ოთახში შევედი და ტანსაცმლის გამოცვლა დავიწყე...

ყველაზე აღრე ნია და ლიდრე მოვიდნენ.

— ციო, გენაცვალე, რამხელა ოთახებია! დამთვალეობებინე!..

ნია ოთახიდან ოთახში დარბოდა და გულში იკრავდა (საკუთარ) ხელებს.

— ლიდრე ბავშვებთან ჩაცუცქდა. მას ისევ წითლად უღვიოდა ქოჩორგამყოფი ხაზი და საბავშვო რკინიგზას უწყობდა პატარებს.

...ნია და ციო განცალკევდნენ. სიგარეტი გააბოლეს და მისაღები ოთახიდან დაიწყეს ბინის (ნორმალური) დათვალიერება...

ახლა ციო იკრავდა (საკუთარ) ხელებს გულში და ისე ლაპარაკობდა:

— ვერ ვიტან პოლონურ ძლივს ვიშოვნეთ იაპონური აქვზი... ამას წინათ დეიდაჩემი ჩამოვიდა გერმანიიდან. ღმერთო ჩემო, ნია!.. რომ იცოდე, რა ძვირფასი ქურჭი მომიყიდა ექვსას მანეთად... ბრაზილიური ცხოველის ტყავია... მგონია ლამა ჰქვია... რა ლამაზია... აქ არა მაქვს, ჯერ არ გამომირთმევი, თორემ ვაჩვენებდი... შესანიშნავი იტალიური პალტო ვიშოვე... ბავშვების ფეხსაცმელებზე რამდენი ვირბინეთ... ეს ქმარის სამუშაო ოთახია... ძალიან ბევრს მუშაობს... ახლა შემოქმედებით მივლინებას პირდებიან პიდროვლექტროსადგურის მშენებლობაზე...



შვიდ საათზე სხვა სტუმრებიც გამოჩნდნენ და ჩვეულებრივად მისაღებ ოთახში მოგროვდნენ. აქ იყო ყავა, ნარდი, ჭადრაკი, კარტი, ღომინო...



ციო ტახტზე იწვა. მე გვერდით ვუჯექი, — ხელში ვალიდოლი მეჭირა:

— ხომ გითხარი, ღვინო არ დალიომეთქი, იმდენი კონიაკი გვქონდა... ჩემი არაფერი გესმის.

— ვაიმე, მიშველე!.. თავბრუ მესხმის! ვაიმე, რა ვქნა! მიშველე! გული მიმდის...

— ნუ ვეშინია... ერთი ტაბლეტი ჩაიდე ენის ქვეშ და მალე გავივლის... იქნება გული აირიო...

— არა. ვერ შევძლებ... შეიძლება ბორჯომი დავლიო?

— შეიძლება. მოგიტანო?

— ჰო. იქნება შევძლო...

ბოთლი გავხსენი, ბორჯომი დავუსხი და სწრაფად მივუტანე:

— ჩქარა, ციო! ვაზი არ წაუვიდეს!

ციომ ცოტა მოსვა:

— მეტი აღარ შემიძლია...

— სასწრაფოს გამოუეძახო?

ჯამალ დავლიანიძე
წონასწორობა



— როგორც გინდა... არა!

— გამაგებინე, რა ვქნა?

— სახლი დაულაგებელია... რასა ვგვევართ... ექიმები რას იტყვიან. ჭურჭელი მაინც დაგვერეცხა...

— ჭურჭელის დარდი ნუ გაქვს, ორ საათში სულ დავრეცხავ...

— შენ როგორღა ხარ?

— კარგად... სამი ჭიქა არაყი დავლიე... უჭმელობა გიშვრება ყველაფერს... ვერაფერი გააგებინე...

— არ მშია...

— ძალად უნდა ჭამო.

— მოიცადე, ნულარ მელაპარაკები... ცუდად ვსდები...

— იქნებ დაიძინო.

— დამეძინება?

— დაგეძინება. დაიჭი ვალიდოლი, მერე სედუქსენს მოგცემ და დაწყნარდება.

ციომ ტაბლეტი ენის ქვეშ ჩაიდო:

— მითხარი, ნია უფრო ახალგაზრდადულად გამოიყურება თუ მე?

— მაგრად გატეხილა... რა შედარებაა?

— მატყუებ...

— არ მატყუებ.

— არა მჯერა.

— რა მაქვს მოსატყუარი?

— მაშ მე უფრო ახალგაზრდად გამოიყურები?

— ნამდვილად, რა შედარებაა მეთქი.

— მოდი, გაკოცო.

ციომ მაკოცა.

— ციო, მე სუფრას ავალაგებ. შუქს ჩაგიქრობ. იქნება დაგეძინოს...

●

შუქი ჩავაქრე, კარი გამოვიხურე, სამზარეულოში შევედი, სიგარეტის კოლოფს დავაძქვრდი, გავიღიმე, ერთი ცალი ამოვიღე, დიდხანს ვუყურე... რალაცა მომაგონდა — ჩამეცინა, ასანთი გავკარი, სიგარეტს მოვუკიდე და გავაბოლე...

სარკმელთან მივედი. გამოვალე, ცას ავხედე. — აღმოსავლეთი წითლად

იცრიცებოდა. კარგა ხანს ვიყულობდი იქით. ნაღვლიანი სახე მქონდა — თითქოს იმედი გამიცრუვდაო... ბოლოს ნელა შემოვტრიალდი, ზურგი შევქატიე აღმოსავლეთს, თავი ჩავლუნე, სარკეს მივუახლოვდი, ანარეკლს გავუღიმე და ამავე ღიმილით შევედი ოთახში, სადაც წუხელ ვიქეიფე...

სკამები ისევ ისე იდგა, როგორც სტუმრებს დაეტოვნათ... ხელახლა შევედი სამზარეულოში, დიდი ქვებით წყალი დავდგი ცეცხლზე და სკამზე ჩამოვკეცი... ცეცხლს ჩავაშტერდი... ცეცხლი მოლურჯოდ ენთო, — წვეროკინა წითლად უბურბურებდა. ის იყო რალაც აზრის გამოტანა ვცადე, რომ უტბად შევკრთი, სარკმლისკენ გავიხედე, წამოვღეკი და გაშლილ სუფრისკენ გავემართე...

...პროფესორის სკამზე ის ბოლოკი ევლო, გოჭს რომ ჩავტენე პირში... სარკმელთან მივედი ხელახლა. ქუჩაში რამდენიმე კაცი მორბოდა. ხშირხშირად იცქირებოდნენ საათებზე, ფეხს უნელებდნენ. მერე ისევ გარბოდნენ გაჩერებისკენ, სადაც ხალხი იდგა... მეზობელ კორპუსებში სინათლეები ინთებოდა. ყველა სარკმელზე ფარდა ეკიდა, ადამიანები არა ჩანდნენ. სწრაფად მოვცილდი სარკმელს. სამზარეულოს მივაშურე, ჯამში ცხელი წყალი ჩავასხი და ცივი წყლით გავაწვლე...

...სარკეს რომ ჩავუარე, * თავს ძალა დავატანე, გავიღიმე, შემოვტრიალდი და დასვრილი თეფშების მოგროვება დავიწყე...

ის იყო უკანასკნელი ლარნაკი გავიტანე ოთახიდან, რომ ციომ დამიძახა:

— როგორ ხარ?

— თავად როგორა ხარ?

— არა მიშავს.

— სედუქსენმა გიშველა, ბრწყინვალე პრეპარატია.

— სხვას ხომ არაფერს ამატყვიებს?

— ნუ გეშინია...

— რომელი საათია?

— შვილის ნახევარი.
— არ დავიძინია?
— არა, წყალი გავაცხელე, ჭურჭელს
დავრეცხავ და მერე დავიძინებ.
— გაიკონე? — მკითხა უცბად ციომ.
— რა,
— კატის კნავილი... წადი, მოაშორე
იქიდან, ძალიანა ვთხოვ...

წამოვდექი... სარკეში ჩავიხედე,
უშნო ღიმილი ჩამოვიშორე და კარი
გამოვადე.

პატარა, შავი კნუტი აბუზულიყო
კუთხეში. ჩემმა დანახვამ გაახარა
და აკრუტუნდა.

ფრთხილად ავიყვანე. სახლის კარი
გამოვიხურე და კიბეს დავუყვავი.

კნუტმა უფრო მოუმატა კრუტუნს...
სადარბაზოდან გამოვედი, ქუჩა გადა-
ვიარე, გორაკებს შევუყვავი, გადავცდი,
მომცრო ვაკეზე შევჩერდი და კნუტი
მიწაზე დავსვი.

ცხოველი ფეხებზე გამეგლასუნა და
კული აპრიხა.

ბექზე შევდექი, საიდანაც ჩემი კორ-
პუსი დავინახე...

კნუტი ფეხდაფეხ მომყვა.
ციო დავლანდე. ხელს მიქნევდა.

კნუტი ავიყვანე, ბექობს ჩავცდი.
კნუტი და მე ერთნაირად ვცახცახებ-
დით. ცხოველი კრუტუნში შერეული
კნავილით შემომყურებდა...

უცბად ძირს დავაგდე კნუტი, წავიკუ-
ზე, მოზრდილ, ბრტყელ ქვას დავწვდი,
მალა ავწიე და როცა კნუტი კუდაპრე-
ხილი გაიქცა, ქვა დავაგდე...

ნელა შემოვტრიალდი — ძლიერი
ნახტომებით უცბად ბექობზე მოვქე-
ცი...

ციო ისევ სარკმელთან იდგა, ღმი-
ლით მიქნევდა ხელს, ჩქარა მოდიო.

თავდაღმართზე დავეშვი. ფეხები
მთლად მომიდუნდა. გრძელი ნაბიჯებით,
მორყეული გავრბოდი, თითქოს ვიშლე-
ბიო... ქუჩის პირზე ფეხი ჩამივარდა
ორმოში, ასფალტზე პირქვე გავცურდი
და მანქანის მუხრუჭების ღრჭილიც
გაისმა.

ციომ სარკმლიდან ჩამოიკივლა.

გამვლევები ავიშვიშდნენ. შიშველი
მძლოლი ხელებს შლიდა და წვერ-
მოშვებულ კაცს არწმუნებდა, არა
მგონია, ჭკუაზე იყოს ეს კაციო.

წვერიანმა პასუხად მძლოლს ყურში
წასჩურჩულა, რაზედაც მძლოლს სახე
მოერღვა და ხმამალა წამოიძახა,
„ვაააპ!“

კიბეს აფუყავი. ციო უკან მომდევდა
და მძლოლს სწყევლიდა.

...სარკესთან ორთავენი შევჩერდით.—
სარკეში ვათვალიერებდი თავს. ციო
სარკეშიც იყურებოდა, ფეხსაცმელებსაც
იცვლიდა და კიდევ ქვითინებდა.
თავ-პირი მქონდა წაგლილი.

...ციომ არყით დაასველა ნაჭერი, სახე
მომწმინდა, მალამო წამისვა და ჯვრე-
ბით ამიჭრელა სახე.

სამზარეულოში სკამზე ჩამოვჯექი,
გაზქურა ისევ ისე ენთო. — ლურჯ
ალზე ცეცხლის წითელი წვეროკინა
ცმეკვავდა... წყალი დუღდა. ონკანიდან
წყალი მოჩხრიალებდა...

ნათალი ჭიქა კონიაკით ავავსე, დავ-
ლიე და სიგარეტი გავაბოლე.

ციომ კონიაკიანი ჭიქა გარეცხა,
გაამშრალა და შემეკითხა:

- კნუტს რა უყავი?
- ქვა დავცხე.
- მოკალი?
- ჰო.

ციო შეწუხდა:
— არ უნდა მოგეკლა.

ხმა აღარ გავეცი, რადგან ახლა მას
ვერ დავაჯერებდი, რომ იგი იყო
დამნაშავე...

- ისევ ციომ დაარღვია სიჩუმე:
- სამსახურში როგორღა წახვალ?
- არ წავალ! სოფელში წავიდეთ,
ბაბო და პაპა ვნახოთ.

— ვედარ ვიტან სოფელს... სულ
ტირიან მოხუცები, აღარ მინდა მათი
ყურება...

ჯამალ დავლიანი
წონასწორობა



— მეც დავილაღე... ამდენმა ტირილ-
მა მომსპო, — ამის თქმაზე ღრმად
ჩაისუნთქე და დავუმატე:

— იქნება მაინც წაესულიყავით,
პაპაჩემს კარგი ღვინო აქვს...

— მარტო წავიდეთ?

— ბავშვებიც წაიყვანოთ.

— მოდი, ლიდრე და ნიაც დავბატი-
ეთო...

...ციო ბავშვების გასაღვიძებლად
წავიდა.

სარკმელთან მივედი... რაღაც მიხა-
როდა — ხითხითს ძლივს ვიკავებდი,
თუმცა, მაინც ვორკოფობდი, თითქოს
ის რაღაცა მჯეროდა და არც მჯეროდა...



ღიღმის მასივს რომ გავცდივით, სიჩქა-
რეს მოვუმატე... გვერდით ბავშვები
მესხდნენ, უკან — ციო, ნია და ლიდ-
რე. ლიდრე შუაში იჯდა და იმ კაცოვით
მხიარული გამომეტყველება ჰქონდა,
რომლისთვისაც ქალაქკარეთ გასვლა
დიდი ემოციების, შვებისა და სიხარუ-
ლის გამომწვევე მიზეზია...

... მცხეთას რომ გავცდივით, ბავშვებ-
მა პატარა ხელის ურემში შებმული ვი-
რი დაინახეს, გვერდით ჩოჩორი მიკუ-
ნტრუშებდა.

— ღელა, ვირი!

— ვირი, ღელა! — აყრიაჟულდნენ
ორივენი.

— მამა, დაინახე, რა პატარა ვირია!

— ვირი კი არ არის, შეილო ჩოჩო-
რა.

— ჩოჩორი, ღელა!

— ურემი და ვირი, მამა! გვიყიდე,
რა!

— რამდენი წლისაა, ღელა, პატარა
ვირი?..

— ჩოჩორი!..

— რამდენი წლისაა ჩოჩორი!

— რამდენი თვისა.

— ვაშაა! რამდენიმე თვის პატარა
ვირი!

— ჩოჩორი!..

— გვიყიდე, რა, მამა!..

უცბათ ტკაცანი გაისმა. — მანქანამ

მარცხნივ გაიწია. მთელ ქვემოთ ჩვენი
ქილე საკვებს...

წინიდან სატვირთო მანქანა მოჰქრო-
და... საუკუნეებზე მიუღწევი. მანქანა გზი-
დან გადასხლტა, ბალახებში იჯაყჯაყა
და შეჩერდა.

ხახვით დატვირთულმა სატვირთომ
ჩაიქროლა.

... ჩამიჩუმი არ ისმოდა. მერე, ჯერ
პატარა ბიჭი ატირდა, მოგვიანებით უფ-
როსი აპყვა, ციო აკვლდა, ნიამაც მას
მიბაძა....

ყველაზე უწინ გადმოვედი მანქანა-
დან. ბავშვები გადმოვსხი. — უფროსს
ცხვირიდან მოსდიოდა სისხლი, უმცრო-
სი ხელს იქნევდა, ცხვირს ინაოჭებდა
და ტიროდა — „ფუფუთო“.

ორივე ბალახში ჩავსვი...

ლიდრე ბუჩქებთან იდგა.

ნიას ხუთკაპიკიანი ეჭირა ხელში, ათ-
ამაშებდა, შუბლთან მიჰქონდა. წარამა-
რა და უაზროდ ჩურჩულებდა...

ციო თვალწასულ წინდებს ისწორებ-
და...

მცირე ხნის შემდეგ სწრაფად შეი-
ცვალა ყველაფერი — ციო ბავშვებს
ეცა, ლიდრე ნიას მრვარდა, ბავშვები
ციოს ჩამოეკონწილნენ.

მე მანქანასთან მივედი და გავიღიმე.
როცა ოდნავ დამშვიდდნენ, ლიდ-
რემ წამოიყვია, გადავრჩითო! — სიმ-
ღერა დაიწყო, დაიკვანწა, აცეკვდა და
ყველა აიყოლა.

ბოლოს ყველა დაწყნარდა და ციომ
მკითხა, რა მოგვივიდაო.

ჩემს მაგიერ ლიდრემ აუხსნა, წინა,
მარცხენა საბურავი ვასკლაო.



... პაპამ ჰქია ასწია, მაგრამ ციომ არ
დააცადა — ჩვენი ჩამოსვლის სადღე-
გრძელო კი არა, ჩვენი გადარჩენისა
თქვიო...

პაპამ ჰქია დადგა:

— ბიჭო, რა ღმერთი გაგიწყართ?

ამ სიტყვებმა შემაყრთო, კინაღამ ჰქი-

ქა ვამივარდა, მაგრამ არ შევიმჩინე და გავიღმე.

კითხვაზე ვარაზმა გასცა პასუხი:

— საბურავი გავვისკდა. — მე ცხვირი ვამიტყდა, ლადოს ხელი ეტკინა!.. გზაზე ვირი ვნახეთ, ისეთი ლამაზი...

პაპამ ერთი ხანობა ხმა ვეღარ ამოიღო, მერე მე მომხედა;

— ბიჭო, მართალს ამბობს ეს მაიმუნი?

— გადავრჩით, პაპაჩემო...

მობხუცი თანდათან აღშფოთდა:

— რა ღმერთი გავიწყრათ?

ისევ შეეცბი, მაგრამ არც ახლა შევიმჩინე.

პაპამ ყველა დალოცა.

პაპომ ვაიგო თუ არა ავარიის აშბავი, ტახტზე ჩამოჯდა, ატირდა და ძველებურად მოჰყვა: რა ბედი აქვს ჩემს მონაგარს, რას გვერჩის ღმერთი, რა დაეუშვავთ ეს ჩემი შვილებია და არც ერთი ღმერთს არ უქნია, ყველას სულის საკენესებელი აქვს შეყრილი, შვილიშვილები მყავს და, ზოგს ღვიძლი სტყვია, ზოგს ყური, თვალი, ფეხები, შავი მიწა და დოზანა, ახლა ეს პატრონმკვდარი ავარიადა და სულ დაგვამთავრებდა ღმერთი...

სათონის ნანგრევს ვუყურებდი და ამ ადგილებზე მოდებულ თეთრ წუხილს ვეძებდი... ვეღარ ვხედავდი სამ ალვის ხეს (რომელიც თავად დავრგე). თრიალეთის მთებს, ცხირეთის ციხის ნანგრევებს, ხევს, ქვებს, თივას, ფუჩიჩს, კაკლის ხეებს...

ხეში ძაღლები ერთმანეთს დაერივნენ, ვეღარ ავიტანე მარტოდ ყოფნა და სახლისაკენ შევებრუნდი, სადაც პაპა თამალობდა, ბაბო ტიროდა, ვარაზი და ლადო თამაშობდნენ, ნია ქექლუცობდა, ციო მღეროდა და ლიდრე ღვინოს აქებდა.

ბაბო კიბესთან შემომეგება და ტირილით დამარია:

— შვილო, შენს გახარებასა, ამდენი ტანჯვა გაქვს გადატანილი ცოლი, სკოლა, უნივერსიტეტი, ავადმყოფობა. — ერთი, მეორე, მესამე... ვაფრთხილდი, შვილო, ამ სიყვარულს მანქანებით ქვეყნის ხალხი იუფუებდა... ამ ბოლო დროს ძლივს დაეწყინარდი, კარგი სამუშაო გაქვს, შვილები გეზრდებიან... ამ სიკეთის დროს არაფერი შეიძებნო, შვილო, თორემ მე და პაპაშენი ისედაც გადასაჩეხსა ვართ, ფაენისშა ჩვენი ადგილი... თქვენ რომ რაიმე მოგივიდეთ, რაღა შევ ქვათ მინდა სიოცხლე; გადავვარდები სადმე... ერთი წუთით აღარ მინდა სოფლის დანახვა... დავილაღენით, შვილო... რამდენ ხანს შეიძლება ამიანის ღვიძლი? ფაენისი და მოუსავლეთი გველოდება... ამასაც თავისი დრო აქვს, უკვე მეშინია, ჩვენი სამავიერო არ მოითხოვოს ღმერთმა... ოღონდაც თქვენ მეყოლეთ კარგად... ჩვენი დარდი ნუ გაქვთ... პაპაშენს უკვე ყელზე ადგება საჭმელი, სულ ივინება — თუ ვკვდები, მოვკვდე ამ დარდასიან მიქელ გაბრიელსაც დავაეწყვიდო... ხან ისე ბრაზდება, ღმერთს ორ შაურად უხდის დედას... უკვე გასულელდა — ღმერთს დაუწყუო ვინება... ჯიბრიანია და თავისნათქვამა... ახალგაზრდობაში ეშმაკს უძახდნენ სოფელში, სულ მარტოდ დადიოდა, არავისთან ძმაცაკობდა... ისეთი ძილი იცოდა, თითქოს სული აღარ უდგაო... უცნაური კაცია — არც ეშმაკისა ეშინია, არც არჯლისა და არც ალქაჯისა... ნაძრახ ადგილებში უყვარდა სიარული... ამდენი ხანი ერთად ვიცხოვრეთ და ერთი კარგი დღე არ მახსოვს... გგონია, ადგილი შესანახი იყო პაპაშენი! ღამ-ღამობით, ვიღაცა დაუძახებდა ხოლმე, ადგებოდა, საცვლიანი გავიდოდა და დედე-ლუდეებში დასდევდა თხისთავა არჯლებს... დღემდინ არ მეუბნება, რას აკეთებდა... ახლაც, დამე ორჯერ რომ არ გავიდეს შინიდან, არ იქნება... რამ-

ჯივალ დავლიანიძე
წონასფორთხა

დენჯერ გავყოლივარ, მაგრამ ანლო-
მასლო ვერსად დამინახავს... ერთხელ,
ლოგინში ებუტბუტებოდა ვიღაცას:
დროზე უნდა მივბრუნდე, თორემ დე-
დაკაცი მომიკითხავსო... რა ვქნა, შვი-
ლო, ამ პაპაშენს გავუძლო, ხალხს გა-
ვუძლო, თქვენს ავადმყოფობას თუ
ჩემ სატივიარსა... იქნება უფრო ხშირ-
ხშირად ჩამოხვიდე... შენთან ლაპარა-
კი უყვარს პაპაშენსა, ყველაზე მაგ-
რად უყვარხარ... ერთხელ მითხრა: იმ-
ის მეტი არც ერთი არ უქნისართ
ღმერთსაო... როცა დიდი ხანი აღარ ჩა-
მოდიხარ, ღამ-ღამობით უფრო დიდ
ხნობით იკარგება... ამ წინეებზე, მიტ-
რას ცოლმა მითხრა, ჩემმა ქმარმა თქვა,
გაბრიელა ვნახე ცხირეთის ციხესთან,
საცვლებიანიო... კინაღამ გული გავი-
ხეთქე, ვეცი პაპაშენსა, სულ ბურიან-
ტელი გავადინე... გგონია, რამე დას-
ცდა! წადი, შენი ღმერთიცო. ამ სიბე-
რისას არყის სმას მოუმატა... წინათ,
როცა ქორწილში წავიდოდით, ღვინო
რომ ვერ ათრობდა, არაყს მოიკითხავ-
და, მთელ ბოთლს დაცლიდა, მაგრამ
მაგისი დამთრობი არაფერი აუო... ოთ-
ხმოცდაორი წლისა კაცია და პირს ვერ
აყენებს, თქვენზე მეტსა სვამს... რაც
ტიფი გადაიტანა, მის შემდეგ ჰკუპზე
ვეღარ არის პაპაშენი... ფრთხილად
იყავი, შვილო, ვიღას აღარ ჰყავს მან-
ქანა... იმ დღეს, პაპაშენი ამბობდა,
მეც უნდა ვიყიდო მანქანაო... თან იცი-
ნოდა: მერე ნახე გოსტიბისა და ჰყოპი-
ანის ორღობეებს რომ დავკრევიო...

ბაბოს გული ამოუჯდა, შინ შედი, მე
მწილი უნდა ამოვიტანო, — მითხრა
და მომცილდა...

...პაპაჩემს შევცქეროდი, რომელიც
რადაცას უყვებოდა ლიდრეს. თვალეზ-
ში ჩავხედე... ვიგობენ, როგორ მოიბ-
რდა მასში ჩამჯდარი სიფრცხანა სი-
ცოცხლის ყინული და მოხუცისკენ წა-
სვლა დავაპირე, მაგრამ ბაბო შემოვი-

და წყველით და ყოველივე თავის ად-
გილს დაუბრუნდა.

შემწვარი ქათამი გადავერე-
ჯე, სწრაფად შევჭამე, სამი ჭიქა ღვინო
მივყოლე და პაპის წინ დადგულ ცა-
რიელ, მოკრიალებულ თევშს დავა-
ცქერდი, — ახლად მომაგონდა, რომ
პაპის მიერ შექმული არასოდეს არა-
ფერი მენახა... პაპას მუდამ ცარიელი
თევში ედგა წინ...
ღვინო დავისხი...

სმას მოვეუმატე.

ციო ყოველ დილით მეჩხუბებოდა:
ვეღარა გცნობ, შენი ავადმყოფობა და-
გავიწყდა, რას დავმგვანე, მეზობლები-
სა მაინც შეგრცხვესო.

ვუსმენდი და მეზობლებს ვავინებდი.
...შაბათ დილასაც ჩვეულებრივად
წავკინკლავდით, მე არყის ბოთლი მე-
დგა წინ, აღმოსავლეთის სადღეგრძე-
ლოებს ვამბობდი და ვსვამდი.

ციომ ახალი გაზეთები დამიწყო მაგი-
დაზე, კითხვა არ დავაგვიწყდესო. პასუ-
ხად არაყი დავლიე და გაზეთი გავშალე,
რომელშიც საკუთარი მოთხრობების გა-
მოქვეყნებას ველოდი. თანაც მეგონა,
რადგან ციომ მომიტანა ალბათ უკვე
დაიბეჭდა-მეთქი.

პირველ სამ გვერდზე თვალი ვერ-
სად მოკვარი საკუთარ გვარსა და სა-
ხელს. მეოთხეს რომ დავხედე, უცბად
მოვიკუნტე, თავი ჩავლუნე, წამოვვარ-
დი, მოხრილი გავიქეტი ჩემი ოთახისა-
კენ.

ციომ დამინახა სახეშეშლილი, ტელე-
ფონთან მივიდა, ნომერი აკრიფა და
ნამტირალევი ხმით იკითხა:

— პროფესორი ბრძანდებით?

— პროფესორი არ გახლავთ, უმცრო-
სი მეცნიერი მუშაკი გისმენთ.

— ციო გაწუხებთ... ჩემი ქმარი ცუ-
დადაა... ეს ორი კვირაა გაუთავებლად
სვამს, შინ გვიან მოდის, რეჟიმს არ იც-
ავს, ხმას არავის გვეცემს... ახლა, რამდე-



ნამე წუთის წინ გაზეთს კითხულობდა მთვრალი, უცბათ მოიკუნტა, ოთახში შევარდა და აღარ გამოდის...

უმცროსი მეცნიერი მუშაკი და ციო დაძაბული მისმენდნენ, მე კი ხელების ქნევით ვცდილობდი დამერწმუნებინა ისინი, რომ თავს ჩინებულად ვგრძნობდი და არავის არა აქვს უფლება სხვის ოჯახურ მდგომარეობაში ჩარევისა...

იმ სარკმელთან ვიდექი, საიდანაც აღმოსავლეთი მოჩანდა. მთვარიანი ღამე არ იყო, მაგრამ არც ისე ბნელოდა, რომ თვალში თითი წაგეტაკებინათ კაცისათვის და ვერ დაენახა. ქუჩაში არ დარბოდნენ მაწანწალა ძაღლები. არც მთვრალეები მღეროდნენ. არც შეყვარებული ბიჭი მღეროდა. არავინ ედებოდა ღობე-ყორეს და ავტომუსების ხრილიც არ ისმოდა.

უბრალო ღამე იყო.

აღმოსავლეთის იმ წერტილს მივჩერებოდი, საიდანაც მზე ამოდის მუდამ დილით. სახე არც დაღლილი მქონდა, არც ნატანჯი, არც ოფლიანი და არც ღიმილიანი.

უბრალო სახე მქონდა. არაფერს მივტიროდი! — არაფერი მენანებოდა... ჩემთვის ახლა არაფერი იყო მთავარი და მხოლოდ არაფერზე ვზრუნავდი. თითქოს ვუძალიანდებოდი რაღაცას. ეს არ იყო ჯიბრი... რაღაც უხილავის მოწოლას ვუძალიანდებოდი და ვაკავებდი.

დაძაბულობა ძლივს შემჩნეოდა. — წინ და უკან, მივდი-მოვდიოდი...

როცა ქუჩაზე მაწანწალა ძაღლმა გადაირბინა, გამეღიმა, სამზარეულოში შევედი, ჩამოვჯექი, ქვაბს ხუფი ავხადე, მოხარშული ძროხის ხორცის მოზრდილი ნაჭრები ამოვალაგე, ტყემ-

ლის საწებელა დავასხი, პილშილი ვაყარე და მადიანად შევექეცე...

შულამე იდგა. ვჭამდი და თან დამცინავი ღიმილი მითამამებდა სახეზე...

ერთსა ვფიქრობდი — რატომ არ უნდა უკვირდეს ადამიანს, მზე რომ მუდამდღე ამოდის და ჩადის-მეტყი.

ჭამას რომ მოვჩჩი, ძვლები მოვხვეტე, თეფშზე დავყარე, მაცივრიდან ტორტი გამოვიღე, კობხად დავჭერი, ჯერ ზემოდან მოყრილი თხილი შევჭამე და მერე ნახევარი ტორტი მივყოლე... ერთი ჭიქა კონიაკი გადავყარი, უფრო გავიღიმე, ქვეშ-ქვეშ ავხედე აღმოსავლეთს. წამოვდექი, სარკესთან შევჩერდი, საკუთარ უსწორმასწორო აღნაგობას დავაკვირდი, ხმამაღლა გავიცინე და გახდა დავიწყე. — სულ გავშიშვლდი, გვერდულად დავდექი, საკუთარ სხეულს დავაცქერდი — ღიპი, ქონდადებული თეძოები, ჩავარდნილი მკერდი, მსხვილი, თიმთიმა მკლავები, ღაბაბი, მსუქანი ღოყები... კმაყოფილი დავჩჩი ჩემი გარეგნობით, ორეულს თვალი ჩავუყარი...

ციოს ეძინა. — საბანი არ გადახდოდა, ფეხები არ მოუჩჩანდა, თმა არ ჭქონდა გაშლილი ბალიშზე და არც ბროლივით თეთრი მკლავები ჭქონდა ამოყრილი...

ციოს უბრალოდ ეძინა.

ციოს მართლა ეძინა. თავს არ იმძინარებდა და ჩუმჩუმად არ მიტვალთვალებდა მწოლარეს...

გულალმა ვიწქეი, ჭერს არ შევცქეროდი, მაგრამ ცას თვალნათლივ ვხედავდი. ცაზე ვფიქრობდი და ვისვენებდი... ერთხანობა ისე ჩავუკვირდი რომელიღაც ვარსკვლავს, რომ მნათობი ადგილიდანაც კი დაიძრა, გვერდგვერდ წავიდა, აცახცახდა და გაცურდა...

ჯამალ ღავლიანიძე
წონასწორობა

რომანზე ვფიქრობდი, რომლის დაწერასაც აღარასოდეს ვაპირებდი, მაგრამ ყველაზე მაგრად მიყვარდა და ყოველდღე ვკითხულობდი. ეს იყო ყველაზე ვრცელი, ნათელი და მართალი რომანი, რომელსაც ყველაზე უცნაური ფერი, თვალები, სუნი, გემო ჰქონდა... რომანს „ანალიზი“ ერქვა და მისი მთავარი გმირი (ჯონდო) მოუსავლამდე, დანახვისამდე ჩასდევდა ყველაფერს...

ახლაც, ჰაერის მაგიდას ვუჭევი და ჰაეროვანი სტრიქონებით ვწერდი: „მადლა ცაა. ცა ქუდივით ამხია და მორკალულია. შეიძლება მეჩვენება, მაგრამ, რადგან მეჩვენება მწამს, ალბათ ასეა... ახლა თავისუფალი ვარ... ცა ჩემთვის ხორბლით დათესილი მინდორია, სადაც მოუღვეველი გაზაფხული ჰყვავის და უსასრულო თეთრი ცეცხლის გაღმთა დასაწყისის კოცონები ანთია... გავა რამდენიმე წუთი და ცა აღარ იქნება ქუდივით, რკალი აღარ ექნება და ყინულივით გაიცილება... ქარები გადახაზავენ მის სიღრმეებს, რომელთა ფსკერზე ჰიაკოკონები ანთია. ეს ჰიაკოკონები იმხელეზია, რომ ვერაფრით იფიქრებთ ცეცხლზე, რომელზედაც შეიძლება რაიმე დაიწვას ან შეიწვას...“

ციომ გვერდი იცვალა. საბანი გადაეხადა. დავაქტერდი. ციოს ჩვეულებრივი (არც ხორბლისფერი, არც ვარდისფერი, არც გლუვი) კანი ჰქონდა. ნაღდად ციო იყო და მიხაროდა. თუმცა ამ სიხარულის მიღმიურ ბედნიერებაში ზამთრის წვიმებით ტიროდა ცარგვალისთვალისანი ცეცხლის დედაკაცი...

ციომ კიდევ იცვალა გვერდი და საბანი მთლად გადაიძრო. — გამკვირვალე არაფრის ტანისამოსი ეცვა...

ბოლოს ვიფიქრე, ვეღარ დავიძინებმეთქი, წამოვდექი, სამუშაო ოთახში ფეხაკრეფით შევიპარე, უჯრა გამოვწიე, საქაღალდე ამოვიღე, გავხსენი, ფურცლები ამოვალაგე... კარს გაეხე-

დე. მერე ჩავკეტე, მაგიდას მივუჭეკი ჩემი ძველი, წონასწორობისათვის აუცილებელი ძველი რომანის წერა ვანვაგრძე:

„ჯონდო და ლერი საზანს უსხდნენ ლოგინთან.

საზანი გულადმა იწვა, თავი დაბლა ჰქონდა და საბრალოდ გამოიციკირებოდა.

— უკვე მერამდენე დღეა? — იკითხა ჯონდომ.

— ოცი დღე, — საზანის მაგივრად ლერიმ უპასუხა.

— ტკივილები კიდევ გაქვს?

საზანმა ხელი გაიქნია.

— მაშინ უნდა ადგე, წოლა უარესს გიზამს... ექიმებს მაინცდამაინც ნუ გადაჰყვები...

ლერიმ თვალები მოკუტა:

— ჯონდო, ჯერ შენს თავს შეხედე. რას დაემსგავსე. ღიბი, დაბაბი... არა გრცხვენია.

— აი თქვენი ბუნება... ადრე მეუბნებოდით, ხორცი ჰქამე, ღვინო სვი, ფერზე მოდიო, ახლა ყველაფერი შეაბრუნეთ? ეს შენი კი არა, რალაცა დაუნახავი აკვიტების ბრალია. თითქოს ადამიანს არ შეუძლია უმოკმედოდ, უსიტყვოდ იჯდეს. ასე გგონიათ, დუმის ის სჯობია, რალაცა თქვათ...

ლერიმ საზანს გადახედა:

— ნერვებს ხომ არ გიშლით?

საზანმა ხრინწიანი ხმით ამოილაპარაკა:

— რას ამბობთ, უფრო უკეთესადა ვგრძნობ თავს...

ჯონდო წამოდგა:

— ლერი, შეიძლება ერთი წუთი დაგეტოვო მე და საზანი?

ლერი ღიმილით გავიდა მეორე ოთახში.

ჯონდო წინ ჩამოუჯდა საზანს:

— ჩემი ოდესმე გჯეროდა რამე?

საზანმა თავი დაუქნია.

- გვეროდა?
- ყოველთვის.
- არასოდეს გეზიზღებოდი?
- არა.
- მხოლოდ ბრახდებოდი?
- ჰო.

— ახლაც უნდა დამიჯერო, დარაბებს დაეხურავ, სანთელს ავანთებ... მასაჟი უნდა გაგიკეთო... მერე დიეტასაც დაგინიშნავ...

საზანს შეეშინდა:

— ჯონდო, ექიმებმა მითხრეს, ვაცივებს მოერიდო...

— ნუ ხარ შშიშარა... ვინდა, რამდენიმე დღეში ადგე?

— ვის არ უნდა... ისე, ერთმა ახალგაზრდა ექიმამაც მირჩია — დაზელვა უველაფერზე მეტად მოგიხდებო...

— ნაღდი ექიმი ყოფილა... დამიჯერე.

... საზანი გულდაღმა იწვა. ჯონდომ ოთახი ჩააბნელა, სანთლები აანთო და საზანს ზელა დაუწყო.



ლერის სიცილი ახრჩობდა და ჯონდოს უყურებდა.

საზანი ისევ გულდაღმა იწვა და უფრო შესაბრალოსი გამომეტყველება ჰქონდა.

— რა გაციენებს, — მიუბრუნდა ჯონდო ლერის, საზანი დავზილე და მაჯა გავუსინჯე... ექიმი რომ ვყოფილიყავი, ხომ არ ვიქნებოდი სასაცილო?

— ძლივს არა თქვი სიმართლე, მე რომ ახლა რომანების წერა დავიწყო, არ ვიქნები სასაცილო?

— აღრე მეც შენნაირად ვფიქრობდი, მაგრამ ახლა მივხვდი, რომ, როცა კაცი ხალხში ცხოვრობს და მის გვერდით ადამიანები არიან, კეთილი უნდა ინებოს, მათთვის გასაგებ ენაზე ილაპარაკოს... აბა, მაშინ ვიყავი მართალი, ადამიანებს კრიჭაში რომ ვუდღექი და ჩემი ახირებებით ვაძიულედი შემეწუხებინა?.. ასე, ძმაო, არც დაბადების დღეს გამოვაკლდები, არც ქორწილსა

და მწუხარებას... მე ადამიანი ვარ და ამიტომ, უფლება არა მაქვს, სხვებს გვეწუხებო და გამოვეთიშო. საზანს გაეღიმა, ხელი ამოიღო საბნოდან:

— ჯონდო, მართალი ხარ...

ლერი წიგნების კარადასთან იდგა.

ის იყო ჯონდომ კიდევ რაღაცის თქმა დააპირა, რომ ვიღაცამ ზარი დარეკა.

ლერი კარის გასაღებად წავიდა. და მალევე შემობრუნდა...

— ბატონო ფილოსოფოსო და პატივცემულო ავადმყოფო, აბა მითხარით, ვინ გვესტუმრა?

— თუკლე იქნება, — თქვა ჯონდომ.

— ჩემი ძმისწულია ალბათ, — ამოიოხრა საზანმა.

— ის ბიჭი, ფული რომ ვთხოვა სესხად?

საზანმა თავი დაიქნია.

ლერიმ კარი გააღო და სტუმრები შემოიპატიჟა... ჯერ პატარა ბიჭი შემოვიდა მოკრძალებით, მერე საშუალო ტანის კაცი, ბოლოს ნესტანი...

ჯონდოს გაუკვირდა.

საზანი წამოჯდა.

ნესტანმა ჯონდო და საზანი გადაეცინა და ვააცნო თავისი მეუღლე.

ბიჭმა ქალაღში გამოხვეული საჩუქრები მიუტანა საზანს, რომელსაც თვალეში სიხარულის ცრემლები მოსდგომოდა...

მიუხედავად დიდი სიხარულისა, მოკლე ხანში უხერხულობამ დაისადგურა...

ნესტანის ქმარი მიხვდა ამას, შვილს უთხრა, მანქანით გავისეირნოთო, ბოდიში მოიხადა და წავიდა.

ნესტანმა ვააცილა ქმარ-შვილი და როცა უკან მობრუნდა, ჯონდომ ჰკითხა:

— შენი ჯიუტობით მიაღწიე რამეს?

ნესტანმა წყნარად უპასუხა:

— რაც მთავარია, ვუყვარვარ, ბავშვი გვეყავს...

ჯამალ დავლიანიძე
წონასწორობა

— მასქანაც გავკეთ, — აზრი განავრცო ჯონდომ.

— მასქანაც გვაქვს...

— ყოველ შაბათს რესტორანში დადისართ...

— დავდივართ...

ყოველ ორშაბათსა და ხუთშაბათს — კინოში...

— ჯონდო, შენ არაფერი არ გიშველის...

— სიკვდილის მეტი, — დაასრულა ჯონდომ.

— გამოცვლილხარ,

— შენც...

— ჩემზე დაბოღმილი ხარ? — სხვათა შორის უთხრა ნესტანმა.

— არ უნდა ვიყო?

— არა... შენ ეს მითხარი, თეკლე როგორ არის... რამდენი ხანია არ მიწახვავს, როგორ დავკარგეთ ერთმანეთი... სულ შენი ბრალია...

— მე მუდამ დამნაშავე ვარ თქვენი აზრით, მაგრამ ვინმესთვის მომიტყუებია?

— ეტყობა, არ უნდა მოვსულიყავი, — წყენით თქვა ნესტანმა.

საზანი ხელახლა წამოჯდა.

— რას ამბობ, ნესტან, უფრო ხშირად მოდით ხოლმე, იქნება რამე გიჭირთ... დაგეხმარებით...

ნესტანს ცრემლები მოადგა.

ჯონდომ შენიშნა:

— რამაც ეგ ცრემლები წამოგადინა, ზუსტად იმაზე ვარ დაბოღმილი, — თავის ქნევით აუხსნა ჯონდომ.

— ალბათ, მართლა არ უნდა მოვსულიყავი, — ტირილით თქვა ნესტანმა, წამოდგა და სწრაფად გავიდა.

— შენ არ მეუბნებოდი, თუ აღამიანებში ცხოვრობ, კეთილი ინებე და ისე მოიქეცი, როგორც მათ შეშვენიით? — პირში ეცა ლერი ჯონდოს, როცა ოთახში შემოვიდა.

— საზანი აღამიანი არ არის? — შეეპასუხა ჯონდო.

— ეგოსტი ხარ, — გაბრაზდა ლერი.

— ნეტავ ვინ გააგებინა შენი ავად-

მყოფობა? — დაინტერესდა ჯონდო და საზანს დახედა.

— ეგოსტი ხარ, — გაუგებრობით რამ.

— შენ დაურეკე საზან? — განავრცო ჯონდომ.

საზანმა თავი გააქნია, არაო.

— ღრძო ხარ! — აღარ მოეშვა ლერი.

— ნაღდად თეკლემ დაურეკა, — ყუბრი არ შეებერტყა ჯონდომ.



... ჯონდო და ლერი რესტორანში ისხდნენ.

— ჯონდო, არასოდეს გიფიქრია, სად მიჰქონდა საზანს ის რომანები, შენ რომ უწერი?

— მიფიქრია, — მემკვიდრეებს უნახავდა.

— მემკვიდრეები არა ჰყავს.

— მაშნათესავებისთვის უნდოდა.

— შენ ამბობ, არასოდეს შეგმცდარვარო, არა?

— აღრე ვამბობდი.

— სწორედ აღრე შეცდი...

— ლერი, მოდი, თუ დამპატიე, ღვინო დამალევიანე, ნერვებს ნუ ამიშლი.

— პირიქით რასაც გეტყვი, ძალზე გაგახარებს...

— ჩემს ასაკში უკვე ძნელია, რაიმემ გამახაროს...

— საზანმა ყველა შენი ნაწერი მე მომცა ამას წინათ, თან მთხოვა, სანამ არ მოვკვდები, ჯონდოს არ გადასცეო...

— არა ხარ კარგი კაცი... შენი ნდობა მართლა არ შეიძლება, — სინანულით ჩაილაპარაკა ჯონდომ.

— ჯონდო, შენი არ ვიცი და...

— ძმაცკობაზე და სიყვარულზე ნუ მელაპარაკები, თუ ძმა ხარ...

— მაშ არ უნდა მეტყვა?

— არ უნდა გეთქვა...

— პატოსანი კაცის სიტყვაა?

— ჰო.

— მაშინ უკლებლივ დაუბრუნე საზანს თავისი ფული...



— ეგეც საზანმა ვითხრა?
 — არა. მე გეუბნები.
 — ეგრეც ვიცოდი.
 — ვალდებული ხარ... ძნელი მისა-
 ხვედრია?
 — საზანი შენზე მართალი კაცი
 ყოფილა...
 — ჯონდო, გეყოფა, საზანს გაუმა-
 რჯოს.
 — გაუმარჯოს...
 — ლერიმ ჭიქები შეავსო:
 — ფული გაქვს?
 ჯონდომ თავი დაუქნია.
 — გამდიდრებულხარ...
 — საზანის ფული მაშინ გვეგონა ბე-
 ვრი, თორემ ახლა...
 — მე ახლაც ბევრი მგონია... შენი
 არ ვიცი...
 — არც მე ვარ კარგი კაცი, ეტყო-
 ბა...
 — რატომ?
 — ერთხელ არ მიკითხავს შენთვის,
 ვიჭირს თუ ვიღვინს...
 — ნუ გეშინია, თუ ძალიან გამი-
 ჭირდა, არაფრისა არ მომერიდება,
 ჯონდომ ჭიქა ასწია:
 — ჩვენ გაგვიმარჯოს ლერი...
 — გაგვიმარჯოს.
 ... ლერიმ კვლავ შეავსო ჭიქები:
 — თეკლე როგორ არის?
 — არის ნელა-ნელა... სახლში გამო-
 ვეკეტე და... ორი ბავშვი არც ისე ად-
 ვილი მოსავლელია...
 — ხშირად ატირებ ხოლმე?
 — მე არა... თვითონ ტირის ხში-
 რად...
 — ბიჭები რამდენი წლისანი არან?
 — ერთი რვა წლისაა, — მეორე
 ორისა...
 — აუჰ!
 — ასე გარე-გარე როდემდე უნდა
 იარო? მთელი სიცოცხლე არ აპირებ
 ჩვენთან მოსვლას?
 — არ ვიცი, ჯონდო...
 — მთვრალი როცა ხარ, მაშინ ხომ
 გინდა ხოლმე მოსვლა?
 — ჰო.
 — რატომ არ მოდიხარ?

— არ ვიცი...
 — შენ იმ დროისა ვერიდებარა?
 ჩვენთან არ ყოფილხარ.
 ლერიმ ჩაიცინა:
 — ჯონდო, ბიჭი სწავლობს?
 — ხუთებზე...
 — ჯონდო, შენს ოჯახს გაუმარჯოს...
 — გაუმარჯოს...
 ... ახლა ჯონდომ შეავსო ჭიქები:
 — ლერი, შენ აღარ აპირებ დაცო-
 ლშვილებას?
 — დაცვოლშვილდე?
 — არაფრის რჩევა შემიძლია...
 მთვრალი მოაწყდათ.
 ლერიმ მოიპატივა:
 — მოდი მეგობარო, ერთი ჭიქა და-
 გვილიე, გვადლეგრძელე...
 მთვრალი ჩაიციებით დააცქერდა ორ-
 თავეს და ბოლოს ხმამაღლა დაასკვნა:
 — ვერ დაგლოცავთ... არ მომწონ-
 ხართ... ცუდი სახეები გაქვთ... ადრე
 გაქადარავებულხართ...
 ჯონდოს ლუქმა შეაცვივდა პირში.
 ლერიმ ძალიძალათა სიცილით გაუ-
 მეორა:
 — გთხოვთ, ერთი ჭიქით...
 მთვრალი ჯონდოს ჩააშტერდა:
 — შენ რატომ არ იციანი?
 ჯონდო მაგიდას ჩამოეყრდნო იდაყ-
 ვებით:
 — რა გქვია, მეგობარო?
 მთვრალი აჭირქილდა:
 — მე ვარ თქვენი მეგობარი? არა
 ვარ.. ვერც ვიქნები... ჰა-ჰა-ჰა-ჰა!
 ჯონდო მიაშტერდა აზარებულს. მა-
 სში საოცარი, — მთვრალისათვის გაუ-
 გებარი და ლერისათვის გასაგები რამ
 მოხდა, ცრემლი მოერია, ნელა წამო-
 დგა, მთვრალს დონივრად მოავლო ხე-
 ლი, მოჭაჩა, ძალით დასვა სკამზე,
 თვითონაც დაჯდა და წყნარად ჰკითხა:
 — შენნაირები კიდევ ცოცხლები
 ხართ?
 ჯონდოს ცრემლებმა, შინაგანმა ბო-

ჯამალ დაფლიანიძე
 წინასწორი

ლმამ და მარჯვენის ძალამ, სანახევროდ გამოაფხიზლა მთვრალი.

ლერიმ ჭიქა ასწია:

— ჯონდო, ეს კაცი ვაგონში რომ თამადა სცემე, მგონია ის არის, გაუმარჯოს...

ჯონდოს გაელიმა:

— გაუმარჯოს...

მთვრალმა ხმადაბლა სთქვა სამადლობელი და ფეხაკრეფით ვასცილდა მაგიდას.

ჯონდო და ლერი პირისპირ დარჩნენ და ერთმანეთს შეაშტერდნენ...

უცბად შეეწყვიტე წერა. სწრაფად წამოგერიფე ქაღალდები, უჯრაში ჩავაწყვე, ჩემი ოთახიდან გამოვედი და სარკმელთან მივედი.

თენდებოდა.

არაფერზე ვფიქრობდი. — მორკალული ცისკიდურის დასაბამს გავყურებდი და გოცებული შევცქეროდი ექვსკუთხედ მაგიდას რომელსაც უსხდნენ ჩემი ნაცნობები: საზანი, ლერი, ციო, პროფესორი, უმცროსი მეცნიერი მუშაკი, დამლაგებლები (ველარ მოვიგონე, ვინ სად მენახა). ხუჭუჭა, რომელსაც დამტვრეული საათი ეკავა ხელში, ბერდია, ვოლდემარი, გრიშა, საზანის მეუღლე, ექთანნი...

არ გამკვირვებია, რომ ექვსწახნაგა მაგიდასთან არც ერთი ჩემი სისხლისმეირი ნათესავი არ იჯდა... მხოლოდ ეგ იყო, უცბად გამიელვა, შოთა და გოგი სად არიან-მეთქი, მერე გავიღიძე, მომაგონდა, რომ ისინი გარდაიცვალნენ (უღროოდ წავიდნენ ამ ქვეყნიდან იმ ქვეყანაში, ანუ — ნათელში)...

მაგიდასთან მსხდომი ძველი ნაცნობები ფილოსოფოსობდნენ, იცინოდნენ, ერთმანეთს კვერს უკრავდნენ... მხოლოდ ერთი რამ მოაგებდა — ეს ხალხი ერთმანეთს რამ დაუახლოვა-მეთქი და გაკვირებული ვუსმენდი...

...ლადო ატირდა.

●
ციომ ვაიღვია, ლოგინს გადახედე. — ქმარი არსად ჩანდა... წამოდგა, ლოდო აიყვანა. ფეხაკრეფით მივიდა სარკმელთან. მუხლები სტეხდა. თავი სტკოდა. სიცხის გორგალი დაადიოდა მუცელზე...

როცა ლადო საწოლში ჩააწვინა, გაიფიქრა, ქმრისა რად მეშინიოდა და უფრო შეეშინდა. ოთახი მიმოათვალიერა. თითქოს არაფერი არ იყო შეცვლილი, მაგრამ რაღაც აწუხებდა... ასე მაშინ ემართებოდა, როცა ქმარი ოთახში არ იყო ხოლმე... ამ წუთში დედ-მამის სახლი მონატრა... ეს რა უქნა ქმარმა... ნეტავ როგორ გავუძელი ამდენ ხანსო, გაიფიქრა, წინათ რა ლამაზი კაცი იყო — გამხდარი, მაღალი, თმაგრძელი, მხიარული, ნერვიული, აღზნებული... ახლა კი ერთხელ არ მოეფერება, არ აკოცებს, არ დაუყვავებს...

ციო ტიროდა.

●
სარკმელთან ვიდექი და ქვემოთ ვიქტორებოდი.

ციოს ფეხის ხმაზე უცბად შემოვბრუნდი.

— ციო, ლამაზი ხარ... სულ ვფიქრობ, რატომ არ შეიცვალა-მეთქი. ზუსტად ისეთი ხარ, როგორც მაშინ, ბანკეტზე... გახსოვს, ყურისძირა ხალზე რომ გაკოცე?... არა, მაინც რატომ დამცინოდი? გახსოვს?

— ნუ სვამ, გემუდარები...

— რა მნიშვნელობა აქვს?

— ველარ წერ...

გოცებულმა შევხედე.

— ამას წინათ არ დამიბეჭდეს?

— ის არ მომეწონა... ადრე უფრო კარგად წერდი... როგორ მიყვარს ის მოთხრობება...

— სისულელეებია... არ იცი, ნამდვილი პროზა რა არის... კისლოვოდსკში წამოხვალ?

ციოს გაუკვირდა:

— როდის?



— ზვალე... ბიძაჩემი ვაგიჟდება სი-
ხარულისაგან...

ციოს გაუხარდა, მაგრამ უცაბედად
დანალვლიანდა.

თავზე დავადექი:

— ნამტირალევი ხარ... რად იტირე?

— მეშინია...

●
ციო თვლემდა.

ბავშვები მოღლილები ისხდნენ.

მანქანა ტრამალებზე მიჰქროდა.

მიხაროდა შემხვედრი ავტომობილე-
ბის დანახვა, თითქოს რაღაცას ველო-
დი მათგან. საჭეს დაძაბული ვუჯექი,
ყოველი საგნის მცირე მოძრობასაც
კი ვამჩნევდი... ახლა ჩემთვის სულ ერ-
თი იყო ყოველივე — არაფერს ვუფრ-
თხილდებოდი, არაფერი მეცოდებოდა,
არაფერს ვდარდობდი. ჩემი ჰოგონე-
ბები დაღმართზე დავორებული ლოდი-
ანივით მოქროდა და მახსოვრობის მღ-
ვიმეებს ჰქოლავდა. გონებაში რაღაცა
დიდი, თვალისარმომჭრელი სიკაშკაშე
დამიბორიალეზდა, ყოველივე გაჩირალ-
დნებულყოფ და ერთი ციდა საიდუმლო-
ობაც კი აღარ მოჩანდა. და მაინც სი-
კაშკაშით განათებული მღვიმეების
ფსკერზე წინანდებურად ჩანდა სოფე-
ლი, სათონე, ბაბო, პაპა, სკოლა, მა-
მა, საავადმყოფოები, ვზები, შატარებ-
ლები, ცირკი, აეროპორტები, მთვრალი
კაცები, ქორწილი, დედა, თეთრხალა-
თიანი ექიმები, რკინიგზა, ჩაკეტილი
გარები, ოფოფები, ნასახლარები, ნუ-
შის ბაღები, ხიდები, გადასავარდნები,
ჩამშრალი მდინარეები, ვაგზლები,
თვითმფრინავები, მალაზიები, რიგში
მდგომი ხალხი, ნაცემი ძაღლები,
მთვრალი — მტირალა ბიძა, მეღუღუ-
კეები, იეთიმ გურჯი, გადაჩეხილი მან-
ქანა, მიტოვებული საყდარი, ვასილ
ბარნოვი, მიღუული სანთელი, შიშვე-
ლი ალქაჯები, ნიკო ლომოური, ბურსა-
ჭირის ფერდობი, ვაგლეჩილი ბაჭია,
ჭიუხები, მარწყვის ჭაღა, ფაფარმო-
წნულ ცხენებზე ამხედრებული ბუქნა-
პოტები, წისქვილის ღარი, ჩახრიალა...

ეს იყო გაუთავებელი ცნობიერებე-
ბის მდინარე, რომლის სიღრმეშიც
შორს, ძალზე შორს, მაგრამ მაინც შე-
მეცნების შიგნით ვაზოდილიყო...

იმასაც ვგრძნობდი — როგორ ივ-
სებოდა ჩახერგილი ტბორი, რომელში-
ც უმიზეზოდ (რახან არ ვიცით და
ამიტომ უმიზეზოდ) ჩნდებიან (იბადე-
ბიან) თავკომბალები და უსახური სი-
ცოცხლეები...

ალარაფრის დარდი მქონდა. თუ-
მცა ვიცოდი, ამ წუთში ბაბო ავად იყო,
წელზე შალი ჰქონდა შემოხვეული
და ტკივილისაგან გამწარებული აქეთ-
იქით დადიოდა, ტიროდა, მოთქვამდა,
იხსენებდა ავადმყოფ შვილებს, შვილი-
შვილებს, შვილისშვილის შვილებს,
ომში დაკარგულ საყრმის შვილს...
პაპა კი ტახტზე მიწოლილიყო,
თვლემდა, მარცხენა ხელი სტკიოდა და
იგინებოდა — ნეტავი ამ ხელს რალა
შავი ქირი ეძგერაო...

●
სისინი მოისმა, შუბლზე რაღაც მე-
ჩხელიტა და მანქანა დავამუხრუტე.

ციოს გაელეცა:

— რა მოხდა?

— არაფერი.

— რატომ გავჩერდით?

— არაფრისათვის.

— რას აჩემე ეს არაფერი?

— არაფრის აჩემება ვაგონილა?

— ცუდად ხომ არა ხარ?

— არაფერია...

— დაილაღე?

— ...

ციო გაჩუმდა.

თავი გადავწიე უკან. თვალები და-
ვხუტე და ამოვიჩურჩულე:

— ციო, არ ვიფიქრია, რომ ჩვენ
ადამინები, ყველაზე ხშირად ერთ სი-
ტყვას ვახსენებთ?

— რომელ სიტყვას?

— არაფერი...

ჯეჟალ დავლიანიძე
წონასწორობა

— როგორ თუ არაფერი, მითხარი რას დამცინი?

ციომ იწყინა, კარს მიეყრდნო, თვალები მოხუჭა და გაირინდა...



...მდელოებზე ხალხი იყო გაშლილი. პატარები დარბოდნენ, იცინოდნენ, უხაროდათ... მშობლები ისვენებდნენ, ბუფეტებთან გრძელი რიგები იდგა, მამაკაცები ლუდს მიირთმევდნენ, მამულებზე მწვადი შიშხინებდა.

იმ მდელოზე, ციო და მე რომ ვთამაშობდით ბადმინტონს, არავინ იყო მოხუცი ცოლ-ქმრის გარდა. ისინი მზის გულზე ისხდნენ ნახევრად შიშვლები და თვლემდნენ.

ვარაზი და ლადო კალიებს დასდევდნენ.

მდელოზე პეპლების ფეხები რტატებდა.

მოწითალო ქვებზე ცისარტყელაწამოკიდებული ხვლიკები ისხდნენ.

ტოროლები მალა მიიწევდნენ.

ყვავილები ღაღანებდნენ.

... ციოს წითელი კაბა ეცვა.

თვლები დავხუქე და სიკამკამეს ვახედე, რომლის მიღმა ბავშვობაში ნანახი ხის დიდი სასწორი იდგა... წინათ სასწორი ადიოდა და ჩადიოდა... ახლა კი გაწონასწორებულიყო და იმ მხრიდან უსასრულო თეთრი ცეცხლის გაზაფხულთა ყვავილების სიმღერები მოედინებოდა...



სამშობლო გვათბობს, გვიხუტებს გულში.
ხატება მისი სიზმარშიც თან მდევს...
ჩვენც დავიფერფლოთ მის სიყვარულში,
მის სიყვარულში ავენთოთ ცამდე!

როცა მომწყურდა ზრახვით თარიში
გადმოვაზვავე გონების ჯარი,
ელვად შევიჭერ ტაძართ არემი,
ბრინჯაოს ფერით ვგუგუნებ ზარი!

ჩემს საგალობელ მშობელ მხარეში
ცისკრის მახარემ გაშალა მხარი,
ქართლის უღვევი მზის სიმყარეში
ვაზმა ჯიქნებით გაღუნა სარი!

რა ლამაზი ხარ, როდესაც გიყვარს —
ოდეს აალებ სანუკვარი გრძნობების წინწყარს.
რა ლამაზი ხარ, როს ქარგავ სიტყვარს —
გონჯიც რომ იყო შეგიყვარებ, გადარებ ცისკარს,
რა ლამაზი ხარ, როდესაც გიყვარს!..

თეთრ ღრუბლებს ძთებით გადააქვთ ქარი.
ჩემი სიმღერაც იჭითკენ იღვწის!..
სევდა ღორღივით გულს დანაყარი
ელვის აღმურით ქრება და იწვის.

მუხებმა ხვევით დაგრინეს ქარი,
გაასდა სიმი, გამეფდა ქნარი!
გამისალბუნა სიმღერამ მყარი
სევდა — ღორღივით გულს დანაყარი,

მათეთრებს შენი ალი
მზეთუნახავო ქალო.
ჩამომიღამე თვალი,
გულზე მალეწე კალო.

ზამთარი გატყდა მხრებში,
ჩამოლღვა ქოხის კარი,
ხვევით აჩეჩილ თემბში
მუსას ეყრება ქარი.

ბუნარს ეშმაკი უვლის,
მესი ამხედრდა მთებში,
ზვაგებმა გაზაფხულის —
ჩამარხეს ზამთრის ლემი.



რა გზით წამიღეს ფიქრებმა,
 რაღას არ გადამაწყვიტეს...
 ჩემს დღესაც თბილად, იქნება,
 ოდესმე გადააწვიმდეს!

სიყვარულმა შექმნა ერი —
 ამა მიწად ხმობილი,
 ყველაფერი, ყველაფერი —
 დღედ და ღამედ შობილი! —
 პარმონიად იღვრებიან,
 ერთურთს განუყოფელი...
 თუკი არ მორიგდებიან —
 ვერ აყვავდეს სოფელი!

ბადრი ხვანიძე

მონოლოგი

ქალაქად წასულ მგობარს

გამართვას ელის
 დანჯღრეული პაპის ურემი,
 რცხილის თუშეებს ენატრებათ
 გადაცმა კანდრის,
 ტაბიკებისთვის შეგიჭრია აპეურები,
 მიმბაძველობით, ვილაცის ხათრით...
 თუ ჩემს ხელისგულს, დააბედებულს,
 დღეს ასე ტკივა
 შენი მარჯვენის უფერული კანის სიმშრალე,
 ეს იმიტომ, რომ ასე უბრალოდ,
 ასე მარტივად,
 შენი ორღობის ტალახისათვის ვერ
 მოიცალე...
 სახარე მოზურებს ეჭაყებათ
 სქელი კისრები,

კავის ერქვანზე მეხრეს უხმობს
 ჩიტი ნიბლია...
 ო, გაფრენილო,
 გაფრენილო, მაცდურ მიზნებით,
 სოფლის ეშხით რომ კვლავ აივსო —
 არ შეგიძლია?!
 ... თუმც შენი დიდი მაქვს სიყვარული,
 უშომო ხათრიც,
 ვერ გავეყრები სოფელს ჩემსას —
 მშობლის მორჩილი...
 გადაცმული მაქვს დაგრეხილი
 საულლე კანდრი,
 ვაზის ლერწების მადვეს ბორკილი!



რამხელა მზე წევს ხავსიან ყავარზე,
რამხელა მთვარე დაცურავს ფაზისზე,
მუხებს აუსხამთ სტრიქონთა სავაზნე
და ქარში ეძებენ იღბლიან სამიზნეს.

იპოვის? დიახ! — მიზანი ერთია!..

სივრცე დაბურვილი ლილისფერ

ღრუბლებით

ფართქალებს, ყრმობის მუხები თრთიან, —

მიწას ეხებიან დაკორძილ შუბლებით...

რამხელა მზე წევს ხავსიან ყავარზე!..

დაბრუნება

აივნებზე მერცხლის გუნდმა
მოაბნია ხვითოები,

ზეცა ჩამოალილისფრა
სხვა ყალამით —

სხვა მზემ,

მიწამ ფილტვებდაბერილმა,
ნაწვიმარი,

ნედლი ფრთებით,

ვით ხბომ დედადაკარგულმა —

მომაბლავლა კარზე.

კვირტმა, როგორც შურმუხტები,

გადმოყარა ცრემლები და

დამბალ ბელტებს მიუშვირა

გაგლეჯილი მკერდი,

ოფლმა ცვარად გამოჟონა

გამომშრალი ხელებიდან,

გუთნეულის წინამძღოლად

ჩამობრძანდა ღმერთი.

უფოკუსო კადრებსა ჰგავს

კორდები და

შარა-შუკა,

ალაგეზე შემხმარ ტალახს

რეცხავს ნათლის ჩქერი,

გახსენ ღობე ეზო-ყანის —

პატარძალი დაგვიბრუნდა,

გაზაფხული დაგვიბრუნდა!

გესმის? — მიწა მღერის!..

შვილის პირველი ბარათი

სულ ათი დღეა რაც წამოვედი, —

სოფლის ორღობეს მოვწყვიტე თვალი...
ჩვეულებრივად გავხსენ კონვერტი,

ჩვეულებრივი რიდით და კრძალვით.

ო, ზეციერო,

შენ ნაღდად შემშლი!

აიტანს ამდენს გული გლეხური?!

— თოთო ბარტყივით ათრთოლდა ხელში

ფურცელი — სავსე ბატისფეხურით...

ასეც მეგონა,

ასე იფრუნდა...

ჰა, გატანილი ლელო მერმისში;

მადღობელი ვარ, შვილო, იმედა,

დიდი რწმენისთვის!

სიკვდილამდე ვიოცნებებ! და პოლუსზე, იებო,
 ბოლოს მაინც აყვავდებით!.. ო, საბრალო ქნარებო...
 ნეტავ, თქვენ რა გენაღვლებათ ზღვაო და თოლივბო,
 ნეტავ, თქვენ რა გენაღვლებათ ჰორიზონტის ქარებო.

ლ ა ლ ა

ამ მონასტერით ოდესღაც იჩრდილებოდა მზის ველი,
 ახლა კედელზე სურო წევს, სუროში — მაისის გველი.
 ... სულ ცოტა ჩაფიქრებაა, მიხვედრა განა ძნელია?
 და ეგ მზიანი თვალები ნაღვლიანია, სველია.
 შენ სუსტი, ნაზი ფრთები გაქვს, სანთლისგან გამოკვეთილი,
 მე კი ვარ ასე ბოროტი, მე კი ვარ ასე კეთილი.
 ლალა, ნუ გამზრდი ნიბლიად, ჩემს სისხლს ქორები დაღვრიან,
 ლალა ცხოვრება არ ინდობს არვის — უმწეოს, ნაღვლიანს.
 ნეტავ, ერთი დღე მაცოხვრა სიფრთხილის გრძნობა არ იყოს,
 რომ ჩემმა ფრთებმა ქარებში იმ კუნძულებზე გამრიყოს,
 სადაც სიცოცხლე აქაურ ნაღვლიან მოტივს დაძლევადა:
 „ნეტავ, არ დაგძინებოდა ჩიტო ნიბლიავ ნარზედა“...

თ ო ლ ი ა

მზის ნატეხებით მოკირწყლულ ზღვაში
 ტალღის ყვავილებს ნამგლავს დელფინი,
 ლაჟვარდის ლავას ზვირთების ზევაში
 ანთებს და აქრობს ნაზი ზეფირი.

ზღვა ვულკანივით ოცნებებს აფრქვევს
 შორს მზიან ზოლზე ცეცხლის კრატერთან,
 ვუჩოქებ მე ამ გაფრენილ აფრებს,
 ვუჩოქებ, ვინაც ზღვაში დაბერდა.

ვუჩოქებ თრთოლვას, რითაც დგებიან
 დედამიწაზე მეზღვაურები
 და უდიმიან თოვლის ფრთებიან
 დარიულ ღრუბლებს ნაგზაურები.

მაგრამ სულდგმას კი ვატან თოლიებს!
 მათ ფრთებქვეშ ზღვები მარად მიქრიან,
 სიკვდილის მერეც შეიყოლიებს
 თეთრ სხეულს ზვირთთა ლურჯი სტიქია.

ო, სანამ ცოცხლობს, ო, სანამ კრთება, —
თოლიას ზღვათა ცოდვა აწვალებს,
ყოველ დამისპირს სისხლიან ფრთებით
ყელგამოჭრილ მზეს უხუჭავს თვალებს.

ნავარდობს ახლაც ჰაერის ზღვაზე,
ირგვლივ ფერადი ტალღები ყრია,
ამ ზვიად ქროლვას ცისხელა ზღვაზე
სიცოცხლით დადლილს სიმღერა ქვია!

ყველა ქიშკრებს ანგრევს თოლია —
უძლეველ ზღვათა დიად ხმაურში
უკანასკნელი ლურჯი მსოფლიო
არ დაეჭვდება მის სიყვარულში.

ა ც ა ლ ე

წვიმა მოვიდა, მზემ გადაიღო,
პალიასტომში შეცურდა ნავი,
კოლხურთ ქარო, კოლხურთ ქარო,
არ დაუბედო ამინდი ავი.

დე, ილივლივონ დილის ფერებმა
და დაიარონ მეთოვლიებმა,
დე, იზრიალონ ლერწმის ველებმა
და იბანაონ კვლავ ლილიებმა.

აცალე!.. სანამ ამ ლულებიდან
აიშლებიან ტყვიის სროვები;
... გადაცვლილი ყვავილებივით
დაცვივდებიან აქ წეროები.



ბეჟან ჯაფარიძე, მისეილ ოკუპაცია

სისუარი ნაკერკალი

წვიპირად ანსოვდა დიპლომის ნომერი — 418668 სადაც ეწერა: „ამის წარმომადგენი ჭულაშვილი იაკობ იოსების ძე 1928 წ. შევიდა და 1941 წ. დაამთავრა წითელი არმიის ძერეინსკის სახელობის ლენინის ორდენისხანი არტილერიის აკადემიის სრული კურსი“. შემდეგ აღნიშნული იყო სპეციალობა: „საველე არტილერია“ და თავდაცვის სახალხო კომისრიის 6/4 ბრძანების ნომერი 01281, რომლითაც სახელმწიფო სავაშოდო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე მას მეთაურის კვალიფიკაცია მიენიჭა.

ეს იყო ერთი თვის წინათ. ერთი თვე რადროა, მაგრამ რამდენა რამ მოხდა ამ მცირე წინის განმავლობაში. ოთხი მეგობარი გამოვიდა აკადემიიდან დიპლომებით, ოთხივე ფრონტზე უნდა წასულიყო, თუმცა წასვლა რადუნდოდათ. ფრონტი თვითონ მოიწვევდა, მოდიოდა მათთან. ვაფთრებული ფაშისტი მხეცი ქვეყნის სიღრმეში მოხზავდა, კბილებამდე შეიარაღებული ექვსასი დივიზია მის მიერ გავლილ გზაზე ხტოვებდა უამრავ დახვრტილადამიანებს, ვანადგურებულ და გადაბუფულ სოფლებსა და ქალაქებს.

ბატარის უფროსმა იაკობ ჭულაშვილმა თავის ნაწილს მიაშურა ვიტებსკთან. ვასაკვირი ის იყო, რომ გერმანელებმა სწორედ იმ უბანს დაუპირისპირეს დიდი ძალა არტილერიითა და ტანკებით, სადაც იაკობი იბრძოდა. ომი 20 დღის დაწყებული იყო, იაკობის ბატარამ შეტევაზე გადმოსულ გერმანელთა შეიდი ტანკი მოსპო. უკანასკნელი ამხანაგი საშა გოლუბკო ყუმბარის ნამსხვრევით თავაჩიხილი დავდა იაკობის თვალწინ...

1941 წლის 18 ივლისს ფაშისტებმა დაპირილი იაკობი ჭერ ნაწილის სანჯანყოფილებში მიიყვანეს, სამხედრო ჭირურგმა ადგილობრივი ანესთეზია გაუკეთა და ბეჭიდან ამოღებული ფტომატის ტყვია საჩუქარივით გადასცა, შემდეგ თავზე ქრილობა მოხანეს, რამდენიმე ნაკერი დაადეს და შეუხვიეს. ორი საათის შემდეგ

იაკობი ნაწილის შტაბში იყო და საკმაოდ სიმართლით გარეცნობის შკონე მაიორის წინაშე იდგა. მაიორმა პორტსივარი გაუწოდა.

— ბიტე, ინებეთ. გერმანული იცით თუ რუსულად ვილაპარაკოთ?

— იაკობმა მარცხენა ხელით პაპირსი ამოიღო, თავი მოუსრისა, მაიორის მიერ თავაზიანად მოწოდებულ ახანთზე მოუყიდა, კუშტად შეხედა და მოკლედ მოკრა:

— რუსულად.

— რატომ რუსულად, იგი ხომ თქვენი მშობლიური ენა არაა, სჯობია, გერმანულად ვილაპარაკოთ, ჭერ ობერლეიტენანტი!

— როგორც ვატყობ, მაიორო, არც თქვენთვისაა გერმანული მშობლიური ენა.

— ოჰო! საიდან მიხვდით, ჭერ ობერლეიტენანტი, რომ გერმანული ჩემი მშობლიური ენა არაა?

— იქიდან, ჭერ მაიორო, საიდანაც თქვენ მიხვდით, რომ რუსული არაა ჩემი მშობლიური ენა, მაგრამ უკვე ამდენი ხანია რუსულად ვილაპარაკებთ. სჯობია, რუსულადვე განვარძლოთ. სად შეისწავლეთ რუსული?

მაიორს გაეღმია.

— როგორც ეტყობა, დაკითხვას თქვენ იყუებთ, რა გაფწყობა, მოვასხენებთ, მტრების ენა უნდა იცოდეთ.

— რას იზამთ, ჩვენ კი ასეთი ფილოსოფია გვაქვს: მეგობრების ენა უნდა იცოდეთ. და მერე, რატომ უწოდებთ თქვენს მტერს რუსეთს, ძალიან მივიჯირს, სენიორ მაიორო. — მაიორმა სათვალე გააღღვა და გაკვირვებით შეხედა იაკობს.

— თქვენ იცით ჩემი ვინაობა?

— დიახ, თქვენ ესანეთის ცესფერი დივიზიის ოფიცერი ბრძანდებით, სენიორ ხუან სუარეს, თუ გერმანული არაა, ფრანგული ვიცი, ლათინური ასოების ამოკითხვა შემიძლია, თქვენს მაგიდაზე კი ოფიცრის გადაშლილი წიგნაკი დევს.

— მაიორს გაეღმა, წიგნაკი დაეცა და ჭიბეში შეინახა, შემდეგ იაკობს შეხედა.

— თქვენი გვარი?

— ქიქინაძე ირაკლი გივის ძე, დაბადებული 1908 წელს ამბროლაურის რაიონის სოფელ ხიმშიში. 1927 წელს დავამთავრე ამბროლაურის შრომათი საშუალო სასწავლებელი, ხოლო 1933 წელს — თბილისის ინდუსტრიული ინსტიტუტი, მშენებელი ინჟინრის სპეციალობით. ომის დაწყების წინ დავამთავრე თბილისის საარტილერიო სასწავლებელი, ვარ კომუნისტური პარტიის წევრი, ეროვნებით ქართველი, და ასი სიცოცხლე რომ მომცენ, ასივეს ფაშისში წინააღმდეგ ბრძოლას შევიწავე.

ხუან სუარესმა გაკვირვებით შეხედა მის წინ მდგომ სიმპათიურ ტყვეს.

— საოცარი კია. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს სადღაც მინახხართ, ნაცნობი სახე გაქვთ, მაგრამ გასაკვირი არაფერია, ჩვენ ხომ ორივენი იბერიელები ვართ.

იაკობს გულმა რეჩხი უყო, მაგრამ მის სახეზე ერთი კუნთიც არ შერბეულა. ირაკლი ქიქინაძე მან ერთხელ ქუთაისიდან თავისი დედის სოფელ ბაჭში მიმავალმა გზაში გაიცნო. მათ შორის მეგობრული ურთიერთობა დამყარდა. მიწერ-მიწერა ბქონდათ და წელიწადში ერთხელ ხვდებოდნენ ერთმანეთს, რაც ამ გამოწვებილ მაიორს უთხრა თავისი „ვიწიანობის“ შესახებ. სავსებით მართალი იყო. ირაკლი მოსკოვის დაბომბვის დროს დაიღუბა ამ ვარიანტ კვირის წინათ. ამ მდგომარეობაში ჩაჯვრდნოლმა მეგობრის პიროვნება აიფარა, ასე იყო საჭირო, იქნებ გაქვეყნება არ ჰქონებოდა; მაიორი თვალს ადევნებდა ფიქრებში წასულ ტყვეს.

— გერმანიის არმიის სამხედრო ხელმძღვანელობას აინტერესებს ზოგიერთი რამ, კერძოდ: საბჭოთა არმიის ნაწილების დისლოკაციის საკითხები ვიტყბსკის რაიონში, ტქინიკის რაოდენობა, უფრო ზუსტად: ტანკები, არტილერია, საინჟინრო ნაწილების შემადგენლობა, ჯარისკაცთა სულიერი განწყობილება...

— ხენიორ მაიორს, თქვენ ისეთ შეკითხვებს მძალდობ, რომელზეც პასუხის გაცემა მასალების უქონლობის შემთხვევაში, კორპუსის შტაბის მაღალი რანგის ოფიცერსაც გაუჭირდებოდა, არათუ ბატარეის უფროსს და მხოლოდ უფროს ლიტენანტს, თქვენებურად ობერლიტენანტს. რაც შეეხება ჯარისკაცებს დაბერწმუნეთ, ხენიორ ხუან, რომ მათი განწყობილება სავსებით საბრძოლო და ასეთივე იქნება, მანამ უკანასკნელი ფაშისტის ფეხი არ ამოიკვეთება ჩვენი სამშობლოს მიწიდან. ჩემი ბატარეის ჯარისკაცები ყველანი გვირუღად დაიღუბნენ. ყუმბარის აფეთქების ტალღამ შორს გადაბყორცნა, გონს მოსული სამი დღე მივიკვლევდი ფრონტის საზისაკენ გზას

და ფაშისტებს ჩაფუვარდი ხელში. აი, რისი თქმა შემიძლია. ჩემს სამშობლოში მტერსაც კი აქმევენ საქმელს, ხენიორ ხუან, შენც იცი რომ თქვენი სამშობლოც ასეთია. მეოთხე დღეა, არაფერი მიჭამია, იქნებ უბრძანოთ, საქმელი მომიტანონ. მაიორმა ბრძანება გასცა; ტყვეს ცხელი ყავა და ლორისხორციანი ბუტერბროტი მოართვეს, ნელა სვამდა იაკობი ყავას, ბუტერბროტს აყოლებდა. მაიორმა სუარესმა სიჩუმე დაარღვია:

— დაგრწმუნდი, რომ ქართველი ბრძანდებით და არა ებრაელი, ჩვენ გვითხრეს რომ კომუნისტი ებრაელებიც კი არ ჰქმენ ლორის ხორცს, ასე არ არის, ობერლიტენანტო?

— არასწორი ინფორმაცია გქონიათ, ხენიორ ხუან, ჩვენ რელიგიას შეგნებით ვებრძვით და არა მსხვილით. ყველა კომუნისტი ათეისტია ჩვენთან.

მაიორმა საუბრის თემა შეცვალა:
— ობერლიტენანტო თქვენმა ბატარეამ ბევრი გერმანელი გამოასალმა სიცოცხლის.

— მაიორს ხუან, თქვენ სიცოცხლეს გამოასალმეთ თქვენივე, ესპანელი ხალხის თავისუფლება, საერთაშორისო სამართლის კოდექსით. იცით თუ არა, რა მოგელით ამისათვის? მე ვებრძობდი ჩემი სამშობლოს ტერიტორიაზე მუხანათურად შემოსულ მტერს — ფაშისტს, მაგრამ თქვენ ვინ ბრძანდებით? ჩემი სამშობლო ებრძვის შემოსულ გერმანულ ფაშისტს და ამისათვის ესპანელი მიპირებს განაჩენის გამოტანას? თქვენ რა უნაში ბრძანდებით, მაიორს ხუან? ხომ არ გეჩვენებათ, რომ ამ შემთხვევაში ჩვენი დამოკიდებულება პარადოქსულია?

— ხუანმა თავი ვერ შეიკავა და სიცილი წასვდა.

— თქვენ იურიტი ხომ არ ბრძანდებით სპეციალობით, ობერლიტენანტო?

— არა, მშენებელი ინჟინერი და არტილერიისტი ვაზლავართ. ოღონდ ჩვენს შორის ის განსხვავებაა, რომ ჩვენ კაცთმოყვარეობას და სამართალს ვასაწვლიდნენ, თქვენ კი ფაშისტი კაცის კვლას და უსამართლობას ჩაგირჩინებთ.

მაიორმა ისევ გაიცინა:

— თქვენდა სამწუხაროდ, ობერლიტენანტო, მართო მე ვერც ისე კარგი აუდიტორია ვახლავართ თქვენი კომუნისტიური აგიტაციისათვის. ისე, მე, ესპანელი, თუ თქვენი განხარბილების უფლება არა მაქვს, არც ესპანელ რუბენ იბარტის აქვს უფლება საბჭოთა არმიის რაგებში ბრძოლისა, მის სამშობლო ესპანეთს არ დასხმია გერმანია თავს.

იაკობმა ნაღვლიანად გაღიმა:

ბეჰან ჯაფაროვი, მიხეილ ოპოუშკინი
ცისფერი ნაპარჩაპალი

— გერმანია დიდი ხანია დაესხა თავს ესპანეთს, აიღო იგი, მოსპო მისი ხალხის თავისუფლება და შემდეგ დასავლეთისკენ შემობრუნდა, რუბენ იბარური თქვენი ხალხის, თავისი ხაშშობლოს მტრებს ებრძვის, საერთოდ კი. ვფიქრობ, ურიგო არ იქნება თუ... — იაკობმა აღარ დაამთავრა, რადგან კარები გაიღო და ოთახში ს-ლეს კაპიტანი შემოვიდა. მას ნაიარევი სახე და ბატის თვალები ჰქონდა. სუარესი წამოდგა, მარტყენა ხელი წინ გასწია და იაკობმა გაიგონა ჩვეულებრივი ფაშისტური ორმხრივი ყმუილი: — მაილ მიტლერი! — მაილ ფრანკო.

— როგორ მიდის საქმე, ჰერ სუარეს, რას ამბობს, ეს კავკასიელი მსახური რუსებისა?

— ვიმედოვნებ ჰერ კაპიტან, რაიმე დეტალური ამ საბჭოთა ოციერს. — მოჩვენებითი სიბრძნით წარმოსთქვა მაიორმა ხუანმა.

— წარმატებას გისურვებთ, მაიორო, — თქვა კაპიტანმა და ქუსლებზე მტრიალდა კარისკენ. სუარესმა ერთი სიტყვა მიაღწევა:

— გმადლობთ! — შემდეგ თითქოს დიდი ტვირთი მოიხსნაო, სკამზე დაჯდა და თმაზე გადაიხვა ხელი. განაგრძეთ, ობერლეიტენანტო, კვლავ, რაღაცის თქმა გსურდათ.

იაკობმა მოკლედ მიჰკრა:

— დამხმარეთ ამ ბუნაგიდან გაქცევაში. მაიორმა სათვალის ზემოდან გამხედა ტყვეს.

— რა გარანტია გაქვთ, ობერლეიტენანტო, რომ თქვენს სურვილებს უფროსებს არ გაუმჯავანებ?

— ხაილუმლო არ განლაგეთ, მაიორო, ჩემი სურვილი, ჩემს მდგომარეობაში მყოფი ყველა ნორმალური ადამიანი მხოლოდ ერთ რამეს ფიქრობს, გაიქცეს და არავითარი ხასარგებლო ინფორმაცია არ ჩაუვადოს ხელში მოწინააღმდეგის ხარდლობას.

მაიორი კარგა ხანს დუმდა, შემდეგ სიჩუმე ისევ მან დაარღვია:

— განა არ იცით, რომ ამის გულისათვის გერმანელები აუცილებლად დამხვრეტენ? მე მოხუცი დედ-მამა, ცოლი და ორი შვილი მყავს, ობერლეიტენანტო. მაგრამ როგორც შევძლებ, ვეცდები, ცოტა რამ მაინც გავაკეთო თქვენთვის. ახლა წაბრძანდი, დავსვენებ, ჩვენი ხაუბარი ზვალისთვის გადავვლო.

რატომღაც იაკობი სხვა ტყვეებთან არ მოათვხეს. ის უფარდულის მოპირდაპირე პატარა სახლში შეიყვანეს, სადაც სახელდახველო ლაზარეთი იყო მოთავსებული და შედარებით სუფთა ოთახი დაუთმეს საწოლით, მაგილითა და სკამით. ფანჯარას რკინის ჩარჩო, ჩარჩოს გარეთ კი ხის გადაწეული დარბაზი ჰქონდა, რომელიც ოთახს ვარსამყარობაჯან ჰყოფდა.

იაკობი წამოდგა. დაჭმუჭნილი გიმნასტური ცალი ხელით გაისწორა. ოთახში გაიარა-გამოიარა და სკამზე ჩამოჯდა ფიქრები მონოტონუ-

რად ცვლიდნენ ერთიმეორებს. ვახსენებდნენ დედის სოფელი ბაჯი, ბაბუას აშენებული ძველი სახლი, პატარა ეზო, ამწვანებული და ხილით სავსე. უკანასკნელად 1938 წელს იყო იქ. ირაკლი ჭიჭინაძემ ხიმში წაიყვანა და ჭურის თავზე დალიეს შესანიშნავი ხიმშიური ლენო. რომის გემრიელი კალმახი დააყოლებს ზედ. ეს რომ მოსკოვში დაბრუნებულმა მამას მოუყვა, მას უღვაშებში ჩაეღიმა, კარდა გახსნა, ხიმშიური გამოიღო, თუფით კალმახიც დაუდგა სუფრაზე და ისე გაუმასპინძლდა შვილს, როგორც მას ხიმშიში უმასპინძლეს. იაკობს ცრემლი მოადგა თვალზე და შინაგანი კვენსა ჩაისმო. ამ დროს კარი გაიღო და აუღაყუღა ქერა ჭარისკაცი შემოვიდა.

— ირაკლი ჩინანსე, მაიორი გეძახის! — ამოიქვავლა და გვერდზე დადგა.

მაიორი ხუან სუარესი ისევ იმ ოთახში, იმავე პოზაში იჯდა და თამბაქოს აბოლებდა.

— განვაგრძოთ ჩვენი საუბარი, ობერლეიტენანტო! იმედია, დასვენებული და დანაყრებული ბრძანდებით. — ეს სიტყვები მაიორმა ფრანგულად წარმოსთქვა, სუფთა ფრანგულადვე მიიღო პასუხი და მთელი შემდგომი საუბარიც ფრანგულად წარიმართა.

— დაახ, გმადლობთ, მაიორო, დასვენებულიც განლაგართ და დანაყრებულიც.

— კითხვები გავიმეორებ თუ გახსოვთ, რაც შეგეკითხეთ?

— ხაჭირო არაა გამოერება. ჩემი პასუხი გახსოვთ თუ ისევ გავიმეორებ, სენიორ ხუან სუარეს? მაიორმა სათვალე მოიხსნა, ცოტა ხანს უყურა ტყვეს, მერე თვალი ჩაუკრა, მადილას მუშური დასცხო და ფრანგულად აუვირდა:

— მე აგალაპარაკებ, კავკასიელი ბარბაროსო, იცი, რას გიჯამ? — მერე ხმას დაუწია და საპასუხობით მიიყარა! — ფესხალაგის უკან ბეტონის ძველი მილია, უკანა კედლის ფიცრის უხმუროდ გაცლა არც ისე ძნელია, იმ მილის ბოლო ძალიან ახლოსაა შავთუხლხლართთან, თუ შეიძლებ და მავთუხლხლართს ვაშვდები, ტყე ახლოსაა, საპირფარეოში წასვლამდე ჭარისკაცი ბორშიში ჩაგდებულ დანახ შემოვიტანს, ამის მეტი არაფერი შემიძლია; მე შენ აგალაპარაკებ, იმერელი! — იღრიალა უკანასკნელი სიტყვები მაიორმა, მანამ იაკობი სიტუაციაში გაერკვეოდა, მაიორი წამოვარდა სკამიდან და ხილა გააწნა. იაკობის კბილებმა ჭახანის მოიღო. კარი გაიღო და ზღურძულზე ბატის თვალებიანი ს-ლეს კაპიტანი გამოჩნდა.

— ძალიან ხმაურობთ, ჰერ სუარეს, მერე კიდევ, უნდა იცოდეთ, რომ ჩვენ ტყვეებს და, მით უმეტეს, ოციერებს ფიზიკურ შეურაცხყოფას არ ვაუწყებთ, საქიროების შემთხვევაში ჩვენ მათ ვზვრეტ.

— ამის სიჯიუტემ წონასწორობიდან გამო-



მიყვანა, ზერ კაპიტან, — თქვა სუარესმა და იაკობს ვთალები დაუბრიალა.

— არაფერია, ჩვენ ავალაპარაკებთ, ახლა გაუშვით, თქვენ კი დაწუნარდით და დაისვენეთ.

იაკობს ლოყა ეწვოდა და ბოღმა აღრჩობდა, მზად იყო ამ ბატისტავლებიან კაპიტანს სცემოდა და ჭანხალი ხელით წაეღრო, მაგრამ თავი შეიკავა, სიბრახე დაიოკა და გაირინდა. გამოძახებულმა ჭარისკაცმა იაკობი ისევ თავის საკანში წაიყვანა. დაღლილს ჩაეძინა. როდესაც კარის ხმაურმა გამოაღვიძა, ჭარისკაცს საქმელი შემოჰქონდა, გულმა საშინლად დაუწყო ძგერა და ჭარისკაცს შეხედა, მის გაყინულ სახეზე ვერაფერი ამოკითხა. კარი გაიხურა თუ არა, იაკობი ვეფხვევით წამოფრინდა საწოლიდან, კარისკენ ზურგით დადგა და ჭანხალი ხელი ბორშიან ქვაბუნაში ჩაჰყო. თბილი ფოლადი იგრძნეს თითებმა, იაკობმა დანა ფრთხილად ამოაცურა, ჭერ ცხვირსახოცივით გაწმინდა, შემდეგ რამდენჯერმე გიმნასტურაზე გაუხვია, ფრთხილად ჩაიცურა ჭიბეში წვეტიანი, ტყეიასავით მძიმეტარიანი დანა და საქმელს მიუჭდა.

უკვე ჩამოხნელებული იყო, წამოღდა, ტანსაცმელი გაისწორა, წყალი დღლია და კარზე დააბრახუნა. ისევ ქერა აუღაყუღა შემოვიდა ოთახში. იაკობმა ჭარისკაცს ანიშნა, რომ საპირფარეოში უნდოდა წასვლა. ჭარისკაცი უსიტყვოდ გაბრუნდა, არ გასულა ცოტა ხანი და ქერა აუღაყუღამ მერე შემოიყვანა.

— ვატრკლოვები გინდათ? — ჰკითხა იაკობს რუსულად მერემ.

— დიად!
— წამობრძანდით!

საპირფარეოსთან მისულ იაკობს წინ ვიღაც მთვრალი ეფრეიტორი შემოეფეთა, კოცნა დაუბირა და ხელები შემოხვია. ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ მანამ იაკობი ვიც მოვიდოდა, უკან მომავალმა ჭარისკაცებმა ჭანხალი ხელი გაუკავეს და ისე ამოაცალეს ჭიბიდან მძიმეტარიანი დანა, გაწრებაც კი ვერ მოასწრო, რა ხდებოდა. სახტად დარჩა იაკობი, მის წინ საპირფარეოდან გამოსული ბატისტავლებიანი კაპიტანი იღვა იუღას ღიმილით, ხვანჭარს იკრავდა და დამცინავად მიმტერებოდა გამწარებულ ტყვეს.

— მამათქვენის შვილს არ გეკადრებთ ასე მცირე ავანტიურებზე წასვლა, ბატონო იაკობ, დღერთან მორკინალი იაკობი კოჭლი იყო, თქვენ ჭანხალი ბრძანდებით, მისამართი შეგეშალათ, ბატონო იაკობ, იოსებს უნდა შემზოდით და არა ადოლფს. ჩვენ შევეცადით თქვენი მოქმედების მისამართი გამოგვეწერებინა, ეს ხუთასი გერმანელის და ერთი ესპანელის სიცოცხლედ დაგვიჭდა. აი რა ხარკი გაცა გე-

რმანიის სარდლობამ თქვენგან, 41-კაპიტანი ჭარისკაცებს მიუბრუნდა.

— წაიყვანეთ!!

კაპიტნის ბრძანებით შუა ეზოში გაჩერეს იაკობი. მან დაინახა როგორ გამოატარეს ათითხუთმეტი ჭარისკაცის ბაღრაგით მაიორი ხუან სუარესი და ფიცრული კედელთან მიაცუნეს. სამხრეთმხარეაგლეილი უქამროდ, მაგრამ წელში ამყავდ გამართული და თავაწული მილიოდა მაიორი. ზურგით მიეყრდნო კედელს, სათვალე გაწმინდა და ისე გადახედა ფაშისტებს.

იაკობი წელში გასწორდა და ყველას გასაგონად დაიყვირა:

— მშვიდობით, მამაცო ხუან, შენს სილას უძვირფასეს რელიქვიად შევიანახე სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე. გაუმარტოს ფაშიზმისაგან თავისუფალ სამყაროს, მამაკიე ხუან! — სუარესის შეძახილი: „ივია ესპანელია“ ავტომატების ჭერმა დაცხრილა. იაკობმა დაინახა, როგორ დაემგა მუხლებზე სუარესი, აკანკალებული ხელით პირვეარი გადაიწერა და ბალახში თავდაღმა ჩაემხო.

თვითმფრინავის ბორბლები აეროდრომის სასტარტო ბოლიკს ბეტონზე მიგორავდა. იაკობი საწოლიდან წამოიწია, — თვითმფრინავში მის გარდა ოთხნი იყვნენ, მოტორების გამყარებულ გრუხუნში არ ესმოდა მათი ხაუბარი, დარწმუნდა, რომ ფაშისტებმა თავიანთ მთავარ ბუნავში, ბერლინში ჩამოიყვანეს. მფრინავის ნაკვეთურადან სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული მაღალი ლამაზი კაცი გამოვიდა.

— ბატონო იაკობ, წამობრძანდით, ტანსაცმელი უნდა გამოიცვალოთ, თქვენც ნახვა შეიძლება თვით რაიხსფიურერმა ისურვოს და ასე მისვლა მასთან უხერხული გახდება.

იაკობი ლამაზ, სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულ კაცს გაჰყვა. მათ მოწინებით დაუთმო გზა ოთხმა სამხედრომ. თვითმფრინავის გარდეროში იაკობი ოთხთაგან ერთმა სამხედრომ სწრაფად გაპარსა, პირი დაბანინა და სავარძელზე ფაქიზად გადაფენილ ტანსაცმელზე მიუთთია. ყველაფერი ისე მოერგო, თითქოს მის ტანზე ყოფილიყო შეკერილი.

თვითმფრინავიდან ჩამოსულებს ოთხი კაცი დახვდა. მათ სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვოთ, ორი მანქანა გასრილდა აეროდრომიდან, გეზი ბერლინისაკენ აიღეს. იმ მანქანის მძღოლის სავარძელი, რომელშიც იაკობი იჯდა სქელი, თითქმის ექვს მილიმეტრიანი შუშით იყო გამოყოფილი უკანა სალონისაგან. როდესაც რაიმე მითითება იყო ხაჭირი, ის კაცი, იაკობს ასე თვაზიანი რომ

ბეშან ჯაფარიძე, მინიმალ რაპუჯაზა ცისფერი. ნაპერწყალს

მოეჩვენა, საჭურველ მთავსებულ ღილაკს დააპერდა ხოლმე თითხ, მიკროფონით წინა ხალოში მსხლომთ ელაპარაკებოდა, ძუნწ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ბრძანებებს იძლეოდა, იაკობი დარწმუნდა, რომ ზრდილობიანი სიმპათიური გარეგნობის კაცი შტანდარტენფიურერი იყო. ვერც გვარი და ვერც სახელი ამ კაცისა გზაში ვერ დაადგინა. შორს გაარჩია ფაშვიშის ბუნების — ბერლინის კონტურები. რუხი ქაღალაქი სულ უფრო და უფრო ახლოვდებოდა. ცოტა ხნის შემდეგ მანქანა ბერლინის პირველი კლასის სასტუმრო „აღლონთან“ იღვა.

კომფორტბედურად მოწყობილ ორთახიან ბინაში იაკობს ექიმი დახვდა და ქირლობები გაუსინჯა.

იაკობის ბინაში მუდმივად მორიგეობდა გესტაპოს ორი თანამშრომელი, ისინი ზუსტად დღის შუად საათზე სცვლიდნენ ერთმანეთს და ბინის კომენდანტის მოვალეობას ასრულებდნენ.

ერთი კვირის შემდეგ, როდესაც იაკობი არსებულ მდგომარეობას თითქოს შეეგუა, მასთან ფაშისტთა წამყვანი გაზეთის „ფოლკიშენ ბეობატერიის“ მთავარი რედაქტორი ზიგფრიდ მაიერი გამოცხადდა და თავი გააცნო. ზიგფრიდ მაიერსა და იაკობს შორის საუბარმა კარგა ხანს გასტანა. ფაშისტთა გაზეთის შეთაურმა ფრთხილად და ხკეზოდ ტაქტიანად მოსინჯა იაკობის სულიერი მდგომარეობა, შემდეგ კი საუბარი შეუმჩნევლად პოლიტიკურ თემებზე გადაიტანა.

— მერ იაკობ, როგორც კომუნისტს, გეკითხებით, თვლით თუ არა პირდალ თქვენ რუსულ სოციალიზმს სახელმწიფოებრივი მართვის იდეალურ ფორმად?

იაკობი ცოტა ხნით შეყოვნდა, შემდეგ ჩასუქებულ რედაქტორს შეხედა და მოკლედ თქვა:

— არა!

მაიერი გამოცოცხლდა და კმაყოფილი თვალბით შეხედა ტყვეს. — გთხოვთ უფრო ზუსტად გაიმეოროთ.

იაკობმა ისევ მოჭირთ უთხრა:

— არა, რუსული სოციალიზმი სახელმწიფოებრივი მართვის იდეალური ფორმა არ არის და ამიტომ არ შემიძლია იგი ასეთად ვაღიარო.

— მერ იაკობ, თქვენ ხალ გაიზარდეთ, მოსკოვში თუ თბილისში?

— ჩემს სამშობლოში, საბუკოეთში, რომელმაც მომცა აღზრდა, განათლება და უველა სიკეთე, მაგრამ რაში აინტერესებს მესამე რაიხს ახე დაწვრთლებით ჩემი ბიოგრაფია? მე რომ ჩემი ხალხის ხელმძღვანელისა და ბელადის, მარშალ სტალინის უფროხი შვილი ვარ, ეს უკვე იცით და ამის დამზღვას აღარავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს.

— სულიერი დებრესია არ შეგუწვენიო? მამა თქვენის შვილს, მერ სტალინს!

— გთხოვთ ნუ გეშლებათ, მე ჭულაშვილი ვახლავართ, სტალინის გვარის ღირსი რომ არ ვიყავი, ეს დღევანდელი ჩემი მდგომარეობით მტკიცდება. სტალინი არ ჩავარდნია ტყვედ მტერს. ტყვე ჭულაშვილი ვახლავთ, ის უღირსი შვილია მამისა და სამშობლოს.

— თქვენს ამ საუბარს მამათქვენი ვერ მოისმენს, მერ იაკობ, ისე, მან უკვე იცის, რომ ჩვენთან ბრძანდებით. იაკობმა მოსაუბრის ცინიზმი არ შეიმჩნია, სირენების გაბმული ღმუთილი შემოიჭრა ბინაში, იაკობმა ინსტინქტურად ფანჯარას გახვდა. ზიგფრიდ მაიერი არ შერხეულა, სახეზე დამცინავი ღმილი დასთამაშებდა.

— ნუ ღელავთ, რუსები ვერ მოგვევლებიან აქ, ინგლისის ეგრეთ წოდებული ავიაცია ჯახირობს რაღაცას, მაგრამ სულ მალე ჩააჩუმებენ. აი ნახავთ.

იაკობმა მწარედ გაიღმა.

— რუსებს კარგი ნათქვამი აქვთ, მერ რედაქტორო, „ნუ გოვორი ჰოპ (!) პოკა ნე პერეპრიგენეშ!“ — იაკობმა ისევ ფანჯარას გახვდა. და დაინახა, როგორ აფეთქდა და დაიშალა შორს უზარმაზარი სახლი. ინგლისის ავიაცია ბერლინს ბომბავდა. მაიერი სკამზე აწირალდა. ოთახში ბინის კომენდანტი შემოვიდა. მაიერი უკვე ფეხზე იღვა.

— საფარში უნდა, ჩაბრძანდეთ, ბატონებო, — თქვა კომენდანტმა.

იაკობს ცინიკურად გაეღმა.

— ნუ სწუხდებით, მერ კომენდანტო, თუ რაიმე მოხდება, მე და ბატონი ზიგფრიდ მაიერი ერთად წავალთ საიქოს, ოღონდ საკითხები ისაა, რომელი ჩვენგანი მოხვდება სამოთხეში და რომელი ჭოჭობთში, თუმცა მე ჭოჭობთში უკვე ხკეზო ხანია ვახლავართ. — მაიერმა დაცინვა არ შეიმჩნია.

ცოტა ხნის შემდეგ დაბობვა შეწყდა, რაც სულ მალე რადიოსტანსტაციო ქსელმაც გადმოსცა; მაიერმა თითქოს თავისუფლად ამოისუნთქა ძვირფასი ტყვე და მაიერი ისევ მოპირდაპირე „სავარძელში“ ისხდნენ, თამბაქოს ეწეოდნენ და თითქოს ზვირაკდნენ ერთმანეთს. ბოლოს სინთუმე მაიერმა დაარღვია:

— საუბრით ხკეზოდ მოვლალეთ ერთმანეთო, მერ იაკობ, ახლა პირდაპირ ვილაპარაკოთ, ნუთუ მაინც გაქვთ რაიმეს იმედი? ნუთუ არ გესმით, რომ გერმანიის უძლეველი არმია ტრიუმფალური მარშით მიბიჭებს რუსეთის მიწაზე. ნუთუ ვერ ხედავთ, რა სისწრაფით გარბიან სტალინის სარდლები: ვოროშილოვი, ბუდიონი და ტომოშენკო... რიხი იმედი გაქვთ? რუსეთმა წააგო ომი და ისე, როგორც მთელმა ევროპამ, კედლი უნდა მოხაროს მესამე რაი-

ხის წინაშე. მეთანხმებით თუ არა ამაში, პერ იაკობი?!

— ვნახთ, ბატონო მაიერ, იციან ის, ვინც ბოლოს გაიცინებს. თქვენ დამონეთ თითქმის მთელი ევროპა, იქნებ გგონიათ, ბატონო მაიერ, რომ საბჭოეთის დროებითი უკან დახევა გერმანიის გამარჯვებაა უკვე? ან იქნებ გგონიათ, რომ მხოლოდ გერმანიას ებრძვის საბჭოეთი? არა, ბატონო მაიერ, საბჭოეთი ებრძვის მთელი ევროპის პირველი კლასის მრეწველობას, რომლითაც შეიარაღებული ბრძანებები. თქვენს თქვენს ფანტიკოსები ბრძანებობთ, დღეს საბჭოეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩამბულია თქვენი კბილებამდე შეიარაღებული ექვსასი ლივია, ათჯერ ამდენიც არ ეყოფა თქვენს ფიურერს ჩემი სამშობლოს დასამარცხებლად, თქვენც და თქვენი ფიურერიც განწირული ხართ.

— თქვენ მე ფანტიკოსობას მიკეთებთ, პერ იაკობ, და მის ელემენტებს თვითონ ამტკიცებთ. თქვენი დამარჯვებელი ჩემს ბავშვობას მაგონებს, ერთი ამხანაგი მყავდა კარლ შპრე, წაუკცივადი ხოლმე, დავაჭლებოდი ზემოლან და ვახრჩობდი, ის კი წამოწითლებული და სულმეგობრული მებურტყუნებოდა ქვემოლან: „გეყოფა, ზიგფრიდ, თორემ გცემი“. რა გამარჯვებაზე შეგიძლიათ ლაპარაკი, როდესაც ყოველი დღე აახლოვებს თქვენს მთლიან კრახს. ჰეკუათმყოფელი ადამიანი ამას უნდა შეურიგდეს.

— მაშ თქვენ ფიქრობთ, მაიერ, რომ ფაშისმი ძლიერაშობილად დააკვირგებნებს ამ რასობრივ ომს და არეული რასა გაბატონდება მოცილს მსოფლიოში? იქნებ იმასაც იტყვიოთ, მაიერ, რომ რომის ლომინატმა და პრინციპატმა თავისი არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე სამხედრო ხელოვნებაში რაიმე უბეში შეტეოდა და უშვა, რომ იმ პერიოდის რომის უბრწყინვალესად გაწვრთნილი ლეგიონები თქვენს არმიებს რაიმეთი ჩამოუვარდებოდა, ან სარდლები მყავდათ თქვენზე ნაკლები. იქნებ თქვენი ადოლფი მარტვის ხელოვნების უფრო მაღალ ოლიმპზე ღვას, ვიდრე იულიუს კეისარი ან თუნდაც ნაპოლეონ ბონაპარტი?

— მერე რა გნებავთ მაგით თქვათ, პერ იაკობ?!

— ის, ჩემო კეთილო, რომ ვინც უსამართლობითა და დამონების პრინციპებით განიზრახა მსოფლიოს ხალხებზე გაბატონება, ბოლოს მაინც იძულებული გახდა დაეჩოქა სამართლის წინაშე. მით უმეტეს, რომ ასეთია ჩვენი საუკუნის რვალის კანონი დღეს. თქვენ როგორ ფიქრობთ, ბატონო მაიერ, როდესაც საბჭოეთი ძლიერაშობილად დააკვირგებნებს ამ მძიმე ომს, გამარჯვების შემდგომ სლავურმა რასამ უნდა დაიმორჩოს თქვენი. ეგრეთ წოდებული, არაფერი რასა და ამ შემთხვევაში გერმანელი ხალ-

ხი? არა, ჩემო ბატონო. სამართლიანი ომი მოსპობს მხოლოდ ფაშისმს და ახალგაზრდას ამ ქვეყანაზე სამართლიანობას.

— თქვენი კომუნდანტები როგორ იქცევიან, პერ იაკობ? შეზღუდული ხომ არაფრითა ხართ? — სიტყვა ბანზე აუგლო მაიერმა.

— არა, ბატონო მაიერ, მორიგე ყოველთვის ფიზიკური გამოცვლამდე იცვლებიან აქ, ამ ოთახში, რაც დავალებული აქვთ, პირნაოლად ასრულებენ და მითვალთვალებენ ყველგან — საბაზანოსა და საპირფარეოშიც კი. ორი კაცის ულუფა საქმელი მოდის, ორივე ჩემთან ერთად პასს საქმელს, ორივე ათლებური აგებულებისაა, ისიც შესანიშნავად გამაგებინეს, რომ ორივე ბრწყინვალედ ფლობს ჭიუჭიყუს ილეთებს; ბაღში ოთხი ესხეული მორიგეობს ოცდამოთხი საათი. თქვენებურად ჩემი ღღის რევიმი იდეალურადაა აწყობილი. ღღე პატივში მყოფი სტალინის უფროსი ვაჟი. სანტერესოა, რას მოელოან მისგან.

მაიერი ერთხანს დუმდა, მერე თითქოს რაღაც მოაგონდაო, იკითხა:

— ებრაელებზე რა აზრისა ხართ, პერ იაკობ? — იაკობმა დაუფიქრებლად გასცა პასუხი ამ კითხვას:

— იმდენად ჩვეულებრივისა, ბატონო მაიერ, რომ ჩემი მეორე მეუღლე ებრაელი გახლავთ ეროვნებით, ჩემი მეორე შვილი ნახევრად ებრაელია აქვს იგი, 50 პროცენტი ებრაული სისხლი აქვს. თქვენს ადოლფს კი 25 პროცენტი აქვს ებრაული სისხლი.

მაიერი სახეზე წამოინთო.

— საიდან იცით ეს, პერ იაკობ?

— იქიდან, საიდანაც თქვენ, რომ მე იოსებ ბესარიონის ძე სტალინის შვილი ვარ და რომ ჩემს აქ ყოფნას მესამე რაიხმა ხუთასი ჯერმანელისა და ერთი შესანიშნავი ესპანელის სიცოცხლე შესწირა. სანტერესო ისაა, ბატონო მაიერ, რომ ასე მოულოდნელად ფილოსოფიულად ყოფით საკითხებზე გადავიდით. გადავსულია თქვენს უფროსებს, რომ იქნებ დარე მამარქმს ნაწრითობი ფოლადივით მტკიცე ბისწყოფა და გენიალური გონება აქვს.


მაიერი წამოღვა.

— პირველ ხანებში ესეც საქმარისია, პერ იაკობ, ხომ არაფერს ისურვებდით შემდეგი მოსვლისათვის რომ ვავითვალისწინოთ?

— დიდად დამავალდებთ თუ მომიტანთ გოეთეს „ემშონტს“, ფირფიტას ბეთოვენის „გემონტისას“ და მაინრის მაინტს ლექსების კრებულს, რუსულად ან ფრანგულად.

— პირველ ორს დღეს სიმოკვებით მოგართმევთ, ხოლო რაც შეეხება მაინტს, ის ჩვენში...

ბემან ჯაზარქმა, მიხაილ ივანუჯაპა ცისვარი ნაპირპალაი



იაკობი ფეხზე წამოდგა და თვალებიდან ცეცხლი დაკვესა:

— „სტუმარს“ ჩვენში უღიღეს პატავს სცემენ, ბატონო მაიერ, დღეს ამით დავამათვროთ, იმედია, ჩემს თხოვნას შეასრულებთ.

მაიერი ერთხანს დაბნეული შეჰყურებდა ტყვეს, შემდეგ თითქოს ნაძალადევად ამოდერდა:

— შევეცდები თქვენი თხოვნა შევასრულო, პერ იაკობ!

ფაშისტური გაზეთის ყოყლოჩინა ხელმძღვანელი ნაცემი ძალღვივთ წალასლასდა ძვირფასი ტყვეს ბინიდან. ბინდი ჩამოწვა რუხი ქაღალქის ქონგურებზე, რეპროდუქტორიდან ჭერ ფაშისტთა ლაპარაკი ისმოდა, შემდეგ ოთახი ჰიმნის მელოდამ აავსო, ძილიწი წასულ იაკობს ხაღვაც თითქოს შორიდან ესმოდა „აჲღეს, უნდ აჲღეს ღოიჩიანდ“.

ერთი კვირის შემდეგ საღამოს 8 საათზე, როდესაც დაბრუნდა დამთავრდა და იაკობი, თავის კომენდანტთან ერთად, თავშესაფრიდან ამოვიდა, წინა ოთახში ლამაზო, ცისფერთვალედა ტანად გოგონა დახვდა, ასე 25-26 წლისა. ამას კი ნამდვილად არ მოელოდა იაკობი, თუმცა გაგონილი ჰქონდა, რომ სს-ში ქალებიც იყვნენ. ქალიშვილი სჯამიდან წამოდგა, თავი დაუკრა იაკობს და საოცრად თბილი და ტბობილი ხმით, სუფთა რუსულით უთხრა:

— პერ იაკობ! მე მარტა მაიერი ვახლავართ, მამამ ბოლღიში მოხადა, რომ მოუცვლელობის გამო ვერ ვიხალათ, წიგნები და მაგნიტოფონი გამომატანა ბეთხოვენის ჩანაწერებით, აქ „ეგზონტიცია“ და მეცხრე სიმფონიაც.

— დიდად გმადლობთ, ფრავ მარტა, დაბრძანდით, მე ისე პატავს მცემს მისამე რაინი, რომ მასპინძლობაც კი შემიძლია გავიწიოთ. რას მიერთმევთ, კონიაკს თუ ღვინოს? თქვენ წარმოიდგინეთ, იმდენად ყურადღებიანი არიან ჩემს მიმართ, რომ ქართული ღვინო „საფერავიც“ კი ღვას ჩემს საშარეულოში.— იაკობი კომენდანტს მიუბრუნდა. — თუ შეიძლება, ეღმონდ! კონიაკი, ღვინო და ბუტერბროლი.

— ახლავე, პერ იაკობ! — ეღმონდი სწრაფად გახსლტა კარში. იაკობი ქალიშვილს ავირდებოდა. საოცარი ის იყო, რომ მაიერთან ამ ლამაზ გოგონას საერთო არაფერი ჰქონდა. იაკობმა ეღმონდის შემოტანილ ლანგარს ხელი შეაშეღა, მარტას კონიაკი დაუსხა, თავისთვის ღვინო დაისხა და ქალიშვილს თვალბუმი შეხეღა.

— ჩვენს გაცნობას გაუმარტავს, ფრავ მარტა, ფაშისტებმა იმდენი საშინელება დაატრი-აღეს ამ ქვეყანაზე, რომ არც კი მოველოდი, გერმანელებს ლამაზი ქალები თუ ჰყავდათ.

მარტამ კონიაკი მიიტანა ტუჩებზე და ღვინო დაიწყო დასვლა და თქვა:

— ყოველ ეპოქაში ხდებოდა საშინელებები პერ იაკობ. მე დაახლოებით ვადმომცა მამამ თქვენი საუბრის შინაარსი, იგი ადტაცებულია თქვენი, მაგრამ მე მაინც მის პოზიციაზე ვდგავარ, ვდგავარ არა იმიტომ, რომ ის მამა ჩემი, არამედ იმიტომ, რომ ჭეშმარიტებას ვერ ვავეცივით. ამ ქვეყანაზე ყველაფერი ძალაზეა დამყარებული და ყველაფერი ძლიერს უნდა ემსახურებოდეს. ასე ყოფილა და ასე იქნება. დედა ფუტკარს ათასი მამილი მიხლევს, პერ იაკობ, სუსტები გზაში ცვივიან, ბოლოს მას შერჩება ერთი, ყველაზე უფრო ძლიერი ფიციურად და ის ანაყოფიერებს. ეს გახლავთ ბუნების მიერ ძლიერი შთამომავლო მის შერჩევა. სამართლიანობა ბედნიერების ცისფერი ფრინველია, რომელსაც დასაბამიდან დღემდე მისდევს კაცობრიობა და ვერ დაუშე-რია, — მარტა მაიერმა კონიაკი მოსვა, ბუტერბროტი დააყოლა და განაგრძო. — დაიჭერს კია? ვეჭვობ, თუ თქვენ იტყვი, რომ სამართლიანობის ცისფერი ფრინველი თქვენ დაიჭრეთ, ძნელი დასაწერებელია, პერ იაკობ, ჩემის აზრით; თქვენ ყველაზე უფრო ძლიერი მამილი ფუტკარი ბრძანდებით, რომელიც მდღერის განაყოფიერებისთანავე იღუბება. ისიც ხომ იცით, რომ იგივე ფუტკრებში გამორჩეული და უძლიერესნი დედლები არიან. იხინი ხოცვენ მამალ ფუტკრებს და რისთვის? იხისთვის, რომ შრომის ნაყოფიერება პროდუქტიული და მარადიული იყო. მარქსისტული სამართლიანობა მირაუა პერ იაკობ, მაგრამ აუცილებელია რატომ? იმიტომ, რომ ის საფურის სოციალიზ-თაა, წყნარ ცოშში დღეილს იწვევს, გაჩერ-ბულს აფორაქებს და ამოძრავებს...

ჭრილობები როგორა გაქვთ, პერ იაკობ, უკეთესად?

— გმადლობთ, აღარ მაწუხებს, იდეალურად მივლის თქვენი ექიმი. თუ დამესმარებით, გატყვევასაც კი შევძლებ. — ეს სიტყვები განგებ ხმამაღლა წარმოსთქვა იაკობმა* და ეღმონდმა მაშინვე კარში შემოჰყო თავი.

— ხომ არაფერს მიბრძანებთ, პერ იაკობ?

— კი, ჩემო ეღმონდ, ერთ ბილეთს, საერთაშორისო ვაგონში, კიევამდე, ხომ არის მატარებელი ბერლინი-კიევი?

ცინიზმს ცინიზმი დაახვედრა გერმანიეში. — მატარებლის რა მოგახსენოთ და ტანკი „ვეფხვი“ კი ვახლავთ მაგ მარშრუტისა!

— „ვეფხვი“ ჩაჯღომა არ მიყვარს, ეღმონდ, ზურგზე კი სიამოვნებით მოვახტებოდი. ასეთი ახირებული ვახლავართ ქართველები, ტყუარის დამორჩილება და ვახედვნა გვიხერხება საოცრად. — მარტას გულიანად გაეცინა.

— რკინის ლოგია და მისწრებული სიტყვა

ჭკონით, შერ იაკობ. ალბათ ყველა ქართველი ასეთია!

ელმონდი კარს მიეფარა.

— ყველა ქართველი სამშობლოს მოყვარული და რაინდია, ფრანუ, მარტა, თუ აღმოსავლეთის ხალხებს რაიმე შეუქმნიათ და რაიმე დაუპყრიათ, იქ ქართული გონება და მკლავი ყოველთვის გადამწყვეტი გახლდათ. თუ არ გჭრათ, გადახედეთ სპარსეთისა და თურქეთის ისტორიას და დარწმუნდებით. ჩვენი წილი დიდი აგური დიდხანია მიტანილი გვაქვს მსოფლიო ცივილიზაციის შენობის ასაგებად და ალბათ კიდევ ბევრს მივიტანთ, ფრანუ მარტა, როდესაც ფაშაშს დავამარცხებთ.

მარტამ ბოლომდე გამოსცალა ჭიქა, მას უკვე თვალები უღელავდა, იაკობმა კიდევ შეუვსო.

— ფაშისტებიც სოციალისტები გახლავან, შერ იაკობ! — თქვა უცებ მარტამ და ნათელი თვალები იაკობს შეანათა.

— ფრანუ მარტა, მარილთა ჭგუფები და კლასიფიკაცია თუ გახსოვთ ქიმიდან?

— დიან მახსოვს. — აბნეულად უპასუხა ქალმა.

— ნატრიუმ ქლორიც მარილია, ფრანუ მარტა და ციანკალიუმიც. აი ჩემი პასუხი იმაზე, რომ ფაშისტებიც სოციალისტები არიან.

— ლოგია და ენა სამართებელივითა ვაქვთ, შერ იაკობ, თქვენთან პაექრობა ძალიან ძნელაა, — თქვა მარტამ რაღაცნაირი მელანქოლიური ხმით.

— ფრანუ მარტა, პაექრობა სიმართლესთანა ძნელი და არა პიროვნებებთან.

მარტამ ბისკვიტის ნატები იაკობის ღვინიან ჭიქაში დასველა, პირში ჩაიდო და იაკობს შეხედა.

— მავატიე შერ იაკობ, მაგრამ უნდა ვითხროთ, რომ ოცნებას ინტელექტუალურ ხელმძღვანელობად ვთვლი, იგი აღუნებს პიროვნებასა და დამეული მისტიკის საბურველში ახვევს; ჩვენს ერს ოცნება არ უყვარს, მას საქმე უყვარს. ჩვენი ღმერთი პრაქტიციზმია, მიტომ ვართ ასე ძლიერები. თქვენ კი მომავლის ოცნებით ცხოვრობთ.

— ვაღიარებ, ფრანუ მარტა, ძლიერები ხართ, მაგრამ არა უძლეველნი: ვიცო, რომ აქ ამ კედლებში, ძალზე მგრძნობიარე მიკროფონება ჩამონტაჟებული, ისინი ჩემს სუნთქვასაც იწერენ ალბათ მაგნიტოფონზე, მაგრამ არ მეშინია. ამაზე უარესი რაღა უნდა მომივიდეს. მე ოსებ სტალინის უფროსი ვატი, ფაშისტების ტყვე ვარ. სიკვდილისა არ მეშინია, ფრანუ მარტა. ქართველებს რომ სიკვდილისა ეშინოდეთ, არც ასე ცოტანი ვიქნებოდით.

მარტა ხელსახოცზე წერდა რაღაცას და თან გულისყურით უსმენდა იაკობს. რო-

დესაც იაკობმა ლაპარაკი დამთავრა, მარტამ ხელსახოცი მიაწოდა.

— შერ იაკობ, საერთაშორისო სამართლის ნორმები საბჭოეთსაც ბევრჯერ დაურღვევია, თუნდაც პატარა ფინეთთან ომი და ბალტიისპირეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკების ტერიტორიების ანექსია, მიხასუხეთ, შერ იაკობ, არის თუ არა ეს საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევა? — იაკობი ხელსახოცზე დაწერილ სტრიქონებს კითხულობდა. თან მარტას უსმენდა. აი, რა ეწერა იქ: „მე ურსულა შვარცი ვარ, ვმუშაობ სს-ის კონტრაქტების სპეციალურ განყოფილებაში, ზიგფრიდ მაიერის ქალიშვილი ძალიან შეუხედავია, მისი როლის შესრულება თქვენი დამუშავების საკითხში დამევალა მე. დამთავრებული ვაქვს ბერლინის უნივერსიტეტის სლავური განყოფილება, ლექციებს ვისმენდი ფილოსოფიაშიც, გულწრფელად მომწონხართ.“ — ურსულა შვარცმა სიგარეტს მოუკიდა, ხელსახოცი დავსა, ფტრფლი კონიაიან ჭიქაში ჩაჰყარა, ახანთის ღერით მოურია და გადაჰკრა.

— ჩვენ, ფრანუ მარტა, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ტერიტორიების ანექსია არ მოგვიხდენია, მათმა ხალხებმა ითხოვეს და ჩვენ არ გვქონდა მორალური უფლება არ დავხმარებოდით მათ, რაც შეეხება ფინეთს იგი თვითონ დაგვესხა თავს თქვენი კარნახით, ფაშისტებს უნდოდათ სხვის სცენაზე ენახათ ჩვენი არმიის ბრძოლისუნარიანობა. მანერგვიმის ხაზი ათქერ უფრო ძლიერი იყო მაშინოხაზე. მესამე რაიხს აინტერესებდა, გატებდა თუ არა საბჭოთა არმია მის მიერ დაპროექტებულ და აწინებულ ამ უძლიერეს სიმარგრეს, თქვენც კარგად მოგეხსენებათ ფრანუ მარტა, რამდენ ხანში „გატება“ გერმანიამ მაშინოფრანგი მოღალატეების წყალობით და როგორ გაუძლო თქვენმა დაპროექტებულმა მანერპეიმმა საბჭოთა არმიას. — თქვა იაკობმა და გულწრფელი მადლობის თვალებით შეხედა დამაშ ქალს. მარტა გაჩუმებული იყო, ფართოდ გახედილი თვალებით მისჩერებოდა მის წინ მდგომ იაკობს და ფიქრობდა: „აი იმ კაცის შვილი, რომლის სახელიც უკვე რამდენი ხანია შიშის ზარს სცემს ფაშაშს, ნუთუ გაუძლებს მის მიერ რკინის ხელით შექმნილი, ეგრეთ წოდებული მუშურ-გლეხური ჭკეპანა პიტლერის კბილებამდე შეიარაღებულ დივიზიებს, როგორ მოახერხა მესამე რაიხმა ამ პოპულარული პიროვნების შვილის ხელში ჩაგდება...“

— ციცი თუ არა თქვენ, რომ თქვენს ტყვე ჯარისკაცებს, რომლებიც გუშინ ცეცხლითა და მახვილით მხოდავდნენ ჩვენს სოფლებსა და ქა-

ბაშან ჯაშარიმძ, მიხეილ ოპაშაშაპა ცისვამი ნაპირწყალი



სსრკ-ის ლელო

7 აპრილი, 1941 წელი

ური ბოტანიკური აღკვეთილია და არა ნაერძალი. საერთოდ, გრძელვადიანი ან მუდმივი კვებითი ორგანიზაცია როგორც ჩვენს რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს ვარჯ მთელ ბული არ არის, ამასთან, მათი ორგანიზაცია ნაკლებ სიმწიფეებთანა დაკავშირებული და მათი შენახვა უფრო იაფი ჯდება. ეს მაგალითები მოყვანილია არა იმიტომ, რომ ვადახედოთ ზოგიერთი ჩვენი ნაერძალის სტატუსს, არამედ იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ბოლო დროს გაისმის ხმები ჩვენში ნაერძალების რიცხვის გაზრდის შესახებ, კერძოდ მათ ორგანიზაციაზე კურორტ უწერაში (რაქა) და მრავალი სხვა. არ არის გამორიცხული, რომ ეს ობიექტები მივაკუთვნოთ სანაერძალო ტერიტორიებს, მაგრამ რატომ მიინდამაინც ნაერძალებს? ხომ ნათელია, რომ ისინი ამაჟამად ვერ უქალებენ იმ მოთხოვნებს, რომლებსაც ნაერძალებს უყენებენ. ხოლო ნაერძალების რიცხვის ზრდა მხოლოდ ტერიტორიის აღკვეთის დისკრედიტირებს თვით ნაერძალების იდეას, ამის მაგალითი თუნდაც დარიალის ნაერძალია.

საქართველოს ნაერძალები დიდ და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბუნების დაცვის საქმეში. მათი შემდგომი მოვალეობის ეფექტურობის ზრდა დაკავშირებულია მთელი რიგი პრობლემების გადაჭრასთან, რაშიც მათ დახმარება უნდა გაუწიონ სამეცნიერო-კვლევითმა დაწესებულებებმა. პირველი მათგანია სამეცნიერო მუშაობის სრულყოფა. ნაერძალებში უნდა მუშავდებოდეს მრავალწლიანი კომპლექსური პრობლემები, რაც სხვადასხვა პროფილის სპეციალისტების თანამშრომლობას მოითხოვს. ეს სამუშაოები უნდა ტარდებოდეს ნაერძალების სამეცნიერო ძალებით, მაგრამ სხვა სამეცნიერო დაწესებულებების თანამშრომლებთან ფართო კოოპერაციის გზით. შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხია ნაერძალების იზოლირაცია. ლაპარაკია საცავი ანუ ბუფერული ზონების შექმნის შესახებ. ამ ზონების დანიშნულება მრავალმხრივია, მაგრამ მთავარია მაინც თანდათანობით ვადასვლა ბუნებრივ ეკოსისტემებიდან ანტროპოგენურ სისტემებისაკენ.

ასევე მნიშვნელოვანია ნაერძალების ფართობების მინიმალური ზომის დადგენა, რაც უზრუნველყოფს საჭირო ლანდშაფტის დაცვას. ეს აღმათ გამოიწვევს არსებული ნაერძალების საზღვრების ვადასინჯვის აუცილებლობას. მაგალითად, მდინარე კინტრისის აუზში მარცხენა ნაპირი ნაერძალი მიეკუთვნება, ხოლო მარჯვენა — სატყეო მეურნეობას. ამასთან დაკავშირებით, ცნობილმა სპეციალისტმა, პროფ. ი. ისაკოვმა თქვა: „თუ ნაერძალები იქმნება ჩვენი ბუნების ეტალონებს შესაწარ-

თენგიზ ურუშაძე
ბჭი — ჩვენს საზრუნავში

ჩვენებლად, მათ უნდა ჰქონდეთ ამ ეტალონების დაცვის რეალური შესაძლებლობები.

საბჭოთა კავშირში მიღებულია, რომ ქალაქებში ერთ სულ მოსახლეზე უნდა მოდიოდეს მწვანე ნარგავების 12-15 კვადრატული მეტრი. თბილისში ეს მაჩვენებელი ნორმაზე ნაკლებია. ხოლო მოსკოვში, სადაც 1913 წელს ერთ სულ მოსახლეზე მწვანე ნარგავების 0,7 კვადრატული მეტრი მოდიოდა, 1971 წელს ამ მაჩვენებელმა 20 კვადრატულ მეტრს მიაღწია, და პერსპექტივაში 32 კვადრატულ მეტრამდე უნდა ავიდეს, შედარებისათვის აღვნიშნავთ, რომ ნიუ-იორკში იგი 6,7 უდრის, პარიზში 3,6-ს, ენაში — 6,7, რომში — 6,4, ტაიოვში — მხოლოდ 1,2.

დავუბრუნდეთ თბილისს. მართალია, აქ ხე-ბუჩქების ზრდის საქმად მკაცრი პირობებია, მაგრამ ბაქოც ასეთივე მდგომარეობაშია. იქ კი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში მწვანე ნარგავების ნორმა ერთ სულ მოსახლეზე 7,5 კვადრატულ მეტრიდან 17,2 კვ. მეტრამდე ავიდა. უფრო მეტიც, შესანიშნავადაა გამწვანებული ახალგაზრდა ქალაქი შევზენო, რომელიც კასპიის მოპირდაპირე ნაპირზე უნაყოფო უდაბნოში აღმოცენდა.

სატყეო მეურნეობაში მრავალი სხვა საკიბოროტო საკითხია დღის წესრიგში. რესპუბლიკის ტყის ფონდის მიწების საქმად დიდი ფართობი უკავია რეხილას, ჯაგრეხილას, წყავს, შვერს და სხვა მეორეხარისხოვან ტყის ჯიშებს და ბუნქარს. ტყის ფონდის მიწების საერთო ფართობიდან დაახლოებით 20% სამეურნეო გზებით ჯერ კიდევ სრულიად არაა ათვისებული...

უხეზოვად იბადება კითხვა — შეიძლება თუ არა სატყეო მეურნეობაში არსებული სიძინელების გადალახვა? შეიძლება თუ არა ამ დარგის უახლოეს პერიოდში მკვეთრი ამაღლება? ორი აზრი აქ არ არსებობს! დიახ! ამის გაკეთება საეხებით შესაძლებელია. პირველ რიგში ამ დარგში მომუშავე სპეციალისტების ერთიანი ძალებით და აგრეთვე ყველა დანარჩენის დახმარებითაც, ვისაც ჭეშმარიტად უყვარს ჩვენი ტყე და ღრმად სწვდება. მის საკიბოროტო საკითხებს. განსაკუთრებით მინდა უკანასკნელ გარემოებას გაუფსვა ხაზი, რადგანაც ყოველ არაპროფესიულ ჩარევას ტყის მეურნეობის საკითხებში, ზარალის გარდა, არაფერი მოაქვს. ასეთ გამოსვლებს პრესის ფურცლებზე, რადიო და ტელევიზიით ხშირად „ემოციური“ აღერადობა უფრო აქვს, ვიდრე საქმიანი. სამწუხაროდ, ასე მართო ჩვენში როდი ხდება. ცნობილმა ეკოლოგმა პროფესორმა ე. შვარცმა ფურნალ „პარიოდან“ ფურცლებზე ამის თაობაზე შეტად მახვილგონივრულად აღნიშნა, რომ არასპეციალისტი კვანტური მექანიკის და მოლე-


კულური-ბიოლოგიის საკითხებზე არ დავობს, იმიტომ რომ, უბრალოდ არ მდის, მან უნდა თქვას, მაშინ, როდესაც ბუნების დაცვის საკითხებზე ყველა დავობს, რადგანაც ყველას თავის თავი ამ საკითხში კომპეტენტური ჰგონია. თუმცა ბუნების დაცვის საკითხებში არანაკლებ რთულია, ვიდრე კვანტური მექანიკის და მოლეკულური ბიოლოგიის ნებისმიერი სკიკიხი.

და ასეთი მავალითები ჩვენში მრავლად იკავებება.

აი თუნდაც რამდენიმე.

საკმაოდ ხშირად გაიხანს ხეები — მოკსპოთ თბილისში ჭადრები! ისინი ამბობენ, რომ ჯალას, იწყვევენ ალერგიას და, საერთოდ, რა საკირონი არიან? არ სჯობია მათ მავივრად აკალის ხეები გავაშენოთ, ანდა წაბლის ან უფრო სხვა ჯიშები?

საქმე იმაშია, რომ თბილისი საერთოდ ტყეების ზონაში არ იმყოფება. მისი ბუნებრივი ზონა ე. ი. არიდული მეჩხერების სარტყელი, სადაც თავისთავად ხე-ბუჩქების მხოლოდ განსახლდრული რაოდენობა ხარობს, და მათ შორის აკაციც, საკმაოდ მკაცრია. აკაცი პლუხანოვის გამაზირზე რეინგზელთა სახლთანაა დარგული და, მიუხედავად იმისა, რომ „აბორიგენური“ ჯიშია, ზოგჯერ ზაფხულობით ფოთოლო ჰყრის, რადგანაც დიდ სიცხეებს ვერ იტანს. აკალის გაშენება არ შეიძლება, რადგანაც იგი კრეჰს ვერ იტანს, ხოლო წაბლის იმიტომ, რომ ეს ტიპური ტყის ჯიშია. ჭადარს მხოლოდ აკაციამ შეუძლია გაუწიოს კონკურენცია, მაგრამ ნულთ შეიძლება აკაციის და ჭადარის დეკორატიული თვისებების შედარება? ჭადარს დიდი ხანია, რაც ხელოვნურად აშენებენ. ეს მერქნიანი ჯიშო ამღერებულია სამხრეთის ქვეყნების მრავალი ხალხის მიერ, როგორც „მეფური“, როგორც ფუფუნების ხე. ხის დიდი სიმძლვე, ვანიერი და აფურული ვარჯი, მსხვილი და ლამაზი ფოთლები ყოველთვის იქცევა ადამიანის ყურადღებას და იწყვედა ალერთოვანებას. ჭადართან დაკავშირებულია მრავალი ლეგენდა, მრავალი ხალხის მიერ ის მიჩნეულია წმინდა ხედ. ცნობილია, რომ ელადის წინააღმდეგ ჩუფე ქსერკის ლაშქრობის დრის, მან უნდა დინახა ჭადარ, რომლის სილამაზემ ისე მოაჯადოვა, რომ დასახუქრა ეს ხე როგორც საყვარელი ქალი ოქროსი ჯაჭვებით და სამაჯურებით, და მას მუდმივი დარაჯი მიუჩინა. შუა აზიის მრავალი ხალხი დღემდე ჭადარის ტოტემზე ჰკიდებს პატარ-პატარა ქსოვილებს. ცნობილია, რომ ოქროსგან გოგითეული ჭადარი აშენებდა ირანის ზოგერთს სასახლეს. მას როგორც წმინდა ხეს იცავდნენ გაჩხვისაგან, ყოველგვარი დამტრევისაგან. ამით შეიძლება აინსნას, რომ დღემდე ბევრგანაა შემორჩენილი ისეთი ხეები, რომელთა ხნოვანება განისაზღვ-



რბა მრავალი ასეული წლით. ანერბიჭიანის ზოგიერთ ქალაქში — ზაქათალი, ორდუბადი, გეოქჩაი, კიროვადი — ხარობს X-XI საუკუნეში დარღული ჭადრები.

არის მეორე გარემოებაც. ცნობილია, რომ ყოველ ქალაქს წესით ერთი გაბატონებული კომი უნდა ახასიათებდეს — თიქეში ესა ცხენისწალი, ოდესაში — თეთრი აკაცია, ვოლოგდაში — არყი, ბერლინიში — ცაცხვი და ა. შ. და ამგვარად, ჭადრის სიუხვე თბილისში უნდა იყოს გამართლებული. რაც შეეხება აღერგის — მას მხოლოდ ჭადარი რაოდენ იწვევს, ავიღოთ თუნდაც ცაცხვი, ვერხვი და ა. შ. დღეს შეიძლება თამამად ითქვას, რომ მისი ეფექტურად შემცველი ჯიში თბილისის პირობებისათვის არ მოგვეპოვება.

ავიღოთ მეორე მაგალითიც, რომელიც საგურამოს ეროვნულ პარკს ეხება. საგურამოს ეროვნული პარკი ჩამოყალიბდა საქართველოს ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 6 მარტის დადგენილების საფუძველად. მისი ფართობი 30,600 ჰექტარს შეადგენს. საგურამოს ეროვნული პარკი უმთავრესად ემსახურება და მონაგალიც მოემსახურება ქ. თბილისისა და რუსთავის მშრომელთა მოკლევადიან დასვენებას ბუნების წიაღში და ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვას, საამისოდ პარკში გაყავთ სამანქანო გზები, აწყობენ წყაროებს, გადააჩენენ, ხელოვნურ ტბებს, მანქანების გასაჩერებელ მოედნებს, დამენ მაგიდებს, სკამებს, გაყავთ ბილიკები, აშენებენ გაზონებს და სხვა მრავალს. უკვე მოწყობილია მასიური დასვენების ადგილები: „მამკოდის“, „ნორიოს ხეთაების“, „საბადურის“, „გოგილიანთ წყაროს“, „კაბიტნის ხევის“, „სოსიანთ წყაროს“ და სხვა მრავალი.

დღეისათვის 24 კილომეტრზე გაყვანილია სამანქანო გზა, სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის დეპარტამენტი, ამავე დროს გაყვანილია სამანქანო გზები საქართველოს სსრ გზატკეცილების სამინისტროს მიერ მასობრივი დასვენების ადგილებში მისასვლელად. გაკეთებულია ხელოვნური ტბები 3 ადგილზე, გადასახედები 5 ადგილზე, მოწყობილია წყაროები 50 ადგილზე, სადაც დასვენებლობისათვის არის სკამები, ცეცხლის დასანთები ადგილები, მანქანის გასაჩერებელი მოედნები.

გასულ და მიმდინარე წელს პარკში დაისვენა ქ. თბილისის და რუსთავის 300 000 მშრომელი. პარკში მოდის მრავალი უცხოეთის ტურისტები.

პარკი აგრეთვე აწარმოებს ტყის აღდგენით სამუშაოებს. ყოველწლიურად აშენებს მეჩხერ და ჩამორეცხილ ეროდირებულ ფართობებზე 250-300 ჰექტარ ხელოვნურ ტყეებს ძვირფასი ჯიშებით. აქ ვხვდებით შავი, ელდარანს და

ჩვეულებრივ ფიჭვს, კვიპაროსს, იფანს, მუნას, წაბლს, ნეკერჩხალს და სხვა მრავალს. ტყის გაშენების დროს გათვალისწინებულია ტყეში კულტურული ჯიშების შერევა: ვარდის მსხლის, ქლიავის, ატმის და სხვა. ყოველწლიურად 1 200 ათასი ცალი სუპერაბრტული ნერგი, რისთვისაც აშენებენ სანერგეებს, სკოლებს, პლანტაციებს.

გაშენდა თბილისის ზღვის ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეზე, კულტურისა და დასვენების პარკის მოსაზღვრად, 150 ჰექტარი ხელოვნური ტყე. ტყეები გაშენდა ავჭალის, გლდანის და მარტყოფის მასიური დასვენების ადგილების ირგვლივ, 70 ჰექტარზე. შენდება სამამულო ომის თბილისელი მეთომრების მემორიალური პარკი „მამკოდა“, სადაც სამუშაოები დაწყებულია და დღეისათვის გაშენებულია პარკი 10 ჰექტარზე. პარკში გათვალისწინებულია მუზეუმი, სასტუმრო, მოკლევადიანი დასვენების ზონა და სოციალური ბაზები. საგურამოს ეროვნული პარკის თანამშრომლები დიდი მონდომებით იმპრეზანტებთან ერთად მონაგალიც მშრომლებისათვის ხელმისაწვდომი დასვენების ზონები ბუნების წიაღში. პარკში დაცულია ტყის ფუნა, მრავალია შევილი, ირემი, დათვი, ფოცხვერი, სასარგებლო ფრინველი და სხვა. აქ აკრძალულია ნადირობა, ზამთრის ძნელ პირობებში ნადირ-ფრინველს უწყობენ საკვებურებს.

მასიური დასვენების ზონების შექმნაში და დასვენების ადგილების კეთილმოწყობაში ეროვნული პარკის თანამშრომლებს ეხმარებიან მსხვილი წარმოებები: გავრთიანება „ელვა“, ცენტროლიტის ქარხნის კოლექტივი, თბილისის საავიკო ქარხნის კოლექტივი, გავრთიანება „ელექტროაპარატის“ მუშა-მოსამსახურენი და ასე შემდეგ.

საგურამოს ეროვნულ პარკში საქმოდ შრომატევადი და საინტერესო სამუშაოები მიმდინარეობს. მიუხედავად ამისა, პრესაში ამ პარკზე მხოლოდ კრიტიკული წერილები იბეჭდება და, როგორც წესი, მათი ავტორები არასპეციალისტები არიან. კაცმა რომ გულახდილად თქვას, ყოველთვის მოეცება და სადღაც მშურდა ასეთი ავტორების „მამაკობა“.

რით არის ეს გამოწვეული? არ მისმის. ცნობილია სხვა რამ, რომ ეროვნული პარკის შექმნა არც თუ ისე იოლი საქმეა. ჩვენში დღეისათვის მხოლოდ ერთი პარკი აწესდომს ესტონეთში — ლხანამის ეროვნული პარკი. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშია ეროვნული პარკები, მათი გამოცდილების გადმოტანა არც თუ ისე ადვილი საქმეა. ცნობილია ისიც, რომ მის შექმნას დიდი მო-

თენგიზ ურუშაძე
ტყე — ჩამონ საზრუნავი



სამზადებელი სამუშაოები ესაქიროება. საქსონის შვეიცარია (გდრ) ერთ-ერთი ულამაზესი ლანდშაფტია განა ევროპაში. ამ რაიონის 2/3 დაკავებულია ტყეებით. 1956 წელს საქსონიის შვეიცარიის 40 ათასი ჰექტარი გამოცხადდა ლანდშაფტურ ნაყრძალად. არსებული პროექტის თანახმად, მის ტერიტორიაზე უნდა მოეწყოს ეროვნული პარკი, მაგრამ ამისათვის ორი ათეული წლის განმავლობაში აუცილებელია ლანდშაფტში კომპლექსურ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების გატარება.

თბილისის სატყეო ინსტიტუტში უკვე ორი წელია მუშავდება თემა, რომელიც მწვანე ზონის და მათ შორის ეროვნული პარკის შექმნის და გაუმჯობესების საქმეს ეხება. ამ თემის ბულგარულ კოლეგებთან ერთად ვამუშავებთ. ამასთან დაკავშირებით, გვიხდება ბულგარეთში ჩასვლა და ბულგარული კოლეგებს საქართველოში მიღება. ეს ურთიერთკავშირი უაღრესად სასარგებლოა. მსოფლიოში ცნობილ ეროვნულ პარკებიდან ქ. სოფიასთან არსებული პარკი „ვიტოშა“ ყველაზე მეტად შეესატყვისება ჩვენს პირობებს, ჩვენს დედაქალაქს. ამ ბოლო წლებში საშუალება მომეცა საქაოლ დეტალურად გავცნობოდი ეროვნულ პარკებს პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და მინც ამ საკითხზე საჭიროდ გამოსვლა ვერ გავხდებ, რადგანაც ეს საკითხი საქაოლ რთულია და მრავალჯეროვანი. ერთი რამ ნათელია, რომ გჯერა, საგურამოს ეროვნული პარკი მართლაც სანიმუშო იქნება, და ამის საწინდარი იმ კოლექტივის თავდადებული შრომაა, რომელიც დღეს პარკს ემსახურება.

მინდა ერთი წერილის შინაარსი გაცნობო მკითხველებს. ეს წერილი ცნობილი ბულგარული პროფესორის ს. ნედიალკოვისაგან მივიღე, მას შემდეგ, რაც მან საგურამოს ეროვნული პარკი დაათვალიერა.

„პატივცემულო კოლეგა! ვიცო, რომ თქვენ ბირტე რიგში ჩემი აზრი ინტერესებთ საგურამოს ეროვნულ პარკზე. პარკის ტერიტორიის დაწესებებით დათვალიერებამ დამარწმუნა, რომ თქვენ მართლაც შესანიშნავი შეაჩინეთ პარკის ტერიტორია. ეს კი, დამერწმუნებთ, უარესად მნიშვნელოვანი მომენტია. საინტერესოა ის სამუშაოები, რომლებიც იქ ტარდება. მაგრამ ეს არაა მთავარი, მე მჯერა, რომ თქვენს პარკს შესანიშნავი მომავალი აქვს, რადგანაც შემოქმედო დარწმუნებულებიყავი, რა ბრწყინვალე კოლექტივი მუშაობს პარკში. დირექტორიდან დაწყებული მუშამდე ყველას ფანტიკურად უყვართ პარკი და უვლიან მას. მჯერა, რომ ისინი მიზანს მიადრწევენ. თქვენი ს. ნედიალკოვი“.

სამწუხაროდ, აბაპროფისიული წერილები ჩვენს პრესაში მარტო ეროვნულ პარკზე კი

არა, ტყის ცხოვრების თითქმის ყველა საკითხზე იწერება, ასე, მაგალითად: ნაყრძალბა და მის პრობლემებზე, გაშენების თავისებურების საკითხებზე, ჭრებზე და ასე შემდეგ. ჩვენს შორს ვართ იმ აზრიდან, რომ ტყეზე მხოლოდ მეტყვევებმა წერონ, არა, მე ყოველთვის მახსენდება მწერალ ა. ვოლოვის შესანიშნავი, პრობლემური წერილი, რომელიც „ლიტერატურნაია ვაზეტას“ ფურცლებზე გამოქვეყნდა და საქაოლ მძაფრი დისპუტი გამოიწვია. ამის შემდეგ ვაზეტაში მრავალი მაგობადც კი მოიწვია. ტყეზე, ტყის პრობლემებზე ასეთი წერილი ჩვენს პრესაში ჯერ არ დაბეჭდილა, მაშ, ასე, ტყეზე მხოლოდ მეტყვევებმა როდი უნდა წერონ, მაგრამ არც ის ივარგებს, რომ ყველა წერდეს მეტყვევების გარდა.

ხშირად მეტყვევ ვერც ასწერებს თავის შრომის ნაყოფის ნახვას, და მისი ნამოქმედარის უსიტყვო ძეგლად რჩება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაფანტული ხელოვნური ტყეების სახით, როგორც, მაგალითად, უაზბეგის ნედაომებში ან გარდაცვლილი მეტყვევის და მეცნიერის ბადრი სუჯაშვილის მიერ გაშენებული ფიჭვის კორომი. ამა სწინათ გამოიმკმლობა „მეცნიერებამ“ გამოსცა გამოჩენილი მეტყვევის მიხეილ მურმანიშვილის სატყების კრებული მიხეილ მურმანიშვილი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე ტყეების გაშენების და მოვლის საქმეებს მოახმარა. და მადლიერმა ხალხმა იგი მის მიერ სურამის შიდაპოეში გაშენებულ შესანიშნავ ტყის კორომში დაკრძალა.

ესე, გულახდილად რომ ვთქვათ, ჩვენი მწერლები, მხატვრები, კინოს მუშაეები ჯერ კიდევ ვიღში არიან მეტყვევების წინაშე. ამა, გავისხენოთ რომელიმე მხატვრული ნაწარმოები, სურათი ან დოკუმენტური ფილმი საქართველოს ტყეზე, მართლაც მეტყვევებზე. მათ შრომაზე, პრობლემებზე, სიმწელებსა და ასე შემდეგ. ნუთუ ჩვენი ტყეები და იქ მომუშავე სპეციალისტების დიდი არმია, მისი ისტორიული ლეონოვის ცნობილი რომანის „რუსკი ლესის“ მსგავსად რაიმე მხატვრული ნაწარმოების დირსი არ არის?

არა, ჩვენ ტყეებს ბევრი თავდადებული, უანგარო, ერთგული მუშაეი ემსახურება. მათ კარგად ესმით ტყის ცხოვრების საჭირობოტო საკითხები. ამის დასადასტურებლად ერთ საგულისხმო ინტერვიუს მასალებს მოვიყვანო: ტყის დარგში მომუშავე რამდენიმე ახალგაზრდა სპეციალისტს მივმართეთ შემდეგი კითხვებით:

1. რატომ გადაწყვიტეთ გამხდარიყავით მეტყვევი?
2. რა პრობლემებია ყველაზე საჭირობოტო დღესდღეობით სატყეო მეურნეობაში?
3. რაა საჭირო ვაკეთდეს სატყეო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის?

ვიფრობთ, მათი პასუხები წინტერესოებია.

გიორგი გამცემლიძე — დუშეთის სატყეო მეურნეობის თვალის სატყეოს უფროსი.

1. დავიბადე და გავიზარდე მეტყევის ოჯახში. მამა და ბიძაჩემი მეტყევეები არიან. ხშირად დავუყვებოდი მათ ტყეში, ვუყურებდი ტყის მუშაკების შრომას და ჩემშიაღკ ჩაისახა სიყვარული და პატივისცემა ამ მართლაც კეთილშობილური დარგისადმი.

2. ტყეების ექსპლოატაციას სწორი ორგანიზაცია, საქართველოს ტყეებში მერქნით ყოველწლიური სარგებლობა უქანასწელი ათი წლის განმავლობაში მკვეთრად შემცირდა. ეს კი გამოწვეულია ტყეების არასახარბილო მდგომარეობით. წარსულში საქართველოს მთის ტყეების ექსპლოატაციის დროს, როდესაც მეღის მთავრობა არასაკმარის ყურადღებას აქცევდა ტყის მოვლა-პატრონობას, უმოწყალოდ ჩეხადუნენ და ანადგურებდნენ ტყეებს, რადგან უმთავრეს შემთხვევაში მაშინ ეწეოდნენ უსისტემო ჭრებს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ოცდაათიან წლებში ხაჭაბაველოს ტყეების ექსპლოატაციას დროულად შევებული იქნა სერიოზული ხასიათის შეკადრებები, კერძოდ, ტყეების ექსპლოატაცია მიმდინარეობდა ე.წ. უნებური ამორჩევითი ჭრების საშუალებით. ასეთმა ექსპლოატაციამ მკვეთრად გააუარესა ჩვენი ტყეების ხარისხობრივი მაჩვენებლები. ამ ფაქტორების გავლენით საქართველოს ტყეების ერთმა ნაწილმა დაკარგა ნიადაგდაცვითი და წყალდაცვითი თვისებები. აქედან გამომდინარე, სატყეო მეურნეობის ერთ-ერთ ძირითად პრობლემად და ამოცანად რჩება საექსპლოატაციო ვარჯის ტყის მასივების გონივრული ექსპლოატაცია და წარსულში დაშვებული შეცდომების ლიკვიდაცია. ერთ-ერთ პრობლემად კვლავ რჩება ტყის აღდგენითი სამუშაოების დროს მექანიზაცია.

3. ჩვენი ძირითადი და საბოლოო მიზანია ტყის კულტურების გადაყვანა ტყით დაფარული ფართობების კატეგორიაში. ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ მექანიზაციის ფართო გამოყენებით. ტყეებზე დარჩენილი ნარჩენები (ტოტები, ფოთლები, ნაფოტები და ნახეჩხები) ტექნოლოგიურად უნდა იქნას დამუშავებული, რათა სახალხო მეურნეობას მივცეთ ფართო მოხმარების ნედლეული, საჭიროა გაყვანილი იქნას კაბიტალური გზები, რაც მოგვეცემს საშუალებას დროულად და ვადაპირებით შესრულდეს ხე-ტყის რეალიზაციის გეგმა.

ამირან ტაბატაძე — საქართველოს სსრ სატყეო სახელმწიფო კომიტეტის შრო-

მის მეცნიერული ორგანიზაციის განყოფილების უფროსი.

1. დავიბადე და გავიზარდე ახალციხის ონის სოფელ საყუნეთში. ჩემი სოფელი ვაშლმომრტყუმულია მაღალი მთებით. სოფლიდან 8-10 კილომეტრზე ვიქვნარი, ნაძვნარი და ფოთლოვანი ტყეებია. ჩემთვის დიდი სიხარული იყო, როდესაც მიხდებოდა ტყეში წასვლა, ხშირად მამასთან, რომელიც წლების მანძილზე ხის მჭრელად მუშაობდა.

2. ტყის და ტყის რესურსების დაცვა. საქართველოს ტყეებს უდიდესი ზარალი მიაყენა 1955 წელს ბორჯომის ხეობაში გაჩენილმა მავნე მწერმა ნაძვის დიდმა ლაფანჯამიმ, რომელმაც მოიკვია საქართველოს თითქმის მთელი ნაძვნარი კორომები. ასევე დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს ტყეებს წარსულში უსისტემო ჭრებმა. სწორედ ზემოაღნიშნულებითაა გამოწვეული ის გარემოება, რომ ამჟამად საქართველოში 400 ათას ჰექტარზე მეტი ფართობი მეჩხერი კორომებითაა დაფარული, რაც მოითხოვს სატყეო სამეურნეო და აღდგენითი ღონისძიებების ჩატარებას და რაც ფართო მასშტაბით ხორციელდება. უქანასწელი ბერიოდში საგრძნობლად შემცირდა და კიდევაც უნდა შემცირდეს ტყის ბირდაპირი სარგებლობა.

3. ტყით სარგებლობას საქართველოში ზღუდავს სატყეო-სამეურნეო და ხე-ტყის საზიდი გზების ქსელის სიმცირე, რომელიც არ პასუხობს დღევანდელი მოთხოვნების დონეს. სახელმწიფო ტყის ფონდში 1 კვადრატულ კილომეტრზე მხოლოდ 0,3-3,4 კილომეტრი გზა მოდის, მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირში, საშუალოდ, იგი 1-1,5 კილომეტრს შეადგენს. ტექნიკის გამოყენების და, საერთოდ ტექნიკის დონე ძალზე დაბალია. ყოველგვარი ტექნიკური სახელე ძნელად იკვლევს გზას, რაც, ჩვენი აზრით, გამოწვეულია იმით, რომ მეურნეობებისა და წარმოებების ხელმძღვანელები ჯერ კიდევ ყურადღებას არ აქცევენ ახალი ტექნიკის მნიშვნელობას. მეურნეობები და წარმოებები არაა უზრტველყოფილი კვალიფიცირებული ინჟინერ-მექანიზატორთა კადრებით. ჩვენი საზოგადოების გარკვეულ ნაწილში ასეთი აზრი არსებობს, რომ ტყეებს, ბუნებას თითქოსდა არავითარი მოვლა და სამეურნეო ღონისძიებების ჩატარება არ ესაჭიროება, იგი თავისთავად, ჩვენგან დამოუკიდებლად ჩაითესება და გაიზარდება და თითქოს მეტყევე საექლოლის ტის აზრი და ფვალი ტყეში სამეურნეო ღონისძიებების ჩასატარებლად სჭარო ან არის. მაგრამ, ჩვენთვის განსაკუთრებით თანამედ-

თენგიზ შრუშაძე
ტყე — ჩემი საზრუნავი

როვე ტექნიკური პროგრესის პირობებში, ფასდაუდებელია ტყის სიკეთე, ამიტომ ყველას უნდა გვეყარდეს ჩვენი მწვანე მეგობარი, მოვუაროთ მას და დავიცვათ არაგონივრული ხელყოფისაგან, გვაღიძოროს და რაციონალურად გამოვიყენოთ მისი რესურსები.

მიხეილ მანველიძე — ქედის სატყეო მეურნეობის მერისის სატყეოს უფროსი.

1. როცა მეკითხებიან, რატომ ვარ პროფესიონალი მეტყევე, მაშინ გამახსენდება ჩემი მშობლიური მიწა-წყლის — სოფელ დანდალოს ბუნება, სადაც დავიბადე. სახლი, რომელშიც ჩვენი მრავალსულიანი ოჯახი ცხოვრობს (მამა 22 შვილითურთ), მღებარეობს სოფლის კიდელში, ტყის პირას. კარმიდამოს გავცდებოდით თუ არა, წიფლის, ცაცხვის, ნაძვის თუ ფიჭვის ნაირფეროვნება, სიგარულე და სურნელუნება ერთ აუწყურელ სიმშვიდეს და ხალისს მანიჭებდა. რა ვინდა, რომ აქ არ იყოს — სოკო, წიწიბო, ზღმარტლი, მოცივი, მავალი, აქა-იქ ხახხასა მწვანე მალახის ხალიჩა კორდები და მეტი რა უნდა ბავშვს; და ეს განა ერთი და ორი დღე ან წელიწადი? მთელი ჩემი ცხოვრების გზაზე — 30 წლის მანძილზე ასეთ ბუნებაში მითენდება თბილი ზაფხული და გრილი გაზაფხული, ჩემი მეტყევედ ჩამოყალიბებას ვუმადლი მამაჩემს. ის ხომ 30 წელი, სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე თვალსაჩინო მეტყევე იყო უფროსი ძმაც მეტყევეა, მას ამ დარგში მინიჭებული აქვს სამეცნიერო ხარისხი. მეტყევეა მძისწულიც, ასე, რომ ჩვენ ოჯახს ნამდვილი მეტყევეთა დინასტიის სახელი აქვს.

2. ყველაზე გულსაკლავი და დამაფიქრებელი დღესაა ზოგადად მეტისმეტად დაბალი ცოდნა ჩვენში ტყის მრეწველობის შეწინააღმდეგებით, მთიან აჭარაში ყოველ იმ წელიწადში მეორდება დიდი თოვლი გამეჩხვრებულ ტყე ვეღარ აკავებს თოვლს. ამას არაერთხელ ჩემს თვალწინ მოპოვდებოდა ზეფაგები იდამიანის, პირუტყვის, საცხოვრებელი ბინების წალეკვა და სხვა. მე მიმანია, რომ აჭარაში, ამ მაღალ მთიან მხარეში, დიდი დაქანების ფერდობებზე უნდა აღდგეს იდამიანის ხელით დაღუპული ტყე.

3. ნამდვილად დადგა დრო, უფრო მეტი ყურადღება მიექცეს ძვირფასი და სწრაფმოზარდი, ისეთი განახლებული ჯიშების წარმოებას, როგორცაა: წაბლი, მუხა, უთხოვარი, კაკალი, ცაცხვი, თელა და სხვა. მათ ისევე უნდა ვაშენებდეთ და ვვუვლიდეთ, როგორც კარგი მეურნე მოუვლის ვაზს, ხალის ბაღს. თუკი კარგად ვიცით ტყის მნიშვნელობა, მას ისეთივე მოვლა უნდა, როგორც შვილი.

ნიკო ოღრაპიშვილი — თბილისის სატყეო ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი.

1. მხოლოდ გადმოცემით შეუძლებელია

იგარძო ტყის დიდებულება და იღუმალეობა, დინახო მისი მშვენიერება. მერტყე ტყეებზე ტილისას შეიძლება აღმოჩინდეს ბუნების სილამაზა, რასაც ტყე ჰქვია. ბევრგობიდაავე ტყისთან ვიყავი დაკავშირებული. ჩემი სოფელი ხაშში, რომელიც მდინარე იორის მარცხენა ნაპირზე მღებარეობს, ტყიდან არც აუ ისე შორსაა, თითქმის ყოველ დღე მიხდებოდა ტყეში ყოფნა. ხშირად დამეც გაიფიქვია, და ამ დროს ისეთი გრძობაა შექონდა ხოლმე, მეც ტყის ნაწილი ვიყავი თითქოს. ასე დამეგობრდით მე და ტყე და როცა საშუალო სკოლა დავამთავრე, თავისთავად მოვიდა არჩევანი — მეტყევე გამეხდარეყავი.


2. სატყეო დარგში ძირითად პრობლემად მიმაჩნია: ტყეების დაცვა, მათი მოვლა — აღწარმოება და სწორი ექსპლოატაცია. ჩვენს ტყეში სწორი ექსპლოატაციის წარმოება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია, ვინაიდან მრავალი მაგალითი მოვევსოვებოდა არასწორი ექსპლოატაციის გამოუსწორებელი შედეგებისა.

დღესათვის ტყეყავებზე, სხვადასხვა მიზეზების გამო, ჯერ კიდევ დიდი რაოდენობით მერქანს ვტოვებთ, რომელიც საუკეთესო ნედლეულს წარმოადგენს ფართო მოხმარების საამქროებისათვის. იგილოთ, მაგალითად ფსესუს (აფხაზეთი) ხელუხლებელი, ბუნებრივი წიფლნარი. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში აქ მიმდინარეობს ტყეების ექსპლოატაცია, იჭრება ერთ-ერთი ძვირფასი ჯიშის — წიფელი, რომლის მერქანზე მეტად ვაზრდილი მოთხოვნილებაა, როგორც ჩვენში ისე საზღვარგარეთ და სწორედ ამ მერქნის დიდი ნაწილი სხვადასხვა მიზეზებით ტყეყავებზე რჩება დასალპობად.

3. ჩვენი ტყეების შენარჩუნების მისი ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების გაზრდისათვის მნიშვნელოვანია: მაღალკვალიფიკური სპეციალისტების მოახალდებება მათი სწორი განაწილება. მეცნიერებაში მიღწეული ყოველი სიახლის პრაქტიკაში დანერგვა, რისთვისაც ვადაამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება წარმოებასთან მჭიდრო ტყეში, ახალი მანქანა-იარაღების შექმნას, არსებულის წარმოებაში დანერგვას და ბოლოს, საქმისადმი გულთან და პრინციპულ მიდგომას.

ჯანგი დვისიძე — სათათლის ხელმწიფო ნაკრძალის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

1. მეცნარეს ვუყურებდი და ახლაც ვუყურებ როგორც იგივე ცოცხალ არსებას, რომელიც ბუნებას ერთ ადგილზე მუჟაქვავს. ერთხელ მაამჩემდა, სახნავი ფართობის გაზრდის მიზნით, ეზოში მღგარი კაკლის ხის მოთხრა განიზრახა, მე ერთი ამბავი ავტყევე მოცვივდენი მეზობლები და მტირალი მომაშორეს



ქაურობას. ახლაც თვალწინ მიდგას ფენებ-
დაპირილი, ამოყიარებული კაკლის ხე. ახლაც,
როცა ვიცი, ეს თუ ის ტოტი აუცილებლად
უნდა მოიჭრას, მაინც ვეძებ გამოსავალს, რომ
როგორღე გადავარჩინო. სიტყვა „მეტყვეე“
ჩემს სოფელში არა თუ მაშინ, ახლაც ბევრმა
არ იცის რას ნიშნავს. მე კი თავიდანვე მიმი-
ჯიდა ამ სიტყვამ — თითქოს რასაც ვეძებდი
ვიპოვეო.

2. ტყეების შთამომავლობისათვის შენახვა—
ყველაზე საჭირობორტო საკითხია. ჩვენ ძალ-
იან ბევრს ვლპარაკობთ ბუნებისა და ტყის
დაცვაზე, უმარავ ჭაღალდს ვხარჯავთ მის და-
საცავად დაწერილი წერილებით, მაგრამ სა-
ჭიბით კი ძალიან ცოტას ან სულ არაფერს ვაკე-
თებთ. მაგალითისათვის შორს წასვლა არ
დევკვირდება: სოფ. გეგუთში, იქ სადაც ცნო-
ბილი სამეფო ციხე-დარბაზია, ოდითანვე სა-
ნადირო სავარგულები იყო. ვადმოცემა ამბობს.
რომ გეგუთიდან, რომელიც ქუთაისს სულ
10 კილომეტრითაა მოშორებული, ქუთაისში
ჩასასვლელად საჭირო იყო მივლი ერთი
დღეო, რადგან გზაზე უხარმზარი ძელქვისა
და რცხილის ტყეები ყოფილა, რომელთაც
გარს უვლიდაო ბილიკი. დღეს კი ადგილებს
სავალაოს ეძახიან, რადგან ზენა ქარი და-
ნავარდობს დღენიდაც უტყეობის გამო და
ნიადევი მუდამ გამოშრალია.

ნაკრძალები, რომლებიც ბუნებრივ ლაბო-
რატორებს წარმოადგენენ, უშუალოდ დაც-
ვით ღონისძიებებს ახორციელებენ. ადგილებ-
ზე ჩატარებული კვლევის შედეგები ხშირად
ჭაღალდზე რჩება და მხარდაჭერას ვერ პოუ-
ლობს ისე კი ფუჭი გამოდის კვლევაზე დახა-
რებულ ათასებში. ნაკრძალს, როგორც თეირს,
ისე კი არ უნდა ვეფარებოდეთ, მას უნდა
ჰქონდეს პრობლემის როგორც დასმის, ისე გა-
დაწყვეტის ფუნქცია-მოვალეობა.

3. სანაქრძალო საქმის შემდგომი განვითა-
რებისათვის საჭიროა პირველ რიგში მისი მო-
ქნილი ხელმძღვანელობა, რამდენადაც შეიძ-
ლება დროის შემეცირება საკითხის დასმასა და
გადაწყვეტას შორის, თორემ ბუნების უნიკა-
ლური მკვდარი ძეგლის — სათაფლიის ნაკრ-
ძალის კეთილმოწყობის საკითხი უკვე ორი
ათეული წელია დასმულია. დინოზავრის კვა-
ლი აქ თანდათან იშლება და თუ ასე ვაგრ-
ძელდა, არა თუ ჩვენს შვილიშვილებს, ჩვენს
შვილებსაც კი არ ექნებათ მათი ხილვის ბედ-
ნიერება.

ნაკრძალში მუშაობა უფრო ენთუზიას-
ტის მუშაობას წააგავს, ვიდრე მატერიალურ-
ოდ დაინტერესებული პირისას. იქ კი ზოგჯერ
გვხვდებიან ანგარებიანი ადამიანები, რომლე-
ბიც ბოროტად სარგებლობენ ნაკრძალის მუ-
შაის საპატიო სახელით. საჭიროა ასეთი ადა-
მიანების ნაკრძალისაგან მოკვეთა.

ამჟამად ნაკრძალებსა და სატყეო ინსტიტუტს
შორის მკვიდრო კონტაქტია დამკვიდრული, კი-
გრამ სასურველია, კიდევ უფრო განვითარდეს
იგი. მაგალითად, კარგი იქნებოდა, თუ საყ-
რძალებსა და სამონადირეო მეურნეობის სამ-
მართველო წელიწადში ორჯერ თუ არა ერთ-
ხელ მაინც მოაწყობდა სატყეო ინსტიტუტთან
გაერთიანებულ სამეცნიერო საბჭოს, სადაც
მოსმენილი იქნებოდა ნაკრძალებში მომუშავე
მეცნიერი მუშაკების წლის განმავლობაში ჩა-
ტარებული მუშაობის შედეგები და დაისახე-
ბოდა ამა თუ იმ პრობლემის გადაწყვეტის
გზები. ეს კი უფრო აამბლდებდა კვლევის ხა-
რისხს, რაც სამწუხაროდ, ზოგჯერ დაბალ დო-
ნეზეა შესრულებული.

ბესიკ ლობჯანიძე — საქართველოს
სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო-
სამეურნეო ფაკულტეტის 1 კურსის სტუდენტი

1. მახსოვს არც თუ ისე დიდი ხნის წინათ,
საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტე-
რატურის მასწავლებელმა დაგვაწერინა საყო-
ნტროლო წერა თავისუფალ თემაზე: „ჩემი
მომავალი პროფესია“. ზაფხულის არდადეგე-
ბიდან მაშინ ახალი დაბრუნებულ ვიყავი და
ჯერ კიდევ არ განელმებულიყო ზაფხულის
შთაბეჭდილებები. ზაფხულში კი ვახლდა მა-
მას, რომელიც სატყეო ინსტიტუტის ერთ-ერთ
სამეცნიერო ექსპედიციას ხელმძღვანელო-
ბდა ბორჯომის ხეობაში. ამიტომ დაწერულე-
ბით აღეწერე ბორჯომის ხეობას განუწყოფე-
ბელი სიღამაზე, მისი ტყეების სიკეთე და გა-
საჭირო, ბოლოს კი, თუმცა მთლად არ ვიყავი
დარწმუნებული ჩემს გადაწყვეტილებაში, აღ-
ენიშნე, მსურს ვაგვეე მაშის ნაკვალევს და
მეც მეტყვეე-ინჟინერო გამოვიდე-მეთქი. მას
შემდეგ კიდევ რამდენჯერმე ვიყავი სამეცნიე-
რო ექსპედიციების „შტატგარეშე“ მოწაწილე.
მთელი არსებით შემევიყარადა საქართველოს
„სავანები“, შირაქ-ელდარის ნახევრად უდაბ-
ნოები და ალაზნის ქალები, ბორჯომის ხეობის
ულამაზესი წიწვნარი ტყეები და ზამთარ-ზაფ-
ხულ პალმებითა და ციტრუსებით ამწვანებუ-
ლი შავიზღვისპირეთის სუბტროპიკები, ბჟე-
ვინთის უნიკალური ტყვიი და ავადხარის
ზვიადი მთები, ზაფხულშიც რომ ყინულის
ვეირვევის ატარებენ. დიახ, შემევიყარა და გა-
დაწყვეტიე გავმხდარაყავი ბუნების მსახური,
ღრმად ჩაეწვდომოდი მენეი ფაუნისა და
ფლორის რთულ ბიოლოგიას, მის საიდუმ-
ლოებას. წელს დაგამთავრე საშუალო სკოლა
და სანუკვარ მიზანსაც მივალწეე, გავხდი სა-
ქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუ-
ტის სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტის პირ-
ველკურსელო.

თენგიზ ურუშაძე
ტყე — ჩემი საზრუნავი

2. მე, როგორც პირველკურსელი, ვერ ვილაპარაკებ სატყეო მეურნეობის პრობლემებზე და პერსპექტივებზე, საამისოდ არც იალა შემწევს და არც ცოდნა. მაგრამ, როგორც მაქვს წარმოდგენილი, უფლებას მივცემ ჩემს თავს და ორიოდ სიტყვით აღვნიშნავ, რომ პირველ რიგში საჭიროა ჩვენი ფაუნისა და ფლორის ფუნდამენტური შესწავლა, დაცვა და რაციონალური გამოყენება. — „ტყე ბუნების გვირგვინია“ — ამბობენ ძველი მეტყევეები, გვირგვინს კი, მოგვესენებათ, გაფრთხილება და თვალისჩინივით მოვლა-პატრონობა სჭირდება.

ჩვენ ვთხოვეთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სატყეო კომიტეტის თავმჯდომარეს, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატს შოთა ჭალაგანიძეს და ამავე კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს, სოფლის მეურნეობის მეცნიერების დოქტორს ვიორგი გიგაურს კომენტარი გაეკეთებინათ ამ პასუხებისათვის. აი რა თქვეს მათ:

შ. ჭალაგანიძე: „კითხულობ ამ პასუხებს და რწმუნდები, რომ ჩვენ დარგში სწავლობს და მოღვაწეობს შესანიშნავი ახალგაზრდობა. ისინი შეუვარებულნი არიან თავის საქმეში და კარგად ესმით ყველა საჭირობო-ტო საკითხი და მათი გადალახვის გზები. კითხულობ და რწმუნდები, რომ მათთან ერთად

ნებისმიერი ზღუდეების გადალახვა შესაძლებელია“

გ. გიგაური: „სატყეო მეურნეობის დარგის მუშაკების წინაშე მართლაც რომ მრავალი საჭირობო საკითხი დგას. საჭიროა ამაღლდეს და დაიხვეწოს ტყის ექსპლოატაციის დონე და ხარისხი, მაქსიმალურად და რაციონალურად იქნეს გამოყენებული მოჭრილი მერქანი, საჭიროა გაფართოვდეს საგზაო მშენებლობა აუცილებლად კაპიტალური გზების მოწყობით, ამაღლდეს სატყეო საკულტურო სამუშაოების დონე და ზოგიერთი სხვა. ერთი რამ ნათელია, რომ სატყეო მეურნეობის დარგში მომუშავე პრაქტიკოსების და მეცნიერების მუარი კავშირით შესაძლებელია ყველა მიზნის მიღწევა, და უახლოეს წლებში ჩვენს დარგი ერთ-ერთ მოწინავე დარგად გადაიქცევა. ამის მიღწევა მხოლოდ და მხოლოდ დაძაბული შრომითაა შესაძლებელი და არა „ევიპატრიოტების“ „დანაშაულებით“, რომლებიც ამ ბოლო დროს ძალიან მომრავლდნენ ჩვენი ტყეების ირგვლივ.“

თოვლსა და წვიმაში, სიციხესა და სიცივეში, წლის ნებისმიერ დროს, ყოველ დღე დადის, შრომობს და უვლის ჩვენს ტყეებს მეტყევეების დიდი არმია. მათ სიყვარული და საქმიანი მხარდაჭერა სჭირდება, რადგანაც ტყე — ჩვენი საზრუნავია.





50
თამაზ
ჩხენკელი
50



მონოლოგი თამაზ ჩხენკელზე

— მე არასოდეს არ დავბერდები! — მითხრა თამაზ ჩხენკელმა ერთხელ, ცოტა აღშფოთებულმა სიბერეზე, აღვზნებულმა და შეშინებულმაც. ჩვენს წინ წელში მოღუნული მოხუცი ძლივს გადადიოდა ქუჩაზე... თამაზს იმ წუთში მართლაც სძულდა სიბერე და ებრალებოდა ის მოხუცი, რომლისთვისაც სიბერე ტანჯვად ქცეულიყო.


ეს წამოძახილი დიდხანს მახსოვდა... საერთოდ უყვარს მას წამოძახილება, არტისტული ექსტი, პათოსი, ჭაბუკური ხალისი, იმდენად ჭაბუკური, რომ ზოგჯერ შეიძლება მართლა დაიჯერო, ეს კაცი არასოდეს დაბერდებაო...

მაგრამ 50 წელი მოსულა, თამაზ ჩხენკელს უკვე ნახევარ საუკუნეს ვულოცავთ!

დიახ, მისი სტიქიაა საუბრის არტისტულობა. დიალოგს ძნელად თუ შესთავაზებ, ის მონოლოგის ოსტატია. მონოლოგის დროს ანტიკური ტრადიციის გმირსა ჰვავს, თეატრონზე გადმომდგარს, — მღელვარება დუღს, ასპარეზი ვიწროვდება და „გმირიც“ ხან „ღმერთებს“ უხმობს, ხან ცან შესთხოვს შევლას...

მახსოვს, ერთი ამგვარი მონოლოგისას, შუალამე ვადასული იქნებოდა, ქუჩაში თავზე მილიციელი წამოგვადგა და დაინტერესდა, რატომ ვჩხუბობდით, რატომ ვუფრთხობდით ქალაქს ძილს. მაშინ მე, ყოველად არათავმდაბლურად, გავანდე მილიციელს, რომ ეს კაცი, შუალამისას ქალაქს რომ ძილს უფრთხობს, ძველთაძველი ინდური საგალობლების, აღმოსავლური პოეზიისა და სხვათადასხვათა ქართულად მთარგმნელია. მილიციელი გაგებული ბიჭი აღმოჩნდა და მაშინვე რაღაც მორიდება და ცნობისწადილი ჩაუდგა თვალეში...

ეს იყო კარგა ხნის წინათ, ჭაბუკობის ეამს...




ახლა კი წინ მიდევს თამაზ ჩხენკელის წიგნები: ბო ძიუ-ი — „ლირიკა“, თავორი — „გიტანჯალი“, მონოგრაფია — „თავორი“ „ბჰავავატტიკა“, „კალმისა-ლური ლირიკა“, დანტე — „ახალი ცხოვრება“, (თარგმნილი ბაჩხაზაძისაგან) (ძესთან ერთად), წერილების ორი კრებული, უოლტ უიტმენი — ლექსები, თავორი — „ბენგალია“, „ინდური საგალობლები“, პუშკინი — „მცირე ტრაგედიები“, კრებული — ახალი ინდოეთის მოაზროვნეები, დაბოლოს — „ტრაგიკული ნიღბები“ და „ოდისეა“ (თარგმნილი ზურაბ კიკნაძესთან ერთად).

ოდესმე რომ გამოიცეს ზემოთ ჩამოთვლილი თარგმანების „რჩეული“, ამ გამოცემას ექნება პოლიფონიური სახე: მასში თავს მოიყრის სხვადასხვა ეპოქის, სტილისა და შემოქმედებითი ინდივიდუალობის ავტორი, შეიძინევა მრავალი შენაკადი, თავისთავადი, თითქოსდა ერთმანეთთან დაუკავშირებელი მოტივი, მაგრამ წიგნს მინც ექნება ერთიანი, დასრულებული ქმნილების სახე, წიგნის მრავალი შენაკადი, ურთიერთისაგან ესოდენ განსხვავებული, ერთი დიდი ზეამოცანის გასხნისაკენ იქნება მიმართული. ამ წიგნის მთავარი პერსონაჟი უხილავი დარჩება (ამგვარია მთარგმნელის ხვედრი, თუმცა იგი მეტოქედ უთქვამთ ავტორისა), მაგრამ მისი შემოქმედებითი სტიქია წარმართავს ყველაფერს, რათა სხვადასხვა ხალხის პოეტები ქართულ შემოქმედებითს გენიას. ქართულ სულს დაუმორჩილოს, რათა ქართულ სიტყვაში გააცხადოს სხვათა ენაზე შექმნილი მხატვრული სინამდვილე.

ეს უხილავობა მთარგმნელისა, ეს გაორება შემოქმედებითი წვისა, უმძიმესი ტვირთი და ამ ტვირთის ზიდვაც — რჩეულთა ხვედრია, იმათი ხვედრი. ვისაც ძალუძს სხვათა შემოქმედებითი აქტის უზოვადეს, ზოგჯერ თვალთუხილავ ფორმებში გარკვევა, შემდეგ კი სახიერი, ცოცხალი ლიტერატურული სინამდვილის შექმნა მშობლიურ ენაზე.

თამაზ ჩხენკელს არასოდეს უთარგმნია შემთხვევითი რამ, ან შემთხვევით გარემოებათა გამო. რასაც თარგმნის, ჯერ თავად უნდა აღიაროს ლიტერატურულ მოვლენად, მის საკუთარ შემოქმედებითს კრედოს და მოქალაქეობრივ მრწამსს ბუნებრივად უნდა მოერგოს, დაბოლოს (ამ გარემოებას იგი გადაამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს). უნდა ირწმუნოს, რომ საღდაც, წლების წინათ შექმნილი ლიტერატურული ქმნილება სკირდება ჩვენს ერს, რომ ამ ნაწარმოების თარგმნა ისევე აუცილებელია ქართველი მკითხველის სულიერი განწყობის, ესთეტიკური გემოვნების ამაღლების. დიდ საკაცობრიო კულტურებთან ზიარებისა და თუ გნებავთ, მათთან მეტოქეობისთვისაც, როგორც რაიმე მშობლიურის შექმნა... ამ რწმენის მერე მთარგმნელი მზადაა უშურველად ვასცეს ყველაფერი, თავი მისცეს ნამდვილ შემოქმედებითს წვას... ამის შემდეგ მთარგმნი ნაწარმოები, ვისიც არ უნდა იყოს და რა ფორმისაც არ უნდა იყოს, მთარგმნელის „საკუთრება“ ხდება, იგი ახლად იქმნება (ვგულისხმობთ დედნი-სადნი უაღრესად დარბაისლურ პატივისცემას), იქმნება ქართული ნაწარმოები, ქართული თარგმანი.

მე არ ვიცი, რატომ უნდა ვადმოვიტანოთ ბერძნულიდან სიტყვა-სიტყვით „ორფსკერიანი სასმისი“, როცა გვაქვს იდეალური შესატყვისი „ორძირიანი ბარძიმი“ და საერთოდ, არ გვეშინია გაქართულებისა... — ჩვეული ალგზნებით ამბობდა იგი, როცა ზურაბ კიკნაძესთან ერთად „ოდისეას“ თარგმანს შეუდგა. ის დღეები, თვეები და წლები თამაზ ჩხენკელი მხოლოდ „ოდისეათი“ ცოცხლობდა. ეს წიგნი უკვე მკითხველის საკუთრებაა და ლიტერატურული კრიტიკისგანაც აღიარებული და დაფასებული. ჩემთვის „ოდისეას“ ქართული თარგმანი დიდი ენობრივი ფენომენია უპირატესად. აქ მთარგმნელებმა კიდევ ერთხელ გააცხადეს (და ეს არის ყოველი დროის ქეშმარიტი მწერლის ერთა



უმთავრესი მოვალეობა) ქართული ენის ამოუწურავი სიღრმე, სიბრძნე და სი-
ნატიფე.

„ტრაგიკულ ნიღბებში“ თითქოს კოსმიური ზესკნელიდან გადმოიხნდა ვა-
ჟან. ამ მეცნიერული გამოკვლევის იერით შექმნილ წიგნში მაინც ავტორის
ელვარე პოეტურმა ნიჭმა გამოაშუქა. ყოველი თავი ამ წიგნისა პოეტური ექს-
ტაზით თრთის. თამაზ ჩხენკელი გელაბარაკება დიდ ვაჟაზე არტისტულად,
მძაფრი გახელებით, ამბღლებული პათოსით, შემოქმედის სულის ფარულ სი-
ღრმეთა მოხილვის ვნებით... მე არ ვიცი, რას ფიქრობენ „ტრაგიკულ ნიღბებ-
ზე“ ვაჟას მკვლევარები, არც ის ვიცი; რამდენად „მოხერხებულად მოერგო“
თამაზ ჩხენკელის ნაზარევი ვაჟას პიროვნებისა და შემოქმედების ტრადიციულ
გაგებას, მაგრამ ის კი მჯერა, რომ ამ წიგნით მისმა ავტორმა პირველთაგანმა
გაბედა ვაჟას ახლებური წაიკითხვა, საკუთარი გულით განცდა, ვაჟას სიღრმე-
ზე საკუთარი სხივის მიშუქება.

პირველი ლექსების გამოქვეყნების შემდეგ (ეს იყო უნივერსიტეტის წლებ-
ში) ოცდაათი წელიც არ გასულა, თამაზ ჩხენკელმა კი ამდენის გაკეთება მოა-
სწრო, ამას თავმიცემული შრომა, რუდუნება და ძალისხმევა სჭირდებოდა. და
მართლაც თამაზ ჩხენკელის შრომა მუდამ ძალისხმევას ჰგავს. ვიდრე საქმეს
დაიწყებდეს, მარტობას მიეცემა. მისთვის „მარტობა ძალთა აღდგენისა და
განკურნების პერიოდია“. მას სჯერა, რომ „ქეშმარიტი მარტობა დანარჩენი
კაცობრიობის ანგარიშში ჩაუგდებლობა კი არაა, არამედ აღამიანურ გრძნობათა
დახვეწა. ქეშმარიტი მარტობა ნამდვილი ურთიერთობებისა და სოლიდარო-
ბის ძიებაა“. და როცა, განკურნებული და განწმენდილი, საქმეს დაადგება,
მას ამქვეყნად აღარაფერი ახსოვს, ან უფრო სწორად — არ უნდა ახსოვდეს. ახ-
ლობლებს განრიდებული, წვერმოშვებული და თვალბანებული სენაკში და-
ყუდებულ ბერსა გავს — სწავლულთა და ფილოსოფოსთა მთარგმნელს და გა-
დამწერს.

როცა ვმუშაობ, თავი მაშინ მგონია აღამიანო, — მითხრა ერთხელ. მაგ-
რამ ეს აღამიანი მაშინაც უნდა ნახოთ, როცა მუშაობას მორჩება, გარეთ გა-
მოვა, ერთ ბოთლ საფერავს მოინატრებს და წყალგარეულ რქაწითელს (ძვე-
ლი ბერძნული ხომ ასე სვამდნენ!), რათა უფრო აღზნებით მიეცეს საკუთარ
სტიქიას — მონოლოგს!

თამაზ ჩხენკელის მონოლოგები არასოდეს გადადის მისი მთავარი თემა-
დან, ცხოვრების მთავარი აზრიდან — ლიტერატურიდან. მისი საუბარი, ფიქ-
რი, აზროვნება და ყოფაც კი, ყოველთვის ლიტერატურულია. ლიტერატურულ
ცხოვრებას მაშინაც ვერსად გაექცევა, როცა თავისი „სენაკიდან“ სუფთა ცან-
ქვეშ გამოდის... იწყება მშობლიურ მთებში, ტყე-ღრეში, სოფლებსა და ძვე-
ლი ტაძრების შემოგარენში ხეტიალი. ერთ-ორ მეგობართან ერთად გზას და-
ადგება და მისი მონოლოგების თემაც უფრო ფართოვდება, ყოვლისშომცვე-
ლი ხდება. „ლიტერატურული მონოლოგები“ ახალი პლასტებით ღრმავდება,
შემოიჭრება ძველი ტაძრის ჩუქურთმის ნატეხის იღუმალემა და შემოდგო-
მის ყვითელი ფოთლების სეგდა...

მაგრამ თუ გზაზე დამდგარ მოგზაურთა ბილიკი მცირედ გადაუხვევს და
„უფსკრულის“ თავზე მოექცევა, მონოლოგის ავტორი ერთბაშად იჯუთქებს,
იმ წუთში აღარ ჰგავს გარეგნული სიღრმით შემოსილ გმირს, იმ წუთში ავი წი-
ნათგრძნობით შეპყრობილი ქორთა, რომელიც მოსთქვამს და გიმტკიცებს, რომ
ამგვარ შემადრწუნებელ ადგილებში ხეტიალი ამო ფატალიზმია, რომ ახლა
მისი სიკვდილი არ შეიძლება, უაზრობაა! — დასამთავრებელი აქვთ „ოდისეა“. მუ-
შაობას იწყებს ახალ წიგნზე, რომლის ჩანაფიქრსაც დიხახაც არავის ვაან-



დობს... ქორო მოსთქვამს და თან სევდით შენატრის ზურაბ კიკნაძეს, რომელიც მართლა ჭკვიანია, ახლა ამ კლდე-ღრეების ნაცვლად მშვიდდის ხის ხის და შუამდინარეთის მითოსს იკვლევს...

ბოლოს ჭაბუკური თავმოყვარეობა და სიამაყე მაინც სძლევს შიშს, ბილიკს თვალდაბრუნებული გადაღის და ყველაფერი კალაპოტში ექცევა, გაწყვეტილი მონოლოგი გრძელდება...

ორმოცდაათი წლის ზღურბლთან მან თქვა: არ მჯერაო. მაგრამ კარგად უწყის, რომ სიჭარბავე მოსულა. სიბერეს კი კარს მაინც დიდხანს არ გაუღებს, თუმცადა იცის, რომ ყველაფერი, რაც მოსასვლელია, უნდა მოვიდეს და, ბოლოსდაბოლოს (ეს იქნება წლების იქით, დიდი ხნის მერე), კარიც გაიღება. მაშინ კი თამაზ ჩხენკელი, ბუნებით არცთუ პესიმისტი, საკუთარ თავსა და სხვებსაც დააჯერებს, რომ სიბერესაც ჰქონია რაღაც იმგვარი სიღიადე, რასაც კაცი სიჭაბუკესა და სიჭარბაგეში ვერ მისწვდება, რომ სიბერეში ეპოულობთ ცხოვრებისა და სიცოცხლის სრულიად ახალ აზრს.

ამ დღიად რწმენით თამაზ ჩხენკელის სიბერეც ნათელმოსილი იქნება.

თამაზ ბიბილური



წერილები

პირობი მარკაველაშვილი

ახალი ტის ქვეშ

(ოთარ პილაძის კორტაბტისამის)

თოვლის მოსვლამდე კი, ამ ორ ლექსს შუა მწარე და მიძიმე მოლოდინის ეამს, აშკარა და მტკიცე, მაგრამ მაინც „უკეთეს დღეების“ მოიხედე იყო იმის შეგნება, რომ —

აღმათ ასეა ცხოვრების წესი,
მკაცრი სიმართლით პირამდე ხავსე,
და ამ სიმართლით ივსება ლექსიც,
რომ ხვალ შეხივით დამატყდეს თავზე.

მაგრამ ჭერ უნდა მოვიდეს თოვლი
და გაღმოდინოს თეთრი აფრები
და შენი ნაწი სხეულის ორთოვლით
ათრთოვლდეს თოვლიც და ყველაფერი.

თოვლისა და ქალის ეს ერთსახეობა (ან, თუ გნებავთ, ორსახეობა პოეტის განცდა-განწყობილებიან) ვასდევს და მსჭვალავს ოთარ პილაძის უფრო გვიანდელ ლექსებსაც — ამ 1963 წლის გავლით — სამოცდაათიან წლებამდე, (ვიღრე 1962 წლით დათარიღებულ „სექტემბერში“ პირველად ამოსული „მზე“ არ დაიმკვიდრებს თავის კუთვნილ ადგილს პოეტის გვიანდელ ლირიკაში. გარკვეულ სულაერ და პოეტურ, ემოციურ თუ სახეობრივ კანონზომიერებას დამორჩილებული წელიწადის სხვადასხვა დროთა ეს მონაცვლეობა თავისებურ მეტაფორულ სიუჟეტსაც კი ქმნის ოთარ პილაძის ლირიკაში). აი, თუნდაც, უკვე 1966 წელს გაილეგებს კიდევ ერთხელ ეს პარალელი, რათა შეგვახსენოს თოვლისა და ქალის ერთსახეობა:

პირველი ნაწილის დასასრული, დასაწყისი
ობ. „ცისკარი“, № 11.

ქალი ტიროდა, გარეთ კი თოვლა
და გროვდებოდა თოვლი რაფაზე,
და ქალთან რაღაც ხაერთო მქონდა
ზამთრის სიმკაცრეს და სიკაპახეს.

შემფოთებული იყვნენ ხავნებიც,
ან თოვლის შუქზე მოჩანდნენ ასე
და, რა თქმა უნდა, ჩვენზე ნაკლებად
იტანჯებოდნენ ტირილის ხმაზე.

ის კი ტიროდა და პირქვე იწვა:
სურდა ტირილით თავი გაერთო,
და უკვე თოვლით დაფარულ მიწას
იმ ქალთან რაღაც მქონდა ხაერთო..

ამავე წლის ერთ ლექსში კი ზამთრისა და ყინვის სურათი კიდევ ერთი მოულოდნელი მნიშვნელობით იტვირთება, *ან უფრო სწორად, ამეღვენებს ერთ თავის მალულ, თუმცა იმთავითვე ნაგულისხმევ იპოსტასს — თოვლიანი ზამთარი აქ უკვე მხოლოდ ქალს კი არა, შემოქმედებითი აქტის ილუმინებას ეწყველება, რაც თავისებურ ნათელსა ჰფენს თოვლისა და ზამთრის ხატისადმი პოეტის მუდმივ და ურყევ ერთგულებას:

უკვე ყველანი ვუცდილით ზამთარს:
ფოთლები გაქრნენ, ხოლო ჩიტებმა
კვლავ ვადალახეს მისჩილი ცხრა მთა,
ბუნების გულის დასამშვიდებლად.

ყველანი ცქერად იყვნენ ქცეულნი,
თითქოს შეცვლიდა რამეს ზამთარი,
ან თითქოს მისი მიძიმე სხეული
არ იყო ჩვენი გადასატანი.



მეც იქ ვიყავი, მაგრამ ვერაფრით ვერ მოვუნახე აზრი მოლოდინს, თუმცა ყველაზე მეტად ვდელავდი და შეთქმულივით ვლუმბდი ბილომდის.

ხოლო სათქმელი, ცხოველის მსგავსად, ბორგავდა სულში და მოითხოვდა გამომუდგენებას და ხალხში გასვლას, ანუ ყინვაში გასვლას სითბოდან.

... მერე კი დადგა აღთქმული წამი, ყველასგან უკვე ბეგრჯერ ხილული: ძლივს აითრია ფეხები დამემ და აბრჭყვიალდა მზეზე ყინული.

როგორც ვხედავთ, ზამთრის მოლოდინი აქ ლექსის დაბადების მოლოდინია (როგორც თავის დროზე ტიციანისათვის მეწყერი იყო ლექსის სათავე), ხოლო სათქმელის გამომუდგენება და ხალხში გასვლა — სითბოდან ყინვაში გასვლასთან არის გატოლებული. შემთხვევითი როდი იყო, რომ პოეზიის ბედისა და დანიშნულების, მისი განწირული სულისკვეთების ასეთ დრამატულ და იქნებ ტრაგიკულ ასპექტში გააზრებისას, პოეტმა თვით პუშკინის დუელის ადგილის გამჭრიახი განწყობა კვლავ თოვლის ხატს დაუკავშირა: „ახლანა შეწყდა სროლის ხმა თითქმის, გალურჯებულა სივრცე წყლულივით და ჩანოქილი პოეტის ლანდი მიწას ყვრდნობა დამბახის ლულით. უცებ სცენაზე შემოდის თოვლი, რომ უფრო სრული იყოს სურათი. და გვივარდება ფეხებში უხმოდ, რომ უფრო მკვეთრად გამოჩნდეს სისხლი, ახლაც რომ მკვერდით ასკდება სივრცეს, როგორც წითელი ცხენების ჯოგი, თავლიდან ცეცხლით გამოდევნილი. მოარბენინებს ვიღაცა ღრუბელს და სისხლს ვიღაცა თოვლს აყრას ფეხით. და დაგრძელებულ სხეულებს შორის ფუსფუსებს ქარი, როგორც მსახური“...

ბუშკინი და თოვლი. გალაკტიონი და თოვლი. ბლოკი და თოვლი. ბორის პასტერნაკი და თოვლი. სიმონ ჩიქოვანი და თოვლი. ბელა ახმადულონა და თოვლი. მართლაც რომ —

ეს თოვლი მარტო თოვლი არ არის,
ეს ქარაც მარტო ქარი არ არის,
ისინი ხალდაც, შიგნით მალავენ
მას, რაც არ იყო დასამალავი.

ანუ, ერთხელ, როდესაც თბილისის ქუჩებს თოვლი ესტუმრა, ის „მარტო თოვლი“ კი არ აღმოჩნდა — ფიქების კორიანტილიდან გულითაღი ჩრდილოელი მფეგობრისა და საყვარელი პოეტის ხატი გამობრწყინდა:

ჩვეულებრივად ვხვდებოდით დამეს,
ჩვეულებრივად ვხვდებოდით დილას:
სტუმრებს ღიმილით ვაწვდიდით ხკამებს,
უტვხობთან თავი გვეპირა ფრთხილად.

და სწორედ ამ დროს მოვიდა თოვლი და მოვიხინა გარინდვლ ქუჩებს და გაუქმებულ კარების იქით ახალი სივრცე გაიხსნა უცებ.

და თოვლის ირგვლივ შეგროვდა ხალხი და ყველას თოვლი ეყრა პირზე და თოვლს, სიმღერით ისედაც დადლილს, თხოვდნენ ემღერა ისევ და ისევ.

ის კი მღეროდა თხოვნის გარეშე, კეთილი სული ცის და მფრინავთა. და გაოცებულ ხალხის თვალბში თავგანწირული სიმი ბრწყინავდა.

მე ვუყურებდი დადლილ მეგობარს, ხმა კი მესმოდა უფრო ზემოდან. მე ვუყურებდი და სულ მეგონა, რომ გადნებოდა და გაქრებოდა.

მართლაც მოვიდა იანვრის დილა, სულ სხვა ფქრებით და საქმით სავსე, და თვითმფრინავის მწუხარე ჩრდილმა გადაიარა ქალაქის თავზე.

ამ ლექსს „თოვლი“ ჰქვია და იგი ბელა ახმადულონისადმი არის მიძღვნილი. საგულისხმოა, რომ ამავე 1963 წლის დეკემბერში ჩემს „ლიტერატურაშია გრუზიაში“ პირველად გამოქვეყნდა ბელა ახმადულონის პოემა „ზღაპარი წვიმისა“, სადაც წვიმის მეტაფორულ სამოსში თვით პოეზია იყო გამოყვანილი, პოემა კი გვიხატავდა პოეზიისა და მისი მტრების — მეწინაური „ანტიპოეზიის“ — შებრძოლების სურათს. პოეზია წვიმა პოეტის ირეულია, იგი თან ახლავს პოემის ლირიკულ გმირს, მასთან ერთად გაივლის სიუჟეტის რამდენიმე „გარსს“, სადაც თანდათან მძაფრდება კონფლიქტი, და ფინალში საკვებრო-სასაოცოცლო ორთაბრძოლაში აგლენს თავის ქედუხრელ ბუნებას. პოეტი მიიპატეის პოეზიის მტრებმა, თვით პოეზია-წვიმა სხლში არ შეუშვებს, მან კი მაინც მოახერხა იქ შეღწევა, რათა, როგორც სული სხეულს, შეერთებოდა სანუკვარ პოეტს:

ელდანაკრავი წამოხტა ყველა,
დიასახლისმა შეჭკველა რაღაც,
ქრელი ლაქები, ვით ციხარტყემა,
ქათათა ქერზე თითხნიდნენ ნახატს.

და უცებ თავსხმით დაუშვა წვიმამ დახვდნენ უბედურს ჯაგრისით, ცოცხით, შეუდგეს ტაშტი... წვიმა კი მივიდა წარბებს, წამწამებს ჩამოჰყვა ცოცვით.

სამედისწერო როკვით შეიარხა, ააწკრიალა ბროლი და მინა. ქერმა ქრიალით კრივა შეიკრა და ხალხს, ვით ხაფანგს, ადმოხდა გმინვა.



ო, რა აღერის და აღტაცება მოჰქონდა ჩემსკენ — მუცელზე მხოდავს შარვალაქვილ მაშაყცებმა სტეპენს ქუსლებით, ანთხიხ ბოღმა.

გამომწყვდის, შებოჭენ ჩერებით და ფეხსადგილში ჩასწურენ ზიზღით. გულამომჭადარი ვთხოვდი: — რას ერჩით! ნუ შკლავთ! ხომ ხედავთ, იცლება სისხლით!

ის ჯერ ბავშვია კდემამოსილი ო, თქვენს ნაშიერთ ერგოს ეგ ხვედრი! თქვენ კი, მის სისხლში ხელამოსვრილებს, უკუნისამდე გაგაწურეთ ღმერთი!

მოწყდა მუქარა მასპინძლის ბაგე: — შენ კიდევ აგებ ამისთვის პასუხს! შე გამეცინა — დიხაც ვაგებ! გზა დამიკალეთ! აქ ყოფნა არ მსურს!

ქუჩაში აღბათ ვაფრთხოვდი შემხვედრთ. — მომეშვით! — ვთხოვდი ყველა ღვთის გლახას.

გავარჯობულ ასფალტის მკერდზე ვკოცნიდი წვიმის შეუშრალ ლაქს.

რა ცეცხლი სწავდა მიწას — ვინ უწყის. ჰორიზონტიც კი აღისფრად გაღვხა. თავზარდაცემულ ამინდის უწყისის პირზე ეკერა უწყლობა, გვაღვა.

ოთარ ჭილაძის ლექსი და ბელა ახმადულონას პოემა თითქმის ერთდროულად დაიწერა (ლექსი პოემამდე ცოტა ადრე), მაგრამ მათში მონათესავე პოეტური და ზნეობრივი კონცეფცია განსახიერდა, ერთ შემთხვევაში — პოეტისა და მსმენელებს შორის თითქმის და პარმონიული ერთიანობით აღნიშნული, მეორეში კი — პოეტისა და ბრბოს შორის გამძაფრებული კონფლიქტით გამორჩეული; თუმცა პირველ შემთხვევაში თვით ეს დაქინებული მითხროვნა — „სიმღერით ისედაც დალილს... ემღერა ისევ და ისევ“, ან აშკარა ირონიით შეფერილი მინიშნება — „ყველას თოვლი ეკერა პირზეო“ უკვე გულისხმობს პოტენციურ კონფლიქტს. „იმღერეო“ თუ „გაქრო, ნუ იმღერებო“ — ორივე ხომ ბრძანებაა! და თუ ოთარ ჭილაძის ლექსში, ამ ლექსის ლირიკული სიუჟეტისა და „მინიზანცენის“ თანახმად, „თოვლი“ მიმართ ლირიკული გმირის მზრუნველობა, ყურადღება და ცოტა შეშფოთება და შიშაც კი არის ნაჩვენები („შე ვუყურებდი დალილ მგებობას, ხმა კი მესმოდა უფრო ზემოდან, მე ვუყურებდი და სულ მეგონა, რომ განდებოდა და გაქრებოდა“), „წვიმას“ ეს გაქრობისა თუ „შეშრობის“ საფრთხე მართლაც დაატყდა თავზე — „გავარჯობულ ასფალტის მკერდზე ვკოცნიდი წვიმის შეუშრალ ლაქასო“.

ორიოდე წლის შემდეგ ოთარ ჭილაძე კვლავ

დაუბრუნდა ამ მოტივს და „თოვლის“ სეპტური ვარიაცია მოგვცა ლექსში „გაქრებო“ უკრავდა სტუმრების თხოვნით“. ლირიკული სიუჟეტის განვითარება აქ ქუჩიდან სახლში არის გადმოტანილი, თვით პოემისას თუ ხელოვნებას ბავშვის ხატი ანსახიერებს, თოვლი კი პარალელურ სინქრონულ მოქმედებაშია ჩაბმული. და თუ იმ პირველ ლექსში თოვლი „თვითმფრინავის მწუხარე ჩრდილმა“ წაიყოლია, აქ თვით „ბავშვი“ გაფრინდა „მსუბუქი ფრთებით“ „სტუმრებისათვის უხილავ ცაში“:

ბავშვი უკრავდა სტუმრების თხოვნით. უცახცახებდა პატარა მხრები. გარეთ კი, თვითონ ბუნების ნებით, თავგანწირულად დნებოდა თოვლი.

ჩნდებოდა მიწა, სველი და შავი, როგორც დაწრტილ მდინარის ფსკერი. და ხეებს, თუმცა არ ეღოთ ფერი, მაინც ამაყად ექირათ თავი.

ბავშვი უკრავდა სტუმრების თხოვნით, ხოლო მუსიკა, ქარივით ლაღი, ჭალს აწყდებოდა და დიდი ჭალიც თრთოდა მუსიკის უცნაურ თრთოვლით.

ირგვლივ უძრავად ისხდნენ სტუმრები და სტუმრებისათვის უხილავ ცაში მსუბუქი ფრთებით მიქროდა ბავშვი და სხეულს ვეღარ გრძნობდა სრულებით.

ერთი საგულისხმო შეხმანებაც არის ამ ორ ლექსს შორის: თუ პირველში თოვლის სიმღერისას გაოცებულად ხალხს თვალბში — „თავგანწირული სიმი ბრწყინავდ“, აქ, მეორე ლექსის „პარალელურ მოქმედებაში“, — „თავგანწირულად დნებოდა თოვლი“; ხოლო ისევე, როგორც ბელა ახმადულონას პოემაში წვიმის შესრობისას — „რა ცეცხლი სწავდა მიწას — ვინ უწყის“ და „ჰორიზონტიც კი აღისფრად გაღვხა“, აქ, ოთარ ჭილაძის ლექსში, თოვლის გადნობისას — „ჩნდებოდა მიწა სველი და შავი, როგორც დაწრტილ მდინარის ფსკერი“... ხშირად ოთარ ჭილაძის ლექსში თოვლის ქალის-ყინვის-შემოქმედების ხატთა დიალექტიკა იმდენად მკაცრადია დაშიფრული, რომ ზერეულ თვალს გადავლებისას, ჩაუღრმავებლად გადაკითხვისას, არ ვლინდება მიეღის სისრულით და ძალით მასში კონდენსირებული პოეტური ენერჯია. მაგრამ თუ მკითხველს მოძიებული აქვს უკვე ლექსის მეტაფორისტების გასაღები, იგი ამოკითხავს და ისილავს მასში (როგორც „ზამთრის მკაცრ და სადა სახეზე“) კვლავ ცხოვრებისა და პოემის ურთიერთობის, კვლავ შემოქმედის თავგანწირული სუ-

გიორგი მარგამლაშვილი

ახალი ცის ძმები



ლისკვეთებისა და შემოქმედების უმაღლესი მისიის ხატს:

ბოლ მარტიც კი არჩია ამ მშვიდობიანი დღის არსებობის ასპარეზად:

დრომ გაიარა, ვით შავმა კატამ
ბნელ ღერეფანში (უხმოდ და უცემა),
და ზამთრის სახე, მკაცრი და სადა,
მოშორდა ფანჯრებს.

მაგრამ ამ ფერცელს

მარადიული შეკრავს ყინული,
ხოლო ყინულზე აირეკლება
ჩვენგან ცხადში თუ სიზმრად ხილული,
რომ გახსენების მწარე ეკლემმა
გამოაფხიზლონ სულის თვალები —
გაოგნებულნი ერთფეროვნებით
და ხელოვნური მზის ბრწყინვალეობით
და ნაქურდალი ცით და ცხოვრებით.

ასეთია ზამთრის, თოვლისა და ყინულის ანუ
ბოგნის — „ხელოვნური მზის ბრწყინვალე-
ბასთან“, „გამათვნებელ ერთფეროვნებასთან“,
„ნაქურდალ ცასა და ცხოვრებასთან“ ანუ
ანტიპოეზისთან მარადიული ორთაბრძოლა.

თი კიდევ ერთმა წელიწადმაღ გაიარა — „ეს
წელიც გაქრა“ — და სახალწლო ნაძვის ხე —
ზამთართან, თოვლთან, ყინვასთან ერთად —
თითქოს ახალი, განახლებული, აღარჩინებული
ცხოვრების ნიშანს ეტად წამოიჭიბა:

ეს წელიც გაქრა, უყვალოდ გაქრა,
და არა მხოლოდ ჩემთვის... ყველასთვის.
მეც უნდა გული მწყდებოდეს, მაგრამ
მოლოდინით ვარ სავსე ყულამისი.

... ვარმოცული თოვლით და ქარით
თავის ბუნავში ცხოვრობს ქალაქი:
იხურება და იღება კარი,
საფეხურებზე ხმება ტალახი.
წელიც კი გაქრა, ვით წვიმის წვეთი,
როგორც უთვალავ ლანდებში ლანდი,
როგორც ღრუბლებში მწვერვალის წვეთი,
როგორც გაქურდულ ტაძრიდან ხატი.

... ქურგებში დაძრწის თოვლი და ქარი,
დაღლილი უაღბო ცრემლით და ფიცით
და ყველა ჩქარობს, რომ ბებერ მოვარებს
მიუჯახუნოს კარები ცხვირწინ.
იმედისა და ოცნების მსგავსი
ფანჯრებში ბზინავს ნაძვის ტოტები,
და სახალწლო ვნებებით სავსე
კიდევ ერთი წლის ვეახლოვდება.

როგორც ვხედავთ, თოვლი მტერია „ხელოვ-
ნური მზისა“, თოვლს „უღლის ყალბი ცრემლი
და ფიცი“, მაგრამ (ვლავ მეტაფორული პა-
რადოქსის) თოვლი მეგობარია ნამდვილი მზისა,
მაცოცხლებელი მნათობისა, რუსთაველის მიერ
ნაანდერძები ღვთაებისა. ოთარ ჭილაძის ჭერ
კიდევ მეტად აღრინდელ ლექსში მეზობლობ-
და თოვლი მზისთან და მან თითქოს საგანგე-

თვრამეტი მარტი, თვრამეტი მარტი,
ერთად ატანა მზისა და თოვლის,
და როგორც ბეწვი და სუნთქვა კატის
ქურაც სავსეა ღვინო და თრთოლვით.
... და როგორც ღვინო, და როგორც ბროლი
ქურაც სავსეა თრთოლვით და ღვინო,
და როგორც ღვინო უცვარ სროლით,
ჩემი ცხოვრება შემკრთალა შენით.

ესე იწყება მზისა და თოვლის ერთობა.
პოეტის პირველი წიგნის პირველი ლექსის
პირველი და უკანასკნელი სტრიქონიც ხომ
ამას გვამცნობდა — „რეკვერენტ ზარები და მზე-
ზე ბრწყინავენ ... რეკვერენტ ზარები, მომავლის
ზარებიო“, და როგორც იმ შემოქმედებითი
განთიადის თუ დებატის ფაშს პოეტმა ერთ-
ხელ თავის თავზე მოირგო პრესისტორიული
ადამიანის შეგნების გამოღვიძება, მან ხომ ასე
გადმოგვცა თავისი გუნება და განწყობა:

უელზე მეტად ბრჭყვიალა ეშვი,
მიკვირდა წვიმა, მიკვირდა თოვლი...
და რაც პირველად ვიკრძენი ჩემში
ეს იყო ლტოლვა და შიში ლტოლვის.

... მზეზე ვამბობდი: ეს არის ღმერთი.
ზღვაზე ვამბობდი: ეს არის ღმერთი.
ქარზე ვამბობდი: ეს არის ღმერთი
და არ ვიცოდი ვინ იყო ღმერთი...

მაშ საღ უნდა ვეძიოთ გასაღები „თოვლისა“
და „მზის“, სხვა შემთხვევაში კი „წვიმის“,
„ქარისა“ და „მზის“ ანუ „შემოდგომა-ზამთ-
რისა“ და „გაზაფხულ-ზაფხულს“ ამ უცნაური,
პარადოქსალური, წელიწადის დროთა რკავე-
დან ამოვარდნილი და შემოქმედების, სიყვარ-
ლის, მსოფლშეგრძნების სფეროში გადატა-
ნილი დილაქტიკური ურთიერთობის ამოსახს-
ნელად? მოდი, ისევე ვაფა გავისხენოთ, თუკაც
მას თავისი აზრის გასატარებლად „თოვლისა“
და „მზის“ ნაცვლად სულ სხვა მეტაფორული
ხატები ჰქონდა მოხმობილი:

ღმერთო მიიღე ვედრება,
ეს ჩემი სათხოვარია,
არ დამეკარგოს გულიდან
მე შენი სახსოვარია.
გონებას ფიქრი სტანჯავდეს,
გულს ციხელი სწავადეს ძლიერი,
მშვიდ-მწყურადეს კეთილი,
ვერ გაძღვი, მოვკვდე მშვიერი.
ნუ დამხვევინოს ნურასდროს,
მამყოფე შეძრწუნებულნი,
მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერი,
როცა ვარ შეწუნებული.



როცა გულს ციცილი ედება,
გონება მსჯელობს ხალადა,
მაშინ ვარ თავისუფალი,
თავს მაშინა ვგრძნობ ლალადა.

ვაშ. თუ იქ თრთიან
ქვესენების ბეჭით...
თუ ეს გაქვს სჭულად —
თუ ეს გაქვს წესად. —
მამ შემიწყალე დღეს მონა შენი!

და განა იგივე, კვლავ პარადოქსალური აზრი
არ ჩააქსოვა ჩვენმა თანამედროვემაც — ირაკლი
აბაშიძემ — გაეს, ბარათაშვილის თუ ფიროს-
მანის ბედისა და „განწირული სულისკვეთების“
გამოსახატავად თავის „მუხაში“, რომლის ეპიგ-
რაფად მან ანა ახმატოვას „მუზისე“ საგუ-
ლისხმო სტრაქონი იილო — „უკითხე პირის-
პირ: „სტრაქონები ჯოჯოხეთისა შენ უკარნახე
განა დანტეს?“ მომიგო: „მეო“. ირაკლი აბა-
შიძემაც ასეთი საკამენტალური კითხვები და-
ეყარა „ცისკრის ბავშვს“:

მამ შენ ხარ, მუხა?
შენ — ცისკრის ბავშვი?
შაბაშ შენს ღონეს,
შენს ძალას ვაშა!
მამ შენ მეწყრავდი
ყველა გზას ფშავში,
რომ ზედ ბუხართან დაგება ვაუა?
მამ შენ ჰქარგავდი
ხვატით და ყინვით,
ფიქრით და ცრემლით
იმ ჩარგლურ ხურჩინს?
შენ, შენ ავსებდი
სარდაფებს ღვინით,
რომ ხულო ფიროსმანს
ღაუშრო ფურჩით?
მამ შენ თესავდი
იქვსა და განჯახს,
ცის ფერს შენ სდებდი
ჩვენს ზეცის ტანობს?
მამ შენ ახშობდი
შორეულ განჯახს,
რომ იქ თვით ჯვარცმა
მიელო ტატონს?
შაბაშ შენს საქმეს!
მაგრამ დღეს მოთხარ —
თუ დასდე ბოლო
მათს ფინს და წყურვილს?
თუ დასწვი ყველა
ფერად და სიტყვად,
თუ ამოშხავე
ყველა მსხვერპლს სული?
ვაშ. თუ რამ ცოდეა
შენს ღმერთსაც სცოდე, —
ვაშ, თუ რამ წაშევათ
ფერი და მანგი;
ვაშ, თუ სკაშს დღემდე
იმ ოქროს ზოდებს
სამარის ტია, მიწა და უანგი!
ვაშ, თუ შავს მიწას
არყვევენ დღესაც.

როგორც ვიცი, „ცისკრის ბავშვმა“ არც
ირაკლი აბაშიძე შეიწყალა, რამეთუ ღირსად
ჩასთავა თავისი ყურადღებისა და „მიახლო-
ვება“ თუ „პალესტინა, პალესტინა“ უკარნახა;
არც მისი ქართველი „ვაჟას აქეთა“ წინამორ-
ბედნი და სხვადასხვა თაობის თანამედროვენი
დაინდო — გალაციონი თუ ტეციანი, სიმონ
ჩიქოვანი თუ ლადო ასათიანი, მირზა გლო-
ვანი თუ ანა კალანაძე.

თი სად, რის გამო, რა მიზეზით და რა მიზ-
ნით იშვა ოთარ ჭილაძის პოეზიაშიც „ზამთარ-
ზაფხულის“ და „მზე — თოვლის“ მეტაფორის-
ტიკა. ბარათაშვილის „მერანის“ ხატოა გენია-
ლური დიალექტიკაც რომ არ გაეცხენოთ.
„ბედის ვარსკვლავისადმი“ ანუ კვლავ მუხა-
სადმი მის მიმართვას რომ დავჯერდეთ, იქაც
ზომ ის აზრი იყო ჩიქოვანი, ვაჟას „ვედრე-
ბაში“ რომ იფეთქა გვიან. „რად მრისხანებ,
ჩემის ბედის ვარსკვლავო? მაინც გეტრფი,
თუმცა ხშირად მკლავო; შეეფთისა სული
შენსა მოღრუბელსა, შეეჩვივა გული სევდიოთა
ერთოვლას“ — ლაღებდა ბარათაშვილი და
ვთავი აძლევდა მყობადიდან ბანს — „მხო-
ლოდ მაშინ ვარ ბედნიერ, როცა ვარ შეწყ-
ხებულო“. სწორედ ასეთივე ბუნების ზნეობ-
რივ და მხატვრულ განცდას ეუიარა ოთარ
ჭილაძეც:


ჩემი მზისა და სიზმრებს მხარე
მე მიბრუნდება ჩემად და ნელა,
როდესაც მხოლოდ ქარია ვარეთ,
როდესაც ცივა, როდესაც ბნელა,
როდესაც ცივა, როდესაც ბნელა,
როდესაც მხოლოდ ქარია ვარეთ
ჩემს თვალში ფასი ეწევა მელანს...

პოეტმა თუ არ იცის ამისა და სინათლის
ფასი, მამ ვინ იცის. მაგრამ ყინვას, თოვლს,
ქარსა და წვიმას არ უნდა დავშოვო, თუ
გსურს სამზღვოზე გახვიდე. არ უნდა გამოიკეტო
ბინაში, კრუხად არ უნდა უქდე საკუთარ სით-
ბოს — თუკი გინდა „უბნლო თვლი“ „სი-
ნათლის ლექვს“:

ქალაქი თოვლში იდგა ყველამდე,
თოვლის ყალიბში იყო ჩასხმული
და მასაც, როგორც ირგვლივ ყველაფერს,
არც თავი მქონდა, არც დასასრული.

არ არსებობდა სამყარო თითქოს,
გზებს აუქმებდა თეთრი გრიავლი

გიორგი მარგველაშვილი
ახალი ცის მკვრე



და იხრწნებოდა სახლებში სითბო,
კაცის ნახუნთქი და ნაფიქრალი.

აზარსებული წარების რეკვით
ექანცებოდათ მკლავებო ქარებს.
ქუჩაში ეგდო სინათლის ღმკვი
და მთელი ღამე ტირიდა მწარედ

როგორც უხილავ ღმერთს იაკობი,
ეომებოდა ტვინი უკუნეთს,
რომ ცოდვის თუნდაც ერთი ნაყოფი
გაღარჩენოდა ამ საუკუნეს.

ხოლო ტვინისთვის დადგმული მანე,
თრთოდა ფურცელი, თოვლივით თეთრი,
გულალმა იწვა და ეღო სახე
დამორჩილებულ ქალის თუ ... ღმერთის.

... ჩვენ კი, ბინებში გამოკეტილნი,
კრუსად ვუჭექით ხაკუთარ სითბოს,
უფრო ჭკვიანიც, მხნეც და კეთილიც
სხვა იცხოვრებდა ჩვენს ნაცვლად თითქო.

აღტაცებულნიც და დარცხენილიც
და დაბნეულიც ამ აღმოჩენით
დაჭინებოდა ყინვა ცხენივით,
თავმოკაშმული თეთრი ფოჩვებით.

ეს ხომ ნაცნობი სურათია „ზამთრის პირვე-
ლი დღიდან“. გავიხსენოთ:

ხოლო ხათქმელი, ცხოველის მსგავსად
ბორბავდა სულში და მოითხოვდა
გამომქვავნებას და ხალხში გასვლას,
ანუ ყინვაში გასვლას სითბოდან.
მერე კი დადგა აღთქმული წამი,
ყველასგან უკვე ბევრჯერ ხილული:
ძლივს აითრია ფეხები ღამემ
და აბრჭყვიადლა მწევე ყინული.

„მარინასადმი“ ერთ-ერთ „ლირიკულ მისა-
მართშიც“ ხომ იყო, ეთქვათ, ასეთი ხილვა:

და თოვლს მიყავდა ყინვის აღვირით
ჩვენი ქუჩები, როგორც ცხენები,
მარინა! შენი ძებნით დაღლილი
ვწვებოდი თოვლში და გიხსენებდი...

„ზამთრის პირველ დღეშიც“ ხომ მოხდა
„მზისა“ და „ყინულის“ შეხვედრა ანუ „სი-
ნათლის ლექვის“ გაჩენა. აქაც, ამ სამოცდაათ-
იანინ წლებს ზღურბლზე დაწერილ ლექსში
„თეთრი ფრეხებით თავმოკაშმული ყინვის ქი-
ხინმა“ მოიყვანა ნამდვილი და არა ხელოვნუ-
რი მზე და „სინათლის ლექვსაც“ „აუხილა
თვალები“:

მერე მზემ თვალი გამოახილა,
მერე განათდა და დათბა კოდევ
და შვების ოხვრამ, როგორც მარხილმა,
გადაუქროლა ქუჩებს და ხიდებს.

გამთბარი რწმენით და ლაპარაკით,
დაუჭერებლად მხნე და მღირღუღი,
კვლავ შეიშმუშნა მზის ქვეშ ქალაქი
ზამთრის ფსკერიდან ამოწილული.

ხოლო მარხილი, ეფუნებოთ ხავსე,
გვაფრქვევდა სურნელს ცეცხლის და მიწის
წყალობასავით გვაყრიდა თავზე
ფოროხლის ნაფცქვენს, სტვენას და
სიცილს

ხარეცხის თოკებს აბამდა ქალი,
ვით სიმყუდროვის დაწვევტელ სიმებს
და აცეცებდა ახელილ თვალებს
სინათლის ღმკვი, თაფლივით მძიმე.

„ყინვა“ და „მზე“ აქ ლალი ცხოვრების ეი-
ვილ-ხევილმა და ერთამულმა შეარია, შეაულ-
ლა, სინათლის დაბადებითაც დააკვირგვინა მა-
თი ერთობა-კავშირი.

ერთ „საშემოდგომო“ ლექსში ოთარ ქილა-
ძემ რიტმულ, ემოციურ, სახეობრივ, საბოლოო
ჯამში კი, სულიერ და „საბედობლო“ ლიტ-
მოტივად თუ რეფრენად სულში უამინდობი-
სა და ამინდის, ქარის, წვიმის, მზის შექრის და
კვლავ ზამთრის გარდუვალობის თავისებური
„ეკსალაცია“ დაგვიხატა და ამ მოტივთა პო-
ეტური განსახიერების ერთგვარ კულმინაციას
მიადწია:

ქარი მოვარდა,
ქარმა მომანგო,
ქარს გავვიკიდე.
ქარის ბრალია.
ქარით დაღლილი
ქარად ვიქცევი.
ქარო, როდემდე ვიქნები ასე.

.....
გვმზის? — გაწვიმდა.
ხელავ? — გაწვიმდა,
მე მიყვარს წვიმა,
წვიმა და ფიქრი,
წვიმა და ფიქრი გვანან ერთმანეთს.
წვიმა მოვიდა,
წვიმამ მომისწრო,
წვიმას წაყუებო.
წვიმის წილი ვარ,
წვიმით ავივსე.
წვიმად ვიქცევი.
წვიმავ,
როდემდის ვიქნები ასე,

.....
და ტოტებს შორის,
დიდი ხნის მერე,
ისევ გამოჩნდა თეთრი ქალაქი,
აღამიანთა თავშესაფარი,



თეთრი ქალაქი გამოჩნდა ისევ
 ამასობაში გადილო კიდეც
 და შემოდგომის მზე ამოვიდა...
 ... შეინარჩუნე თუ შეგიძლია,
 ნაწილი მაინც შეინარჩუნე,
 რადგან უმზეოდ გაგიჭირდება,
 გაგიჭირდება,
 გაგიჭირდება...
 მზე ამოვიდა.
 მზემ გამაბრუა.
 მზეს შევეფარე.
 მზის იმედი მაქვს.
 მზით გავთამამდი.
 მზედ მინდა ვიქცე.
 მზეო,
 ნურასდროს ნუ წახვალ ჩემგან.

მზე ყველას უნდა და ყველას უჭირს
 მისი გაყოფა და დარიგება,
 რადგან ყველაფერს ადვილად ვიტანთ,
 როცა სხეული მზითაა სავსე...

ზამთარი მოდის.
 და ხანამ დროა
 შეინარჩუნე ოქროს ფოთლები:
 ზამთარში გულზე დაიფენ ზოლმე,
 თავქვეშ დაიფენ და განათლები.
 მე კი მეყოფა თუ შენს თვალეზში
 ვნახავ ხაოცრად პატარა მზეებს.
 პატარა მზეებს ვნახავ თვალეზში,
 თვალეზში ვნახავ უთვალავ მზეებს.

მზე ამოვიდა.
 მზემ გაგვაბრუა.
 მზეს გავახსენდი.
 მზის შეილება ვარს.
 მზით მორთულები
 მზედ უნდა ვიქცეოთ.
 მზეო ნურასდროს ნუ წახვალ ჩემგან.

ზამთარში, თვავში მზე უნდა შეინარჩუნო
 გულშიც, თვალეზშიც, ლექსშიც — „ნაწილი
 მაინც შეინარჩუნო, რადგან უმზეოდ გაგიჭირ-
 დება“, ის „ყოფნა უმზეო“ დაგატყდება თავს,
 გალაკტიონი რომ შეაძრწუნა. მაგრამ ზაფხულ-
 შიც არ უნდა დაივიწყო, არ უნდა გაწირო, არ
 უნდა დაადნო თოვლი შენს სულშიც და ლექს-
 შიც, რადგან, როგორც ჩვენ ვიცით, „თოვლი
 მარტო თოვლი არ არის“. ამიტომ ერთ-ერთ
 უახლეს, 1974 წლით დათარიღებულ პრაგრა-
 მულ ლექსში ოთარ ჭილაძემ ასეთი საგულისხ-
 მო „ანდერძი“ ჩამოაყალიბა და თავისებურად
 შეეხმინა აქ ირაკლი აბაშიძის „მუზას“ და
 „ანდერძსაც“:

მსურს დაგიტოვო უნარი ხილვის,
 მარადიული წვის და დუღილის...
 ზამთარი — თავის თოვლით და უინვით,
 ზაფხული — თავის ჭექა-ქუხილით.

მსურს დაგიტოვო სხვათა ტყვიანი
 და ხისარულის განცდის უნარიც...
 სოფელი — ხავხე მამლის ყვილით...
 ქალაქი — კედლებს შორის მბრუნავ

კიდეც გიტოვებ ორ ლამაზ უმაწვილს:
 დღესა და ღამეს, ძილსა და დღემილს, —
 განთქმულს ხიკეთით, სიწმინდით, ღვაწლით,
 როგორც ქურდობით, კვლითა და სიძვით.

იმ საწყალ გოგოს ცრემლსაც გიტოვებ,
 ჩემს მოლოდინში დღემდე რომ ტირის.
 დანარჩენს, ალბათ, ნახავ თვათონვე:
 ნაცარს დამწვარი ჩიტის და ხტვირის.

ნახავ გაღეულ ქალამს და ვარსკვლავს,
 თავზე რომ ედგა ჩემს ნრიც მინდვრებს...
 და თუ ანდერძი კაცს მართლა არ კლავს,
 ჭერ ნურც შენ მომკლავ... მაშეფე კიდეც.

ზამთარ-ზაფხულის ამ მარადიულ ორთაბრ-
 ძოლიდან მხოლოდ ერთი დასკვნა გამოსკვივის,
 რომელიც ოთარ ჭილაძემ თავისი ახლად წამო-
 წვებული წიგნის სათაურადაც კი გამოგვიცხა-
 და: „ა ხ ს ო ე დ ე ს ს ი ც ო ხ ლ ე ო“. პოე-
 ტის მიერ აღიარებული და დამკვიდრებული
 დიალექტიკა სახეებისა ხან ზამთრის დამარ-
 ცხებასა და ზაფხულის ზეგნს მოითხოვს, ხან
 კი თოვლის ზეგნსა და გამარჯვებას. ჩვენ ხომ
 გვახსოვს ასეთი სურათიც:

მარინა! მაგრამ შორს იყავ მაშინ
 და დღით, როცა ფანჯრებს ვადებდი,
 მოჩანდა, როგორ მოქონდათ ზეგნებს
 თოვლის ბრჭყვიალა ბაირალები.

ახლა კი „გახსოვდეს სიცოცხლის“ პირველ-
 სავე ლექსში საპირისპირო ხატია გაბატონებუ-
 ლი:

ისევ დმარცხდა, დაცხრა ზამთარი,
 დაქონილ დროშას მიითრევს, მიდის...
 და ბევრი მწარე დღის გადამტანი —
 გაღუმბულ ტოტზე ფრთხილდებს ჩიტო.

ის ხის სულია: ლალი, კეთილი,
 მომნიჭებელი ცის და ნუგეშის,
 განტყვევებული და განწმენდილი*
 ზამთრის სიავით და ხიუხუშით.

მის ხმაზე ქვებიც უნდა აუვავდნენ
 რომ ჯადოსნური ფშვინვით და თრთოლივით
 კვლავ ჩაკლან ეჭვი, როგორც აქამდე
 ჩაუკლავთ არა ერთი და ორი.

მხოლოდ მის ხმაზე იხსნება კარი
 და შეჩვეული დუმილის და ლოდინს —
 ფრთხილად მივოცავს ოცნება გარეთ,
 ვით შინ გაზრდილი მცენარის ყლორტი.

გიორგი მარგველაშვილი
 ახალი ცის ქვეშ



მხოლოდ და მხოლოდ მის ღვთიურ ხმაზე ჩვენს შორის ისევ იღება ხიდი და ამიტომაც ზეიმობს ასე ეს ერთი სულის შებერვა ჩიტი.

ასე ზეიმობს გაზაფხული ჩიტის ხმით, მაგრამ ეს ჩიტიც ხომ — ლალი, კეთილი, ცის და ნუგეშის მომნიჭებელი სული — „ზამთრის სიანთ და სიუხუშით“ ყოფილა „განწმენდილი და განმტკიცებული“. ამიტომ შეკრა პოეტმა ეს თავისი ახალი რკალი იმ ანდერძით, ამიტომ დაგიტოვა თუ დაუტოვა მას, ვისაც უანდერძა, —

ზამთარი — თავის თოვლით და ყინვით,
ზაფხული — თავის ქექა-ქუხილით.

„გახსოვდეს სიცოცხლეზე“ ათიოდე წლით აღრე კი, პოემაში, სადაც მან თავისი წილხედური ჭოჯხეით, სალხინობელიც და სამოთხეც გამოიარა, ოთარ ქილაძემ ლირიკულ ორეულს „ადამიანის ტანით და სახით თეთონ ბუნება“ დანახვა და ბუნების სიტყვაც გააკონა:

„ — მე ვარ საწყისიც და დასასრულიც... მე ვიცი ყველა შენი საქმენი და ისიც ვიცი, რატომ და რისთვის შრომობ ამ ქვეყნად, რას ელი მისგან, სად გიდევს გული, თვალი და ყური... რა გეკარგება ანდა რას იძენ მთუთმენლობით თუ მოთმინებით. ნუ შეგაშინებს საქმენი შენი და ნურც ცოდვები ამქვეყნიური. სანამ ხარ, შენი აღგილი ქვეყნად მიუღწეველი იქნება სხვისთვის.

სანამ ხარ, ისე დადექი მზისკენ, რომ ყველა სხვიც გადატყდეს შენშიც. სანამ ხარ, ისე დადექი ქარში, რომ ყველა მზრიდან მოგაღგეს ქარი, სანამ ხარ, ისე დადექი თოვლში, რომ უფრო მეტი დაგდოს თოვლი... ჩაწვი, იგივე და განიცადე, რაც კი არსებობს ჩემი უფლებით. გამოიცადე ყოველგვარ ცეცხლში, არ მოერიდო არასდროს ტყვიას... ნუ შეძრწუნდები, თუ მოტყუდდები და ნუ შეგრცხვება შენი სიშიშვლის, რადგან მე გშობე ბრმა და შიშველიც. მევე ჩაგიდგი თვალებში შექი, რომ გაიარო ქვისაგან პურე, სისხლისაგან წყალი და წყლისგან ცრემლი. მევე შეემოსე სიმორცხვე შენი და ნუ უარყოფ, რომ მე მეკუთვნი. მე ვანუგრულად ვიქნები შენთან, სადაც არ უნდა წავიდნენ გზები... მე გავაღვიძე, რომ დაგეზახა და განგეცადა ცისკრის ვარსკვლავი. აჰა, შენს კართან ვდგავარ და ვრეკავ, რომ შენთან ერთად ვაგტებო პური“.

„სინათლის წელიწადში“ და კერძოდ მისი უკანასკნელი თავის ამ მონოლოგშიც, რომელსაც ავტორის განზრახვითა და ნებით ადამიანად განსახიერებელი ბუნება წარმოთქვამს, მკითხველი აღვილად შეისმენს და იგრძნობს ბიბლიური მოტივების, განსაკუთრებით კი „იოანეს გამოცხადების“ გამოძახილს. ეს მო-

ტივი ძალზედ სახეცვლილია შედგენილ რისა და მხატვრული სისტემის შესაბამისად, მაგრამ რელიგიურ საწყისის დაცლებული პოეზია მითისა ინარჩუნებს თავის ფილოსოფიურ არსს და აჭამებს თვით პოემაში დებატული და გაღმოცემული ვნებების, კონფლიქტების, კატასტროფების, მკვდრებით აღდგომისა ანუ აკცობრობის უკვდავების სურათსა და ხატს.

ამის სანიმუშოდ, ოსვეციმის ჯოჯობეურ ზმანებათა გარდა, საგმარისია გაიხსენოთ პოემის შეოთხე თავის ფინალი:

„და კვლავ ვიხილე მე სასწაული. უეცრად ცაზე გამოჩნდა ქალი. მოულოდნელად გამოჩნდა იგი და ცას წამოყვავ კვილე-კვილით. ფეხმძიმე იყო ის ღვდაკაცი და უკვე შობას თხოვდა ნაყოფი. და სიმწრის ოდით შეზღუდაცვარული ვერ პოულობდა დასაწოლ ადგილს. თინცი ექვაბი მისდევდა უკან, შეიღთავიანი და საზარელი. მშობიარობას უცდიდა ისიც, რათა შთაენთქა წამსვე ნაყოფი. გამწარებული კიოდა ქალი. ევეგებოდა ტანჯვით სხეული და ავაგებდა საშობი ნაყოფს ბირგავემებულ ვეშაპის შიშით. წამოიშალა მთელი ქვეყანა ყველას ჩაესმა ქალის კიკილა: თევზებმა წყლიდან ახოყვეს თავი, ტყეში ტორებზე შედგა ნადირი და ხეებიდან წამოიშალა ფრინველთა გუნდი ძლივს ჩათვლემილი. და უცებ, ვიღაც ადამიანი, ელვის სისწრაფით აიჭრა ცაში. წინ გადაუღდა შეიღთავა ვეშაპს და შეაკება ბასი მახვილი. ზღვაში ჩაეშვა ვეშაპის ლეში და ზღვიდან ცაზედ ავარდა მხეფი შეპკრთალი წყლისა... მისწელი კი მახვილს ეფერებოდა მორთოლვარე ხელით და უელავდა იგივე ცეცხლი სიამაყისგან ვაზრდილ თვალეში. მერე მიწაზე გამოჩნდა ქალი და ჩაიშალა მალალ ბაღისში. ხოლო ბუნება თავზე დაადგა და გაუხვია ლედვის ფოთლებში ნაყოფი ჩვილი და ვარდისფერი.

და უცებ ცაზე გაჩნდა ვარსკვლავი: პატარა, ნაზი და მომზიბლველი, და მიაჩრდა იმ ვარსკვლავს ყველა: თევზიც, ფრინველიც, მხეციც და კაციც. ამოისუნთქა ქვეყანამ შევებით და მეც საკუთარ თავს დაეუბრუნდი...“

ეს ხომ „იოანეს გამოცხადების“ მეოთხრმეტე თავის სახეცვლილი სიუჟეტი, რომელიც ამ სასწაულის ხილვით იწყება: „და სასწაული დიდი გამოჩნდა ცათა შინა: ღვდაკაცი, რომელსაც ემოსა მზე, და მოოვარე იყო ქუევი ფერხთა მისთა, და თავსა ზედა მისსა ვევირეინი ვარსკვლავთა ათორმეტთაი. და შეუცლად-ღვო და ღვდადებდა, რამეთუ ელმოდა და იგუემებოდა შობად. და იხილვა სხვაი სასწაული ცათა შინა. და აჰა, ვეშაპი ცეცხლისაი დიდი, რომელსა ეღდგნეს თავნი შეიღნი და რჩინი აინი... და ექვაბი იგი ღვა წინაშე ღვდაკაცისა მის, რომელსა ეგულებოდა შობაი, რათა, ოდეს შეეს, შთანქვას შეილი მისი... და იქნა ბრძოლაი ცათა შინა. მიქაელ და ანგელოზნი მის-



ნი ჰობროდეს ეგშასა მის... და ვერ შეუძლო და არცაღა ეპოვა ადგილი ცათა შინა. და გადმოვარდა ვეშაბი იგი დიდი, გუელი დასაბამისაი, რომელსა ეწოდების ეშმაკი და სატანა, რომელიც აცოუნებს ყოველსა სოფელსა...“

ამ ბიბლიური მოტივის ქილახისფერ ტრანსფორმაციაში საგულისხმოა „მიქაელისა და ანგელოზთა მისთა“ „ეილაც ადამიანი შეცვლა“, ეშაბის მოკვლა, ნაცვლად მისი ზეცილიან მიწაზე ჩამოვარდებისა — „იოანეს გამოცხადებაში“ ხომ ამით ვახიარა ცამ, ხოლო ვეშაბმა ახლა მიწის დაატეხა ვაი-უბედურება. „სინათლის წელიწადში“ კი სწორედ „ქვეყანამ ამოისუნთქა შევებით“... და უკვე ამ ზმანების თუ ხილვის გამოღმაც, რეალურ დედამიწაზეც პოეტურ კვლავ ზამთარ-ზაფხულის მონაცვლეობის პოლემიკა ხდება და კვლავ გაზაფხული ააფრიალებს მის თვალწინ „ფერად ღროშას“: „რა უცნაურად დაიწყო მაინც ის გაზაფხული. ვინ იფიქრებდა, რომ იმ ღობეებს და კედლებს შორის ცხოვრობდა ნუში. ზამთარი ვერ არ იყო წასული და ისევ იდგა სუსხის ჰაერში, მან კი ამოყო ფერადი ღროშა და განაცვიფრა მთელი ქალაქი. გამოჩნდა მიწა და მიწის ქმეძეს ყველა სულდგმულმა დაადგა თვალი. კვლავ დადასტურდა ნათესაობა: თევზის, ფრინველის, მხეცის და კაცის. გაჩნდა ყვავილი, როგორც ნიშანი მიწის სიცოცხლის და სიჯანსაღის. გაჩნდა ბლახიცი, ეს კი ნიშნავდა, რომ მიწა ახლაც იყო თანახმა — მოეცა პური. ხოლო ხეების მფრინავი თესლი, გაფუფხული და გაბურქვნილი, მოედო სივრცეს, როგორც ბურუსი. და აყოლილი ენებას თუ გუმანს, კვლავ დატრიალდა ქვეყანა ვრცალო. მზემ ხელი შეყო ყველა საკამელში და ბინებს ახსნა ზამთრის ბოკილი. კვლავ მიიზიდა ადამიანი და გაუღედა უტიფრად სული: დამკვირბული და მილოდინით გაბეზრებული გადააშორა სულს ზამთრის გესლი, მერე გადახსნა და თავის ხელით ახალი თესლი ჩაავდო ხნულში“.

ვიფიქრობ, აქ ზედმეტია იმის კომენტირება, რომ ამ შემთხვევაშიც ოთარ კლაძეს „ზამთარ-ზაფხულის“ მუდმივი ხატის ვარიაცია აქვს მოცემული. მთლიანად პოემის კომპოზიციური მწყობარში კი ბიბლიურ მოტივებს თავისებური კონტრასტუალებების როლი აქისრია, რადგან სწორედ ასეთ „მიოთლოგიურ“ კულმინაციებში ერთიანდება ორი მთავარი ხაზი პოემისა, რომელიც ანაც პირველი, პირობითად. „პეტრიჩის ძიებას“, „სიყვარულით ამაღლების“ სასწაულს შეგვიძლია შევაღიროთ, ხოლო მეორე მთლიანად დაკავშირებული იმის, მტრობის ოსვენციური ჯოჯოხეთისა თუ ქაჯეთის სურათებთან. პოემის ტრაგიკული ოპტიმიზმის ფილოსოფიური სიმაღლე კი აშკარაა. ვეშაბისა და ადამიანის ორთაბრძოლაც და „სატანის დათრგუნვის“ სურათიც ხომ ოსვენციუმის საზინულე-

ბათა პანორამის აგეირკვინებს. თვით ეს ამწერს ზენი და შემზარავი პანორამაც ხომ ვახიარებულა წამებულთა „დიდ თვალეში ადამიანის დიდი ცეცხლით“, ხოლო ერთმა წამებულთა განმა ხომ თვით აუხსნა და უქადაგა თავზარდაცემულ პოეტს უმაღლესი უქმარიტება: „არ დაიჯერო, არ დაიჯერო, ადამიანო, ღვთის გულისათვის. ხომ შენი თვალით ნახე ის ცეცხლი... იმ ცეცხლად არ ღირს სხვა ყველაფერი... ჩვენ ხომ იმ ცეცხლმა გაგვადლებინა... მხოლოდ იმ ცეცხლით იცნობა კაცი... და თუ ჩაქრება ის ჩვენს თვალეში, მაშინ ეიქნებით მართლა მონები, შეურაცხყოფაც და დამკირებაც მაშინ იქნება გამართლებული... ამიტომ უცდება ის ასე ძვირია, ღღემღღ ამიტომ არ ადევს ფასი... მის სინათლეზე კარგავს უფლებებს დასაღობ, ღვარძლიც, მტრობაც და შურაიც... კარგია მაინც თვითონ რომ ნახე, თუ რა ტრიალებს ამ ჯოჯოხეთში... ნუ შეგაძარწუნებს ჩვენი სიკამხდრე, ნურც იარების და ქუქუის სუნი... ეს ყველაფერი წარმატალია, შემთხვევითია და ასატანი... ბუნება სხვაც შეგვმოსავს ხორციით, გავიბანებით მის წმინდა წყლებში“.

განა იგივე სიბრძნე არ იყო განზოგადებული პოემის ჩვენთვის უკვე ნაცნობ ფინალშიც, სადაც „ადამიანის ტანით და სხიით“ გამოცხადებულმა ბუნებამ უბრძანა პოეტის ორულს — „სანამ ხარ, ისე დადექი მზისკენ, რომ ყველა სხვაც გადატყდეს შენშიც, სანამ ხარ, ისე დადექი ქარში, რომ ყველა მხრიდან მოგიდგეს ქარი, სანამ ხარ, ისე დადექი თოვლში, რომ უფრო მეტი დაგედოს თოვლი... აჰა, შენს კართან ვდგავარ და ვხედავ, რომ შენთან ერთად ვაძტებო პურიც“.

ამ სურათის მოსდევს კვლავ „იოანეს გამოცხადებიდან“ ტრანსპონირებული ჩვენება: „ადამიანში ინთა კიდეც და კვლავ გაბრწყინდა ოთხი ვარსკვლავი, მშვიდად რომ ეწყო ბუნებას პეშვში, როგორც ბუნებამ იჩიბის კვერცხები. მერე ბუნებამ დაუშვა ხელი და ძირს დაევიდნენ ის ვარსკვლავები, ლედეს რომ ნაყოფი დასცივია ქარში. ვარსკვლავებიდან გაჩნდნენ მერნები, ზღვის პირას ქეშას დაპკრეს ტორები. ზღვის პირას დადგა ოთხი მერანი: თეთრი, წითელი, მწვანე და შავი. მერე ოთხივე შეცურდა ზღვაში. ვაცურეს ლალად და თემობით აწეწეს წყალზე ვარზმული ბინდი. და ზღვაც გამოჩნდა, პორიზონტამდე გადახაზული ოთხფეხა კვლით“ (ვილაქტიონის „ლურჯა ცხენების“ „მერანთან“ ნათესაობას მთუ გავითვალისწინებთ, უნდა ითქვას, რომ მთის ბიბლიური ცხენებთან კავშირზე პირველად გურამ კანკავამ მიუთითა).

ჩვენ ვიცით, თუ რას მოასწავებდნენ ბიბლი-

გიორგი მარგველაშვილი
ახალი ცის ძმე

აში ეს „სპეტაკი“, „წითელი“, „შავი“ და „მწვანე“ ცხენები. ამ სიმბოლოთა მნიშვნელობა პოემის ფილოსოფიური სიუჟეტის ხაზებშიც იყო განსხვავებული: იქ იყო „წითელ ცხენისეული“ ქვეყნად მშვიდობის მოსაპოვებელი და სისხლიანი კაცთა კვლაც, და იყო „სპეტაკ ცხენისეული“ დაძლევა, დათრგუნვა სატანისა; იქ იყო „მწვანე ცხენისეული“ სიკვდილი და ჭოჯობები, და იყო „შავ ცხენისეული“ სასწორულელიც ხორბალ-ღვინო-ზეთის მოსაზომად, რათა ბუნებას შესძლებოდა ადამიანთან ერთად „გაეტეხა პური“.


„პურის“ ეს ხატი მართლაც რომ საოცარ მეტაფორფორებს განიცდის პოემის წიაღში. იგი თავისებურ შექსა ჰყვანს თვით სიყვარულის ფენომენსაც, „ბეატრიჩესთან“ „პოეტის სიხლოვის უნეტარეს წუთებსაც. ყველაზე დიდი პოეტური საოცრება კი იქნება ის არის, რომ „პურის“ სიმბოლოს გაელვება პოემის ერთ უძლიერეს ადგილას ავლენს და ამჟღავნებს — დაუსაზღვრებლად, უთქმელად, პირდაპირი მიწოდების გარეშე, მაგრამ მიანიც საცხებობით უეჭველად — მიწერილი სამოთხის იმ კუთხეს, რომელსაც თ ბ ი ლ ის ი ჰქვია.

სწორედ მაშინ, როდესაც „მზემ ხელი შეეყო ყველა სარკმელში და ბინებს ახსნა ზამთარის ბორკილი“, პოეტის ორეულს „ბეატრიჩისთან“ შეხვედრის წინათგარძნობა გაუჩნდა, ხოლო შემდეგ ეს წინათგარძნობაც აუხდა:

„და შევხვდით კიდევ, მაგრამ არ მასსოვს, სად შევხვდით, რა დროს ან როგორ შევხვდით. მე როცა გონზე მოვეგე ცოტად, მე და შენ უკვე ერთად ვიყავით. მხოლოდ მე და შენ ვიყავით მაშინ. არ არსებობდა სხვა არაფერი, დაცარიელდა თითქოს ქალაქი, ან თითქოს უცებ გაქვავდა შურით. ჩვენ დავდიოდით და ამდენ სახლში არც ერთი სახლი არ იყო ჩვენი. თუმცა ამაზე არც გვოფიქრობა, ვერც დაგვკვიტვდნენ, ალბათ, კედლები. ძალს, რომელიც დაგვკვიტავდა, ჩვენ ვენდობოდით და მივყვებოდით. ხოლო სხვა ძალა, მისი მომრევი, არ არსებობდა ამ ქვეყნად მაშინ. მე მახსოვს, როგორ მოგვშივდა უცებ, როგორ შეეწუხდით და ავწრიალდით. ხალხს კი ეძინა და ყველა სახლი ღრმად უკაცურ სახლის ღრმობით. მაგრამ უეცრად გაიღო კარი და გამოვიდა იქიდან კაცი. ხოლო იმ კაცმა მოგვხვია ხელი და შეგვიყვანა სახლში ძალათი. და ჩვენ ოთახში აღმოვჩნდით უცებ. ოთახი იყო სუფთა და ვრცელი. თითქოს შემინდნენ და თითო თაროზე და ამოფარჩნენ შავი კედლები. იმ თაროებზე ელაგა პური: ფაფუქი, ცხელი და მშვენიერი. თონე კი ენთო შუა ოთახში და ხაბაზები ცომის გუნდებით ეყუდებოდნენ თავქვე თონეში და ბრუნდებოდნენ უკანვე სწრაფად, ცეცხლისგან თავლებგაწმენილები. ჩვენ ჩამოვსხვდით ფეხების ტომარებზე, ხოლო იმ კაცმა მოგ-

ვართვა პური. შენ გაგიხარდა და შეკრულხარა ყნოსავდი მხოლოდ და ისრუტავდი. მე შევიძლიე მასპინძელს ფული. მან კი მომთხოვა სხვა საფასური: მეკოცინა შენთვის ამ უცხო ხალხში. მე, რა თქმა უნდა, გავოცე მაინც... მან კი ხაბაზებს გახედა რიხით. თითქოს ის იყო კოცინის მომგონი, და ახლა სურდა, რომ ყველას ეგარძნო ამ საოცარი გამოგონების ძალა და აზრი. ებერებოდათ ხაბაზებს გული და ემღეროდით თვალები ვნებით, მაგრამ რატომღაც თავს იკავებდნენ და ეშვებოდნენ ისევ თონეში. ხოლო იქიდან მობრუნებულებს კვლავ დაწმენილი ჰქონდათ თვალები. ჩვენ გამოვედით ისევ ქუჩაში და ისიც დაგვხვდა კვლავ ცარიელი და შეთქმულივით ცივი და ბნელი. აღარ გვემოიხდა და დროშისავით მოგვეჩონდა ცხელი პურის სურნელი, შემოგვატარე მთელი ქალაქი და ყველა კედელს დავეიდე ჩრდილი შენი სხეულის, ავგაროვივით“.

პოემის „მინაწერში“, რომელიც თავისებურ კოდად ჟღერს ყველა მისი მთავარი მოტივის მიმართ, კიდევ ერთი საგულისხმო ბიბლიური ვარიაცია მოცემული — ამჯერად ბიბლიური „ლელვის ხის“ ხატისა. ამ ხატმა პირველად გაიელვა პოემის მეორე თავის ბოლოს, მას შემდეგ, რაც დასრულდა თავისებური ავტორისეული რეტორისჰექვიცა, სადაც აღწერილი იყო ომის წლებში ზღვისპირა ქალაქიდან ათი წლის ბავშვის მშობლებთან ერთად სხვა, დიდ ქალაქში მტკივნეული გადმოსახლება. არ გავცემთ ავტორის საიდუმლოს, თუ ვიტყვი, რომ აქ ბათუმთან თბილისში გადმოსვლა იგულისხმებოდა: „მე ათი წლის ვარ, ომია ყველგან. არეულა მთელი ქვეყანა. ჩვეს ოჯახს უჭირს, ხოლო ქალაქში ჩვენი დარჩენა დაღუბვას ნიშნავს, ჩავარდნილია მამა ლოვინად და ავადმყოფი მეუღლის გარდა სამი შვილი ჰყავს სარჩენი დედას. „უნდა წავიდეთ, უნდა წავიდეთ, აქედან უნდა წავიდეთ ჩქარა“ — აღარ გეშორდება ეს ორი სიტყვა, თითქოს ეს ორი სიტყვადა დარჩა და თითქოს მხოლოდ ამ სიტყვებს ძალუძთ ჩვენი უსაზღვრო ტანჯვის დატევა, ან თითქოს ძალუძთ, რომ ავგარიდონ: სიმშოლს, სიცოცხეს, და უმწურობას... და ყოველდღიურ მშისა და ხიფათს. და ჩვენც მივდივართ. ხალხის მდინარეს ჩვენი ოჯახიც ბაქანზე გავყავს... და აი, მიღის მატარებელიც. და ყველაფერი თავს იყრის ერთად, რაც განვიცადე ათი წლის ბავშვმა. ის მალე ცრემლის ბურთად იქცევა და მომწვევა ყელში მტანჯველია. ტკბანქი საგნებით და სხეულებით სავსეა კუმე. მე კი სუსტი ვარ და ვერ ვახერხებ მისვლას სარკმელთან, რომ ერთხელ კიდევ შევაგლო თვალი საყვარელ ქალაქს, რომელიც ბევრჯერ მომენატრება და ჩემს არსებას შეაჩვენებს სევდას, ზღვა კი შრიალებს და ლელვის ხეებს კვლავ ბიბლიური სიმშვიდით ძინავს.“



ეს რეტროსპექციული წიადგვლა იგივე ზღობიპირა ქალაქის სასტუმროში, სანატორიუმში თუ დასასვენებელ სახლში აღძვრა პოემის გმირს; ის ოსვენციმელი ნაწამები ქადაგიც აქ ნახა მან — აწ პენსიონერი — და აქვე გახდა მისი სიკვდილის მოწმეც. „ბეატრიჩეს“ ანრდილიც აქ ევლდა მას, იმავე ლედვის ხეგბთან. სწორედ აქაა რამ — „ზღვა კი შრიანლებს და ლედვის ხეებს კვლავ ბიბლიური სიმშვიდით ძინავთ. და ხაოიან ფოთლებში ჩამჭდარს ნაყოფს ტუჩები ესნება ნელა. ხვალ კი ყველანი, ამ სახლის მკვიდრნი, თითქმის შიშვლები მკვალთ ამ ხესთან და მწიფე ნაყოფს უმტკივნეულოდ და უზრუნველად მივიღებთ მისგან, ბუნებასავით მსუბუქს და სუფთას“.

ასეთი სახით იელვა პოემის მეორე თავის ბოლოს „ბიბლიური ძილით“ დაძინებულმა „ლედვის ხემ“, რათა პოემის ეპილოგში თუ მისწერო, მას შემდეგ რაც „ბუნებამ“ ზღვაში შეაღურა „თეთრი, წითელი, მწვანე და შავი“ მერნები და „ზღვაც გამოჩნდა, პორიზონტამდე გადახაზული ოთხფერი კვალით“, ამ ზღვიდან შორიახლოს კვლავ გაშუქებულიყო ასეთი სურათი: „მე მოვექეცი ლედვს კენწეროზე და ერთი ამბით მეძახდა ყველა. მეც საგანგებოდ ვარჩევიდი ნაყოფს და სათითაოდ ვისროდი დაბლა, მაგრამ მიშლიდნენ მწვანე ფოთლები რომ გამერჩია ისინი კარგად და ვორიგებდი ბუნების ნაყოფს სამართლიანად და განურჩევლად. უცებ ვივრბენი, რომ ფოთლებს შორის ამოანათეს შენმა თვალებმაც. და არა მარტო შენმა თვალებმა, მთელმა ქვეყანამ ამოიხედა. მეც დავექერიდი თვალებს ზემოდან, ლედვის ფოთლებით დაჩრდილულს ოდნავ. ბევრში სიკეთის სინათლე ენთო, ბევრი ბზინავდა ისევე ბორბტენ. მე კი თვალების ზღვის დავექერიდი ჩვეულებრივი ხის სიმაღლიდან და მიხაროდა, რომ ჩემი ხელით კვებავდა თავის შვილებს ბუნება“.

ჩვენ კი ამ „ბიბლიურმა ლედვის ხემ“ არ შეიძლება არ გაგვახსენოს ჩვენნიე ნარკვევის დასაწყისში მოყვანილი ფრაგმენტი ოთარ ქილიძის ბარათაშვილისადმი მიძღვნილ ესსეიდან — „ჩემს სულში სამუდამოდ ჩარჩა ერთი ლედვის ხე, რომელიც ჩემი ბავშვობის პირველ წლებში, ბათუმში, მამიდაჩემის ეზოში იდგაო... მე ყოველთვის სინანულით ვიხსენებო ჩემი ბავშვობის მესაიდუმლეს, უშნოსა და ხაოიანს, მაგრამ უძვირფასესს და უნაზესს. მე იმ ხისთვის მიკოცნია. შემოგხვევივარ მის დაგრეხილ სხეულს და მიტრია კიდევ. მაგალითად: როცა მამა საავადმყოფოში წაიყვანეს, ანდა, როცა სამუდამოდ მოვდიოდი ბათუმიდან... ის ჩემი ბავშვობის წმინდა ხეა, მაგრამ რა თქმა უნდა, მხოლოდ ჩემთვის... მაგრამ არსებობს ყველასთვის წმინდა ხეც. ეს ხე — ძეგლია. ძეგლი დიდი პოეტისა, ძეგლი ნამდვილი პოეტისა,

ასეთი იქნება, ალბათ, ჩვენთვის და მომავალ თაობებისათვის ბარათაშვილის ძეგლიც.

და როგორც ჯერ „მზის“ და „სიკვდილის“, „ნამორისა“ და „გაზაფხულის“ დიალექტიკურმა სიმბოლიკამ, ხოლო მერე „ლედვის ხის“ ხატმა მიგვიყვანა ჩვენ ბიბლიურ სიმბოლურე აყვანილ „ბათუმამდე“ და „თბილისამდე“, ბოლოს კი ნიკოლოზ ბარათაშვილის ხატბამდე, ასევე ოთარ ქილიძის პოეზიის ამავე რიგის მოტივები გვიახლოვებენ ჩვენ ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის და სიმონ ჩიქოვანის სულიერ, ზნეობრივ, და პოეტურ სამყაროს. ვაეისხეთო კვლავ ვაყვან „ვედრებიდან ამოკითხული პარალელები ოთარ ქილიძის ზნეობრივ კოდექსთან. და მართლაც, ვანა ვაყვან ლეგენდარულმა, ქვეშარიტად მითიურმა სახლმა არ იცოდა მზისა და დარის, ლდი ცხოვრების, თავისუფლად ნეარდის, ფრენისა და აღდრთოვანების ფასი? მაგრამ ფრენის ერთადერთი საშუალება კვლავ პოეტური აღმფრენა იყო — წვიმის, ქარის და თოვლის დამძლევი, მაგრამ ამ წვიმით, ქარით და თოვლითვე შობილი, ნაკვები, ნაზარდი, ნაწრთობი; და ასეთი სასწაულებრივი ამბავიც ამოიციოხა ამიტომ ოთარ ქილიძემ ვაყვან სახლის კედელზე:

გზის პირას იდგა მატარა სახლი და მის გარეშე ტყე კანკალებდა და ტყის შრიალით სავსეს და დაღლილს ქვეყანა ჯავშნად ერთკა ვარედან. სახლს ქონდა ერთი კარკა თვისება: ხეებს გაშლიდა ხოლმე აფრებდალ და მიფრინავდა...

თუმცა ისედაც ცის ქვეშ ყველაფერს ათანაბრებდა. მან თითქოს სხვებზე მეტი იცოდა, მაგრამ სამღერლად ყოფინდა ცოტაც და ვანუწყვეტლოვ ცეცხლზე იწვოდა, წვიმდა თუ თოვდა, თუ ქარი ქროდა. იმ სახლში ცეცხლი ყოველთვის ენთო და ეკუთვნოდა იგი თანაბრად ცხვარსაც და მგელსაც, კაცსა და ღმერთსაც. და არ ავდებდა ავდარს არაფრად. რადგან იცოდა, რომ ავდრის შემდეგ უფრო ღამაში იყო ქვეყანა, და ყველა, ვისაც იცნობდა დღემდე, უნდოდა დარში გადაეყვანა. ასეთი იყო ის წყნარი სახლი და ვისაც სურდა, ყველა ამჩნევდა, როგორ დარბოდა ეზოში ძაღლი, როგორ ყვოდა ტოტი ფანჯრებთან.

გიორგი მარბველაშვილი
ახალი ცის ძმეშ



ანდა ამ სახლის მუღმივი მღვმერი, სინათლე ჩრდილებს როგორ ურევდა და რა უბრალოდ ტყდებოდა პური კაცის და მხეცის დასაბურებლად.

და რომ სიკვდილის უზარცო ხელი ამ სახლის მთავარ ძარღვსაც მალავდა. ის კი, წიგნივით ჩუმად და ძველი, ქვეყანას თვლიდა თავის კარადალ.

და იღგა შვიდალ...
და არაფერი
არ აკვირვებდა ტყეთა ბინადაჩს, ხოლო ხანდახან მწვანე აფრებით წყდებოდა მიწას და მიფრინავდა.

თათქმის მეოთხედს საუკუნით აღრე ასეთი-ვე ფვალით დაინახა სიმონ ჩიქოვანმა ვაქას სახლი და თვით ეს სახლი თუ არ აფრინა, ვაქას ბუხრის „ბოლის საფრენი მილი“ „ოცნების სამგზავრო ღარად“ წარმოიდგინა და მონათლა. ასე შეეხმინა ოთარ ქილაძე უახლოეს პოეტურ წინამორბედს ან თუ ასე შეეხმინა ძველი ლექსი მომავალ თვისტომსა და მოკავშირეს. სიმონ ჩიქოვანი კი მიმართავდა ვაქას, რომელსაც თვითონ აუშენებია სახლში ბუხარი და ანთებული ბუხრის შექმნე უწერია ხშირად ლექსები:

... მთას შეჩინულმა, ცეცხლის საბაღო შეპქმენ, შეავსე ოთახის სიღრმე, მისმა ვარვარმა გრძნობით ავანთო და წაწალივით ოცნება იხმე.
აგური აგურს ვაქაცურ თრთოღვით მიაღულე და გაღანდე ღარიო, მილი გარანდე საფრენი ბოლის, როგორც ოცნების სამგზავრო ღარი.
... ამირანვით მიკარე კუთხეს, რომ შეენახა შენი ღაღარი.
მას სტრაქონებმა შრიალით უთხრეს, როგორ შფოთავდა მთაში ავღარი.
ბუნების ფიქრი გრძნულ მარჯვენით აკვამულე და შთაბერე ბუხარს, ქარიშხლის ხმები სულში ნარჩენი იღაღდე და ნაკვერცხლს უთხარ.
ორწყალს ღრიალებს ორი არაკვი: ხევსურული და ფშავური ფერიო, და მოღულუნე ბუხრის მარჯვით შენი ნათლული ბუნება მღერის.
ხორბლისოღენა წვეთები წვიმის სიმზე შერჩა და ალღერებს ბავეს, ქარი მოჰყვება არწივის წივილს და მთები ჰგვანან ნაწვიმარ მანგებს.
... ჩარგალში ვნახე მალალი თხევი და ნაპერწყლები ბუხრიდან მარჯვამს. ბარში აღზრდილი ოცნება ჩემი ხედება ბუხარზე ჩამომჭადარ არწივს.
... ბუხარში ელავს ცეცხლის კბილები, გაბრაზებული ფრინველი თითქო,


იაკობვით მას ვერკინებთ
და ალიონზე კურთხევას
არწივის ფრთები ბუხარს გიმშვენებს
იგი ასწავლის ოცნებას ფრენას.
თუ გამიპირდეს, შენვე მიშველე,
ვერ შევითვისე მინდას ენა.
შენ რომ ოღესდაც აუნთე ცეცხლი,
ახლა რეგრად ბუხარში ღვივის.
მოშვეცი ხილვის მისხალი სესხა
და შემავთე არწივის წივილს.

ეს ვეფა... ბარათაშვილისადმი მიძღვნილ ეს-სეს კი ოთარ ქილაძემ „ახალი ცა“ დაარქვა და ბარათაშვილისავე სიტყვები წარუშქმლვარა ები-გრადად: „ახლა ცა ახალია“. ეს თქმაც ითანეს გამოცხადებულან“ მოღის: „და ვიხილე ცაი ახალი და ქვეყანაი ახალი, რამეთუ პირველი იგი ცაი და პირველი ქვეყანაი წარხდეს, და ზღვაი არღარა არს...“ საეულისხმოა, რომ ბარათაშვილის მომავალი სწორუბოვარი მთარგმნელიც ამ თარგმნებაშდე ბევრად აღრე „ძველი ქვეყნიდან“ „ახალი ქვეყნისაკენ“ ისტორიული გარდასვლის ეამს ამავე ითანისეულ გამოთქმას მიმართავდა: „საკმარისი იყო ამ ჩიხ-შესახვევთავან მოგაწყვიტა მზერა და ზემოთ აგვხედა, რომ გოაცებულაყვი ახალი ცის ხილვით... იგი ღღისითაც ვარსკვლავებით გაკავსებულნი ჩანდა და თითქმის ნთქავდა ამ გაპარტახებულ მიწას, იგი მძინარეთ ილაქს უწყვეტდა, მიწაზე ამხობდა და მეოცნებეთ კი აღაგზნებდა, ზეზე აყენებდა...“

ბარათაშვილმა წინასწარ განვერტა ეს ახალი ცა, ოცნებით მიინე იხილა იგი და განწირული სულისკვეთებით გამსქვალული ღუმლიც კი აღავლინა მისღამი ლოცვად. ოთარ ქილაძემ ეს ვიზიონერის თვალით დაინახა და ჩვენც ასე გაღმოავცა ნახული: „საქართველოში ბნელოდა. ამ სიბნელეს კი მარტო ის გრძნობდა. ეში-ნოდა მისი და ჩამონგრეულ გვირაბში მოყალილი კაცივით წვალობდა და მზეზე ამოსვლას ცდილობდა. ამოვიდა კიდეც: თუმცა არა, წყვილიადის ლოდებიდან მხოლოდ მისმა სულმა გამოაღწია. გულგრილობისა და სიბეცის, მორჩილებისა და სიბნელის მტვერი გადაიბერტყა და გახურებული გულმკერდი საქართველოს აღრიალებულ ჩანჩქერებს შეუშვირა. ჩვენდა საბედნიეროდ, იგი შემჩნეს, ხალხმა საქმეს თავი ანება და მისკენ წამოვიდა. ქალბმა ატირებული ბავშვები მაღლა ასწიეს, რათა მათაც დაენახათ და მისი მადლი მოსცებოდათ. კაცებს შერცხვით თვინათი სისუსტისა თუ უშეცრებისა და გადაკვარების გამოთავყენებულ სასმელს ზურგი შეჰქციეს.“

ის კი ნელა მიდიოდა პურის ყანაში და ჩამოგლეჯილ საყელოდან ბავშვური, სუსტი მკერდი მოუჩანდა.

ამ მკერდში კი მიეღო საქართველოს ბედ-



იღბალი ეტეოდა, მისი ჯადოქრობის წყალობით ჩვენამდე ლექსად და მუსიკად მოდწეული.

ის მიდიოდა პურის ყანაში და ათრთოლებულ ხელისგულზე თავთავს იფშენდა.

ღედღებუდიანად აწლილი ხალხი კი უკან მისდებდა.

ხალხის ფეხქვეშ ყანა ითელებოდა. მაგრამ არავინ არ ნადვლობდა... არავინ არ ცდილობდა წაქცეული პურის წამოყენებას, რადგან ხალხს ახლა სხვა პური ჰქონებოდა, პური სულისა და განებასა.

ბიოვა კედევ:

მანც რა არის ჩვენი ყოფა-წუთისოფელი, თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?

მაგრამ რადგანაც კაცნი გვექვან-შვილნი სოფლისა, უნდა კადეცა მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა.

არც კაცი ვარგა რომ ცოცხალი მეცდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს!

იგი შეჩერდა და ხალხს მიუბრუნდა. ხალხმა შევებით ამოიხსენთქა და ვიანიბა... ის კი ვიანგრამოდა:

„მე ახლა იმას ვამბობ, რომ შინაგანი ხმა მიწიერს საუკეთესო ხვედრისკენ, გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელის მდგომარეობისათვის დაბადებული! ნუ გბრინავს! მე არა მბინავს, მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა ღრე-კლდეს ვამიყვანოს, და ღადღე გაშლილს ადგოვს! ოჰ, რა თავისუფლად ამოიხსენთქავ მამინ, რა ხელმწიფურად გადავხედავ ჩემს ასპარეზს!“

... მას რაც ღმერთისაგან ჰქონდა დავალებული, ის უნდა შეესრულებინა პირნათლად: ნაპარალისკენ მიმავალი ფარა, რომლის ყოჩსაც ექვნის ნაცვლად ხელმწიფის ორდენი ჰქონდა შებმული, როგორმე უკან უნდა მოებრუნებინა და ეთქვა მისთვის: „უწინამც დღე კი დამეღევა მე! უცხოებაში რა სიამე, სადაცა ვერ ვის იყარებს სული და არს უთვისო, დაობლებული. რა ხელ-ყრის პატევს ნახი ბუღბული, ვალიაშაი დატყევებულიო.“

ბარათაშვილი ჩინარებით იღვა ხელოვწერად შექმნილ კალამოტში მოქცეული სულის ნაპირას: მრავალ-შტოვანი, პაეროვანი, მაღალი... და ყველა აღმოჩენასავით მოულოდნელი აღმოჩენით აღგზნებული:

მწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უსაკოთაეც და უსულთ შორის და უცხოველეს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათის საუბრის!

ის ამ საერთაშორისო ენის საშუალებით ვერჯერობით მხოლოდ თავისი ხალხის სმენას უნდა დაეკავშირებოდა და იქ შეემოწმებინა მისი სიმღღავრე. ამ ენაზე ლაპარაკს მას უკვე ვერავინ

ათერძალავდა, რადგან ეს სტიქიასთან ერთად ბრძოლას ემგვანებოდა. ვალიზიანე ვალნი ვალიზიანედებოდნენ, რადგან ეს „ენა რამ საიდუმლო“ მხოლოდ პოეტს ერგება ხოლმე ამ ქვეყნიურ საუნჯეთაგან და მხოლოდ მის ხელში იძენს ჯადოქრობის უნაღს. პოეტი და ეს „ენა რამ საიდუმლო“ ერთს მთლიანობას წარმოადგენენ. ისინი ერთმანეთში ცოცხლობენ და უერთმანეთოდ მათი არსებობა ანდა წარმოადგენა შეუძლებელია.

... და აი, უკანასკნელი სათხოვარიც ღმერთისადმი. სათხოვარი კაცისა, რომელსაც პირზე მკაცრი გონების ხელი აქვს აფარებული: მაშა დუმილიც მიმიტოვებ შენდამი ლოცვად!

დუმილი! დუმილი! პოეტის დუმილი — აღელვებულ ზღვაზე მქუხარე. და ბოლოს, მას ყველანი უნდა წამოეყენებინეთ ფეხზე, რათა პიშივით ერთხმად გვევალობა:

ცუდად ხომ მანც არა ჩაივლის ეს განწირული სულის კვეთება,

და გზა უვალი, შენგან თელაღი, მერანო ჩემო, მანც დარჩება.

და ჩემს შენდგომად მოძმენა ჩემსა სინდელე

გზისა გაუადვილდეს, და შეუშოვრად მას ჰუნე თვისი შავი ბედის წინ გამოუქროლდეს!

... ის არც თავის მამულში დაბარბულა და არც სატრფოს ცრემლი დასცემია... მის საფლავთან მაღალი კვიბაროსი მდგარა: ხედ ქვეული სული პოეტისა...

„სიძარბულე მხოლოდ ისაა, უფანჯრო და უკარო საყნის კედელს თავით რომ ეხეთქება“ — ეს სიტყვები, რა თქმა უნდა, შემთხვევით არ მომიტანია აქ. არც იმისთვის მომიტანია; რომ ბარათაშვილი კაცის შევადარო, მუხუხდავად მათი პირადი ცხოვრების საოცარი მსგავსებისა. უბრალოდ, ამ სიტყვებში ბარათაშვილისეული ტრაგედია ტრიალებს, მეოცე საუკუნეში ვადმისახლებული. ეს, აღამაინის უმწეობით გამომოწეული ტყვილი, ზოგანსაკაცობრიო ტყვილია და კაცი, რომლის სულსა და გონებაში იგი ჩისახლდება, მსხვერპლია, წმინდანია, ჯოჯოხეთურ კოცონზე თავის ნებით ასული.

... ხალხი უკვე დღევანდელი, მისი მთრთოლვარე ხმითა და მზით გაბრუნებული გადათელილი პურის ყანაზე ღრუბლის ჩრდილი მზოზინობდა. ბავშვები ჩხაოდნენ და პირს არიდებდნენ მწუხარებისაგან რძეგამშრალ ძუძუებს. გილაყამ ქული მოხადა და მიწაზე დაახეთქა. ვილაყამ დაიჩოქა.

„ჩემი სურვილი იყო ჯარისკაცობა“ — თქვა მან და თითქოს თავისივე სიტყვების შერცხვავო, ოდნავ შესამჩნევად გაიღიმა.

მაგრამ ხალხმა უკვე იცოდა, რომ ხანდახან

ბიორბი მარგველაშვილი
ახალი ცის ძვიშ



ერთი პოეტი მრავალ ლეგიონს ჯობის და უფრო ერთგულად და მტკიცედ შეუძლია სამშობლოს დაცვა“...

... „ახლა ახალი ცაია.“ ეს არა იმდენად არსებულის ხილვაა, რამდენადც პიროვნების რელიგია, რწმენათა რწმენა. სიმონ ჩიქოვანმა ვეაჲს ბუხარში გაჩაღებული ცეცხლი „ახალი ცის“ ქვეშ იხილა. ოთარ ჭილაძემ შინაგანი მზერით წაუსწრო ვეაჲს სახლს, როცა იგი „მწვანე აფრებით წყდებოდა მიწას და მიფრინავდა“. სიმონ ჩიქოვანმა 1930 წელს კინლამ დაიჯერა, „რომ მონგოლებმა ბარათაშვილის მერანი მოკლეს“. და ეს ღმერთი მეთოხედი საუკუნის შემდეგ დასაშვია მხოლოდ, როცა მას უკვე ნათქვამი ჰქონდა ბარათაშვილისათვის — „მტკვარი მოგყვება მორჩილ ლანდივით, გეხმაურება ქართლის ბუნება, მულღაზნაზარზე ჩანს ავთანდილი და შენს ვარსკვლავებს ესაუბრებაო“ ასე მიგვეთითა კიდევ ერთხელ, რუსთაველისა და ბარათაშვილის შემაერთ გზაზე. ოთარ ჭილაძემ ისე თქვა ბარათაშვილზე — იგი „მეორე საოცრებაა ქართველი ხალხისათვის, მეორე ღმერთია“ — თითქოს ბარბელ ღმერთის სახელის ხმაბლად ხსენებაც კი კანდიერებად ჩასთვალა, მაგრამ ერთხელ, ჟურნალისტის დაინებულ კითხვაზე, რომელი მწერალი გიყვარსო უფრო, ასე უპასუხა: — „ძალიან ბევრი მწერალი მიყვარს, მაგრამ ყველა მწერალი რუსთაველმა შემაყვარა“. ჩემმა პოეტმა ივო ვაცულენმა 1967 წელს „სვეტ სოვეტუ“-ში ოთარ ჭილაძეს მიუძღვნა შეტად მახვილი და გონიერი მოგონება, სადაც ასეთი სცენაც დახატა: „მეხსიერებაში ჩამჩნა მამადავითის მთაზე გატარებული საღამო. ქვევით, სიორმეში, ტბის ზედაპირზე ვარსკვლავების ანარეკლივით ციმციმებდა ქალაქის ლამპიონები... ვარსკვლავნი თავს ზევით, ვარსკვლავნი ფერხით... შოთამ იცოდა, — დაიწყო ოთარმა, — შოთამ იცოდა, როგორ გამოიყურებოდა სამყარო... ვარსკვლავებისადმი აღვლენილი ავთანდილის ლოცვა გამახსენდა, როცა გაგარინის მოგონებას ვკითხულობდი იმის შესახებ, თუ რა დინახა მან კოსმოსური ხომალდის სარკმლიდან. შოთამ ეს გრძნობით იცოდა, რადგან პოეტი სამყაროს გრძნობით აღება“. ასე გადმოვცემს ქართველ პოეტთან ერთ-ერთ შეხვედრას ჩვენი უცხოელი მეგობარი.

როგორც ვხედავთ, ოთარ ჭილაძემ იცოდა, რომ შოთამაც თავისი „ახალი ცა“ იხილა.

... შოთა რუსთაველი. ბარათაშვილი. ვეაჲ-ფშაველა... კიდევ ერთ საგაზეთო ანექტის კითხვაზე — რა არისო, თქვენის აზრით, ყველაზე აუცილებელი, რაც თანამედროვე პოეზიამ უნდა მისცეს მკითხველსო, — ოთარ ჭილაძემ ასეთი პასუხი გასცა: „პოეზიის მნიშვნელობა უცვლელი რჩება, ქვეშაობატი პოეზია ხალხის წიაღში იბადება და ადამიანური თა-

ვისუფლებისა და სიმატლის რწმენას ამტკიცებს“. ამევე ანექტის მეორე კონსტრუქციის, როგორ წარმოგედგინათ მომავლის პოეზიო, უპასუხა — „მიუხედავად იმისა, რომ დარწმუნებული ვარ მეცნიერებისა და ტექნიკის უდიდეს განვითარებაში, მომავლის პოეზია ვერ წარმოიადგენია რუსთაველისა და დანტეს, შექსპირის, პუშკინისა და ბარათაშვილის, ბლოკისა და გალაკტიონის ტრადიციების გარეშეო“.

ლექსი „სახლი“, ესევე „ახალი ცა“ და ეს ორიოდ ინტერვიუ იმ იშვიათ შემთხვევათაგანია, როდესაც ოთარ ჭილაძე თვითვე გვაძლევს ავტარა და ზუსტ მისამართს თავისი პოეტური კერებისა და თავისებურად მიგვივითებს საკუთარ პოეტურ გენეალოგიაზე. ქართული პოეზიის პარნასის მკვიდრობაგან, განუსხვავებლად მათი იერარქიული მწყობრისა, ოთარ ჭილაძემ ლექსად თუ ესისეტურ პროზად თითებზე ჩამოსათვლილი ფრაზები თუ აქვს უშუალოდ ნახსენები ან ნაგულსხმები: შოთა, ბარათაშვილი, ვეაჲ, გალაკტიონ ტაბიძე. გალაკტიონის შემდეგ და მასთან ერთად მან, როგორც ვიცით, სიმონ ჩიქოვანიც „შემოუსვია“ თავისი პოეზიის სათავეებთან. ხოლო უკვე არაქართველ თანამედროვე მგოსანთან ოთარ ჭილაძის პოეტური მსოფლმეგრძნება და თვით მისი პოეზიის მხატვრული სტრუქტურა აშკარად ვაანაყოფიერა ბორის პასტერნაკმა, ქართული პოეზიისადმი მისი მიმართების მიერ კომპლექსის გათვალისწინებით. ამევე დროს, პასტერნაკის პოეტური და სულიერი ფენომენი არა მარტო მის მიერ ათვისებულ ქართულ წყაროს ენათესაებოდა (ბარათაშვილი, ვეაჲ, ტიცინე ტაბიძე, სიმონ ჩიქოვანი), არამედ გარკვეული მნიშვნელობით „წარმოიადგენოდა“ შექსპირსა და გოეთეს, პუშკინსა და ლერმონტოვს, ტიუტჩევსა და რილეს, ბლოკსა და მიაკოვსკის. რა თქმა უნდა, ოთარ ჭილაძისათვის ეს მხოლოდ დამატებითი, „პარალელური არხი“ იყო ამ ბუმბერაზთა ფენომენთან საზიარებლად, მაგრამ თვით ასეთ შინაგან დამთხვევასაც ჰქონდა გარკვეული მნიშვნელობა. რუსული პოეზიის უახლეს პოეტურ პრაქტიკაში კი ასეთი შინაგანი ნათესაობისა და თვისტომობის ნიშნები ოთარ ჭილაძისა და ბელა ახამდუღლიანს პოეტურ სისტემათა და ამ სისტემათა მასაზრდოვებელ სულიერ საწყისთა შეხვედრამ გამოავლინა.

ჩვენ საგანგებოდ მოგვიჩნდა გაშუქება საკითხისა, თუ რა ადგილი ანუ პოზიცია ხვდაწილად ოთარ ჭილაძეს მსოფლიო პოეტურ დინებათა გზაჯვარედინზე. მაგრამ მისი სულიერი და პოეტური სამყაროს მასაზრდოვებელ წყაროთა განჭვრეტა, რალა თქმა უნდა, ქართული კლასიკური და თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურითა და ხელოვნებით უნდა დაიწყო.

აბრსკილის ავიმოლოგიური გავებისათვის

(რეცენზია ლ. აბაბას წიგნზე — „ავხაზთ მითოლოგიიდან“, „ალაშარა“, სოხუმი, 1976 წ., რუსულ ენაზე).

ფილკლორი და მითოლოგია უხსოვარი დროიდან უდიდეს როლს თამაშობდა ხალხთა სულიერ ცხოვრებაში. სწორედ მასში იყო რაფინირებული საზოგადოებრივი მრწამსი და კულტურა, ზნეობრივი და ინტელექტუალური იდეალები, სულიერი და ფიზიკური აღზრდის ბრინჯაობი.

ისე როგორც მსოფლიოს ყველა ხალხი, აფხაზი ხალხიც, სანამ თავის ეროვნულ სიტუაციაზე მწერლობას შექმნიდა, სულიერ ცხოვრებაში ძირითადად საზრდოობდა იმ იდეებით, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა ხალხის ცნობიერებაში და დასრულებულ სახეს ღებულობდა ზეპირ-სიტყვიერებაში.

სამწუხაროდ, ეროვნული ძნელბედობის მიზეზებით მხოლოდ გასული საუკუნის 60-იანი წლების დამდეგიდან დაიწყო აფხაზი ხალხის ამ მდიდარი მემკვიდრეობის (ხალხური შემოქმედების) შესწავლა, რასაც მყარი მეცნიერული სავუძველი აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიეცა. ამ კეთილშობილურ საქმეში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს როგორც თვით აფხაზმა სწავლელებმა, ისე ქართველმა და რუსმა მეცნიერებმა, საზოგადო მოღვაწეებმა, მწერლებმა. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ: ს. ზვანბა, ვ. გარკია, დ. გულია, პ. უსლარი, ი. ბარტლომიე, ა. იოაკიმოვი, ი. ლიბაჩოვი, ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, ხოლო შემდეგი თაობის მეცნიერთაგან საგანგებო ყურადღების ღირსნი არიან: ს. ჯანაშია, გ. ჩურსინი ქ. ლომთათიძე, შ. ინალი-იფა, ხ. ბლაბა, ბ. შინკუბა, მ. ტრაფში, შ. სალაყია და სხვ.

ახლან გამომცემლობა „ალაშარამ“ რუსულ ენაზე გამოსცა საქართველოს მეცნიე-


რებათა აკადემიის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ლ. ხ. აბაბას საყურადღებო გამოკვლევა — „აფხაზთა მითოლოგიიდან“, რომელიც აფხაზი ხალხის მდიდარი მითოლოგიისა და ზეპირსიტყვიერების მეცნიერული შესწავლის საქმეში უთუოდ წინ გადადგმული ნაბიჯია.

გამოკვლევის მიზნისა და დანიშნულების შესახებ ავტორი შესავალშივე გვაუწყებს: „წინამდებარე შრომის მიზანია, გამოავლინოს აფხაზთა თქმულებების, კერძოდ, აფხაზური მითოლოგიის ყველაზე ნათელი სახეების ნართებისა და აბრსკილის შესახებ არსებული თქმულებების უძველესი შრეები“ (გვ. 3).

სარეცენზიო ნაშრომის ავტორი აშკარად საკვლევი მასალის, აფხაზი და მისი მონათესავე და მეზობელი ხალხების, ასევე მსოფლიო ფილკლორის, მითოლოგიის საკმაოდ სავუძველიან ცოდნას და სათანადოდ იყენებს მას აფხაზური ხალხური შემოქმედების ისეთი უნიკალური ძეგლების გაშუქებისას, როგორცია ეპოსი ნართებისა და აბრსკილის შესახებ.

ნართების ეპოსი, როგორც ცნობილია, საერთოა მრავალი კავკასიელი ხალხისათვის. მათ შორის თავიანთი ვარიანტები (ძირითადი სიუჟეტური ქსოვილის შენარჩუნებით) მოუპოვებთ აფხაზებს, ოსებს, ყაბარდოელებს, ადიღებს და სხვ. ასევე ნართების ეპოსის გამოძახილი აშკარად ჩანს ქართულ ხალხურ ზეპირ-სიტყვიერებაში (აკად. შ. ძიძიგური, პროფ. მის. ჩიქოვანი).

სარეცენზიო ნაშრომის ქვაკუთხედს წარმოადგენს იმის ძიება, თუ რა კავშირი არსებობს ნართებისა და აბრსკილის შესახებ არსებულ თქმულებებსა და აფხაზურ მითოლოგიას, აფხაზურ წარმართულ პანთეონს შორის. ამ სა-



კითხის დასმა და ორიგინალური ვადაწყვეტის ცდა არის ის სიახლე, რომელიც სავანებში ინტერესს იწვევს ამ გამოკვლევებისადმი.

ნაშრომში დიდი ადგილი აქვს დიომობილი ნართების ეპოსის ცენტრალური გმირი ქალის — ნართების ღედის სათანეი გუაშის სახეს და მის გამოძახილს აფხაზი ხალხის მითოლოგიაში. ეყრდნობა რა ცნობილი ნართოლოგების მოსაზრებებს და კრიტიკულად იხილავს რა მათ შეხედულებებს, ავტორი მიდის იმ დასკვნამდე, რომ სათანეი გუაშა (ზოგ ჩანაწერში წოდებულია „გუნდალ“, „აგუნდალ“), ნართების ეპოსის ცენტრალური სახე, და აფხაზი და სხვა კავკასიელი ხალხების ნაყოფიერება და მეფუტერეობის ღვთაება ა ნ ა ნ ა გ უ ლ და იღენტური უნდა იყენენ. ამდენად, ავტორის აზრით, ეს ფოლკლორული სახე ღვთაებრავი წარმოშობისა ჩანს.

ნართების ეპოსში ასეთი რეფერენა: — „უა, რაირა, რახაირა, რეიშარა, რეიშარა“, „უა, რაირა, რაილა, რაშა“.

ეს მისამაღერი გვევლება ბევრ აფხაზურ სიმღერაში, რაც, მეცნიერის აზრით, საკულტო დანიშნულებისა უნდა იყოს, რადგანაც დაკავშირებულია მზის კულტთან, ხოლო იმდენად, რამდენადაც ეს სიტყვები შეიცავენ „რას“, ხომ არ არისო ეს მინიშნება მზეზე „რა“ ხომ ძველ.სამყაროში (ეგვიპტე) მზის ღვთაება იყო. ნ. მარსია და ივ. ჯეგანიშვილის კვლადაკვალ, ლ. აკაბას ვარაუდითაც ეს ძირი „რა“ უნდა გვექონდეს სიტყვაში „ამრა“ (მზე).

ანალოგიური მსგავსებებია გვაქვს ზოგიერთ სხვა სიტყვასთან დაკავშირებით. ამ ბოლო დრომდე ქართველთათვის უცნობი იყო სიტყვები: „ყირა“, „არალე“, „შარშან“ და ა. შ. მათი ახსნა ქართული ლექსების ბიზანტ არხერქლებოდა. მხოლოდ ურარტულთან შეიძირისპირებით ვაირკვა, რომ ამ უკანასკნელ ენაზე „ყირა“ მიწას ნიშნავს, „შალი“ — წილს, „ალალი“ — მოსავლის ღვთაებას. აქედან მისამაღერი „არალე, ჰირა არალე“ ძველი საკულტო სიმღერის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს (ილ. სვანიძე, გ. მელიქიშვილი). ასევე „ოდოია“, „ვოისი“, და სხვანი საკულტო სიმღერების კომპონენტებად მოჩანან.

მეტად საინტერესოდ და ანგარიშვასაწეველ მსჯელობას წიგნის ავტორი „ურადას“, „ეურადლს“, „ურადლდეს“ ეტიმოლოგიის შესახებ.

ნაშრომში მოცემულია სიტყვა „ნართის“ (აფხაზურად „ნართაა“) ახლებური ეტიმოლოგიური გაგება აფხაზური ენობრივი სამყაროს საფუძველზე.

ცნობილი, ნართების შესახებ მრავალი საინტერესო მოსაზრება არსებობს. პროფ. ვ. აბაევი იძლევა ამ სიტყვის ასეთ ეტიმოლოგიურ ახსნას: „ნარ“-თა“. სიტყვის პირველი ნაწილი

(ის არის ძირიც) მიუთითებს „საეფუარ“ ან „საეტომო სახელზე, ხოლო მეორე ნაწილი — „თა“ სუფიქსია, მანიშნებელი საფარულზე წარმოშობისა. „ნართა“ მიუთითებსო ნარის შთამომავალზე ისე, როგორც ბორათა — ბორის შთამომავალზე და სხვ.

ა. ვალაგატმა აღნიშნული სიტყვა ახსნა ადიღური ენის საფუძველზე. ადიღურად ნართი იქნება „ნერთე“ და ნიშნავსო „თვალის საჩუქარს“.

ორიგინალური მოსაზრება ეკუთვნის პროფ. შ. ინალი-იფას, რომელმაც დაინახა სამი კომპონენტი ამ სიტყვაში და საბოლოოდ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „ნართაა“ არისო „ღედის ოჯახი“.

სარეცენზიო წიგნის ავტორი სრულიად განსხვავებულ და ახლებურ ახსნას გვთავაზობს სახელისა „ნართაა“. მისი აზრით, რაც მეტად პირობითი ჩანს, „ნართაა“ შეიძლება გავებულ იქნას როგორც „მოშემი სიუხვისა (სიმდიდრისა. წარმატებისა)“. ამასთან იგი „ნარ“-ს ეტიმოლოგიურად უკავშირებს „ნარა“-ს (?), რაც აფხაზურად ნიშნავს. მზეს, „თა“-ს კი მიიჩნევს აფხაზური ზმნის „ათარა“-ს (შეცემა) ნაწილად. ამრიგად, ლ. აკაბას შეხედულებით: „ნართაა არის მწუჭებული სიუხვისა, სიმდიდრისა, წარმატებისა“ (გვ. 48).


საბოლოოდ სარეცენზიო წიგნის ავტორი მიდის იმ დასკვნამდე, რომ „ნართაა“ არის აფხაზური წარმართული ღვთაება მონადირეობისა.

დიდ ინტერესს იწვევს ის განყოფილება, რომელიც ეხება აბრსკილს — აფხაზურ ამირანს, პრომეთეს. აბრსკილ-ამირან-პრომეთეს თემა მეცნიერებას დიდი ხანია აინტერესებს. ამ პრობლემის შესახებ ბევრია დაწერილი, მაგრამ მათი მიმოხილვა წიგნის ავტორის მიზანს არ წარმოადგენდა. მისი მისწავლება იყო აბრსკილის შესახებ არსებული თქმულების უძველესი საწყისების ძებნა და ამ სიტყვის ეტიმოლოგიის ვარკვევა.

ამ ავტორი მიმოხილავს ზოგიერთ სპეციალურ ნაშრომს აბრსკილის შესახებ. შემდეგ მოცემულია როგორც აბრსკილის ახლებური ეტიმოლოგიური ახსნის, ისე მისი (აბრსკილის) აფხაზურ წარმართულ მითოლოგიურ სამყაროსთან დაკავშირების ცდა.

ნაშრომში მოტანილია სხვა მეცნიერთა მიერ შემოთავაზებული აბრსკილის ეტიმოლოგიური ძიებების რამდენიმე მაგალითი. ნ. მარსი მიხედვით, აბრსკილი ორი სიტყვისაგან შედგება. „ბერ“ და „სკილისაგან“. პირველი ნიშნავს „მზეს“, „ცას“, ხოლო მეორე „სკიარი“ — მგერულ-ქანურად „შვილს“. ამრიგად, „აბრსკილი“ ნიშნავსო „მზის შვილს“.

სიტორიკოს გ. წულუაბას მიხედვით „აბრ“ სკვითურად ნიშნავს „ცას“ (არაიშვითად მზე-



სე), ხოლო მეორე კომპონენტი „სიკი“ ზანუ-
რად უდრის შვილს. საბოლოოდ აბრსკილი
ნიშნავს „ცის შვილს“.

ნართეზის ეპოსის მეკლევარ შ. სალაყაიას
ბიანია, რომ აბრსკილი შედგება ორი კომპო-
ნენტისაგან: „აბრ“ ადილურად ნიშნავს „ქვას“,
ხოლო „სკილი“ — მეგრულ-ჭანური სიტყვაა —
„შვილი“. ამ მოსაზრების მიხედვით „აბრსკი-
ლი“ ნიშნავს „ქვის შვილს“. ამ შეცნობის
აზრით, ნართეზის ეპოსის ერთ-ერთი პერსონა-
ჟის საკუთარი სახელი სასრიაყა და აბრსკილი
სემანტიკურად, შინაარსეულად ერთი და იგი-
ვეა „სას“ უპარდოულის ერთ-ერთ დიალექ-
ტზე ნიშნავს „ქვეპარილი“. მამასადამე, სას-
რიაყა ქვის შვილიაო. შემდეგ ჯ. სალაყაია
ანტიპრეტებს ასეთ შეხედულებას, რომ „სას“
(ქვეპარილი) ცნობილი იყო აფხაზურადაც,
შეიძლება თავდაპირველად „აბრ“-ის ნაცვლად
იყო „სასრ“ და შემდეგ შეიცვალაო.

როგორც სამართლიანად მიუთითებს ლ. აკა-
ბი, ეს სიტყვა მიუღებელია, რადგან ავტორი
დასაბუთებელი დებულებებით მსჯელობსო,
მაგრამ ერთი რამ ცხადია, რომ სასრიაყა და
აბრსკილი ერთნაირი ბუნების მითოლოგიური
გმირებიაო.

სარეცენზო წიგნის ავტორი აბრსკილს აღი-
არებს ელვის, ცეცხლის განსახიერებად. თუ ეს
სწორია, განაგრძობს იგი, მაშინ ეს უნდა ჩან-
დეს ამ მითოლოგიური გმირის სახელშიც, ე. ი.
ეს სახელი ეტიმოლოგიურად ცეცხლთან უნდა
იყოს დაკავშირებული და აი, აქედან გამომდინ-
არე, ავტორი იძლევა აბრსკილის რადიკალურ-
ად განსხვავებულ ეტიმოლოგიურ ახსნას,
ცოტა არ იყოს საჩოთიროს. ჩვენ ვეჭვდენება,
რომ ავტორი საკითხის ძიებას იწყებს წინასწარ
შემუშავებული მოდელის მიხედვით. ამ ბოლო
დროს ეს ტენდენცია, სამწუხაროდ, შეიმჩნევა
ზოგიერთი სხვა მეკლევარის მეთოდშიც, რასაც
შინაოდ მივყავართ კურიოზულ შედეგამდე.

რადგანაც ავტორს მიაჩნია აბრსკილი ცეცხ-
ლის, ელვის განსახიერებად, ამიტომ მის სახე-
ლში უთუოდ ეძებს ცეცხლის ელემენტებს.
ასეთმა ლოგიკამ მას სიტყვა „აბრსკილი“ და-
ანაწევრებინა სამ კომპონენტად: აბრ-ს-კილ.

„აბრ“ მას მიაჩნია მრავალი აფხაზური სიტ-
ყვის კომპონენტად, შემადგენელ ნაწილად,
ფუტედ, ძირად. ზმნა „აბრუ“ აფხაზურად ნიშ-
ნავს ზვიდან ჩამოვარდნას სპირალისებურად,
ბრუნვით. ამავე ძირისაგან არის ნაწარმოები
სიტყვა დაბრიტ — „ძირითადი გზიდან გა-
დახვევა“. აქვე დასძენს ავტორი:

«Несомненно в глаголе (а) бр-ра мы
имеет древнейшее слово, имевшее мно-
го значений. Одно из них «Летать». В
форме А П Р-ра это слово сохранилось
и в современном абхазском языке»
(стр. 69).

სიტყვა „აბრსკილის“ მეორე კომპონენტად
მას მიაჩნია „ს“, რომელიც არის თურმე მე-
რე მინდელი ვარიანტი ბგურისა „ც“, რაც აქედან
მხრივ ყოფილა ნაშთი „ამცა“-სი — „ამცა“-
რომ ადრე შეიძლება ყოფილიყო „ც“-„ს“-ს
ნაცვლად, ამას ადასტურებსო ერთ-ერთ ვარი-
ანტში შემორჩენილი ბგერა „ც“. ასეთად მას
მიაჩნია „აბრცკილი“. მეტი რომ არა ვთქვათ,
მიამიტური ლოგიაა.

ავტორი აცხადებს, რომ ერთ-ერთ ჩანაწერ
ვარიანტში არისო ნახშირი „აბრცკილი“, მაგ-
რამ რა საბუთი გავგანძია, რომ ეს სწორი
ვარიანტია? ასე თუ მიუღებელია. მაშინ ყო-
ველი სიტყვა შეიძლება დამპლესი ნებისმი-
ერად და მასზე აიღოს ახალ-ახალი „ეთერი-
უმები“. სინტერესოა, რატომ აბრცკილზე შე-
ჩერდა ავტორი და არა „აბულსკირზე“ (ა.
იოაკიმოვი), ან „აბლასკირზე“ (ი. ლისჩიკოვი)?
იმითმ, რომ ეს წინასწარ შერჩეულ მოდელს
არ მიესადაგებოდა.

დარჩა მესამე კომპონენტი „კილ“. ეს არი-
სო აფხაზური გვარის მაწარმოებელი, რომე-
ლიც ქართული „შვილის“ თანატოლიაო, და-
ახლოებით ისეთივე, როგორც „კუა“ ან „ბა“.
აი მისი სიტყვები:

«Что касается окончания К И Л, то по
всей вероятности, он имеет такое же
значение, что и рассмотренный выше
патронимический формант ку а. Но это
указывает, например, тот факт, что при
помощи окончания кил оформляются
некоторые абхазские фамилии. Такова
в частности, фамилия Таркил. Более
распространенной формой этого же по
существу фамильного наименования, но
в другом оформлении, является фами-
лия «Тарба» (стр. 69-70).

ავტორს მიაჩნია, რომ „კილ“ არის გვარის
მაწარმოებელი უძველესი აფხაზური ფორმან-
ტი ისევე, როგორც „კუა“ ან „ბა“.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „კუა“ არ არის
აფხაზურ ენაში პატრონიმიკური ფორმანტი.
ავტორს ადილურ-ჩერქეზული „ყვა“ („შვი-
ლი“), რუსულად გადააქვს „კუა“-დ, რაც არ
არის სწორი. მას სურს ანდაგვარად ფონეტი-
კურად მიუსადაგოს ერთმანეთს „კილ“ და
„კუა“ (სინამდვილეში „ყვა“).

ამრიგად, ავტორის აზრით, აბრსკილი შე-
დგება სამი კომპონენტისაგან. ესენია: „აბრ“ —
ჩამოვარდნა, ფრენა, „ს“ — (იგივე ც) — ნა-
წილი ცეცხლისა (ამცასი) და „კილ“ ძველ
აფხაზური შვილი (?). — საბოლოოდ აბრს-

ოთარ შურდუღია
აბრსკილის ეტიმოლოგიური გაგებისათვის



კილი ანე უნდა გაიგოთ — მფრინავი ცეცხლის, ე. ი. ელის შვილი.

ჩვენ გვეჩვენება, რომ ავტორის მტკიცება საბუთიანობას მოკლებულია, უმეტესად იგი ემყარება თვითნებურ მცდარ მოსაზრებებს, როგორც თვითონვე ამბობს მკვლევარ შ. სალაყაიას მისამართით, „დაუსაბუთებელ დებულებებს“.

„კილ“-ის გაიგივება აფხაზური გვარის მანქანოებელ ფორმა „ბა“-სთან ან „ფა“-სთან ხელოვნურია, არ მტკიცდება, არ დასტურდება. ამასთან „კილ“ გვეხდება ერთადერთი აფხაზურ გვარში თარკელ და თან ავტორობით არავის დაუდგენია ამ გვარის ეტიმოლოგია. რა საფუძველი გვაქვს უარყოფით, რომ „კილ“ არის შემადგენელი ნაწილი „ხილ“-ისა, რაც მეგრულ-ლაზურად შობილს ნიშნავს. ჩვენ გვეჩვენება, რომ ალბათ ადრინდელი სახე თარკელისა (თუ მართლაც აქ „კილ“ მაწარმოებელია) იქნებოდა თარსკილი. ეს უფრო დასაშვებია, ვიდრე ის ვარაუდი, რომ აფხაზური გვარები ადრე „კილ“ ფორმანტით იწარმოებოდნენო (გვ. 70), ხოლო მერმანდელი, უფრო გვიანდელი მაწარმოებელი აფხაზური გვარებისა — „ფა“ ან — „ზა“ არისო (იქვე).

სავარაუდებელია ისიც, თარკილი ზომ არ არის თარბას („თარ“ — აქ უდავოდ მინიშნებაა სავარაუდოზე, მაგრამ, თუ რა ნიშნავს იგი, ჭერ არავის დაუდგენია, ხოლო „ბა“ გვარის მაწარმოებელია) ზანური სახენაცვალი ე. ი. აფხაზური „ბა“ ზომ არ არის შეცვლილი „სკილ“-ით?

გვაქვს კი ასეთი ან ამის მსგავსი სხვა შემთხვევები ქართულ-აფხაზურ ურთიერთობაში, როდესაც ერთი სახელი ან ცნებია აღმნიშვნელი სიტყვა მეორე ერში გადასულიყო სახე-შეცვლილად? რამდენი გვხვავთ!

წარმართული და ქრისტიანობის პერიოდის ქართულ-აფხაზური კულტურული ურთიერთობა ამისი ნათელიყოფაა. ესაა სწორედ ჩვენი ძმობა-მეგობრობის საფუძველი და მისი უარყოფა ყოვლად შეუძლებელია. ეს საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ შესწავლილი და გამოქვეყნებულია. ამ გარემოებებზე გარკვევით მიუთითებენ ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, ნ. ჯანაშია, პ. ჭარბია, ს. ჯანაშია, ჭ. ჩუბინი, ე. ბარდაველიძე, ზ. ანაბაძე, გ. ლომთათიძე და სხვ., რომელთაც თავიანთ შრომებში მოაქვეთ ქართულ-აფხაზური პარალელები. ისინი უფრო შორსაც იხედვიან, არ იფიქრებენ მხოლოდ ერთა ცხოვრების, წარმართული პანთეონის თავისებურებებს.

საქმეში ჩახედულ მკითხველს, არცაღა მოეჩვენება, რომ აკად. ი. ჯავახიშვილი, ასეთი დიდი პატრიოტი თავისი ქვეყნისა, ჭეშმარი-

ტების ძიებისას არ მოერიდა, და უამრავად ვარაუდი, რომ ქართული ენაში, სომხურ მჭერი, აფხაზური აბრსკილი და არამ-ხუტუ (მეგრულიზებული აფხაზურიდან) ხომ არ არისო დაკავშირებული მითრას (ჭველ სპარსული ღვთაება მზისა) კულტთან (იხ. მისი ქართველი ერის ისტორია, ტ. I, 1951 წ., გვ. 159). ამავე დროს ხომ გაჭრილი ვაშლის ნახევრებივით გვანან ერთმანეთს ქართული ამირანისა და აფხაზური აბრსკილის შესახებ არსებული თქმულებები, მითები.

ზემოთ ჩვენი ვთქვით, რომ ბევრია თანხვედრი სიტყვა და წარმართული ღვთაება ქართულსა და აფხაზურში, ბერიც დღეს ძნელად დასადგენია, მაგრამ ერთმანეთის გავლენით შექმნილი. აი რამდენიმე მაგალითი:

თანამედროვე აფხაზისათვის გაუგებარია და საერთოდ აფხაზურ ენაზე ვერ აიხსნება აფხაზური წარმართული თუ ქრისტიანობული სალოცავის სახელოვანი „ხეჩხვამა“. ამ კომპოზიტის მეორე ნაწილი „ხვამა“ გასაგებია. იგი მეგრული სიტყვაა და ნიშნავს ლოცვას, უფრო ზუსტად ოხვას (ივ. ჯავახიშვილი). აქედან „ოხვამა“ (სალოცავი), რომელიც დამკვიდრდა აფხაზურშიც, მაგრამ პირველი კომპონენტი „ხეჩ“ გაუგებარია აფხაზურისა და თანამედროვე ქართულისათვისაც (მეგრულისთვისაც). ნ. ჯანაშიამ კი თავის დროზე დაადგინა, რომ „ხეჩხვამა“ არის იგივე „ლუჯ ხვამა“ (დორის სალოცავი), რომელიც სრულდებოდა კალანდობისას (ნ. ჯანაშია, სტატიები აფხაზეთის ეთნოგრაფიიდან (რუსულ ენაზე), სოხუმი, 1960 წ., გვ. 16).

აღდგომის კვირის ხუთშაბათს აბეულ აფხაზებს მიჰქონდათ შესწირავე „წაჩურისათვის“, „მარდიანისათვის“ და „თარკელაზისათვის“. ახლა აფხაზისათვის გაურკვეველია, თუ რა არის „წაჩურის“, „მარდიანის“ და მით უმეტეს გავიგება, თუ ვაიყო, რომ „თარკელაზის“ ყოფილა ქართულ მთავარანგელოზი (იქვე, გვ. 12).

აფხაზური „არუპაპ“ არის ქართული ზღაპრების პერსონაჟის „როჟაპის“, „რუჟაპის“ აფხაზური სახენაცვალი (იქვე, გვ. 13).

ან, დღეს როგორ იფიქრებს კაცი, რომ აფხაზური „ჩაჩხაილი“ მეგრული „ცაშაა დიდი-საგან“ („დიდი ხუთშაბათი“) არის ნაწარმოები (იქვე, გვ. 16. იხ. აგრეთვე ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, 1951, წ., გვ. 139). ხომ შეიძლება გაუგებრობის ნივთზე ვინმემ „ჩაჩხაილი“ ასე დაშალოს?

„ჩაჩ“ სატომო სახელი ჩაჩებისა (მარგაშვილების), „ხ“ მიიჩნეოს ნარჩენად აფხაზური სიტყვისა „ახ“ (თავი), ხოლო „დილი“ ნაშთად ადგილისა (აფხაზურადაც ადგილია) და მივი-

დებთ: ჩაჩის ტომის თავი (ე. ა. ძირეული) ადგილი

აგრეთვე რამდენია აფხაზური გვარი გადაქართულებული ისე, რომ ძნელია ღდეს დაადგინო მისი პირვანდელი სახე და, პირიქით, ქართული გვარი აფხაზურში გადასული. აკად. ს. ჯანაშიამ გაარკვია, რომ ქართული ფეოდალური სივრცეებზე მანახელი მომდინარეობს უძველესი წარსულის მქონე აფხაზური გვარიდან ანბა (ანჩაბაძე) — (ს. ჯანაშია, ბარათაშვილითა გენეალოგიისათვის. წიგნები, ტ. II, 1952, გვ. 478).

ასეთი ექსკურსი იმიტომ დაეკვირდა, რომ გამოგვეთქვა ვარაუდი: „კილ“ სუფიქსი აფხაზური ენისათვის ხელთნურად ხომ არ არის მოგონილი და იგი ხომ არ წარმოადგენს ზაზურ „სკილს“ (შვილს)?

ამავე „კილ“-თან დაკავშირებით სხვა სახელებიც გვაქვს ქართულსა და აფხაზურში. არის ასეთი აფხაზური გვარი „კილბა“, მეგრული — „კილანავა“, „კილასონია“, „კილანბერია“, ქართული — „კილაძე“. რატომღაც სარეცენზო წიგნის ავტორს ჰგონია, რომ „კილ“ უცნობი სიტყვა მეგრულისათვის (გვ. 70). ეს არ არის სწორი. „კილ“ — მკლავი, ხელი, „ბორკი“ — ფეხი, „ბორკილ“-ი — „ფეხი შესაკრავი“ (საბა), „კილეში“ — ძველი რიტუალი, ცხედრის დაკრძალვის მესამე ღდეს სახსნილოს, ხორცის ჰამა დასავლეთ საქართველოში (განსაკუთრებით სამეგრელოში), რაც შინაარსებულად ნიშნავს კირისუფლისათვის შეზღუდული მდგომარეობის (მეტაფორულად „შეკრული ხელების“) შემსუბუქებას (ქართულად — „ხელის გახსნა“).

ასე რომ „კილ“ ვერ არის ახსნილი წიგნის ავტორის მიერ და მისი („კილ“-ის) იმდაგვარ ინტერპრეტაცია, როგორც ეს სარეცენზო ნაშრომშია, საჩოთირია. აქ უფრო ღრმა მეცნიერული ძიება იყო საჭირო. ამისათვის მისაღები არსებობს.

რაც შეეხება „თარ“-ს (თარკილიდან) იგი ღდეს აფხაზური სივრცეებზე ძირია გვარის თარ-ბა შვარბაძე ღდეს რას ნიშნავდა იგი, ან საიდან მოდის, არავის ურკვევია, არავის დაუღდენია. ავტორს მიაჩნია, რომ თარკილში იგივე თარ არის აღიქვამი თარბას თარ-ისა, შვარბაძე როგორ მოვიქცეთ, რომ „თარ“ გვგვღდება სხვა სახელებშიც როგორც ქართულში, ისე არაქართულშიც. მაგალითად: „თარხან“ თურქულ-მონღოლური სახელია, რაც ნიშნავს თავისუფალს (ზ. ჭუმბურიძე, „რა გქვია შენ“, თბ., 1971 წ., გვ. 75). ეს სიტყვა ორი კომპონენტისაგან შედგება: „თარ“ და „ხან“. თან თარ — ძირეულია, რა არის თარ?

სიტყვა „თარ“, „თარა“ ძველ ქართულშიაც გვხვდება. „თარ“ ძირიანი საკუთარი სახელე-

ბია: თარაღე, თარაში, თარამი, თარაფონი, თარხუნი, თარხუჯი (ალ. ლლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1967, გვ. 83)

ძირეულ სიტყვა „თარ“-ის მნიშვნელობის კვლევისას არ შეიძლება უურადღების გარეშე დავტოვოთ მეცნიერებაში უკვე გამოთქმული მოსაზრებები. აკად. ივ. ჯავახიშვილმა გაარკვია, რომ სიტყვები თანა, ტარკუნ, თარხონ, თარხუჯ, რომლებიც ძველ ქართულსა და მის მონათესავე სამყაროში გვხვდება, წარმოშობით ლეთაბრივია — ომიანობის ლეთაბის სახელებიაო. მისი ვარაუდით ეს სახელები უკავშირდებიან ხეთელების ომიანობის ღდაებას „ტარკუნს“ ან „ტარხონს“, რომლებსაც წელზე ხმალი ჰქონდათ შემორტყმული და ხელში ელვა-მეხის ემშებმა ეკავათ.

ძველ ქართულ წყაროებში საკუთარი სახელი თარხუჯი პირველად გვხვდება 853 წელს ატენის სიონის წარწერაში, სადაც მხსენებულია კახის ძე თარხუჯი ხოლო იმავე ტაძრის 1060 — 1065 წ. წარწერაში დასაბუთებულია ატენის ციხისთვის მამა თარხონი (ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტორია, ტ. I, 1951 წ., გვ. 136-137).

მეტად საყურადღებო ცნობაა. თარხუჯი და თარხონი კომპოზიტები ხომ არ არიან. ასე მოჩანან. თუ ასეა, მაშინ ძირეული სიტყვაა თარ. რა მიმართება აქვს მას აფხაზურ სივრცეებულ თარ-თან (თარ-ბა)?

თარხუნ, თარხუნია მამაკაცის სახელად ცნობილია აფხაზეთსა და სამეგრელოში. ასევე ისიც ურადსაღებია, რომ მეგრულად თარი-ი რჩეულია შორის რჩეულია.


შეიძლება თარკილი ნაწარმოები იქონი ტარკუნ-ისაგან, ესეც გამოიყვანილი არ არის, ამას შესწავლა უნდა.

ასე რომ „თარკილ“-ში „თარ“ ძირეულია და „კილ“ კი შეიძლება ჩავთვალოთ აფხაზური გვარების უძველეს მწარმოებელ, ფორმანტადო — ასეთი ახსნა დამაჯერებელი არ არის. სარეცენზო წიგნის ავტორის ვარაუდი დაუსაბუთებელია და, რაც მთავარია, გამოტანილია ნაწარმები დასკვნები.

ჩვენ სამართლიანად მიგვაჩნია აბრსკილის ტრადიციული გაგება: აბრ-სკილ, რომ „სკილ“ მეგრულ-ქანური ანუ ზანური სიტყვაა, ეს ფაქტია, ამას ვერ აქარწყლებს სარეცენზო წიგნის ავტორის მიერ შემოთავაზებული ეტიმოლოგიური ძიება.

ახლა გადავიდეთ სიტყვა აბრსკილის პირველ კომპონენტზე „აბრ“, მასთან დაკავშირული მოსაზრება ზოგიერთი მეცნიერისა უკვე აღენიშნეთ. ზემოთ მოვიტანეთ სარეცენზო

ოთარ ჰარდუშია
აბრსკილის ეტიმოლოგიური გაგებისათვის



წიგნის ავტორის შეხედულებაც იგი მას უკავშირებს აფხაზურ სიტყვას „ლაბრიცს“ — გზიდან გადახვევას, მოძრაობას გარკვეული მიმართულებით.

აბრსკილთან დაკავშირებით ერთი გარემოება იპყრობს საგანგებო ყურადღებას, რომელიც ჯერ არ გამხდარა სათანადო მსჯელობის საგანი, მაგრამ მას, ჩვენი აზრით, უდავოდ დიდი (და შეიძლება ვადაძმუვეტიც) მნიშვნელობა აქვს ამ მითოლოგიური გმირის სახის გარკვევისა და მისი ეტიმოლოგიური ახსნისათვის. ეს განსაკუთრებით აბრსკილის იარაღი. ზოგ ვარიანტში მას იარაღად გამოყენებული აქვს „ალაბაშა“ — წაწვეტილებული რკინისბოლოიანი ჯოხი, ხოლო ზოგში კი — „აბრწალი“. ჩვენი პატივცემული ავტორის აზრით, „აბრწალი“ უფრო აღრინდელი იარაღი უნდა იყოს გმირისა. ეს აზრი დავას არ უნდა იწვევდეს.

„აბრწალი“ არის რკინის შუბი, რომელსაც აქვს ორკაპი წვერი, რომლითაც თავზარს სცემს აბრსკილი თავის მტრებს. სარეცენზიო წიგნის ავტორს მიაჩნია, რომ აბრწალში არის ფიქსირებული „აბრ“ კომპონენტი აბრსკილისა. აი მისი სიტყვები:

«На возможную связь образа Абрскила с двулезвийным копьем абрзал указывает общая основа абрв обонх наименованиях. Кроме того, на это указывает наличие представлений об абрзале в Абжуйской Абхазии, там же, где битуют сказания, об Абрскиле, в то время как в бзыбской Абхазии, где эти сказания неизвестны, нет и представлений об брзале. Вместо них там имеют хождение верования о пулях А Ф И (афирхи)» (გვ. 72. კურსივი ავტორისა — მ. ჭ.).

როგორც აქედან ჩანს, აბეუსი აფხაზეთში, სადაც არსებობს თქმულება აბრსკილის შესახებ, იქ ამ გმირის იარაღია აბრწალი — ორკაპა შუბი თუ ისარი, ხოლო ბზივის აფხაზეთში (გუდაუთის რაიონი), სადაც ეს თქმულებები უცნობია, ელვა-ჭექა-ქუხილის ღვთაება არის აფი (ძველი ქართული წარმართული ღვთაება ვობი არის მისი თანაფარდი) და მისი იარაღია ქვის რტყევი და არა აბრწალი.

აქვე საყურადღებოა ავტორის შემდეგი სიტყვები:

«Вопрос о природе и происхождении образа Абрскила становится еще более ясным при сравнении его с образом древнегреческого Зевса, с которым, как известно, связывался двойной топор или секира под названием Л а б р и с (ხაზგასმა ავტორისა — მ. ჭ.). Сравнение верований, связанных у абхазов с абрзалом и представлений древних греков о лабрисе

указывает на их идентичность» (გვ. 72-73).

იქვე ავტორი სქოლიოში მიუთითებს:

«Языковедам следует обратить внимание на наличие в слове Лабрис элемента абр, было бы интересно их мнение о значении и происхождении этого элемента» (გვ. 73. ხაზგასმა ავტორისა — მ. ჭ.).

ახლა კი გვარკვევით რას წარმოადგენს „აბრწალი“, საიდან ვაჩნდა აფხაზურ ენაში, რა შინაარსია მასში და რა მიმართებაშია იგი, ერთი მხრით, აბრსკილთან, კერძოდ აბრთან და, მეორე მხრით, ბერძნულ ლაბრისთან (ზევის ორპირა ნახაზთან).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სიტყვა აბრწალი აფხაზურ ენაში შესულა მეგრული ენიდან მეგრულად მას ეწოდება ბორწალი. იგი არის წმინდა გიორგის იარაღი — ორკაპა შუბი (ი. ყიფშიძე). ჭექა-ქუხილის დროს წმინდა გიორგი თავის მსხვერპლს ურტყამს ბორწალს (ბორწალი ჭივიაჭექა). მეგრული ბორწალი თავის მხრივ ნაწარმოების ქართული ბოძალისგან, რომელსაც ვაჩნია ბორძალი ფორმაც (იხ. საბა), ხოლო „ბოძალი“ ნაწარმოებია სიტყვა ბოძისაგან — აღ. სუფიქსის მეშვეობით. როგორც ვთქვით, ქართულ ენას ვაჩნია ისართა მრავალსახეობა. აი ისინიც სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით:

„ისარი ზოგადი სახელი არს ყოველთა ისართათი, ხოლო ვანიყოფებიან სხუა და სხუდ სახელებითა. ფრთე დაბალი და პირ წურილი, რომელსა

ყვიჩაყნი და თურქნი იქონებენ, არს საყაღლი.

ზომიერი ისარი, ფრთე, მობრტყე და პირ-მობრტყე არს სარჩა.

მისგან უგრძესი, პირდიდი და ფრთემიდალი არს ქვიბორჩი.

ისარი სარჩის მსგავსი და პირგანებული, მომკრო არს ქვიბორჩი.

ისარი ქვიბორჩის მსგავსი, პირ დიდი და განებული არს ბოძალი.

ისარი სარჩის ტოლი, სამ ფრთოსანი, უპირო, წვერმრგვალი არს ყოდალი.

ყოღლისა უგრძესი წუერმწუტი, ჭვარდად ჩხირდასმული არს ღრჯა.

ფრთე მალალი, გრძელი, გრკალ შემობმული არს სეფქა.

უფრო უპირო ისარი არს გეზი.

სამალი არს ღარი რკინისა სატყორცელი და ისარი მტკაველზედ მეტი მის ღარით სასროლი.

სულანი რამ ისარნი არიან, რომელსამე ბორძალად უწოდებენ და სხუასა სხუასა.

ისართა ამ სიმრავლიდან ჩვენთვის საყურადღებოა ორი სახეობა — ბოძალი და ბორძალი. წარმოების მიხედვით ისინი ზუსტად იდენტუ-



რნი არიან, მხოლოდ ბორძალში რ განვითარებულია. ესეც ნაწარმოებია ზომ სიტუვისაგან — აღ სუფიქსის საშუალებით, ხოლო მისგან მიღებულია მეგრული ბორჯალი. აფხაზური აზ (ო) რჯალ მეგრული ბორჯალის სახენაცვალა. აქ ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს. აბრჯალში აფხაზური პრეფიქსია და ზ(ო)რჯალ სიტუვაში კი ო ჩავარდნილია და მივიდეთ აბრჯალ.

ასე რომ აბრსკილის აბრ-ს სრულიად არაფერი აქვს საერთო ბერძნულ ლაბრისთან და აფხაზურ აბირასთან, ეს გაუგებრობაზეა აგებული. აბრსკილის იარაღია აბრჯალი. ამასთან სარეცენზიო წიგნის ავტორი მიუთითებს:

«На возможную связь образа Абржида с двулезвийным копьем абрзал указывает общая основа абр в обоих наименованиях» (გვ. 72).

თუ ეს მოსაზრება სწორია, ე. ი. თუ მართლაც რაიმე კავშირი არსებობს აბრჯალისა და აბრსკილის კომპონენტ აბრ-ს შორის (როგორც ზემოთ ვნახეთ მათ შორის უნდა იყოს მტკიცე კავშირი), მაშინ ამ სიტუვის — აბრსკილის

ეტიმოლოგია შეიძლება გაიხსნას მხოლოდ აბრჯალთან მიმართებაში. აბრსკილი არის შვილი აბრჯალისა?

ჩვენ ვეჩვენება, რომ აბრსკილში აბრ აბრჯალის ნაშთია, ხოლო სკილ არის ცნობილი ზანური სიტუვა და უდრის შვილს, როგორც ეს აქამდე იყო ცნობილი.

კიდევ ვამეორებთ, თუ ზემოაღნიშნული მოსაზრება სწორია, მაშინ აბრსკილი გამოდის არა ცის შვილად, არამედ აბრჯალის, ე. ი. მეხის (აქედან ელვის) შვილად. აბრჯალი (ბორჯალი) წმინდა გიორგის ის იარაღია, რომელიც დედაშიწას მებად ევლინებოდა, წმინდა გიორგი კი ქექა-ელვა-ქუხილის ღვთაება იყო.

ისიც საყურადღებო დეტალია, რომ აფის აბრჯალი კი არ აქვს იარაღად, არამედ — ქვის ტყვიები. ეს ფაქტი ხომ არ მიუთითებს ამ გარემოებაზე, რომ აბეუის აფხაზეთს (ონამჩირის რაიონი) უფრო მყარი კონტაქტები ჰქონდა ქართულ სამყაროსთან, ქართულ წარმართულ პანთეონთან და ამიტომაც აქ მეტად იგრძნობოდა ქართულ-აფხაზური კულტურული ურთიერთობის კვალი?





„ეპიქიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები“

1977 წლის დამდეგისათვის ქართველოლოგიურმა მეცნიერებამ მიიღო ახალი შესანიშნავი წიგნი თ. ციტიშვილის მონოგრაფია „ეპიქიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები“. წიგნი გამოსცა გამომცემლობა „მეცნიერება“ ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის გრძელვადიანი, რედაქტორები: გ. წერეთელი, ს. ციციშვილი.

დღეს ყველასათვის ცნობილია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ბიბლიის ქართული თარგმანის გამოცემასა და მეცნიერულ შესწავლას ქართული ენის, მწერლობისა და კულტურის ისტორიის თვალსაზრისით. „ბიბლიამ, — წერს კ. კეკელიძე, — მისცა ძველ სასულიერო მწერლობას ნიმუშები ლიტერატურული ჟანრებისა, პოეტური ფორმისა, მხატვრული გემოვნებისა და ჩამოქნილი, დახვეწილი პროზაული ენისა. ძველი მწიგნობრები ბიბლიაში ეცნობოდნენ ლიტერატურული სიტყვის ხერხებს და შემოქმედებით ტექნიკას, რომელიც ასე მნიშვნელოვანი იყო ორიგინალური საქმიანობის განვითარებისათვის“. ეს კარგად იცოდნენ ჩვენცა წინამრბევნი. ამიტომ იყო, რომ ქართული ბიბლიის გამოცემა სულხან-საბადან და არჩილ მეფედან მოყოლებული ქართველი მოწინავე საზოგადოების განუხორციელებელი ოცნება იყო.

კუმრანის აღმოჩენების შემდეგ ბიბლიის — მსოფლიო ლიტერატურის ამ უბრწყინველესი ძეგლის — ტექსტის კვლევისა და დამდგენისათვის უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ მის თარგმანებს ქრისტიანული მწერლობის მქონე ყველა ენაზე, ამ მნიშვნელობას არაა მოკლებული ქართული თარგმანიც, რომელიც თავისი სიძველეთ სხვა ენებზე დაცულ თარგმანებს არ ჩამოუვარდება. ქართული ბიბლიის უძველესი ხელნაწერი X საუკუნეში გადაწერილი ოშკის ანუ ათონის ბიბლიაა, მაგრამ თვითონ თარგმანი ვაციალებით აღრეა შე-


სრულებული: V-VI საუკუნეებით დათარიღებულ პალიმფსესტებში გვაქვს ფრაგმენტები ბიბლიის სხვადასხვა წიგნიდან, რაც ნიშნავს, რომ ბიბლია ქართულად ამ საუკუნეებისათვის (V-VI ს.ს.) უკვე თარგმნილი ყოფილა.

ქართული ბიბლიის კვლევის დღევანდელ ეტაპზე უკვე გამოვლინდა ზოგიერთი საგულისხმო ფაქტი, რომელსაც ბიბლიის ტექსტის შესწავლისათვის უთუოდ დიდი ღირებულება აქვს. ასე, მაგ., მეფეთა წიგნების ძველ ქართულ ვერსიებს, რომლებიც ბერძნული ბიბლიის ერთ-ერთი რედაქციის, ე. წ. ლუკიანეს რეცენზიის, ძლიერი გავლენის კვალს ატარებენ, გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებათ არც თუ საბოლოო სახით დადგენილი ლუკიანეს რეცენზიის ტექსტის საკონტროლოდ; იმავე მეფეთა წიგნების (ეგრძოდ, IV მეფეთას) ქართულ თარგმანს მეტად საჭირო სამსახურის გაწევა შეუძლია ე. წ. „უმცროსი“ მთარგმნელების (აკვილა-სევიმასოსის) ვარიანტების აღდგენისა და დახუსტებისათვის; ტობის წიგნის სამი ბერძნული რედაქციიდან, რომელთაც არამეულ-ებრაული დედნების უქონლობის გამო დღეისათვის ორიგინალის მნიშვნელობა აქვთ, ერთ-ერთი რედაქცია, რომელიც ზოგჯერ უფრო ძველ წაკითხვებს შეიცავს, ვიდრე დანარჩენი ორი, სრული სახით მხოლოდ და მხოლოდ ქართულ ენაზეა დაცული.

ამ მრავალმხრივი მნიშვნელობის გამოა, რომ ბიბლიის ქართული თარგმანის მეცნიერული შესწავლა და გამოცემა დღეს ქართული ფილოლოგიისათვის ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანაა.

თ. ციტიშვილის მონოგრაფია სწორედ ბიბლიის ერთ-ერთი ვრცელი და მეტად საინტერესო შინაარსის მქონე თხზულების „ეპიქიელის წინასწარმეტყველების“ ქართული ვერსიების შესწავლას ეძღვნება.

ნაშრომი ორი ნაწილისაგან შედგება: პირ-



ველი შეიცავს ეზეკიელის წინასწარმეტყველების კრიტიკულ ტექსტს, დადგენილს ყველა არსებული ხელნაწერის გათვალისწინებით, მეორე ნაწილი კი წარმოდგენილია გამოკვლევა და ლექსიკონი. გამოკვლევაში განხილულია ეზეკიელის წიგნის ტექსტოლოგიური და ფილოლოგიურ-ენობრივი საკითხები; შესწავლილია ძეგლები დადასტურებული მდიდარი და მრავალფეროვანი ლექსიკა. წიგნს ერთვის გრეცილი რეზიუმე რუსულ და გერმანულ ენებზე.

ეზეკიელის წიგნის ქართული თარგმანი სამი ვერსიითაა ჩვენამდე მოღწეული. ერთი დატული აქვს ბიბლიის ოშკურ ანუ ათონურ ხელნაწერს (978 წ.), მეორე — იერუსალიმურს (XI ს.), ხოლო მესამე — გელათურს (XII ს.).

თ. ცქიტიშვილი გამოყოფს ორ რედაქციას — ა-სა და ბ-ს. ა რედაქციაში ერთიანდგმა ოშკური და იერუსალიმური ხელნაწერების ტექსტები, ბ რედაქცია კი წარმოდგენილია გელათური ხელნაწერით.

რაკი ეზეკიელის წიგნის გელათური ვერსია ნაკლებია (აკლია ტექსტის ერთ მესამედზე მეტი — 19 თავი), მკვლევარს იგი შეუვსია წინასწარმეტყველთა 1710 წლის გამოცემიდან, რომელიც ვახტანგის ბიბლიის სახელითაა ცნობილი და რომელიც, თავის მხრივ, გელათური ვერსიის ბუჭდური გამოცემაა. ბუჭდური გამოცემა თ. ცქიტიშვილს მთლიანად შეუღარბია გელათური ვერსიისათვის; ლექსიკური და ტექსტობრივი ხასიათის ყველა სხვაობა სქოლიოებშია ასახული. ცნობილია, რომ ბიბლიის გელათურ ვერსიას XVIII საუკუნეში რედაქცია გაუკეთა ს.-ს. ორბელიანმა. თ. ცქიტიშვილის გამოცემის სქოლიოებში საბასეული ვარიანტებიც უკლებლივია ჩანჩვენებული.

ტექსტოლოგიური საკითხების განხილვის შემდეგ თ. ცქიტიშვილი ვრცლად მიმოიხილავს ეზეკიელის წიგნის რედაქციების საკითხს. სწორი ფილოლოგიური მეთოდის მომარჯვებით მას შესანიშნავად აქვს მიღებული და გამოყოფილი ის ნიშნები, რომელიცა მიხედვითაც საკვლევ ტექსტებში შესაძლებელი ხდება ნუსხებისა და რედაქციების გამიჯვნა-გამოკვეთა.

სამეცნიერო ლიტერატურაში ბიბლიის ოშკური და იერუსალიმური ხელნაწერების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ განსხვავებულ თვალსაზრისები არსებობდა. მკვლევართა ერთი ნაწილი ამ ხელნაწერებს სხვადასხვა რედაქციებად მიიჩნევდა. თ. ცქიტიშვილმა ამ ორი ხელნაწერის ურთიერთმიმართების ვასარკვევად საკვლევ ტექსტის მიხედვით აღნუსხა მათ შორის არსებული ყველა სხვაობა: ტექსტობრივი, ლექსიკური და გრამატიკული, და შეუღარა შესაბამის უცხო ტექსტებს, ხოლო საკონტროლოდ გელათური ვერსია გამოიყენა.

ამგვარი ანალიზის შედეგად მკვლევარი მივიდა ერთადერთ სწორ დასკვნამდე, რომ ეზეკიელის წიგნის იერუსალიმური და ოშკური ხელნაწერები არ არიან ცალკე რედაქციები; ისინი ერთი რედაქციის ნუსხებია“ (გვ. 202). ამჟამად გამოჩნდა, რომ ამ ორი ხელნაწერის განსხვავებული წაიკთვები იმ ცვლილების ამსახველია, რომელიც საუკუნეების განმავლობაში განუცდია მათ წინააზრ ტექსტს გადაწერთაგან“ (გვ. 201).

ბიბლიის ოშკური და იერუსალიმური ხელნაწერების ქრონოლოგიური მიმართების შესახებ ჯერ კიდევ ალ. ცაგარელმა აღნიშნა, რომ იერუსალიმური ნუსხა არ არის ათონის ბიბლიის პირი, იგი მომდინარეობს უფრო ძველი ნუსხიდან, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. იგივე თვალსაზრისი შემდეგ კ. კეკელიძემაც წამოაყენა. იგი წერდა: „წინასწარმეტყველთა ტექსტი, რომელიც XI საუკუნის იერუსალიმურ ხელნაწერს შემოუნახავს, უფრო ადრეულია და ძველი, ვიდრე ამავე წიგნთა ტექსტი, რომელიც დაუცავს X საუკუნის ცნობილ ოშკურ (ათონურ) ხელნაწერს... ამ შედარებით ახალ ხელნაწერში გვაქვს თარგმანი არა უგვიანეს VII საუკუნისა და შეიძლება უფრო ადრინდელიც“.

თ. ცქიტიშვილმა ეზეკიელის წიგნიდან სათანადო მასალის მოხშობით და შეპირისპირებით ცხადყო გამოთქმულ მოსაზრებათა ჭეშმარიტება. ვარდა იმისა, რომ გამოკვლევაში ასახა რეალური სურათი ამ ორი ხელნაწერის ურთიერთმიმართებისა ენობრივი თვალსაზრისით, მან ამავე დროს ეზეკიელის წიგნის გამოცემისას ა რედაქციისათვის ძირითად ნუსხად გამოიყენა ქრონოლოგიურად გვიანდელი, მაგრამ ძველის დაცულობის თვალსაზრისით უკეთეს იერუსალიმური ნუსხა.

ქართული ბიბლიის გელათური რედაქციის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული იყო თვალსაზრისი, რომ გელათური ბიბლია ახალი თარგმანია, შესრულებული XII საუკუნეში ბერძნული სებასტიანის.

თ. ცქიტიშვილმა ეზეკიელის წიგნის გელათური ვერსიის ტექსტობრივი თვისებების შესწავლის პროცესში შენიშნა, რომ ბ (გელათურ) რედაქციას გარკვეული შეხვედრები ჰქონდა ბ (იერუსალიმურ-ოშკურ) რედაქციის ტექსტთან. ბ და ა რედაქციის ტექსტების ურთიერთთან და უცხოენოვან წყაროებთან შედარების შედეგად ამ ორი რედაქციის ტექსტში დადასტურდა: ა) ტექსტობრივად იდენტური ან უმნიშვნელოდ სახეცვლილი ადგილები; ბ) ერთიდაიგივე ფრაზეოლოგიური ერთეულები, გ) ძველი ქართულითა თვისებების შედარებით

ციალბ ჭურციკიძე
ძველი ქართული ბიბლიები

სტრ. 6.



იშვითი ხმარების სიტყვები პარალელურ აღ-
ვილებში, დ) ერთნაირი შეცდომები და თარგ-
მანის უზუსტობანი, ე) ბ რედაქციის ზოგი
გადასწორებული სიტყვა.

ჩატარებული ანალიზის საფუძველზე თ.
ცქიტიშვილმა ახლებურად გააუქმა ბ რედა-
ქციის წარმოქმნის საკითხი. მისი მართებული
დასკვნით, ბ რედაქცია არ არის ახალი თარ-
გმანი, იგი „ძველი ქართული თარგმანის საფუ-
ძვლიანი გადაშუშვების შედეგად მიღებული
რედაქციაა, რომლისთვისაც ნიშნდობლივია
ბერძნულის გავლენა“ (გვ. 223).

საინტერესოა სარეცენზიო შრომის ავტო-
რის მსჯელობა და დამატებული მისი საბუ-
თიანობა ბიბლიის გელათური ვერსიის რედაქ-
ტორად იოანე ბერტიწის მიჩნევასთან დაკავ-
შირებითაც, კ. კეკელიძეს ვარაუდის სახით
გამოთქმული ჰქონდა მოსაზრება, რომ ბიბლიის
გელათური ვერსია შესაძლოა თვითონ იოანე ბე-
რტიწის ხელიდან იყოს გამოსული. თ. ცქი-
ტიშვილმა ჩაატარა მეტად შრომატევადი სამუ-
შაო; მან ეზეკიელის წიგნის გელათური ვერსია
ენობრივად და სტილიტურად შეუდარა იოანე
ბერტიწის სხვა წარმოებებს და დაადასტურა
კ. კეკელიძის ეს ვარაუდი, ოღონდ იმ განსხვავ-
ებებით, რომ კ. კეკელიძე იოანე ბერტიწს ბიბ-
ლიის მთარგმნელად თვლიდა, თ. ცქიტიშვილმა
კი იგი მის რედაქტორად მიიჩნია.

ბიბლიის ქართული თარგმანის კვლევაში
ერთ-ერთი ძირითადი საკითხია მისი მომდინარე-
ობის საკითხი. ქართულ ბიბლიას მკვლევარ-
ები სხვადასხვა ენიდან მომდინარედ მიიჩნე-
ვენ. მის წყარო-ენად ერთნი ბერძნულს ასახე-
ლებენ, სხვანი — აღმოსავლურს (სირიულს
ან ებრაულს), სხვანი კიდევ — სომხურს.

„ბიბლიის ქართული თარგმანის სადასტურობის
საკითხი დღემდე პრობლემატურია — წერს
სარეცენზიო წიგნის ავტორი, — სირიულეს,
კ. კეკელიძის მართებული შენიშვნით, ქმნის
ის, რომ თავდაპირველი სახით ჩვენამდე არ
მოუღწევია ბიბლიის არც ქართულსა და არც
იმ უცხო ტექსტებს, რომლებიც თავის დროზე
საფუძვლად დაედო ქართულ თარგმანს. საუკუ-
ნეების მანძილზე სწორდებოდა და მუშავდე-
ბოდა ბიბლიის არა მარტო ქართული, არამედ
უცხო ტექსტებიც“ (გვ. 227).

ბიბლიის ქართული თარგმანის მომდინარეო-
ბის დადგენისათვის ეს ფაქტი, რა თქმა უნდა,
ფრიად სერიოზული დაბრკოლებაა, მაგრამ ამ
დაბრკოლებას უფთოდ მოეულებოდა, ბიბლი-
ის ყველა წიგნი ცალ-ცალკე მონოგრაფიულად
შესწავლილი და გამოცემული რომ ყოფილი-
ყო. ზოგიერთი ბიბლიური წიგნის სწორედ მო-
ნოგრაფიული შესწავლის შედეგად გაირკვა,
რომ მათი წყარო სხვადასხვაა (ფსალმუნთა
და ეზრა ზორობაბელის არაქანონიკური წიგ-
ნის წყარო სომხური ჩანს, სოლომონის სიბრძ-

ნისა — ბერძნული სებასტისი, ექვთიმოზი, ბე-
დაქცია, ტობის წიგნისა — ბერძნული ექვ-
თიმოზი, ბედაქცია, ეზრა სუთიელის წიგნის ძველ
ქართულ ვერსია ეთიოპურთან ამკლავნებს
განსაკუთრებულ სიახლოვეს), ასე რომ ქარ-
თული ბიბლია მთლიანად ერთი რომელიმე
ენიდან არ უნდა მომდინარეობდეს.

ძველი ქართული თარგმანების შესწავლა,
განსაკუთრებით მათი მომდინარეობის საკით-
ხების რკვევა, შეუძლებელია ძველი ბერძნუ-
ლისა და აღმოსავლური ენების ცოდნის გარე-
შე. თ. ცქიტიშვილის სასახლოდ უნდა ით-
ქვას, რომ იგი ძველი ქართული ენისა და მწე-
რლობის კარგ ცოდნასა და კვლევის განსაკუ-
თრებულ აღდოსთან ერთად აღჭურვილია
ძველი ბერძნული და ძველი სომხური ენების
მეცნიერული ცოდნითაც. თ. ცქიტიშვილმა ეზე-
კიელის წიგნის ქართული ტექსტის ბერძნულ,
სომხურ და ებრაულ წყაროებთან შეჯერებით
(ამ უკანასკნელთან რუსული თარგმანის მეშ-
ვეობით) შეძლო გამოევილინა დიდძალი საინ-
ტერესო მასალა, რომელსაც გარკვეული მნიშ-
ველობა ენიჭება ქართული თარგმანის მომდინარეობის საკითხის გარკვევისათვის.

ეზეკიელის წიგნის მთლიანი ტექსტის შედა-
რებამ ბერძნულ, სომხურ და ებრაულ წყარო-
ებთან მკვლევარს დაანახვა, რომ ქართული რე-
დაქციებში რთული შედგენილობისაა, მათში
გარჩენილია როგორც ბერძნული, ისე აღმოსა-
ვლური წყაროების კვალი (გვ. 228).

„შედარების შედეგად აღმოჩნდა — წერს
სარეცენზიო შრომის ავტორი — რომ ქარ-
თული რედაქციების ის მასალა, რომელიც არ
არის, ან განსხვავებულად იკითხება ბერძნულ
კოდექსში, ახსნას პოულობს ებრაულ მასორე-
თულ წყაროში“ (გვ. 237). რაც შეეხება სომ-
ხურთან მიმართებას, სათანადო ანალიზის შე-
დეგად ავტორი ასკვნის: „საანალიზო ძველი
სომხურიდან თარგმნილი არ არის, რადგან
არ შეინიშნება ისეთი ფაქტები, რომლებიც
მხოლოდ ჩვენს ტექსტსა და სომხურს ახასია-
თებდეს, ენობრივსა და ტექსტობრივ სფერო-
ში არ ივრძნობა სომხურის გავლენა“ (გვ. 261).

რაკი ეზეკიელის წიგნის ქართულ თარგმან-
ში პარალელურად შემონახული აღმოჩნდა
როგორც ბერძნულ, ისე აღმოსავლურ წყარო-
ებთან ურთიერთობის ამსახველი ფაქტები,
მკვლევარი ბუნებრივად სვამს კითხვას: რო-
მელი მათგანია პირველადი თარგმანის დამა-
ხასიათებელი და რომელი უკავშირდება შემ-
დგომი შეჯერებისა და ჩასწორების პროცესს.

სათანადო ანალიზის მიუხედავად, მკვლევარს
გაუჭირდა რომელიმესთვის უპირატესობა მიე-
ნიჭებინა. იგი წერს: „საბოლოოდ ჩვენს წინა-
შეა ნარევი შედგენილობის ტექსტი, რომელ-
შიც ფიქსირებული აღმოსავლური და ბერ-

ძნელი მანალა მოითხოვს მეტად ფრთხილსა და აუქარებელ ანალიზს“ (გვ. 260).

მიუხედავად ასეთი სიფრთხილისა, გარკვეული ისტორიული ექსკურსის ჩატარების შემდეგ იგი აღმოსავლური წყაროსაყენ იხრება: „V-VI საუკუნეებში — წერს იგი — როცა გარაუდობენ ძველი აღთქმის წიგნების ქართულად თარგმნას, ქართველებს ახლო კულტურული ურთიერთობა აქვთ აღმოსავლურ სამყაროსთან; საკმარისია, გავისენოთ ჩვენი აღრიხილვი კულტურის კერები სირია-პალესტინაში, სადაც ნაყოფიერ ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდნენ ქართველი მწიგნობარი ბერები... ამიტომ ვფიქრობთ, რომ აღმოსავლურ წყაროზე დამოკიდებულების მაჩვენებელი ფაქტები, რომლებიც ჩვენს ტექსტშია გარჩენილი, აღრიხილვი და ეგვიპტის, შუაგუბისა და რელაქტივების შედეგი კი არა, თარგმნის პროცესთან დაკავშირებული მოვლენებია.“ (გვ. 261).

ხოლო „თუ მივიღებთ, რომ სახანაო ტექსტის ბერძნული ფაქტები მეორეულია, — აგრძელებს ავტორი — მაშინ იგი უნდა დაუკავშირდეს ბერძნულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობის ვრცელ პერიოდს — VII-XII საუკუნეებს... ცხადია, ამ დროისათვის აღმოსავლეთთან კავშირი შესუსტებულია. მით უმეტეს ნაკლებ საგარაუდოა საღმრთო წიგნების შეჯერება-შეწამება სირიულ-ებრაულ წყაროებთან, ბირიქით კი ხდება; საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ამ პერიოდში ბერძნული ბიბლია აღმოსავლური სამყაროსათვის ლათინური ვულგატის მნიშვნელობას იძენს: სირიული ბიბლია ჩასწორებული და შეჯერებულია ბერძნულთან“ (იქვე).

ეზეკიელის წიგნის მომდინარეობასთან დაკავშირებით მკვლევარმა თავისი თვალსაზრისი, მისივე თქმით, შენიშუნისათვის ადვილი რომ არ დაჩრქნელიყო, საბოლოოდ ამგვარად ჩამოაყალიბა: „ეზეკიელის წიგნის ქართული და უცხოენოვანი ვერსიების შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს ქართველი მთარგმნელების მიერ აღმოსავლური ან სეპტანტისაგან განსხვავებული ისეთი ბერძნული წყაროების გამოყენებას, რომლებიც განსაკუთრებით ახლოს იდგნენ ებრაულ მასორეთულ ტექსტთან“ (გვ. 263).

ამგვარად, ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული თარგმანის მომდინარეობის შესახებ კვლევის ამ ეტაპზე უფრო გარკვეული რაიმეს თქმა ძნელი აღმოჩნდა.

ამ საკითხთან დაკავშირებით უფრადღება მიქცია ავტორის მიერ ბ რელაქციის ტექსტში მარჯვედ მიღებულმა ისეთმა შემთხვევებმა, როდესაც ერთი და იგივე წაკითხვა გადმოცემულია ორი ვარიანტით, რომელთაგან ერთი თანხედება ბერძნულ ტექსტს, მეორე — სი-

რიულსა და ებრაულს (მხედველობაში გვიქმს ამგვარი მაგალითები: ბ რელაქციის „ლიბიელნის“ შესატყვისად ბ-შია „ლიბიელნი, და ფუტონი“. „ლიბიელნი და ფუტონი“ ერთიდაიგივეა ქონაარისი ეთნიკური სახელებია, ოღონდ „ლიბიელნი“ ბერძნულ წყაროში დასტურდება, „ფუტონი“ კი — ებრაულში). ამგვარ წაკითხვებს დუბლეტურ წაკითხვებს უწოდებენ. ავტორის აზრით, ესაა ერთი სიტყვის ორი სხვადასხვა წყაროდან მომდინარე თარგმანის შემთხვევები, მხოლოდ საიდარ განჩნდა ისინი ქართულ თარგმანში, ჯერჯერობით გაურკვეველია.

აღსანიშნავია, რომ ამგვარსავე დუბლეტურ წაკითხვებს მიაკვლია მეფეთა IV წიგნის იერუსალიმურ ხელნაწერში კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა უ. ცინდელიანმა. მან ამ დუბლეტური წაკითხვების ისტორია ამგვარად წარმოადგინა: იმის გამო, რომ ძველი აღთქმის ბერძნული თარგმანი — სეპტანტა — ტექსტუალურად ებრაული ბიბლიის მასორეთული ტექსტისაგან ძალზე სხვაობდა, ჩს. წ. ა. ბირველი საუკუნიდან ბერძნულად მოლაპარაკებრავლუბში განჩნდა საპირობება ისეთი ახალი თარგმანისა, რომელიც მასორეთულ ტექსტთან რაც შეიძლება ახლოს იქნებოდა. ბირველი ასეთი თარგმანი 130-იან წლებში შეიქმნა და იგი აკვილას სახელთანაა დაკავშირებული. შემდეგ ასეთივე თარგმანები შეასრულეს თეოდოტიონმა და სვიმასოსმა. სამივე ამ მთარგმნელს „უმცროს“ მთარგმნელებს უწოდებენ, მათ თარგმანებს კი — „სამთა თარგმანს“. ამჟამად სამივე მთარგმნელის მიერ ჩატარებული სამუშაო ძირითადად ხელნაწერების ანოტაციაზე შემორჩენილი, ვარიანტების სახით. ვარიანტი ჩვეულებრივ მიწერილია ძირითადი ტექსტის იმ წაკითხვის ვასწერავ, რომლის ვარიანტაც იგი წარმოადგენს. ამჟამად ხელნაწერები; რომელთაც „უმცროს“ მთარგმნელთა ვარიანტები შემოუნახავთ, ოცტა. ესენია: სირო-პეგზაზლა (მასორეთული ტექსტის სირიული თარგმანი), სეპტანტის საპიოდენ ნუსხა, ძვ. აღთქმის სომხური თარგმანი და ორიენის პეგზაზლები (უ. ცინდელიანი, აკვილასა და სვიმასოსის ვარიანტები ძველი აღქმის ქართულ თარგმანში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1973, № 1, გვ. 54-65).

უ. ცინდელიანმა საგანგებოდ შესწავლა აკვილასა და სვიმასოსის ვარიანტები, რომლებიც დაცულია იმავე IV მეფეთას ტექსტთან ზოგ ქართულ ხელნაწერშიც (უ. ცინდელიანი, იქვე). ბიბლიის იერუსალიმურ ხელნაწერში გაჩენილ დუბლეტურ წაკითხვებს, კი მან სათანადო ლიტერატურის გათვალისწინებით შემ-

ციალა ჟურნალიში
ძველი ქართული მხრისიგბი

დები კვალიფიკაცია მისცა: „ნროთა განმავლობაში ხელნაწერების აშეგზე დადასტურებული ეს ვარიანტები გადაწერებს, უმთავრესად კი რედაქტორებს, ძირითად ტექსტში შეპონდით მათზე სპეციალური მითითების გარეშე და ამრიგად მარგინალური წაითხვა ძირითადი ტექსტის კლთენილება დოდაიქციოდა ხოლმე“. (უ. ცინდელიანი, ძველი აღთქმის ქართული თარგმანის შიმართებისათვის აკვილასა და სვიმასოსის ვარიანტებთან „შეფთოა“ IV წიგნის მიხედვით, მაცნე, 1973, № 2, გვ. 79).

ჩვენი აზრით, წყაროდ ძველი აღთქმის იმ თარგმანებისათვის, რომელთაც „მცირე“ მთარგმნელთა ვარიანტები აღმოაჩნდებათ (კიდევებზე მიწერილი, ანდა ტექსტში ჩართული ე. წ. დუბლეტური წაითხვების სახით). უნდა ვივუღვოთ ამ ვარიანტების შემცველი ბერძნული ანდა ბერძნულზე დამოკიდებული თარგმანები. თუ ეზეკიელის წიგნის ზ რედაქციაში დადასტურებული დუბლეტური წაითხვებიც „მცირე“ მთარგმნელთა ვარიანტებიდან მომდინარეობს, რაც საგანგებო შესწავლას საჭიროებს, მაშინ გამართლდება თ. ცქიტიშვილი ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული თარგმანის წყაროდ საგულებელია სებატიანისაგან განსხვავებული ისეთი ბერძნული ტექსტი, რომელიც განსაკუთრებით ახლოს იდგა ებრაულ მასორეთულ ტექსტთან.

სარეცენზიო წიგნში ისტორიულ-ფილოლოგიურ საკითხებთან ერთად განხილულია ძველის ენის საკითხებიც (გვ. 264-290). V-XII საუკუნეების ქართული ენობრივი ნორმები, რომელთაც ეზეკიელის წიგნის ქართული რედაქციები ასახავს, ძირითადად შესწავლილია. ამიტომ თ. ცქიტიშვილი საკვლევი ძველის რედაქციათა ენობრივი ანალიზისას უტრადლებას წარმართავს იქითენ, რომ გამოავლინოს იშვიათი ფორმები და საწარმოო საშუალებები, წარმოაჩინოს აგრეთვე სალიტერატურო ენის ნორმებიდან გადახრის ფაქტები, რომლებიც ერთადერთი წყაროა ამ საუკუნეთა ცოცხალი სამეტყველო ენის შესასწავლად.

გამოკვლევაში მართლაც ბევრ საგულისხმო ენობრივ ფაქტსა და მოვლენაზე გამახვილ-

ბული უტრადლება. ასე მაგალითად, მეტად საინტერესოა „წარიტრა“ ფორმის (წაიციდა) გამწლილი ვარიანტის „წარიტრას“ დადასტურება ეზეკიელის წიგნის იერუსალიმურ ტექსტშიც მკვლევარის მიერ მისი დაკავშირება „ტარებასთან“, რის საფუძველზეც გაირკვა ძველ ქართულში გავრცელებული ფორმების „იტრა“, „წარიტრას“ წარმოშობა; ძველი ქართულისათვის იშვიათია და ამდენად საუკრადებო ვითარებაში დასმული სახელების გამოსვლის ფუნქციით ხმარება; ზმნური ფუძიდან უო აფიქსებით ნაწარმოები უქონლობის სახელი „უთრო“ და სხვ.

ეზეკიელის წიგნში დადასტურებული მდიდარი და მრავალფეროვანი ლექსიკა ავტორს სხვადასხვა ასპექტით აქვს შესწავლილი. იშვიათად ხმარებული სიტყვები (გვ. 291-326), ნეოლოგიზმები (გვ. 326-329), ა და ბ რედაქციათა სინონიმური წყვილები (გვ. 330-392), სიტყვაწარმოება (332-335). ამ თავში ლექსიკური თვალსაზრისით ბევრი საგულისხმო ფაქტი აღნუსხული და წარმოჩენილი. არანაკლებ საუკრადებოა ავტორის მიერ მათი კვალიფიკაციაც, ქართული ენის ლექსიკის შესწავლით დაინტერესებული სპეციალისტი შრომის ამ ნაწილში მეტად საჭირო მასალას მოიპოვებს.

საკმაოდ ვრცელ ლექსიკონში (გვ. 345-388) შეტანილია და განმარტებული ყველა ის სიტყვა, რომელიც უცნობია, ან განსხვავებული შინაარსით იხმარება დღევანდელ ქართულში. ლექსიკონი ფასეულია იმ მხრივაც, რომ სიტყვათა უმეტესობას ახლავს საილუსტრაციო მასალა და შესაბამისი ბერძნული და სომხური (ზოგჯერ ებრაულიც) კონტექსტით დადასტურებული შესატყვისები.

თ. ცქიტიშვილის მონოგრაფიის გამოცემით მეტად მნიშვნელოვანი საქმე გაკეთდა; გადაიდა კიდევ ერთი ნაბიჯი ქართული ბიბლიის გამოქვეყნებისა და მეცნიერული შესწავლის გზაზე, რასაც დიდი ინტერესით იდევნებს თვალს როგორც ყველა ქართველოლოგი, ისე მთელი მოწინავე ქართველი საზოგადოება, ბიბლიის საკითხებით დაინტერესებული ყველა სპეციალისტი ჩვენშიც და საზღვარგარეთაც.



დიდი შეწყვეტილი სილაჩა

საბჭოთა კავშირის ხალხების ძმობა, მეგობრობა და მონოლიტურობა ყველაზე უკეთ დიდი სამამულო ომის წლებში შემოწმდა და ამ მონოლიტურობას დიდი შთამბეჭდავი ძალით უმღერა ქართულმა პოეზიამ. ომის წლებში ქართველი პოეტების მიერ ხალხთა საბრძოლო თანამეგობრობის პოეტური ასახვისადმი ჩვენ მიძღვნილი გვაქვს სათანადო მიმოხილვა. ამ წერილის მიზანი კი ის არის, რომ გავაშუქოთ, თუ როგორია ხსენებული თემისადმი ქართველი პოეტების დამოკიდებულება ომის შემდგომ წლებში და თუ რამდენად დარჩა ეს თემა ქართული ლექსის ობიექტად დღემდე.

რასაკვირველია, ომის შემდგომ პერიოდში ხსენებული თემის ირგვლივ შექმნილი მთელი პოეტური პრობლეტიკის მიმოხილვა ერთ საყურხანლო წერილში შეუძლებელია, ამიტომ ჩვენ სხვადასხვა ასაკისა და ბიოგრაფიის მქონე ექვსი პოეტის შემოქმედებით შევეცდებით მკითხველს წარმოუდგინოთ გასაშუქებელი საკითხის რამდენადმე ნათელი სურათი.

სამამულო ომის თემას ომისშემდგომ წლებში რამდენიმე მაღალმატერული პოეტური ნაწარმოები უძღვნა გრიგოლ აბაშიძემ. ამ ნაწარმოებთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ვრცელი მოტულობისა და ღრმად პატრიოტული შინაარსის პოემა „ზარზმის ზმანება“, რომელიც ომის ძინებდელ დღეებში ზურგში მყოფი ადამიანების განცდებსა და ფრონტიდან დაბრუნებულ ომგადახდილი, ვაჟკაცის ღრმა ფსიქოლოგიური ევოლუციის ფონზე საბჭოთა კავშირის ხალხთა საბრძოლო თანამეგობრობის სურათი მეტად თავისებური ხერხითაა მოცემული.

ომგადახდილ რაჰველ ვაჟკაცს გოლეთიანს, ფრონტიდან რომ დაბრუნდება მშობლიურ მთის სოფელში საოცარი სურათი წარმოუდგება: მთელი სოფელი უკაცრიელ ნასახლარად გადაქცეულა. აღმოფთვებული გოლეთიანი ჩქარობს გაიგოს საქმის ვითარება. ირკვევა, რომ სანამ ომი მიმდინარეობდა, მთავრობის ღონი-

სძიებთა შესაბამისად, მაღალმთიანი რაჰვის სოფელი ადიგენის რაიონის სოფელ ზარზმაში გადაუყვანიათ მუდმივ საცხოვრებლად. გოლეთიანიც ზარზმას მიაშურებს, სადაც დედა და მეუღლე ცხოვრობენ.

შემდეგ ავტორს კვლავ ომის დღეებში გადაყავართ. გოლეთიანის დედა ომის დროს ცნობას მიიღებს მისი ვაჟის დაღუპვის თაობაზე. ქალი დიდი გაკირვებით მიიღწევს იმ ადგილს, სადაც მიღებული ცნობის თანახმად მისი შვილი მარხია, ამოთხრის მითითებულ გემს და ზარზმაში წასვენებს, სადაც თავის საცხოვრებელთან ახლოს სათუთად მიიპარებს მიწას. გადის დრო. გოლეთიანი ზარზმაში უბრუნდება დედასა და მეუღლეს. პოემაში დიდ სიამოვნებას გვევრის მათი შეხვედრით გამოწვეული სიხარული.

ამიერიდან გოლეთიანის დედისათვის მის მიერ სათუთად ნალოლიავები სამარხი ღვიძლი შვილისა არ არის, მაგრამ სამშობლოსათვის თავდადებული საბჭოთა ადამიანი, მეომარი და პატრიოტი ამ სამარხში. ქალმა არც მისი ეროვნება იცის და ამისდა მიუხედავად ეს სამარხე უძვირფასესი და უწმინდესია პატრიოტი ქალისათვის. დროდადრო გოლეთიანის დედა კვლავ გლოვობს თავდადებულ ვაჟკაცს და წინანდელი გლოვისაგან ახლანდელი მხოლოდ იმით განსხვავდება რომ:

გოდება მოგავს ჩუმ ქვითის უფრო,
სხვის ვაჟკაცს ტირის უქირნახულოს,
ვინ იცის უცხო ვაჟკაცს რა ჰქვიან,
ვის სტირის დედა მარტო მისუფი,
იქნებ მას მოხვდა ანაზდად ტყეი,
მისი შვილისთვის გამოიწნულა.

ეს გოლეთიანის დედა. როგორ შეხვდა ყოველივე ამას გოლეთიანის მეუღლე, როგორი განწყობილება ეუფლება ქართველ მანდილონანს მამულისათვის თავდადებულ უცნობი ეროვნების საბჭოთა ჯარისკაცისადმი?

ცოლი? ქართველი კაცის ცოლია, მკვდარ ვაჟკაცს როგორ არ დაადარდებს! ვითომ საფლავში მარადი ჰყლიდა, ისე დაჭრუნავს საფლავის ვარდებს.

თვით ომის საბედისწერო გზებიდან მშვიდობითა და გამარჯვებით დაბრუნებული, მრავალ ქირანახული გოლეთიანი მისთვის უცნობი, თავდადებული თანამებრძოლისათვის მკვიდრ ძმასავით ზრუნავს, მის სამარეს უფლის და თავს ვეღუბა:

თითქოს ძმა ჰყავდეს ლოდვეშ ნამდვილი ომში მოკლული ძმა საკუთარი.

ასე თავისებური ხერხი გამოიხატა პოეტმა ჩვენი ხალხების საბრძოლო თანამებრძობის ორიგინალური სახით გამოხატვისა და უნდა ითქვას დიდ დამაჯერებლობასაც მიადრწია. ამ მხრივ პოემა „ზარზმის ზმანება“, როგორც თავის დარჩულ ლიტერატურულმა კრიტიკამ არაერთხელ აღნიშნა, ერთ-ერთი საუკეთესო პოემათაგანია ომისშემდგომ ქართულ პოეზიაში.

ომისშემდგომ პერიოდში დაწერილი გრ. აბაშიძის ლექსი „ისტორიის გაკვეთილი“. ამ ლექსში პოეტს ჩვენი ყურადღება ვადაქვს საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიულ ფაქტზე და ამასთან დაკავშირებით რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამებრძობის მდიდარ ტრადიციებზე. პოეტი მოგვანებს, რომ სამხედრო-თანამშრომლობის სფეროში რუს-ქართველთა ერთობლივ ბრძოლას უოველთვის საერთო მიზანი და მეგობრული ხასიათი ჰქონდა. სათანადო ლირიკულ აქცენტია გაკეთებული იმაზე, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთების ორიენტაცია ქარაყელი მეფეებისადმი და კერძოდ მეფე ერეკლე მეორისადმი ბედნიერი და უზრუნველი ცხოვრებით არ იყო ნაჯარნახევი, არამედ საქართველის ფიზიკური გადარჩენის ერთადერთ საშუალებად ესახებოდა ქვეყან მეფეს. ეს ნაბიჯი, უბრუნდება რა ნიკოლოზ ბარათაშვილის კონცეფციას ამ საკითხში, გრ. აბაშიძე ხსენებულ ლექსში წერს:

შუქი რომ ადარ ვაჩნდა ნათლისა,
ჩარხი რომ ადარ დაბრუნდა წაღმა,
რუსეთს მიანდო ბედი ქართლისა
მკლავმოუღღღელმა პატარა კახმა.

აღნიშნულის შედეგად კი მოხდა შემდეგი:

დარიალიდან დაქარეს დაფდაფი,
შერთა, შენანდა თურქს თავხედობა,
ხმლებს კაშკაშით, ხიშტის ლაქლახით
ქართლში მოვიდა რუსთა მხედრობა.
პირქუშად შეხვდა რუსებს ოსმალო,
ვით უსიამო ახლის მეკვლეთა,
ლურჯ მინარეთებს კვამლი მოავლო,
რუსი ვაჟკაცი ასერს ეკვთა,
და ხმლის მომქნევი ქართველთაგანი
ცეცხლში არ იყო მამის რომელი,

ხიშტით, ყოინით, ტუვიის კაკანით
უტევდა რუსის მხარში მდგომელი.

ეს ყოველივე ასორმოცდარე წლის წინააღმდეგ მოხდა და ახლა 1949 წელს, როცა ეს ლექსი იწერება, პოეტი ლაკონურად აძლევს შეფასებას რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამებრძობის დიდ ისტორიას. იგი ამბობს:

ჩვენი საბრძოლო ძმობა ნამდვილი,
ეუო თურქთათვის ზარის დამცემი.

პოეტს სწამს, რომ რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამებრძობა კი არ შესუსტებულა, არამედ დროის მსვლელობაში კიდევ უფრო განმტკიცდა, რომ ეს თანამებრძობა ერთგვარ ბაზას წარმოადგენდა, რომელზეც შემდეგ აღორძინდა საბჭოთა ერების საბრძოლო თანამებრძობა, ასე შინაარსიანად რომ გამოვლინდა დიდი სამამულო ომის წლებში და ამიტომ ახლა ამ ფაქტს ანგარიში უნდა გაუწიონ საბჭოეთის მტრებმა, რადგანაც:

მათ ახსოვთ ხმალი შემადღებელი,
ახლო წარსულის მწარე ფურცელი,
ქართველი, თავზე ხელაღებული
რუსი — ბრძოლაში ფეხმოუცვლელი.
ერთად ვიყავით, ერთად ვართ ახლაც,
და თუ ჩვენს ძმობას შურით ვაცხეკრის,
თუ ისევ ფიქრობს ჩვენს გულზე დახლას,
ტუვიების დახლას თურქი ასერი,
მან ჩვენი დარტყმის სიმწარე იცის
და შეგნანდა კვლავ თავხედობა,
რადგან ერთგული სამშობლოს დივის
ქართლს იცავს მოძმე ხალხთა მხედრობა!

დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირის ხალხების საბრძოლო თანამებრძობის თემა მნიშვნელოვნად აისახა იოსებ ნონეშვილის ომისშემდგომი წლების პოეზიაში. 1947 წელს უკრაინაში მოგზაურობის დროს პოეტს ცხადად წარმოუდგა თვალწინ ომის პიერ დანტრეული ამ კუთხის დიადი და შინაარსიანი ცხოვრება. წარსულისა და აწმყოს კონტრასტულობაში იგი ნატივი ელქსის სტრიქონებით აწინავს უკრაინის მიწა-წყლისათვის დაღუპულ ვაჟკაცთა ხსოვნას. საბჭოთა კავშირის უწყველად ერთგულების მრავალი გმირი დედა უკრაინის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ამ დიდი საბრძოლო თანამებრძობის პოეტურ გადამღერებას უძღვნის ი. ნონეშვილი ლექსს „უკრაინა“, რომელშიც შეადიოდ უჩვენებს რა ხალხების თავდადებულ ბრძოლას უკრაინისათვის, განსაკუთრებული ლირიზმით მიგვანიშნებს, რომ ამ თავდადებულთა წინა რიგებში ქართველი გმირებიც იყვნენ. ლექსში ვკითხულობთ:

შენს ძველთა ძველ უორღანებში
რამდენ ვაჟკაცს ხმინავს,

უკრაინა, უკრაინა,
ტპბილო უკრაინა.
დნებრთან თეთრად რომ ანთია
ალვა ცადაწვდილი.
მის ძირს ქართველ მშვეპაბუსაც
სმინავს მძიმე ძილით.

ი. ნონეშვილს არც იმის აღნიშვნა ავიწყ-
დება, რომ მადლიერი უკრაინელი ხალხი უო-
ველნიარად ცდილობს საკადრისი პატივი მია-
გოს გმირთა ხსოვნას, ეს ახარებს პოეტს და
მის ლექსში მკითხველი კარგად გრძნობს პა-
თუტიკურ განწყობილებას:

აღვია თუ ხელთ უშპრია
ქალწულს მწვანე დაფნა
და მწუხარედ თავს დაჰაურებს,
მშვეპაბუსის საფლავს?
სიხარულის მზის სხივებში,
შენს ცაზე რომ ბრწყინავს,
იმ ჰაბუსის სხივიც არის,
ჩემო უკრაინა...

ომის შემდგომ პერიოდში დაწერილ ლექს-
ში „ჯარისკაცის სიმღერები“ ი. ნონეშვილი ქა-
რთული ომგადასდომი ვეკაცის პირით მიმარ-
თავს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მხარეს გაფან-
ტულ თანამებრძოლებს, რომლებთანაც ფრონ-
ტის ბევრი საბედისწერო ბილიკებზე უვლია
ლექსის ლირიკულ გმირს:

ახლა სად ხარ მეგობარო,
სად ხარ რომელ მხარეს,
რიაზანის ჭეჭილებში
მიუძღვები ქალებს,
თუ ბრიასკის არყის ტუეში
შენც არყის ხეს ჰვავხარ?
!

ი. ნონეშვილი მშვიდობიანი მშენებლობის
პერიოდისა და ვითარებისათვის გამიზნულ ლე-
ქსთა ციკლშიც „ყაზახეთის ველებზე“ გვერდს
ვერ უვლის საბჭოთა კავშირის ხალხთა საბრ-
ძოლო თანამებრძობის დიდ ძალასა და სტო-
მულს, რომელიც ამ თანამებრძობამ მისცა სა-
ბჭოთა ხალხს, თავისი მომავლის მძურ ურთი-
ერთობაში შენებისათვის. საბჭოთა კავშირის
სხვადასხვა კუთხიდან მოსული სხვადასხვა ერ-
ების შვილთა გმირული შრომა ყამირის ფრონ-
ტზე აღაფრთოვანებს პოეტს და მის ფიქრებს
დიდი სამამულო ომის ძნელებდ დღეებისაკენ
მოაბრუნებს. ლაკონურად გაკეთებულ შედარე-
ბაში პოეტი დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ
ჩვენი ხალხების საბრძოლო თანამებრძობა
ხარისხიანი დულაბით დამაგრებულ ის საბირ-
კველია, რომელზედაც ამ ხალხების მომავალი
ურთიერთობანი ყოველთვის მტკიცედ და სა-
სურველად განვითარდებიან. ლექსში ვკითხუ-
ლობთ:

რია ყამირი, მტერსაც ეხილეთ,
იტყოდა: კლდესაც გადათხრიანო...
და მე ფიქრები შემომხვივნენ
შენზე საბჭოთა ადამიანო.
მე ვნახე ომში ტუევით ნაკუწი
ეგ დახვითქული მყარდის ფიცარი.
ყაზახი ხარ თუ რუსი ვაჟაცა
ჩვენ ერთმანეთი ძმებად ვიცანიო.

რუსი და ქართველი ხალხების მეგობრო-
ბისადმი მიძღვნილ ლექსში სათაურით „ჩვენს
ხმაში ისმის“ ი. ნონეშვილი ისევ მიმართავს
თანამებრძობის ურთ ყველაზე უფრო მკა-
ფიოდ გამოვლინების ფაქტს — სამამულო ომ-
ის ვითარებებს, რითაც ცდილობს უფრო დამა-
ჯერებელი გახადოს ამ ხალხებს შორის არსე-
ბული მეგობრული ატმოსფერო. ამის დისტუ-
რად პოეტი აცხადებს:

ვართ მეგობრები ფრთავაშლილები,
ძმობის სიმტკიცე ჩავუნად გვაცვია,
ამ ძმობის ძალამ ქართველის შვილები
კურსკელ გმირებად გადააქცია.

დიდი სამამულო ომის შემდგომ პერიოდში
ომის თემზე შექმნილ ნაწარმოებთა შორის ქა-
რთულ პოეზიაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა
დაეთმოს ი. ნონეშვილის პოემას „ამბავი ერთი
ქალიშვილისა“. პოემა ეძღვნება ყირიმში ქ.
სიმფეროპოლთან გმირულად დაღუპულ ქარ-
თველ ქალიშვილს ზოია შათეს-ასულ რუხაქეს,
რომელიც წამებით მოკლეს ფაშისტებმა 1944
წლის 10 აპრილს.


პოემის გმირები უსაზღვროდ პატრიოტი
საბჭოთა ადამიანებია: რუსი — ბორის ზოხ-
ლოვი, უკრაინელი — ლიდა ტროფიმენკო, ქარ-
თველები — ვიორგი ცინცაძე და სერგო აში-
რუჯიბი. ამ გმირებს შორის შექმურ ვარსკვლა-
ვიეთი ბრწყინავს ზოია რუხაქე. იგი წარმოშო-
ბით ქართველია, აღზრდილია ყირიმის მიწაზე,
მაგრამ მთელი გრძნობით სწამს საქართველო
და ქართველი ხალხი.

საბრძოლო თანამებრძობით შეკავშირებუ-
ლი, მტერთან შურისმგებლური ბრძოლისათვის
გამზადებული ბორისი და ზოია ავტორს მტეა-
ფორული ხერხით აქვს დახატული. მკითხველს
იზიდავს სტროფი, რომელშიც ეს სურათთა შე-
სრულებული:

ზოია დიდის თეთრი ნისლია,
ბორისი კოშკი რკინით ნაგები.
ბინდდება... ცისფერ გზებზე მიდიან
კოშკავშირელი ამხანაგები.

პოემაში საინტერესოაა ჩართული ჩვენი
ქვეყნის სხვადასხვა ეროვნების პარტიზანთა სი-
მღერები და როცა მკითხველი ამ სიმღერების

ბიოგრაფი ავალიანი
დიდი შექმნებითი სიმღერა



შინაარსის ანალიზს აკეთებს, იგი კიდევ ერთხელ რწმუნდება, თუ რაოდენ მტკიცე იყო ჩვენი ხალხების მონოლითურობა ომის მძიმე დღეებში, თუ რა ყველასათვის ერთნაირად სასიცოცხლო იყო საერთო ამოცანა, ფაშისტების განდევნა საბჭოთა ტერიტორიიდან. ავტორს გამოუყენილი ჰყავს რუსი, უკრაინელი, ყაზახი და ქართველი პარტიზანები, რომელთა სიმღერებში მათი ბრძოლისა და თავდადების ძირითადი მიზანი ჩანს თვითუღი სიმღერის ლოგიკური დასკვნა საერთო მიზანთანაა დაკავშირებული და საერთო მიზანს ემსახურება.

საყურადღებოა პოემაში ოსტატურად ჩართული პასაჟი ორი მამაცი და პატრიოტი ქალშვილის — ზოია კოსმოდეშინასკიას და ზოია რუხიანის ფანტასტიკურ გასაუბრებას რომ განასახიერებს. დიდი ეპოქალური მოვლენის მიერ გმირებად ქცეული ეს ორი სახელი ტყუპდებად წარმოდგება მკითხველს. ზოია კოსმოდეშინასკია უფროსი დაა. მან უფრო ადრე გამოცლა უკვდავების ფილა და ნუგეშისცემით მიმართავს უმცროს დას:

გტკივა ჭრილობა, ვაწამეს დაო?
 ეკლის გვირგვინი თავზე დაგზურეს?
 კმარა, სიკვდილთან ასე ნუ დაობ,
 შენ უკვდავება დაიმსახურე.

ქართველი ქალიშვილის პასუხში გატარებულია აზრი, რომ ქართველი ხალხი რუსი ხალხის კვალდაკვალ მიდის საერთო მტრის გასანადგურებლად და რომ ფაშისტების წინააღმდეგ მებრძოლი ერები დიდი რუსი ხალხის მეთაურობით იბრძვიან; რომ რუსი ხალხის მტკიცე ნებისყოფა, მორალური გაუტეხელობა, უშრეტო ენერჯია, თავდადების დიადი გრძნობა მისაბაძია საბჭოთა ერებისათვის და მათს შორის ქართველი ხალხისათვისაც. პოემაში ამის თაობაზე ვკითხულობთ:

მე შენ გამოგყე ბრძოლის დიდ გზაზე,
 მეც ჩვენი ქვეყნის სიკეთე მსურდა.
 გამბედაობას და სიამაყეს,
 დაო მე შენგან ვსწავლობდი მუდამ.

ომის მრისხანე დღეებში სისხლით დამაგრებული მეგობრობის გავრძელებაზე, მშვიდობიან დღეებში ამ მეგობრობის კიდევ უფრო ქმედითობაზე მიგვანიშნებს პოეტი პოემის დასასრულში. მრავალტანჯული ქართველი პარტიზანი გიორგი ცინცაქე ყირიმიდან გერმანელების განდევნის შემდეგ იქვე რჩება და პროფესიით აგრონომი, მიზნად ისახავს ყირიმის მიწაზე ციტრუსები დაამკვიდროს. ამ დიად მიზანს გიორგი თავდადებით ემსახურება რუსი ძმების გვერდით მუხლჩაუხრელი შრომით.

დიდი სამამულო ომის პერიოდი მთელი სიმკაცრით აწევს მხრებზე პოეტ ლაღო სულაბერიძე. ომის უშუალო მონაწილე და შემ-

დეგ ტყვეობაში ნამყოფი პოეტი დიდი სიმამრით განიცდის თავის ბიოგრაფიას და ამის უტყუარი ნიშანი ბევრ მის ლექსს ახედასთანოდ აზის. მწერალი ოთარ ჩხეიძე ლაღო სულაბერიძის ცხოვრების მოკლე ანალიზისას შენიშნავს, რომ ომმა ლაღო სულაბერიძე, «ატარა, აბრძოლა, ათრია, დაფენხა, ტყვეობაც მოსწია და არაფერი მოაკლო, თუ მანაც მოაკლო, არაფერი შეარჩინა, ასეა ბაღდაში, გააშინველა ყინვა-ყაიმთშია, აგემა ღალატი, ერთგულმაც აგემა, რაღა არ აგემა — დაახერებინა ფილა სიმწრისა, განაღდვევინა ძალი სიცოცხლისა და შეარჩინა სიცოცხლე, პო, არ შეარჩინა არაფერი სიცოცხლის გარდა და შერჩენილი სიცოცხლის მომღერლად იქცა პოეტი.»¹

ასეთი წარსულის მქონე შემოქმედი, რასაკვირველია, გულგრილი ვერ იქნება ომის ისტორიისთან და არცაა გულგრილი ლაღო სულაბერიძე. მის ლექსებში ღრმა ლირიზმით, სულიერი ტკივილის მძაფრი გამოხატვითა და დიდი ემოციისმომგვრელი ძალითაა წარმოდგენილი ომის საშინელება, პოეტის დამოკიდებულება ამ საშინელებასადმი, ამასთან ძალუმად იგრძნობა საბრძოლო თანამეგობრობის ძალისა და ფასის მიმართ ავტორის რეალური პოზიცია.

ლექსში «ყანა» ომგადახდილი პოეტის სიხარულს ილუსტრაციაა მოცემული, სიხარულისა, რაც მას ნაბრძოლ და ნაოხარ, სანგრებიოთა და ტრანშეებით დასერილ ყირიმის ველზეზე მობიზინე ყანების ხილვამ აღუძრა მშვიდობიანი ცხოვრების დღეებში. ამ სიხარულს მკითხველიც ძალდაუტანებლად იზიარებს, ხოლო ყირიმის ყანები რაღაც ძალზე მახლობელნი და მშობლიურნი ჩანან, რომლებთანაც პოეტს დაუშეიყვარი დღეები აკავშირებს. ომის საშინელებათა ნიშანი ლექსში სანგრის, უფრო სწორად, ნასანგრალის სახითაა წარმოდგენილი, მშვიდობიანი შრომის სიმბოლოდ კი პურის ყანა ჩანს და მათ შორის მოციქულადაა გამოყვანილი სიცოცხლე და სიხარული. პოეტი ასე გამოხატავს ამ თავის ჩანაფიქრს:


დღედაღამ სანგარს ჩახსმის
 შრიალი გასახარება.

გაზრდილან, დაპურებულან,
 ყირიმის ველზე ყანები.²

ასეთივე მოტივითაა ნაკეები ლექსი «მონოლოგი», სადაც პოეტი კვლავ უბრუნდება იმ ორგანული კავშირის პოეტური ხერხით ჩვენებას, რაც მასა და ყირიმის მიწას შორის დამყა-

¹ ლ. სულაბერიძე, ერთკომეული, 1970 წ. 83-4.

² ციტატები ლ. სულაბერიძის ლექსებისა მოტანილია წიგნიდან: ლ. სულაბერიძე, ერთკომეული, 1970 წ.



რდა ომის მრისხანე წლებში. მოძმე რესპუბლიკის მიწისათან ლ. სულაბერიძე სისნლ-ხორცეულ კავშირს გრძნობს და ლექსში მკვეთრად აღიქვება ქართველი ხალხის ის უდიდესი მსხვერპლი, რაიც ფაშისტურ გერმანიასთან ბრძოლაში გილო, განსაკუთრებით კი ყირიმისათვის ბრძოლაში. ეს მსხვერპლი პოეტს ფიზიონომიურ ტკივილად ესახება და ასე აცხადებს:

ყირიმში დამარჩა მოკვეთილი მარცხენა ხელი,
და ხელით ახლა მე მიჭირავს მიწაც ყირიმის,
აქ ხელს შევახებ, მშობლიური მიწაა ცხელი.

საბრძოლო თანამეგობრობის თავისებური გაგება და შეფასება ლ. სულაბერიძეს განსაკუთრებული სიმკაცრით აქვს მოცემული ვრცელ ლირიკულ ლექსში „ათი ნაბიჯი სიცოცხლე“. ამ ლექსის ლირიკული გმირი, რომელმაც ათი საბედისწერო ნაბიჯის ვაგლით პოეტი დაღუპვისაგან იხსნა, საბჭოთა ადამიანია, რომლის ეროვნულ თავისებურებაზე არავითარი მინიშნება არ არის, მაგრამ მკითხველი სრულებით არ გრძნობს ამით რაიმე უკმარისობას.

სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმული საბჭოთა ადამიანი, რომელსაც თავდადების პათოსი შეუძლებელს შეიძლებინებს, მტკიცედ დგას საბრძოლო თანამეგობრობის მყარ ნიადაგზე. სიმტკიცეს, ძლიერებას, უძრევლობას, ქმნის სწორედ ის, რომ სხვადასხვა ეროვნების საბჭოთა ადამიანები გადაიწყვეტი ბრძოლების წინ ასეთი ფიციით ეფიცებოდნენ ურთიერთს:

ძმაცაცურ სიტყვას შივანდეთ ბედი:
დავიჭრე, გიხმობ, დაიჭრე, მიხმე.
დამეზე ყუთიელ ტყვიებით ვწერდიოთ
ერთგულებისთვის განწირულ სიყრმებს.

შემდეგ პოეტი აკონკრეტებს სათქმელს, ქმნის მძაფრ ლირიკულ სიტუაციას, სადაც ბედს წამები წყვეტენ. ლექსის დამაბვა აქ უადრესად გადამდებია და ძაბავს მკითხველის ყურადღებას, თანაც დიდი სიცხადით გვახედებს საბრძოლო თანამეგობრობის დიად არსში, გვიჩვენებს, თუ რა ძნელი და მიძიმეა ამ თანამეგობრობის ადათით ადამიანზე დაკისრებული მოვალეობა:

ერთი გარბენა და ალყის გარეთ
გველოდებოდა ნაპირთან გემი,
უკანდახეულ დარბეულ ქარებს
მიჭქონდათ ღტოლვა შენი და ჩემი...
ათი ნაბიჯის გარბენა კიდევ,
გადავარჩენდი განწირულ სიყრმებს,
მაგრამ მე შავდექ, მე ერთ წამს ვიდექ
და დავიბლავდე, წინ წახულს გიხმე...
და შენ დაბრუნდი, დაბრუნდი ჩემთან

და ჩემთვის ბევრი იწვალე მერე,
ვულკანის ლავის ტალღები გვცემდა,
ცაცხლი ეკიდა თხრილებს და სერებს!
ფრონტელი მეგობრობისთვის თავგანწირვის
პოეტური ხატვის შესანიშნავ ნიმუშს გვაძლევს
აქ ლაღო სულაბერიძე. ამბის კონკრეტული
თხრობა სულაც არ ანელებს ლექსის ლირიკულობას.
ჩვენი აზრით, პოეტმა დიდი ოსტატობა გამოიჩინა ამ სტროფებში.

ათი ნაბიჯი გადმოდგი უკან,
და დაქრილ ძმაცაცს წამავლე ხელი,
ათი ნაბიჯი გადმოდგი უკან
და წამს დახარჯე სიცოცხლე მთელი.
შემოახვიე ქრილობას ჩემსას
შენი სიცოცხლის ელვარე ბინდი.
უველა ქრილობას შენ მიხვევ დღესაც,
მე მხარში მიდგავს კვლავ შენი ღანდი.
ათი ნაბიჯი მანძილი მიწის
შენ გაიარე ქარცეცხლში სიმწრით
და ზედ მარადი ცეცხლივით იწვის
გაუტყეხილი სიტყვა და ფიცი.

ლაღო სულაბერიძისათვის არ არსებობს არავითარი სხვა იდეალი, თავისი ძალით ფრონტულ მეგობრობას რომ გაუტოლდეს. საბრძოლო თანამეგობრობის ცეცხლი დღესაც ღვივის პოეტის შთავაგონებაში და მშვიდობიანი დღეების ბევრ მანაიერებას ის მარჯვედ უპირისპირებს თავდადებულ თანამოთარაღეთა სახეების მოხმობას, რითაც მარად ძლევამოსილი და გამარჯვებული ჩანს ამ სტროფის ავტორი:

როცა დალატით დაქცეულ ციხეს
მივეყრდენი და ისევ გიხმე,
წამომეშველა მე შენი ღანდი
და ხულის მძიმე იარაგ მიხვევს.

დიდი სამაშულო ომის დაწყებისთანავე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მერხი მიატოვა და ფრონტის ქარცეცხლიან გზებს მიამურა პოეტმა თეიმურაზ ჭანგულაშვილმა. უკრაინის პირველი ფრონტის შემადგენლობაში პამაეტრად მებრძოლ სანადმეტყორცნო ოცეულის მეთაურს ბევრად მძაფრი ბრძოლა უნახავს და მრავალჯერ თავდადებაც დასჭირდა, მაგრამ შეიბრალა იგი ბედმა და გერმანიის ტერიტორიაზე გამარჯვებით შესული, მშობლიურ თბილისის უფნებლად დაუბრუნდა.

ომისშემდგომ წლებში დაწერილ თ. ჭანგულაშვილის ბევრ ლექსში სათუთი გრძნობითაა ჩაქსოვილი საბრძოლო თანამეგობრობის ცოცხალი განცდა. ერთ-ერთ ასეთს წარმოადგენს ლექსი „დაღუპულ მეგობრებს“, რომელიც პოეტმა უძღვნა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენელ ოფიცერებს. ამ ოფი-

პროგრამი ავალიანი
დიდი შიშუაგბილი სიმღერა



ტრებმა პოეტთან ერთად დაამთავრეს საოფიც-
ბრო სკოლა, განიცადეს მეთაურად გახდომის სი-
ხარული და შემდეგ გმირთა სიყვდილით, ვინ
სად და ვინ სად, დაცნენ ომის მრისხანე გზებ-
ზე. ნაზ პოეტურ მოგონებებში კარგად ჩანს
ურთიერთობა პოეტის დიდი გრძნობა, ძმუ-
რი ურთიერთობა, რაც საბჭოთა მეომრებს აჯ-
ვიწობებდა, ამასთან თავდადებულ გმირთა ოც-
ნებებსა და სახელობე ღრმად გვახედებს მე-
გობრობის ავ-კარგში კარგად ჩამწვდარი ავ-
ტორი, როცა ოდნავ შენიღბული სევდით მათს
ნათელ ხსოვნას მიმართავს:

ერთად ვსუნთქავდით სომხეთის ჰაერს,
ვგზიზღავდა ჰაბუკო ელვა ცის ფერთა,
ღამაზ ოცნებებს და ტრფობის შაირს
დავატარებდით გულგებით ერთად.
თეთრი ვარცვლავი მზრებზე სათუთად
ჩვენ დავაბნეით ერთმანეთს კრძალვით,
შემდეგ ველოდით ბრძოლების წუთებს
და გმირობაზე ვფიქრობდით მაღვით.³

გმირულად დაღუპულ თანამებრძოლებზე
ფიქრები ყველაზე დიდ სახეიმო წუთებსაც კი
უძიებდნენ პოეტს და თვით საკმაოდ პათეტი-
კურ სტროფებშიც ცხადად იგრძნობა ავტორის
სულიერი მკვლევარება. გაპარვების დიადი ფა-
შით ტკბობას ლექსში ოსტატურად ერწყმის
მსხვერპლის გამო სიძიმშილი, რასაც ეძღვნება
სტროფი:

და ზა ანთო მზე საოცნებო,
ოქროს ფიფქები გულგებს ავსებენ.
ვწვიობთ! თქვენ კი სადა ხართ, ძმებო,
აღსდგეთ, შევხვით ერთად თახები.

უღრესად მშობლიური და მახლობელი
ჩანს თ. ჯანგულაშვილისათვის ომის მიერ ნა-
ოხარი რუსული სოფელი მშვიდი ბავშვებით,
რომელთაც პოეტი ომგადახდილ მამად მოე-
ლინება, დააპურებს, ანუ გეშვებს ეს მომენტი
თ. ჯანგულაშვილის პოეტური სულის ძვრას
იწვევს, უფორიაქებს ფიქრებს, რასაც ლექსის
ენით იშოშმინებს:

ო, შიათ, შიათ, ამ ბავუნებს,
ამ ქერა გოგონებს შიათ...
ბავშვებო, მაღლით და მარჯულეთ
კეთილ და მშობლიურ ძიად.
დააპურდით!... ხიშტით ნაომარით
დავუქერ რუსული ბურა
და კაცი ომში ნალომარი
ვიცინი ბავშვური გულით.

გულწრფელად არის მოცემული რუსი თანა-
მოთარღისადმი პოეტის სიმპათია ლექსში
„უფროს ლეიტენანტ ლეონიდ სმირნოვს“. აქვე

³ თ. ჯანგულაშვილის ლექსები მოტანილია
წიგნულან „სიხარეა და მახვილი“, თბილისი,
1972 წ.

მკვეთრად იგრძნობა, რომ ამგვარი [დამტკიცებ-
ბულება ქართველი მეომრისა, თუვის თანამო-
რალე მოძმე ეროვნებათა წარმომადგენლებსა-
დმი ზოგად ხასიონს ატარებს, რომ თ. ჯანგუ-
ლაშვილისათვის ლეონიდ სმირნოვის სახით
ყველა ის თანამებრძოლი იხატება, რომლებ-
თანაც მას უვლია ბეწვის ხიდზე სამაშულო
ომის ქარცეცხლში. აღნიშნულში ადვილად
ვგრძნობდებით, როცა გულისყურით ვკითხუ-
ლობთ სტროფს:

ვოღველ ძმას ვუსმენ რაღაც სიფრთხილით
მეც მისი კბილა და მისი ტოლი,
ნაძვის წამწამი გაკვინტა კბილით
და დაიკლავა ჩიუხის ბოლი.

ფრონტელი მეგობრობის ეგზოტიკური სუ-
რათი აქვს მოცემული თ. ჯანგულაშვილის ლე-
ქსში „აზერბაიჯანელი მზარეული“. მიუხედა-
ვად ლექსის ლირიული ხასიათისა, კითხვე-
ლისათვის ეს ლექსი მთელ პოემას უდრის.
ხანდაზმული აზერბაიჯანელი მოქალაქე დიდი
სამაშულო ომის ფრონტზე გაწვეული და იქ
მისი კვალიფიკაციის მიხედვით ფრონტელი
მზარეულის როლში მყოფი, რომელიმეც ომის
გრძელი გზა მოათავა და სეგებდნიერ ტოვებს
ფრონტელ უმცროს მეგობრებს, რომელთა
შორის ბევრი შვილებადაც ერგება, ასე მიმარ-
თავს ქვეგანაყოფში დამარჩნით:

უკანასკნელ ვახშამს გამღვეთ,
შეირგეთ და გაიხარეთ!
ხვად გზორდებით ბერიაკცი
და მშობლები შელის მზარე.
ო, შვილებო, ვუღს სიბერე
განა ასე დაიჭანის?
თუ დაკვირდეთ, კვლავ გენაცვლოთ
ჩემი მკლავი, ჩემი ჯანი...

აქ შესანიშნავი პოეტური ხერხია მოძმე-
ლი რეალური სინამდვილის მიმზიდველ ფორმა-
ში გამოსახატავად და აზერბაიჯანელი მზარეუ-
ლი მონანს გოლით. საბჭოთა მოქალაქედ მთელ
საბჭოთა ხალხთან ურყვევი მეგობრობის ძალით
რომ შედუღებულია და რომ ომის წლების
მრისხანებას ეს შედუღება კიდევ უფრო გა-
ნუშტიკეცება.

თ. ჯანგულაშვილის ძალუმაღ უგრძენია ფა-
შისმის წინაღმდეგ მებრძოლი ხალხების სუ-
ლისკვეთება, ღრმად ჩამწვდარი ომის მიმდინა-
რების დროს ჯერ კიდევ არც თუ ყველასათ-
ვის ისე ნათელ ჰეშვარტებას, რასაც ფაშის-
ტური გერმანიის მიერ დაპრობილი ხალხების
ძძლავრი შურისმგებლური ძალა წარმოადგენ-
და. ამ წვდომის უნარს პოეტა კონკრეტულად
ავლენს ლექსში „პოლონეთი“. შეუძლებელია
რაღაც სიგანებო სუბიექტური ზრახვით, პო-
ეტურად გასაშუქებელი მოვლენისადმი ემპი-
რული მიდგომით შექნა ამგვარი სტროფები:

ზუგთანვე შევხვდი, პოლონელ მებრძოლს
მისი გულისთქმა როგორ არ მეგრძნო.
ოთხკუთხიანი ქუდი ეხურა
და ჩვენს მხარდამხარ ქუხდა მგებურად.
და როცა ცხელმა ტყვიამ დამდალა,
თვალცრემლიანმა ყურში ჩამძახა:
მეცა მტკივაო შენი იარა...
ვისლავე იდგა ის ჩემს მხარდამხარ
და ბერლინამდე ჩემთან იარა.

საბჭოთა ხალხების მიერ პოლონეთის გა-
თავისუფლებას ფაშისტური გერმანიის მონო-
ბისაგან თ. ჭანგულაშვილმა უძღვნა ლექსი
„თბილისელები ვრაცლავში“, რომელიც ვრა-
ცლავში ომის შემდეგ თბილისელ ფეხბურ-
თელთა ჩამოსვლის შუქზე ქართველების მიერ
ამ მოძმე ხალხის ქალაქის გათავისუფლებისა-
თვის დაღვრილ სისხლზე მიგვიანისებებს და ამ-
ით საბრძოლო თანამეგობრობის ერთგვარ
პიმს განასახიერებს. ლექსში ვკითხულობთ:

მტერზე მრისხანედ ხმალშემართულნი
თბილისელებიც ვქუხდით ვრაცლავთან.
გვლოცავდა ჩვენი მიწა ქართული
და პოლონური მიწაც გვლოცავდა

ლექსში „ზამთარი ვორონეში“ თ. ჭანგუ-
ლაშვილი რუსული ზამთრის სიმკაცრის ფონზე
გვაძლევს სურათს, რომელიც საბჭოთა მოძმე
ხალხების შურისმგებლური გრძნობით ახვირ-
თებულ ერთობლივ ძალას სიმბოლურად გვი-
ხატავს და ჩვენს წინაშე დგება საბრძოლო თა-
ნამეგობრობის ძლევაში ისლება მთელი თავისი
სიდიადით. ამაზე ნათლად მიგვიანისებებს სტრო-
ფი:

ზორგავდა ხსტაკი ზამთარი,
ზორგავდა, შფოთავდა რისხვით,
ზორგავდა და ყალბზე დამდაბო
მოქუხდა ჩანჩქერი სისხლის.

ლექსში „არყის ხე მეგობრის საფლავზე“
თ. ჭანგულაშვილი კვლავ უბრუნდება იმ მძაფრი
გრძნობის პოეტურ გაშუქებას, რასაც ფრონ-
ტზე მეგობარ თანამებრძოლის დაღუბვა იწ-
ვევდა. პოეტი აქაც არ გვიჩვენებს, თუ რომელი
ერთგუნებისა მისი ფრონტელი მეგობარი. იგი
საბჭოთა ადამიანი, ფაშისტებთან ბრძოლაში
მამაცო სიკვდილით დანებული და მასთან სა-
მუდამო ტრაგიკული განშორება პოეტის სუ-
ლიერ ტრაგედიას იწვევს. ამ სულიერ აფორია-
ქებას პოეტი გამოხატავს სტროფში:

მიწა გავერ ხიშტის წყვრით,
მეგობარი მივაბარე მიწას,
ტკივილს ველარ გავუძელი.
ცივი ღოღი დავუტოვე ძიად.

პოეტი შურთან ლებანიძე საკუთარი მხედ-
რული ხვედრის თაობაზე ჯერ კიდევ ომის
მსგულლობის პერიოდში სინანულით ამცნობდა

ქართველ მკითხველს. კრასნოდარის მუხრანში
მებთან მიმედ დაპირილი პოეტი დიდ საყვი-
რულით იგონებს მოძმე ხალხის ქალაქს, რომ-
ლისთვისაც სისხლი დაღვარა. ქალაქ ოდესის
გათავისუფლებით აღფრთოვანებული მ. ლე-
ბანიძე ლექსში „ოდესა“ დიდ სიხარულთან
ერთად სევდის მოტივსაც აქსოვს. სევდა გა-
მოწვეულია იმიოთ, რომ პოეტს არ დასცალდა
პირადად ევაქაცა ამ დიდებული, გმირი ქალა-
ქისათვის გამართულ ბრძოლაში, რადგანაც იგი
მინამდე დაიჭრა. პოეტი ასე მიმართავს გმირ
ქალაქს:

შე კრასნოდარის კარებთან დამჭერხ,
შენს კარბჭებსთან ველარ მოვედი
შე შენს ტკბილ სახელს თბილისში ასჭერ
ერთი პატარა ვამკობ პოეტი.“

ქართველი პოეტი მ. ლებანიძე გათავისუფ-
ლებულ ოდესის ისეთი გატაცებით უმღერის,
როგორც შრობიერ თბილისს და ლექსში ოდ-
ნავ სევდიანი დებიუტის შემდეგ მძლავრობს
მგზნებაზე პოეტრია, საყვირელი ქალაქის წა-
თელი მომავლის ცხადი ხედვა, ლალი პოეტუ-
რი ოპტიმიზმი:

ღუშმანს დამარხავს ომის ქარბუკი,
შენ ხუნდებშენსნილ ხელს გახსნი ლადა,
საქართველოდან მოვალ ჭაბუკი
და ომადახდილ დიდ ციხეს გნახავ.

საბჭოეთის ხალხთა-საბრძოლო თანამეგობ-
რობის თემს მ. ლებანიძემ რამდენიმე ლექსი
ომისშემდგომ წლებშიც უძღვნა, რომელთა შო-
რის განსაკუთრებით აღსანიშნავია ლექსი „ტა-
ჯიბე ტაჯიკინოვს“. აფორი უდიდესი პატი-
ვისცემის გრძნობით იგონებს უზბეკი ევაქა-
ცის მხარდამხარ განვლილ მძაფრი ბრძოლების
დღეებს. ყოველგვარი ძალდატანებისა და წი-
ნასწარ განხრახტლობის გარეშე ლექსში გად-
მოაღვრება სტროფები, რომლებშიც დამაჭერე-
ბლადა მინიშნებულ იმაზე, რომ ჩვენი სახე-
ლმწიფოს სხვადასხვა ერთა წარმომადგენლები
დიდ სამამულო ომში იბრძოდნენ როგორც ძმე-
ბი და უფროს ძმას ამ დიდ ბრძოლაში წარ-
მოადგენდა რუსი ხალხის შვილი. ამის თაობა-
ზე ლექსში ვკითხულობთ:

ჩვენც ვბრძობით, ტაჯიბეი,
ჩვენც ვიყნობთ დენოი,
ჩვენც დავცვიოთო წყვილი ჩემპა
და, რუსი ძმის გვერდით,

4. ვაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“,
1944 წ. 14 აპრილი.

5. მ. ლებანიძე, ლექსები, თბილისი, 1960 წ.
გვ. 68.

ბიორბი ავალიანი
დინდი შიყვებტილი სიმღერა



ჩვენი მზე და ჩვენი კრემლი
დავიცავით მკერდით.

ამ დიდმნიშვნელოვან დღეთა მოგონება
ბოეტს მშვიდობიანი პერიოდის საზეიმო ყამს
უდიდეს სიამოვნებას ჰგვრის და ლექსი დიდი
ილტაცების ტონს იღებს. ბოეტის სასიხარულო
ილტაცება ასე იხატება ლექსში:

ტახები სად ხარ ახლა, ამ თებერვლის
დილას
ჩვენი პოლკის საყვირებიც, როცა საღმე
გვკრავინავს!
როცა ჩვენი პოლკის ღროშა
აღმართულა ცაში,
როცა გმირთა ზეიშა და წლისთავი
ლაშქრის.

მ. ლებანიძეს მიაჩნია, რომ დიდ სამამულო
ომში განმტკიცებული საბრძოლო თანამეგობ-
რობა ომისშემდგომი წლების მშვიდობიან ცხო-
ვრებაშიც დიდ ზეგავლენას მოახდენს საბჭოთა
ხალხების შემდგომი ძმური თანამშრომლობის
საქმეში და რაგინდ დიდი და უკიდევანო უნ-
და იყოს საბჭოთა ხალხების წარმატებანი
ომისშემდგომი მშვიდობიანი მშენებლობის
წლებში, ეს ხალხები მოვალენი არიან უპირ-
ველესი პატივისცემის ნიშანი ყოველთვის უნ-
და მიავონ ჩვენი ხალხების იმ წარმომადგენ-
ელთა ნათელ ხსოვნას, რომელთაც მხარდამხარ,
ძმურად გასწირეს თავი საბჭოთა კავშირის ხა-
ლხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის
სათვის ბრძოლაში. აღნიშნულის დამაჯერებელ
დადასტურებას წარმოადგენენ სტროფები:

სადაც უნდა ვიყოთ ახლა და მშვიდობას
ვქედღეთ,
სადაც უნდა ვაუხენებდეთ კომუნისმის
კედლებს; —
საქართველოს კორტობებს, თუ
კასპიის იქით, —
ჩვენ ვივონებთ გზას და წვიმას
მეგობარს და ჭიგტს.
ჩვენ ვივონებთ ძმისთვის ცეცხლში
გადავარდნილ ვეჟაცს;
ვადღევარქედლებთ კრემლს, მშვიდობას,
დაუძღვეველ ღაშქარს.

დაპირილი ქართული ჯარისკაცისა და ფრო-
ნტისპირა სოფელში უმამაკაციოდ დარჩენილი
რუსი ჯვრივ-ობლის შეხვედრითა და ომისმიერ
ნაწაწებ ამ აღამიანთა მიერ გამოვლენილი ჰუ-
მანტრობისა და გულთბილობის სინტერესო
სურათია დახატული მ. ლებანიძის ბალადაში
„1943“6. ამ ლექსში ყველაფერი ომის საშინე-
ლებათა მრუმე ფერებშია გახვეული, ყველაფე-
რი გულამაჩუყებელია; ისიც, რომ „კაცს დამ-

მარხავი კაცი არ ჰყავდა“. ისიც, რომ „ათოვ-
და ირგვლივ მთელ სამყაროს, ათოვდა მშრა-
ლად“; ისიც, რომ ყინვის თარეშით გათანგულ
სასაფლაოზე ჯვრივ-ობლი მარტოკა მარხვენ
მოხუცს და მათ მიუხველება მძიმედ დაჭრილი
ქართული ჯარისკაცი, რომელიც ჰოსპიტალს
ეტებს.

ვპრილი და ვპრილი ჭაუტად სამარხს,
ვპრილი და ვპრილი.
რალა და ვუვეთ, როგორღაც ჩავდეთ,
რალა და ვხურეთ,
ბიჭუნამ რალა და უღოთ თავით,
თავი ჩავღუნეთ.

ასე ივონებს ძნელბედ მომენტს ომგადახ-
დილი ჯარისკაცი.

მეგრამ ლექსში სიხარულისა და სიამაყის
მომგვრელი პასაჟებიც არის: დედა-შვილი ქა-
რთველ ჯარისკაცს, რომელსაც ყინვაში გათო-
შვა ელოდა, შინ მიიყვანს, დააპურებს, იარებს
მოქბანს, ღამეს გაათევენებს, თავისი ღარიბული
სანოვავიდან საგზალს გამოუყოფს და მოლო-
ნიერებულს მეორე დღით ჰოსპიტლისაკენ გა-
ისტუმრებს. რუსი მანდილოსნის ზრუნვით გა-
მთბარი ქართული მეომარი მადლიერებითა და
სიამაყით ივონებს:

ის იყო დაც და ის იყო დედაც, —
ის იყო ქალი!
წყლის ოხშივარი ბურანში მხვედა
და ვიჭქ მთვრალი.
ის დიდხანს, დიდხანს მბანდა კრილობას,
მიხვედა ფრთხილად;
იყო გონმხიდა და დალილობა,
მივარდნა ძილად.

ბოეტი დარწმუნებულაა, რომ საბჭოთა ხა-
ლხებს მარად ეხსომებათ ის ურთიერთობისა-
რებისა და თავდადების ფაქტები, რომლებიც
მათ ომის ქარცეცხლში გადახდენიით და განუ-
ცლიათ, რომ ამ ფაქტების მტკონება ანდამა-
ტივით მიიზიდავს საბჭოთა აღამიანებს შომა-
ვალშიც, რათა ერთმანეთი არ დაავიწყდეთ, მა-
რად შინაურნი დაურჩენენ ურთიერთს. ამის
ოსტატური თქმა სტროფში:

მშვიდობით! მშვიდობით! ეს ერთი
სიტყვა,
ნათქვამი გრძნობით,
საკვლად გაჰყვება ჯარისკაცს დიდხანს,
გამოჰკვებს წლობით,
გაივლის წლები სამჭერ ათ-ათი, იქნება
თოვა,
იქნება მზეც და, — თვითონ საღდათი
თუ იქნა, — მოვა.

საბჭოთა ხალხებისადმი დიდი სიამაყლო ომ-
ის, მიერ მიყენებულ ფიზიკურ და სულიერ

6. „ნათობი“, 1976 წ. №-1, გვ. 89.



ტკივილებს ხშირად ჩაუფიქრდება, ხოლო დიდი რუდუნებით, პოეტი წინსულ ჩარკვიანი. ამ ბოლო წლების ქართულ პოეზიაში ერთ-ერთ საუკეთესო პოეტურ ქმნილებად აღიარებულ პოემაში „ჩაქვის თორანი“⁷ მამულის ბედზე მძაფრად დაფიქრებულ პოეტს მოცემული აქვს ომში აღდგენილი ზოგი ქართველი პატრიოტის სახის პოეტური გამოხმობა. ავტორი, როგორც ცოცხალთ, ესაუბრება მტრებთან ბრძოლაში დაფერფლილ სახელებს. პოეტის სივარჯებო ყურადღებას იპყრობს ის, რომ ქართველი მეომრები ფაშისტური ურდოების მიერ ოკუპირებული ქალაქებისა და სოფლებისათვის უწყყმანოდ დებენ თავს რუსეთის ველებზე, უკრაინაში, პოლონეთში და სხვაგან, ამავე დროს მათ ღრმად სწამთ, რომ იცავენ საქართველოსაც. განსაკუთრებულ ინტერესს ჯ. ჩარკვიანში იწვევს გმირი ქართველი გოგონა ირინე სხირტლაძე, რომელიც მამაცთა სიკვდილით დაეცა ვარშაში ფაშისტებთან ბრძოლის დროს. გმირისადმი უდიდესი სიყვარულით გამთბარ სტრიქონებში იგრძნობა ავტორის სიყვარული იმ აღმაიანებისადმიც, რომელთა შორის ი. სხირტლაძე იბრძოდა და იმ მიწაწყლისადმიც, რომელსაც შესწირა თავისი ახალგაზრდული სიცოცხლე ქართველმა ქალიშვილმა. მკითხველს ხიბლავს ამ სიყვარულით გამთბარი სტრიქონები:

მხოლოდ ცეცხლში, მხოლოდ ცეცხლში,
 ცეცხლში გამოიცადა,
 პოლონეთში, პოლონეთშიც
 საქართველოს იცავდა.
 აჭაყდა და მტერი ხოცა,
 ბინად ჰქონდა ხანგარი,
 საქართველოვ, შენ ვინ მოგცა
 შვილი, დასაქარგავი.

ჯ. ჩარკვიანს გულწრფელად ახარებს, რომ სასახელო თანამემამულის თავდადება ჭკორენად არის შეფასებული იმ ხალხის მიერ, რომლის თავისუფლებასაც მან თავი შესწირა. თავის აღტაცებას ასე გამოხატავს პოეტი:

პოვონსკაში თეთრი გორა,
 მოუჩითავთ გვირილებს,
 ირინოლა, ირინოლა,
 ირინოლა, ირინე.

მკვდრეთიდან გამოხმობილ, ფაშისტური უღლის ქვეშ მგმინავი ხალხების გასათავისუფლებლად ბრძოლაში თავდადებული ქართველი გმირების სახეთა დიდი სიციხლით განცდის ჯ. ჩარკვიანისეული პოეტური ფიქსირების ერთ საუკეთესო მაგალითად მიგვაჩინა ეს სტრიქონები:

7. გამომცემლობა მერანი, თბილისი, 1972 წ.

მე ჩემი თვლით ვნახე ბიტენში,
 ბენდელიანი ვნახე ცოცხალი.
 ბნელს აკავებდნენ მზეზე დაგემოდნენ
 დაპკრა კიღლაძემ და გააბრუა,
 ბიბილაშვილი ტაურეგაში,
 ვისლასთან იღვა შოთა ტიბუა.

ჯ. ჩარკვიანს ლირიკულ განწყობილებას უმძიმებს, მაგრამ ამასთან კანონიერი სიამაყის გრძობითაც ავსებს ის ფაქტი, რომ „სლავიანსკის რაიონის სოფელ ჩერნოგოროვსკაიაში 330 ქართველი წვეს საქმი საფლავში“⁸ რომ, „სლავიანსკის თებერვალი, კალაბატკის ხუტორი, მოდიოდნენ შეტევაზე უკეთურნი, უთინონი“; რომ:

ცხრაჯერ დაგპრეს ცხრაჯერ მხარში,
 ბრძოლებით ვერ დაგქანცეს,
 გენაცვალე მარჯვენაში
 უღურკავო ბაქრაძე.
 ვაი ბევრჯერ დაიხლართა
 ბედი შენებერ ქართველთა,
 ბიჭობაში დაგიღამდა,
 მაგრამ ისევ გათენდა.

სამშობლოსათვის მეტბრძოლ ყველა თანამემამულეს პოეტი აღფრთოვანებით ეხმარება და მშობლიური ხალხის სახელით გადასახებებს, რომ მათი ღვაწლის ფასი იცის შთამომავლობაში, რომ თაობები საქართველოში ყოველთვის იამაყებენ მოძმე ხალხთა შეილებთან ერთად: საბრძოლო მწყობარში თავდადებით მდგარი ქართველების სახელებით, მათს სახელს ყოველთვის ჭკორენად დაფასებენ მოძმე ხალხებიც, რომელთა შევიდობის გვერდით ეგებებოდნენ სიკვდილს, რათა მომავალ თაობებს ეცოცხლათ. პოეტი ასე მიმართავს გმირებს:

დიდი მამულის ვალში არა ხართ,
 ხმალი იქნით მამაპაპური,
 ძმათა მხარდამხარ, ძმათა მხარდამხარ,
 თქვენა თქვით თქვენი სიტყვა ზღაპრული.

ლექსში „ქვები“ ჩანს, რომ, ჯ. ჩარკვიანს მეტად მტკივნეულად უგრძნობია „ყირიმში აჯიმუშაის ქვათა სამტეხლოებში 1942 წელს მომხდარი ტრაგედიის ნიშნები, სადაც გერმანელებმა თავისი ხეცური მოქმედების მაქსიმუმი აწვევენ. პოეტი აქაც თავის სისხლსა და ზორცს ეძებს და პოულობს მონოლითურობას, ძმობას, საბრძოლო თანამეგობრობისა და სიმტკიცის იშვიათ ნიმუშებს, ჩვენ მრავალეროვანი შეილებების მიერ გამოვლინებულ უმძიმეს წუთებში. ლექსში ამის თაობაზე გკითხულობთ:

8. ჯ. ჩარკვიანი, „ჩაქვის თორანი“, თბილისი, 1972 წ. გვ. 106.

გიორგი ავალიანი
 დიდი შიშხუმილი სიმღერა

ქვათა სამტეხლოებში ქვად ექვეციო
 ბალავარს,
 ძმებო, სისხლის მორფვში ვეძებ მეც
 ჩემს ფალავანს.
 თქვენს ქვებში მსურს გამოვჭრა და
 ვერ გამომიჭრია,
 აქეთ ხომხის ბიჭია, იქით რუსის ბიჭია.⁹

ჟ. ჩარკვიანი ასაკით იმ თაობას ეკუთვნის, რომელსაც არ ერგო წილად ფრონტზე წასვლა და ბრძოლა. მით უფრო სასიამოვნოა და საიმპაყოც, რომ იგი ასე ღრმად, ასე სისხლხორცეულად განიცდის ფრონტზე თავდადებულთა საქმეების სიდიადეს, ასე თანაუგრძნობს მის. აქვე არ შეგვიძლია არ გავიხსენოთ 1975 წლის მაისში ყირიმიდან საქართველოში უცნობი ქართველი ჭაბისკაცის ნეშტის გად-

⁹ გაზეთი „კომუნისტი“, 1974 წ. 26 თებერვალი.

მოსვენებისას მისი პირადი აქტიურობა და ის, თუ რა ღრმა გრძობით განიცდიდა ამ დიდ ფაქტს პოეტის, ათეული კილომეტრზე დაშორებული წვიმის ქვეშ რომ ფეხით მისდია სანუკვარ ნიშს, რისი-მომსწრე და თვალდუნაწვი ბირადად გახლდით და ყოველგვე ეს ჟ. ჩარკვიანის სისახელოდ უნდა ითქვას, რომ მის დიდ პატრიოტულ აღზრდილობასა და განსაკუთრებულ პოეტურ აღლოზე მიგვანიშნებს.

ჩვენს წერილში აღებული თემა განგებ გავაშუქეთ სხვადასხვა ასაკისა და ცხოვრებისეული წარსულის მქონე პოეტების ნაწარმოებთა შუქზე და მიგვიჩნია, რომ ძირითადად ასეთ ხასიათს ატარებს ფიცვერცხლნაკამ მოქმე ხალხების დიდი საბრძოლო თანამეგობრობის კემპარიტად საამაყო ფაქტორის პოეტური გაღამლერება ომისშემდგომი პერიოდის ქართულ პოეზიაში, რომელიც, გვწამს, რომ მარად დაუსრულებელი დიდი სიმღერაა.



ჩონი

ქუცუნევი

იხილეთ უფრო

ბიოგრაფიული მონაცემები

(1777-1977)

ლენინგრადში, ალექსანდრე ნეველის ლავრაში, არის ერთი საფლავი, რომელსაც ამშვენებს ასეთი ეპიტაფია:

«Во мраке гроба ты сокрылся, супруг
Дрожайший, наконец,
Но ты на время удалился от любящих
Тебя сердец
Я прах твой буду чтить слезами и образ
твой
В душе носить,
Доколе вместе я с тобою не буду
В лучшем мире чтить».

ეპიტაფიის ქვეშ წარწერაა, — «Вдова Мария Егоровна» და ეძღვნება იგი გიორგი მკეპრის ძე ჩუგუნევის, მე-19 საუკუნის 20-იანი წლების პეტერბურგში მცხოვრებ ქართველ მოღვაწეს, რომელიც დაბადებულია 200 წლის წინათ — 1777 წლის 23 თებერვალს და გარდაცვლილა 1827 წლის 16 მაისს, 50 წლის ასაკში.

ვინ არის იგი, ვისი ხსენაც დავიწყების ფარულს გავსურს გამოეტაცოთ?

გ. ჩუგუნევის სახელი კარგადაა ცნობილი ქართულ ლიტერატურაში. დაწყებული თეიმურაზ ბაგრატიონის წიგნსაცავის აღწერილობიდან, თითქმის ყველა ბიბლიოგრაფიული ხასიათის გამოცემაში აღნიშნულია, რომ მას 1823 წელს გამოუცია პეტერბურგში ენციკლოპედია ქართულად. ეს ცნობა შემდეგ ოდნავი ცვლილებებით მეორდება ქართული ლიტერატურის ისტორიით, ფილოსოფიური აზრის კვლევით, ლექსიკოგრაფიით დაინტერესებულ მკვლევართა სხვადასხვა შრომებში, მაგრამ ვინ იყო ჩუგუნევი და რას წარმოადგენა მას მიერ გამოცემული ენციკლოპედია დღემდე სპეციალური კვლევის საგანი არ გამხდარა. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ისიც, რომ ჩუ-

გუნევი აღრე გარდაიცვალა, ვერ მოასწრო თუ ვისი შემოქმედებითუ გეგმების განხორციელება (როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ), და, ამდენად, პეტერბურგულ ქართველთა შორის ფელსაინო მღვდლობრძოლის დავაგება, და ისიც, რომ ენციკლოპედია, როგორც ლიტერატურის სახეობა, ბოლო დრომდე ჩვენში სათანადო ყურადღებით არ სარგებლობდა და საგონებოლად არ შეისწავლებოდა.

იქნებ ამიტომაცაა, რომ ჩუგუნევის გვარიც კი დღემდე საბოლოოდ დადგენილი არ არის და ლიტერატურაში სხვადასხვაგვარად იხსენიება — ხან ჩუგუნეოვად (მ. ბროსე, რ. ორბელი, დ. კარიბაშვილი, ალ. ლლონტი, თ. კუკავა), ხან ჩუგუნევალი (თეიმურაზ ბაგრატიონი), ხან ჩუგუნისშვილად (იოანე ბატონიშვილი), ხან ჩუგუნაშვილად (ტრ. რუხაძე), ხან ჩუგუნაშვილი (მიხეილ გორგიძე) და ხან სულაც ჩუბინოვი ეწოდებოდა. მაგალითად, ქართული წიგნების პირველ ნაბეჭდ კატალოგში — «Хринологический указатель», რომელიც რუსულ-ქართულ ენაზე გამოსცა შანშიევმა 1883 წელს, გ. ჩუგუნევის ნაცვლად 136-ე ნომრად შეტანილია უფ. ჩუბინოვი, ხოლო გამოცემის თარიღად 1823 წლის ნაცვლად, 1821, რაც იმის მოწმობას, რომ შანშიევს ენციკლოპედია თავისი თვლით არ შეუმოწმებია.

ერთადერთი წყარო, რომელიც გ. ჩუგუნევის, როგორც ლიტერატურული მოღვაწის და შემოქმედის დახასიათებას იძლევა, ესაა იოანე ბატონიშვილი, რომელიც თავისი, ასევე ენციკლოპედიაში ხასიათის შრომის — «კალმასობის» ერთ-ერთ ნაწილში — «მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის». იმ თანამედროვე ქართველ მწერალთა და მთარგმნელთა შორის, რომელნიც, მისი აზრით, არიან «უცხოვდ ზედმიწევნილი სამეცნიეროთა და რუსულსა და



ქართულისა ენისა ზედა მშვენიერ შემოხველ-
ნი¹, ისწინებს გიორგი ჩუგუნისძვისას: ეს
„ახლახან მთარგმნელი ქართველი“ არიან —
„მეფის ძე დავით, მირიან, ავალისშვილი, ალექ-
სანდრე ქაჭავაძე, გოდერძი ფირალოვი, იოანე
ბაზლიძე, ჩუგუნის შვილი გიორგი
(ხაზასმა ჩვენისა ი. ყ.) ნიკოლოზ ჩუბინაშ-
ვილი და იესე მღვდელი, ძმა ამისი, და მი-
ხაილ ფალავანდოვი“ და სხვ. (გვ. 13. 1948
წლის გამოცემა).

როგორც ვხედავთ, აქ იოანე ბატონიშვილი
გიორგი ჩუგუნისძვისას ახასიათებს, როგორც
ლიტერატორსა და მთარგმნელს, ხოლო მის ნა-
დაწეს არ ასენებს, მაგრამ დარწმუნებით შეი-
ძლება ითქვას, რომ იოანე ბატონიშვილს ამ
შემთხვევაში, უმთავრესად, 1823 წელს გამო-
ცემული ზემოაღნიშნული ენციკლოპედია აქვს
მხედველობაში, რომელიც დაიბეჭდა პეტერ-
ბურგში, იოსებ იოანესიანის სტამბაში საბელ-
წოდებით — „ენციკლოპედია ანუ შეკრებილ-
ბა ზნეობითა სწავლათა ჰაზრთანი, და განსჯა-
ნი სხუათა და სხუათა თავთათვის დათხზული
და აღსმული ანბანთა ზედა“, და რომლის სა-
ტიტულო გვერდიდან ვგებულობთ, რომ ენცი-
კლოპედია არის „ფარსიული წერილითგან
რუსულსა ზედა გადმოღებული კოლლექციის
ასესორის პრიკლონცის მიერ, ხოლო რუსუ-
ლისა ენისაგან ქართულსა ზედა ტიტულარის
სოვეტნიის გიორგი ჩუგუნოვის მიერ“.

თავისთავად ფაქტი იმ დროისათვის პეტერ-
ბურგში ქართული წიგნის გამოცემისა, ცხადია,
აღნიშნვის ღირსია, ვინაიდან ასეთი წიგნები
მაშინ თითხვ ზამოთველებოდა, მით უმეტეს,
თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ჩუგუნოვის
შრომა ქართული წიგნის ისტორიაში შევიდა,
როგორც პირველი ქართულ ენაზე სტამბურად
ნაბეჭდი „ენციკლოპედია“, რითაც მან საპა-
ტიო ადგილი დაიმკვიდრა; მაგრამ „კალმასო-
ბის“ ავტორი არ იყო ის კაცი, რომ მხოლოდ
ფაქტის — წიგნის გამოცემის გამო ელიაბეძის
ჩუგუნისძვისი „მშვენიერ შემოხველად“. ის,
როდესაც ამას წერდა, უფოლო მხედველობაში
ეწინაშედა, პირველ რიგში, სწორედ წიგნის
ლიტერატურული ღირებულება, თარგმანის შე-
სრულების ხარისხი, წიგნის მნიშვნელობა და
საჭიროება ქართული საზოგადოებისათვის. ეს
რომ ასე, ამას აღატურებს თვით წიგნი, რო-
მელიც ჩვენს წინაშე დგას. იგი მცირე ფორმა-
ტისაა, მიმზიდველად გაფორმებული, შეიცავს
159 გვერდს, მის კონტრტიტულზე გამოსახუ-

ლია მინერვა — სიბრძნის ღმერთი, შუბითა
და ჯაჭვ-მუზარადით. გაფორმების ეს უფრო
ტი შემთხვევითი არ არის, სიმბოლურია, ვინა-
იდან წიგნი შედგება სამი ნაწილისაგან და სა-
მევე ნაწილი — საკუთრივ ენციკლოპედია (1-
102) ფიზიკა (102-147) და ზნეობითი სწავლა
(147-159) — მკითხველს ანათლებს, მოძღვრავს
როგორ მოიქცეს და, ამდენად, სიბრძნეს ასწა-
ვლის.

მაგრამ, ვიდრე თვით ენციკლოპედიის შინა-
არსობრივ განხილვაზე გადავიდოდეთ, გვინდა
მკითხველს ყურადღება შევაჩეროთ მის წი-
ნასიტყვაობაზე — „წინა სიტყუაობა მკითხველ-
თადმი“, რომელიც განსაკუთრებული მნიშვნე-
ლობისაა იმ ვაგებით, რომ იგი წიგნის ორიგინალური
ნაწილია (ისევე, როგორც ფიზიკის
ნაწილის წინასიტყვაობა) ეკუთვნის გ. ჩუგუნ-
ოვს — წიგნის მთარგმნელსა და გამომცემელს,
და გვამყნობს, როგორც წიგნის გამომცემის
პირობებს, რომელშიც ჩუგუნოვს უხდებოდა
ამ მძიმე შტომის შესრულება, ასევე ნათელს
ფენს თვით გამომცემლის მსოფლმხედველობა-
საც; ამასთან, როგორც ახლა ირკვევა, იგი ზო-
გიერთი სადავო საკითხის დადგანაში ისტორი-
ული დოკუმენტის, პირველწყაროს უხდებოდა
როგორც ინარჩუნებს, რაც მეტად საგულისხ-
მოა, და რის გამოც თავს უფლებას ვაძლევთ
იგი ხშირად მოვიშველიოთ ამონაწერების სა-
ხით.

ამ წინასიტყვაობიდან, რომელიც ერთგვან
წიგნის ძირითად ნაწილს — საკუთრივ ენცი-
კლოპედიას (გვ. 1-102) და მოიცავს ზნეობით
სწავლას, ანუ ყველაფერს, რაც კი ადამიანის
ზნეობრივ ცხოვრებას ეხება, ჩანს, პირველ
ყოველს, მისამართი, ვისთვის ყოფილა შრომა
განკეთებულია.


„საყვარელნო მკითხველნო, ძენო მშობლისა
ქტშყნისა ჩემისა იმერ ამერთანო! კეთილმან
შურმან და უმწუჭრვალესმან სიყვარულმან
თქუენმან, განამხნო და შრომისა ირარად შე-
მბრაცხელმან, ვსთარგმენ წიგნი ესე ზნეობითა
ენციკლოპედია“.

ამასთან წინასიტყვაობაში მკითხველს აც-
ნობს წიგნის თარგმნის მიზეზსაც.

„ვინაშთგან უწყვი მე, რომელ ძენი საქართ-
ველომანნი, ძველიდაგნენ არიან სარწმუნოებო-
ბისა, კლემარფისა, მამულისა, და სიბრძნისმოყუა-
რენი, ამის-გამო ვსასოებ, რომელ შვილნი იკუ-
რაისანი, წიგნისა- ამის გამო იხილვენ ფრიადსა
სარგებლობასა“

წიგნი მით უფრო სასარგებლოდ მიიჩნია გა-
მომცემელს, რამდენადაც მასში შეუტანია თო-
თხმეტი ცნობილი ფილოსოფოსის ნააზრები
ზნეობის საკითხებზე. „წიგნი ესე ენციკლოპე-
დია, — ამბობს იგი, — შეიცავს თვის შო-
რის ათ-თოთხმეტეა უჩინებულესთა ფილო-
სოფოსთა და მეცნიერთა კაცთაგან მსჯელობა-

¹ „კალმასობაში“ წერია ნიკოლოზ ჩუგუნისძვისი, მაგრამ როგორც პროფ. ა. დლონტი სამართლიანად აღნიშნავს ნიკო ჩუბინაშვილის „ქართული ლექსიკონის“ თავის გამოცემაში, აქ შექანიკური შეცდომაა და უნდა იკითხებოდეს ჩუბინაშვილი (გვ. 63).



სა, თესებათათვის, როდენიცაა იხილებიან ყოველთა კაცთა შორის, ზნეობითა სწავლათა!"

მართლაც, ენციკლოპედიაში ვხვდებით ისეთ საყოველთაო ავტორიტეტთა გამონათქვამებს ზნეობრივ საკითხებზე, როგორც არიან — ებიქტეტე, პლატონი, არისტოტელე, სენეკა, მარკუს აგრელიუსი, აგრეთვე მოგვიანო საუუნეების მოღვაწენი გოლბერგი, ოქსენშტერნი, დლაზბრუერი, ბოსუეტი, მასილონი, ვალხი და სხვ.

შემდეგ მკითხველი ამავე წინასიტყვაობიდან ეცნობა პირობებს, რომელშიც უხდებოდა მუშაობა გ. ჩუგუნოვს. რაკი დარწმუნდა, რომ მისი თანამემამულენი ამ ენციკლოპედიით სარგებლობას ნახავდნენ:

"არა მიხედავ, არცა შრომასა და არცა წარსაგებელსა, — ამბობს იგი, — თუმცა ვარ მწირობასა და ხელმოკლეობასა შინა შეუწყენელ, არამედ ვერა რომელმანმე მიზეზმან დამბარკოლა, მშობელისა უტყყენისა ჩემისა სიყვარულსა, და ვახმარე უკანასკნელი საცხოვრებელი ჩემი დასაბეჭდელად წიგნისა ამის, და წარმოუდგინე საზოგადორობასა თქმქმნსა".

ირკვევა, რომ აღამიანმა, რომელიც მალად საზოგადოებას არ ეკუთვნოდა (როგორც ახლახანა დავადგინეთ, წარმოშობით იმერელი აზნაურია), ხელმოკლე იყო და "შეუწყენელ", თითქმის გმირობა ჩაიღიანა "უკანასკნელი საცხოვრებელი" მოკლო და თავისი ნაღვაწი ქართული მკითხველის სამსჯავროზე გამოიტანა, იმ იმედით, რომ "უკეთუ მცირედი ესე ჩემი სათნო თქმქმნადმი იქმნება, მაშინ ბედნიერად შევრაცხ თავსა ჩემსაჲ". თამაზად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი კეთილშობილური მისწრაფება — თავისი სამშობლოს, თავისი ხალხის სიყვარულით განსჭვალული ზნემაღლი აღამიანის მოთხოვნილებაა მხოლოდ. ამდენად, გასაგებია ისიც, თუ რატომ შეჩერდა გ. ჩუგუნოვი ზნეობითი ენციკლოპედიის, ისეთი წიგნის გამოცემის არჩევანზე, რომელიც ყველაზე უფრო სასარგებლოდ მიიჩნია თავისი მიზნისათვის. ეს განაპირობა, ალბათ, იმანაც, რომ ჩუგუნოვი, როგორც პეტერბურგში მოღვაწე განათლებული ქართველი, საკარგი საქმეთა კოლეჯის ანუ "ინოსტრანნი კოლეჯის" თარგმანი, ტიტულარნი-სოვეტნიკი, რა თქმა უნდა, საქმის კურთშეა, თუ რა ხდებდა მის ირგვლივ პეტერბურგის ქართველთა კოლონიაში, ბატონიშვილების მეთაურობით როგორ დღეს შემოქმედებოდა — მთარგმნელობითი და სამეცნიერო მოღვაწეობა. მას ეცოდინებოდა ისიც, რომ ფრანგი ენციკლოპედისტების გავლენით ქოგორი ვაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობდა პეტერბურგის მოწინავე ქართველობაში, რათა თანამემამულენი ევროპული განათლებისათვის ეზიარებინათ. ამ პერიოდში იქმნება სწორედ ითანე ბატონიშვილის "სხუთა

და სხუთა ჰსწავლათა შეკრებილებანი" საბუნებისმეტყველო ენციკლოპედია, მისი დასრულებისკენ, "კალმასობა", აღამე შეკრებილების "ზნეობითი ფილოსოფიის მოძღვრების" თარგმანი და სხვ. დავით ბატონიშვილი თარგმანის მონტესკიეს — "კანონთა სულს" (1813-15), თეიმურაზ ბატონიშვილი ბეჭდავს არისტოტელეს "განმარტნი" (1818), ფილოსოფიური ხასიათის ნაშრომს ზნეობრივ საკითხებზე, ითანე ბაზლიძე აღდგენს "ყრმათა ენციკლოპედიას" და სხვ. როგორც ჩანს, ჩუგუნოვიც ამ იდეებით შთაგონებული, ითვალისწინებს რა იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიურ ვითარებას, სპირაოდ მიიჩნევს, თავის თანამოძმეთა მსგავსად, ქართველ მკითხველს გააცნოს, თუ როგორი უნდა იყოს მორალურ-ზნეობრივად აღამიანი, რა ფასობს მასში ყველაზე მეტად, რა აზრისანი არიან ამის შესახებ სხვადასხვა დროის და სხვადასხვა ქვეყნის ბრძენნი და სწავლულნი, რა არის კეთილი და რა მავნე აღამიანისათვის, საზოგადოებისათვის და რაში ვლინდება იგი.

ყველაზე დიდი ბოროტება აღამიანის ზნეობისათვის ფილოსოფოსთა აზრით არის სიმდიდრე, ამიტომ პირველ რიგში მას ესმიან თავის — "სიმდიდრე არს ორდანი ყოველთა ვნებათა" აფრთხილებს ენციკლოპედია ქართველ საზოგადოებას იმ დროს, როცა ფულის ფეტრიზმი ფხვს იკიდებს ცხოვრებაში და განუშარტავს მკითხველს იმ ვნებას, რაც ფულის გაღმერთებას მოსდევს. "ენადათვან თეთრი უკუშ პატივ იცემების ესოდენ, რომელთაღმე კაცთაგან, რომელ თვინიერ ლითონის ამის არა რომელსაჲმე თვისებასა პატივისცემა არა აქუს; მას საკურველად მიჩანს ესე, რომელ ნაწულად ლითონურისა და ფრანციკული ენისა არა ასწავლებდეს ყრმათა ეკონომიასა კანონთა", ე. ი. რაკი ფულს (თეთრს) და ოქროს (ლითონს) გარდა დღეს აღარავითარ თვისებას აღარ სცემენ პატივს, საყვირველია უცხო ენების (ლათინური, ფრანგული) მაგიერ ეკონომიის კანონებს რატომ არ ასწავლიან ბავშვებს; და იქვე დასძენს — "ამისათვის, რომელ მდიდარსა უგუნურსა, აქუს უაღრესობა, ვიდრეა ვალახისა მეცნიერსა" (ტერმინი — "ფული", გვ. 24). იმიტომაო, რომ — ასევის იგი — უგუნურ მდიდარს მიწინე მეცნიერი დარბიი სჯობსო.

გარდა იმისა, რომ ენციკლოპედია ცოდნისკენ მოუწოდებს მკითხველს, ჰგომბს ქონების მოხვეჭისაკენ სწრაფვას, ამავე დროს ილაშქრებს სიზარმაცისა და მცონარეობის წინააღმდეგ. "მცონარეობა არს სიძულვილი მოქმედებისა, და ლტოლვა შრომათაგან", ხოლო, თავის მხრივ, უმოქმედობა და უშრომელობა ფილო-

ირაკლი ყიფიანი
გიორგი ჩუბუნოვი



სოფლის მიზნით სიკლახაისა და სილაჩიბის მიზნად.

„გლახაი კაცი არა მისთვის არს გლახაი, რომელ მას არა რად აქუს, არამედ მისათვის, რომელ იგი არა შრომელის“. ე. ი. ღარიბი იმიტომად ღარიბი, რომ არ შრომობს, თორემ იმიტომ კი არა, რომ არაფერი გააჩნიაო. ბრძენთა აზრით, ვისაც არაფერი აბადია და შრომობს, უფრო მოსვენებულად ცხოვრობს, ვიდრე ვინც „წელიწადში ას-ას ოქროს იღებს უშრომველად“. (ტერმინი „გლახაი კაცი“ გვ. 18).

მაშასადამე, ირკვევა, რომ ფილოსოფოსი ნაერთოდ სიმდიდრის წინააღმდეგნი კი არ არიან, არამედ მხოლოდ იმითი, ვინც მომხვეჭელობით ცხოვრობს და იმას აღარ დაეძებს, რა გზით იქნეს ამ „წელიწადთა ორღანოს“.

ჩუგუნოვის პინაქი, ანუ ტერმინები, რომლებიც მის შუერჩევი ენციკლოპედიაში განსამარტავად, ადამიანის სხვა თვისებებსაც ეხება. კერძოდ, ვინ მიზნით ფილოსოფოსებს „დიდ ანუ ჩინებულ კაცად“? თურმე უბირველესი მიზანი ქემშარიტი დიდ-კაცობისა, დიდი ადამიანობისა, ყოფილად ის, როცა სხვას ანიჭებ ბედნიერებას, ანუ „ოღეს სხუანი ბედნიერებასა შინა მათსა, ჰპოებენ თვისსა ნეტარებასა“. ე. ი. დიდკაცობა, ფილოსოფოსთა აზრით, თავისთავად არც კი არსებობს, კაცი იმდენად არის დიდი, რამდენადაც სხვისთვისაა გამოსადეგი, ანუ მის სიდიდეში სხვები პოევენ ბედნიერებას; მაგრამ ასეთ, პირუთენელად დიდკაცად ყოფნა არც ისე ადვილია, „ვირჯთვან არარაჲმე არს უძნელეს, ვითარცა დიდკაც-ყოფა ქემშარიტებით“. ხოლო როგორ გავაჩნოთ ქემშარიტი დიდი კაცი, არაქემშარიტისაგან, იმათგან, ვისაც ეხერხება გარეშეთათვის დიდი კაცი კაცად თავის მოჩვენება? მხოლოდ და მხოლოდ იმით თურმე, რომ ქემშარიტი დიდი კაცის მართებს „მარადის ერთგვარად და კეთილ კაცად ყრფას“. (გვ. 13-19). ეს უმეტად მნიშვნელოვანი დასკვნაა, ვინაიდან ცოტაა ადამიანი, რომელიც ერთნაირად კეთილ დამოკიდებულებას იჩენდეს მდიდართანაც, ღარიბთანაც, ძლიერთანაც, სუსტთანაც; მუდმივი სიკეთე უნდა იყოს მისი მონაგვანი მოთხოვნილება და მაშინა იგი ქემშარიტად დიდი.

მაგრამ რაა სიკეთე, როგორ ესმით ფილოსოფოსებს „კეთილი მოქმედება“? „უკეთუ ჩვენ სხვათა უქმთ ესევეთარსა კეთილსა, რომლისა გამო იგი სარგებლობასა მიღებდ შეძლებულ იქნება, მაშინ ამას ეწოდება კეთილ მოქმედება. ვითარცა იტყვის ვალს“ — განმარტავს ენციკლოპედია.

ნუთუ შეიძლება ადამიანისათვის სიკეთის ქმნა დააბირო და მან არ მიიღოს? სიკეთე კი იყოს და, განა სულ ერთი არ არის რა ფორმით შევთავაზებთ ამას? არა. თურმე სულ ერთი არ ყოფილა. „მეტირ საჩუქარი, უთხოვე-


ლად ჩუქებულო, უმეტესად ვაღლებულ საქონელს, ვინცა მიმღეობს დიდი საქონელი“. ე. ი. ადამიანი, გაცილებით მაღლოვლი და დახლებული რჩება მაშინ, თუ მას შენით, უთხოველად უბოძებ სულ მცირე რაიმესაც კი, ხოლო თუ ეს მოხდება მოულოდნელადაც და არა წინასწარი აღთქმისა და დაბირების შედეგად, ეს კი უფრო სასიამოვნოცაა, ვინაიდან „ჩუქებუა აღთქმელისა კეთილ მოქმედებისა არა ესოდენ სასიამოვნო არს ჩუენდა, რაოდენცა მეყუესეულისა და მოულოდნელისა კეთილობისა მიღება“.

ამასთან დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რა სახე გაქვს სიკეთის ქმნის დროს; თუ გეტყობა მოწყუენილობა და იძულებითობა, „მაშინ იგი არა მითვალულ იყოფების კეთილ მოქმედებად“. რატომ? იფიქრებს ზოგიერთი, განა სულერთი არ არის რა სახე მექნება სიკეთის ჩადენისას, განა მთავარი თვით კეთილმოქმედება არ არის? თურმე არა. „არა მიზარტლებით მიხიბებუი ნივთი, უშესაძრუნებელ არს, ზრდილობიანს უარის-ყოფისაგან. ვითარცა იტყვის დოღბერი“. ე. ი. უარი სჯობილ ასეთ სიკეთეს. აი ასეთი მაცხობა ზნეობითი კანონები. ხოლო თუ იმ მიზნით აპირებ ამ კეთილ მოქმედებას, რომ საზაგეროს მოელი, ეს უფრო საშინელება და სრულიად ათავსუფლებს მორალურად კეთილის ქმედების ობიექტს, ვინაიდან „ვიცნა კაცსა ვალდებულ ჰყოფს მისთვის, რომელ ნაცულად მისსა, მიიღოს რაჲმე, იგი არა რაჲმამე მას, არა ვალდებულ ჰყოფს“. (გვ. 16-17).

ენციკლოპედია ყურადღებას ამახვილებს ერთ მნიჭიერებაზეც, რომელიც ძალზე გავრცელებულია ადამიანებში. კერძოდ, ადამიანის შეფასება იმისდა მიხედვით, თუ რა დამოკიდებულებაში იგი ჩვენთან. ეს სუბიექტივიზმი შესანიშნავადაა განმარტებული ტერმინში „ღირსება“.

„ჩუენა ესჯით ღირსებათა სხუათათვის, მით მიერ ჩუენდამი პატივისცემისა და ქებისაჲმერ, უწოდო მათ გონიერად, ოღეს იგინი მეცადინეობენ ქებად კეთილთა თვისებათა ჩუენთა, ანუ ოღეს მწე-მქებაარბობ მეცადინეობენ განმარტებულ ვნებათა ჩუენთა, და ესრეთ წარმოვიდგენენ ჩუენ იგინი, რომელ მათ, ჩუენთვის შორის კინლა ვერცლან თუ ენიშნავთ“ (გვ. 31). ანუ, სხვანიარად რომ ვთქვათ, თუ კაცი გვაქვს, ჩვენს კეთილ თვისებებს ხოტბას ასხამს ან ამართლებს ჩვენს ნაკლოვანებებს და იმე წარმოგვაჩენს, რომ ზოგჯერ თვითონვე გვიყირს ამ დაზასიათებამი ჩვენს თავის ცნობა, მასზე ვამბობთ, რომ ვინიერია, ბრძენია, ხოლო თუ ვიცით, რომ იგი ჩვენზე კარგს არაფერს იტყვის — სულელად ვნათლავთ.

ზნეობითა სწავლა ილაშქრებს აგრეთვე მოდით გატაცებულ ადამიანების წინააღმდეგ.



„კაცსა რომელსაცა აქუს ჰემშარიტი და სწორე ღირსება, უმეტესად უყვარს ლატონი და არა მდიდარი შესამოსელი“ — აცხადებს იგი. ხოლო თუ ადამიანი იცნობდა-დახურვასა და ზიზილ-პაბილსა ვადაყოლილი, ვილოსოფოსისთა აზრით, ეს „წინავე ნაყოფანებას გულისხმის ყოფისასა“, ანუ ასეთი ადამიანი ქარაფშუტა და ნამდვილი ღირსებანი არ გააჩნიათ.

ამასთან, მეცნიერ კაცებს რაღაც კანონზომიერებად აღმოუჩენიათ ასეთ ადამიანთა ქცევანი. „და მე შევნიშნე უკუე, რომელ ტანად მცირენი და რომელიც ბუნებისაგან ღუჭიერ არიან უმეტეს სხუთა ზედა აქუსთ მიღრეკილება მორთვისადმი, ვითარცა იტყვის ოქსენსტორნი“ (გვ. 19). ე. ი. ჩაცმას უფრო ბუნებისაგან დაჩაგრულნი, მახინჯნი უტანებიათ.

ზნობითი სწავლა კიდევ მრავალ ადამიანურ მანკიერებას გვობს. შურიათი კაცი თურმე იმით იცნობა, რომ „წინაშე ყოვლისა მხიარულებათაჲსა შემოხვეულებისა მწუხარე იმყოფება“ (გვ. 37) ე. ი. სახე წამოსტირის, თუ სხვას გახარებულს ხედავს.

ენციკლოპედია არც მეტისმეტ ცნობისმოყვარე ადამიანებს ივიწყებს, ცუდ ზნელ მიაჩნია იგი — „ყურის მიგდება მისი, რაჲსაცა ჩუენ არა, გვეუბნებთან, მითვისულ-არს ნაკულუევიებად ზრდილობისა“ — გვიხსნის იგი. (გვ. 45).

ზემოაღნიშნულის გარდა ენციკლოპედიაში განმარტებულია სხვა მრავალი ტერმინიც — ამპარტავნებისათვის, მრისხანებისათვის, პირმოთვობისათვის, დაუღარომლობისათვის, უმადოებისათვის, სინდისისათვის, პატავისცემისათვის, ქებისათვის, გულითაობისათვის, პატიოსანის კაცისათვის, ვნებისათვის, შურისგებისათვის და სხვ., რომლებიც ერთად აღებულნი, ადამიანის მთელ ზნობრივ საქმარს წარმოადგენენ.

არა ნაკლებ საინტერესოა წიგნის მეორე ნაწილი (გვ. 102-147), „შემოკლებული უწყება ფიზიკისათვის“, რომელიც დაწერილია ვინმე „დამთხველის“ მიერ „სახმარებლად მისის იმპერატორების დიდებულებსა კეთილმორწმუნის ხელმწიფისა და დიდის თავადის, ბავლე პეტრეს ძისათვის პეტრებურღსა შინაწელსა ჩღა (1760)“, და გვაწვდის იმ დროისათვის საკმაოდ მაღალ მეცნიერულ დონეზე ცნობებს სამყაროს შესახებ (ფიზიკა, ასტრონომია, ბიოლოგია). გარდა შესავლისა, სადაც ზოგადად ფიზიკის დარგზეა ლაპარაკი, განმარტებულია მთლიურად საკითხები — ნათლისათვის, ცისათვის, ქიქყანისა სფერისათვის, ბუნებითი ისტორიისათვის, ბუნების შემოქმედებისათვის. იმ მიზნით, რომ სამყაროს შესახებ ცოდნა უფრო მარტივად გააცნოს მკითხველს, არჩეულია დიდი რაოდენობის ფორმა, მაგალითად:

„რაოდენ დიდ არს მთოვარე?“

იგი რომელიც გზის უმცირეს არს... მარადის ერთ გზად ანათებს... ანუ არა?

არა. ოღესმე სრულებით არ ანათებს, ოღესმე შინას მხოლოდ ნახევარი მისი, და ოღესმე სრულიად ნათელი არს, და მაშინ ეწოდება სახეს მთოვარობა.

მთოვარესა აქუსა ესრეთვე საყუთარი ნათელი თვისი ვითარც მზესა ანუ არა?

არა. იგი ანათებს მხოლოდ ამისათვის, რომელ მზე ანათებს მას.

რაჲსა ეწოდება დაბნელება მთოვარისა?

ოდეს ქიქყანა სდგას საშუალ მზისა და მთოვარისა, მაშინ მზე ვერ შემძლებელ იქნება განათებას მთოვარისა, და ესე ვითარითა ხატითა მთოვარე დაბნელებს.

რაჲ არს დაბნელება მზისა?

მთოვარე წინაშე მოქცევისა თვისისა იმგვარად ქიქყანისა, განვლის ოღესმე სწორედ საშუალ მზისა და ქიქყანისა, და მიით გუაბრკოლებს ჩქმწ, რომელ ბილტა მზისა არა ძალ გეიძს“ (გვ. 126-127).

ამ ნაწილის წინასიტყვაობაში, სადაც გ. ჩუგუნოვი განმარტავს მიზნებს, თუ რატომ უმატებს ენციკლოპედის ფიზიკის ნაწილს, აღნიშნავს:

„მე მენტობითად არა ვრატებ, რომელ შევსძინე უკანასკნელი თავი ესე. თუმც საეკლესიოსა სჯულსა გამო ვსცნობთ ღმერთსა, არა მქონებელ საპირიოებისა მიქცევად ხედვისადმი ბუნებისა, არამედ მე საყუთართა მგავლითითა ჩემითა ვირწმუნე, რაოდენ უებროდ სასარგებლო არს, ყოველსა ცხოვრებასა შინა ჩუენსა, სწავლანი იგი, რომელთაცა სიყრმის წელთა შინა ჩქმწნათ, შევიძინთ ჩუენ, ბუნების მხედველობისა გამო, სიბრძნისათვის ყოველთა შემძლებლობისა და მოწყალეობათვის დღუთისათა“.

როგორც ვხედავთ ა. ჩუგუნოვი უაღრესად საინტერესოა აზრს ანვითარებს ბავშვებისათვის გარემო ბუნების გაცნობის აუცილებლობაზე. მართალია, ღმერთი გვწამს, ვლიარებთ საეკლესიო სჯულის გამო, და ამდენად, თითქოს არც არის საჭიროება ბუნებას მივაძყროთ ჩვენი მზერა, მაგრამ, რამდენადც მე თვითონვე დავარწმუნდი, ჩემი მგავლითით, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვობაში შეჩენილ ცოდნას ბუნების სამყაროზე, როგორ აყალიბებს იგი ადამიანის მსოფლგაგების, — ამბობს ჩუგუნოვი, — მე სრულიადც არ მიმჩინია ზედმეტად ყრბითათვის ამის შესწავლა.

ეჭვი არ არის, რომ ამ მსჯელობის ავტორი უაღრესად განათლებული, პროგრესულად მოაზროვნე ადამიანია.

ირაკლი შიშიანი
ბიოგრაფი ჩაბანოვი



წიგნის მეხამე ნაწილში (გვ. 147-159), გადმოცემულია შემოკლებული ზნეობითი სწავლა ოთხ ნაწილად:

1. ზნეობითი სწავლისათვის
2. თანამდებობათათვის ლტოისადმი.
3. თანამდებობათათვის თავისა თვისისა.
4. თანამდებობათათვის სხუთა ერთადმი.

იგი გათვალისწინებულია იმ მიზნისათვის, რომ ყრამ უკეთ შეითვისოს ცოდნა, ამიტომ ისევე მარტივად, კითხვა-პასუხის ფორმით მოძღვარი ასწავლის ბავშვს:

„ვითარ ჭერ-არს მოქცევა, რათა ბოროტი არა ვყო, არავისდამდე?“

ესრეთ, რომელ რაღა მე არ მნებაეს, რათა მიყოფდნენ მე, და თვითცა იგი არავისდამდე არა ჭერ არს ყოფად“. (გვ. 157).


ენციკლოპედიის წინასიტყვაობა საინტერესოა სხვა მხრივაც. როგორც ცნობილია, ეკატერინე II-მ 1767 წელს კომისიას წარუდგინა თავისი „ნაჯახი“ (განწყისი) ანუ მცნება „დასაითხსეველად წინადადებათა ახლის განწყესებთა“, ანუ ფილოსოფიურ-იურიდიული ტრაქტატი, რომელიც საფუძვლად უნდა დაედებოდა რუსეთის თვითმპყრობლობის მმართველობას როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლისა და სხვა პროცესების შესაშუშებლად. „ნაჯახი“ მნიშვნელოვანი დოკუმენტია, იგი შედგება 655 მუხლისაგან, რომელთაგან 400 ფრანგთა განმანათლებლების — მინტესკისა, ბუკარისა და სხვათა შრომებისაგანაა ნასესხები და იმის ცდას წარმოადგენს, რომ ამ იდეებს როგორმე შეუხამოს რუსეთში თვითმპყრობელობის არსებობის აუცილებლობა: „ნაჯახი“ მაშინვე ითარგმნა ფრანგულ, გერმანულ, ლათინურ ენებზე და უკვე 1770 წელს გამოვიდა ოთხ ენაზე.

„ნაჯახი“ რამდენჯერმე უთარგმნიათ ქართულადც კერძოდ, 1786 წელს გაიოზ რექტორს, ხოლო 1818 წელს ფალავანდოვილს (იხ. „Акты“ VI, 1751-2). მაგრამ ამჟერად ჩვენ გვაინტერესებს ერთი ქართული თარგმანის ხელნაწერი, რომელიც 1770 წლის რუსულ ტექსტს მიჰყვება და მთარგმნელის ვინაობა კი მითითებული არ არის და დღემდე სადავოა მ. ბროსის მინაწერი (Л.1а), რომელიც 1838 წლითაა დათარიღებული, გვამცნობს, რომ თარგმანი შესრულებულია 1838 წელს „ვინიმე“ („неким“) ჩუგუნოვის მიერ, რომლის სიკვდილამც ზელი შეუშალა ხელნაწერის გაბრუნებასო. («Известия императорской академии наук», том XXI, 1904. СПб., 1905). მაგრამ შემდგომი ჩანაწერი (ჩაკრული ფურცელი გარეკანსა და I ფურცელს შორის), რომელიც ეკუთვნის მარი ბროსეს შვილს, ლ. ბროსეს, ამ ცნობას ასწორებს და როგორც რ. რ. ორბელიის აღწერილობიდან ვგებულობთ («Грузинские рукописи института востоковедения», АН СССР, вып. I, М.-Л.,—1956)

ემყარება რა დავით ჩუბინაშვილის ნათქვამს, მთარგმნელად გიორგი ავალიშვილი მსახიობს. შემდგომი მკვლევარნი, ვინც ამ საკითხს მიეხიბია, უკვე ამ წყაროზე დაყრდნობით მიიჩნევენ, რომ „ნაჯახის“ თარგმანს „გ. ჩუგუნაშვილის უსაფუძვლოდ მიაწერენ“ (ტრ. რუხაია, ქართულ-რუსული ლიტერატურული ჟურნალ-თობის ისტორიიდან XVI-XVIII სს. 1960 გვ. 251).

ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ გ. ჩუგუნოვის წინასიტყვაობა ენციკლოპედიისადმი, რომელსაც ამ ფაქტის დასადავლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. კერძოდ, იქ, სადაც ლაპარაკია ამ წიგნის სარგებლობაზე ქართველთათვის, ვკითხულობთ: „და უკეთეთ მცირელი ღვაწლი ესე ჩემი სათნო თქუენდაში იქმნება, მაშინ ბელნიერად შევრაცხ თავსა ჩემსა, და თქუენ მიერ განმზნობილი, კუთაცა მოსწრაფებთა ვიგულისმოდგინებ, და წარვადგენ ჩემ-მიერ თარგმნილსცა ნაჯახსა ანუ მცნებასა, დათხსულსა ნეტარად ხსენებულის მისის იმპერატორების დიდებულების ეკატერინა მეორისა, სადაცა ეშუებადებება, რათა დაბეჭდოს იგი, ქართულსა ენასა ზედა, და სარგებლობდეთ მის-მიერ. ყოველთა სასამართლოთა და სჯულიერთა საქმეთა შინა“.

გვიჭრობთ, ეს ნაწყვეტი იმდენად ნათლად აღსატყრებს მარი ბროსეს პირველადი ცნობის სისწორეს, რომ ეუვი აღარ რჩება ჩუგუნისშვილის მთარგმნელობაზე, მხოლოდ მარი ბროსეს შეცდომა აქვს დაშვებული თარგმანის თარიღში. იგი მიიჩნევს, რომ თარგმანი შესრულებულია 1838 წელს, ჰგონია, რომ მთარგმნელიც იმავე წელსაა გარდაცვლილი და ალბათ ამიტომ დარჩა შრომა გამოუქვეყნებელიო. ჩვენ კი ვიცით, რომ გ. ჩუგუნოვი გარდაიცვალა 1827 წლის 16 მაისს და თარგმანიც აღერ აქვს შესრულებული. ზემომოყვანილი ციტატიდან ნათელია, რომ განწყისი ჩუგუნოვს უკვე 1823 წელს ჰქონია თარგმნილი, რაკი ამბობს შესაბამის ორგანოებში „წარვადგენ ჩემ-მიერ თარგმნილსცა ნაჯახსა ანუ მცნებასაო“, და მხოლოდ ამ ორგანოების ნებართვის ელოდა ალბათ დაბეჭდვაზე, მაგრამ, თუ რატომ დარჩა გამოუქვეყნებელი შრომა, ამის მიხედვით არ არის ძნელი, როცა მის მატერიალურ პირობებს და, შესაძლოა განმრთულობასაც გაითვალისწინებთ, თორემ ვამხანგებთა თანამემამულეთა, ქართველ მეითხველთა მხრივ, ჩუგუნოვს, რასაც ერთ-ერთ პირობად აყენებს განწყისის გამოსაცემად — „თქვენგნით განმზნობილი ვიგულის მოდგინებო“ ვფიქრობთ, არ მოაკლდებოდა. ამას მოწმობს ის გარემოებაც, რომ ქართველი მეითხველის წიგნის თაროზე ამ წიგნისა სპატიო ადგილი დაიკავა და სულ მალე ისეთ ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა, რომ უკვე სხვა ქვეყნისი ნაწარმოებების მსგა-



ესაღ, ნაბეჭდი წიგნიდან დაიწყეთ მისი გად-
წერა. მაგალითად კ. კეკელიძის სახ. ქართულ
ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება გ. ჩუგუნო-
ვის ენციკლოპედიის ერთი ხელნაწერი, იშვია-
თი კალიგრაფული ისტატობით შესრულებუ-
ლი ვინმე შელისასა და თევზიას მიერ, რო-
მელსაც თარიღად 1860 წელი უხსნენ.

ამრიგად, ჩუგუნოვისა და მის მიერ გამოცე-
მული ენციკლოპედიის შესახებ თუ აქამდე
გაკრით იყო ლაპარაკი, ზემოაღნიშნული შრო-
მის განხილვის შემდეგ ჩვენ თავისუფლად შე-
გვიძლია ვიმსჯელოთ ჩუგუნოვის, როგორც პი-
როვნების და როგორც შემოქმედის შესახებაც.
არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ჩვენს წინაშე
დგას ენციკლოპედიურად განათლებული, მრავ-
ალმხრივი ინტერესების მქონე მოღვაწე, რო-
მელმაც, როგორც ირკვევა, სრულიად სამართ-
ლიანად დაიმსახურა იოანე ბატონიშვილის მა-
ლალი შეფასება „მშვენიერი შემოხვევისა“,
მთელი ეს წიგნი ამის ნათელი ილუსტრაციაა.

ამ შრომიდან ჩანს ისიც, რომ ჩუგუნოვის
სახით პეტერბურგის ქართულ კოლონიას ჰყავ-
და კაცი, რომელიც უსაზღვროდ იყო შეყვარ-
ებული თავის სამშობლოზე, ქართულ ხალხ-
ზე, პატრიოტი-მოღვაწე, რომელიც დღენიადგ
იმის ცდაში იყო, თუ რა სიკეთე მოეტანა თა-
ნამემამულეთათვის, რაში გამოდგომოდა მათ.
ეს აზრი იყო, როგორც ჩანს, მისი ცხოვრების
ნიშნისგან და ამან განსაზღვრა კიდევ ის არ-
ჩევანი რომელზეც იგი თარგმნისას წეგრება —
ერთი ზნეობისა და მეცნიერების სასწავლებელ-
ი წიგნი თარგმნა, მეორე იურიდიულ-ფილო-
სოფიური — ორივე პრაქტიკულ ცხოვრებაში
გამოსაყენებელი.

ჩუგუნოვის, როგორც ლიტერატორის, შე-
მოქმედის, ენციკლოპედისტის მსოფლმხედველ-
ობა შესანიშნავად ჩანს არა მარტო წიგნის
წინასიტყვაობა — ანდერშში, არამედ თვით
შრომში. ისე, რომ ამ გამოცემის დიდი მნიშ-
ვნელობა მარტო იმაში კი არ არის, რომ იგი
პირველი ქართულ ენაზე ნაბეჭდი ენციკლო-
პედიაა, არამედ იმაშიც, რომ მასში ჩანს
ჩუგუნოვის დამოუღებულება ენციკლოპე-
დიისადმი, როგორც მეცნიერული ცოდნის
პროპაგანდისტისადმი. ირკვევა, რომ ჩუგუ-
ნოვის საკმაოდ თავისებური და იმ დროისათვის
მაღალი კულტურის შესაფერი შეხედულება
ჰქონია ენციკლოპედიასზე, მის შედგენილობა-
ზე, სტატიათა აგების სტრუქტურაზე, რა-
საც მოწმობს მის მიერ გამოყენებული მე-
თოდეთა — ტერმინთა ანბანზე დალაგე-
ბა, შავ სიტყვებად გამოყოფა, განმარტების

ლაკონიურობა და სიტყვად და, რაც მთავარია,
ტერმინთა შერჩევის კრიტერიუმი — უნდა შეი-
ძლებად მეტი სარგებლობა მოეტანა მკითხ-
ველს ე. ი. მისი საჭიროება ზნეობითი განათ-
ლებისათვის. ცალკე აღნიშვნის ღირსია ის მე-
თოდი, რომლითაც ჩუგუნოვი თარგმნის მასა-
ლას. მისი თარგმანი იმდენად თავისუფალია,
რომ ამ ენციკლოპედიას თამამად შეიძლება ეწ-
ოდოს ჩუგუნოვისეული, მით უფრო, რომ ენ-
ციკლოპედია ისეთი ხასიათის ლიტერატურაა,
რომელიც არ გამოიჩინებს მანამდე არსებულ
სხვათა მეცნიერული ცოდნისა და გამოცდი-
ლების განხარებას და გამოყენებას, უფრო მე-
ტიც, ენციკლოპედია, რომელიც ასე არ მოიქცე-
ვა თავისი დროის მეცნიერულ-კულტურულ
დონეზე არ იღვება. ჩუგუნოვს კი იმისათვის რომ
არ გამოდევნებოდა ორიგინალობას, უფრო სე-
რიოზული მიზეზი ჰქონდა: თვით მის მიერ და-
სახული ამოცანა — ზნეობრივი სწავლება —
მოითხოვდა ისეთ გამოჩენილ აღმამანთა — ფი-
ლოსოფოსთა და მეცნიერთა ნაწარვის შეტა-
ნას ენციკლოპედიაში, რომელთა სიტყვასაც
ფასი უნდა ჰქონოდა მკითხველისათვის, ვი-
საც დაუჭერება იგი, იწამებდა და გაჟეჟებო-
და და უნდა ითქვას, რომ ჩუგუნოვის ენციკ-
ლოპედიის წარმატება, ერთგვარად, ამ ამოცა-
ნის სწორ გადაწყვეტაშიც უნდა ექნოთ.

წიგნის მნიშვნელობა იმაშია, რომ იგი
ჩუგუნოვს გვაჩვენებს არა მარტო როგორც
სწავლულ ენციკლოპედისტსა და მთარგმნელს,
არამედ როგორც გამოიქმეველსაც. მისი მხატვ-
რულ-ტექნიკური გაფორმება, ფორმატი, მასა-
ლის განლაგება და ს. კომპონენტები მიუთო-
თებენ ჩუგუნოვის სასტამბო გამოცდილებაზე.
ამასთან, დღევანდელ მისაძაბო ის პასუხისმგებ-
ლობა, რასაც იგი იჩენს მკითხველისადმი, რო-
გორც გამოიქმეველი: „ვინაიდან მწერალი
(წაიკითხე ასეთამაშყობი) წიგნისა ამის სტამ-
ბასა შინა იყო რუსი, ყოვლითურთ უციცი ქა-
რთულისა ენისა და მწერლობისა, და მე არა
მაქუნდა თანა მოცლილი თანამდებობისა გამო
ჩემისა, რომელ თვით მე მწერა სტანბასა ში-
ნა, ამისათვის, ვითხოვ პატროსანთა მკითხველ-
თავან, რომელ უკეთუ შეცთობი და უგვანი ლე-
ქსი (წაიკითხე სიტყვა) რამე, ენისა თვისებო-
სა ჩუქნისა წიგნისა ამის შინა პპოთი, არა
მრისხოთ, არამედ დიდ-სულობითა თქტწინთა
მომიტეთი“, და ხელს აწერს თავმდაბლურად
„თქტწინე უმარწემესი და უერთგულესი, ტიტუ-
ლარნი სოვეტნიკი გიორგი მაკარის ძე ჩუ-
გუნოვი“.

ფეოქტოთ, ასეთი „უეშმარტი“ აღმამანი
დაიწყების ფერფლს არ უნდა მიეცეს. მან
თავისი კუთვნილი ადგილი უნდა დაიკავოს ქა-
რთული კულტურის ისტორიაში, ქართული
წიგნის მოამბეთა შორის და მისი მოღვაწეო-
ბა რუსულ-ქართული ლიტერატურულ ურ-
თიერთობის ისტორიაში უნდა შევიდეს რო-
გორც კიდევ ერთი ნათელი ფურცელი.

I Q—865 ხელნაწერი, რომელზედაც თ. კუ-
კავა მიუთითებს თავის წიგნში („ქართული
ფილოსოფიური აზრის იტორიიდან“, 1967,
გვ. 138), აღმოჩნდა არა ენციკლოპედიის
დედანი, როგორც ივარაუდებოდა, არამედ
თვით წიგნიდან გადაწერილი ცალი.

3030 გამარჯვებული

მაია უტავს და იმარჯვებს

ვინ იცის რამდენ მწერალს მოუშველებია კეისრის ცნობილი გამოთქმა (უფრო სწორად, მისი ფრიალ ლაქონიური წერილი რომის სენატისადმი): „ვენე, ვილი, ვიცი“ — „მივედი, ვნახე, დავამარცხე.“ იგი ხომ ელვისებურ გამარჯვებას ნიშნავს და ამჯერად შესანიშნავად ასახავს მაია ჩიბურდანიძის გასაოცარ წარმატებებს მსოფლიო პირველობის ასპარეზზე. მართლაც და, როდესაც 1975 წელს მსოფლიო პირველობისათვის ბრძოლის მორაგბი სამწლიანი ციკლი დაიწყო, 14 წლის გოგონას ძნელად თუ ვინმე აგლებდა სათვალავში. ეს იმის მიუხედავად, რომ მაია უკვე კარგა ხნის წინ საერთაშორისო ოსტატი გახდა, ხოლო მისმა ანგარიშმა (4:11) იუგოსლავიის ჩემპიონ ვლასტა კალზბრენერთან ჰადრაკს მთელი სამყაროს ყურადღება მიიპყრო. ერთი უურნალობიტი ხუმრობდა, ვლასტა ამ წაგების შემდეგ ისე გამწარდა, რომ, უპირველეს ყოვლისა, შეეცადა გვარი გამოეცვალა.


ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ექსპერტები მაინც თვლიდნენ, რომ 14 წლის მაიას მსოფლიო პირველობის მიმდინარე ციკლთან „არაფერი ესაქმებოდა“, მისი ღრმ გაცილებით უფრო გვიან უნდა დამღვარიყო. თვით მაია, როგორც სჩანს, ასე არ ფიქრობდა. ყოველ შემთხვევაში, სპაეშირო ჩემპიონატი ფრუწხეში, რომელიც ერთდროულად მსოფლიო პირველობის ზონალური ტურნირი იყო, მან სავსებით დამაჯერებლად ჩაატარა და გამარჯვებულთა შორის მოხვდა. დაიძლია ერთი ჯებირი. 1976 წელს მაიას უკვე საზონათაშორისო ტურნირში უნდა ეთამაშა, ეს კი გაუგონარი, გასაოცარი რამ იყო. ვინ ახსნიდა ამას მაიას მწვრთნელზე უკეთესად!

დაიძრნენ უურნალობები მაიას მწვრთნელ მიხეილ შიშოვისაკენ:

— ისეთი ნიჭიერი გოგონა, როგორც მაია გახლავთ, მე საერთოდ არ შემიხვედრია... იგი განსაკუთრებული მოვლენაა. მას, თუ შეიძლება ასე ითქვას, აბსოლუტური სპაელოგო „სმენა“, ლიდერული კომპინაციური „ხედვა“ და თამაშის ღრმ აზროვნების მაქსიმალური კონცენტრაციის უნარი აქვს.

მწვრთნელი კი ამას ამბობდა, მაგრამ გულშემატკივრები. ცოტა არ იყოს, ლეღავდნენ მსოფლიო პირველობის საზონათაშორისო ტურნირის წინ, რომელიც თბილისში დაინიშნა. უცხოელებს რომ თავი დავანებოთ, სწორედ აქ უნდა ეთამაშათ განთქმულ მოქალაქეებს კოლოფსკაიას, ზატულოვსკაიას, ლიტვინსკაიას (შულს) და ფატალიბეკოვას (რუბცოვას). საგზური სულ სამი იყო, პრეტენდენტი — გაცილებით მეტი. მართალია, ჰადრაკი გააახლავაზრდავდა, მაგრამ ვეტერანებმა ზატულოვსკაიამ და კოლოფსკაიამ (გვაპატრონ მათ ეს გამოთქმა) საცხებით შეინარჩუნეს თავიანთი ღირსი ძალა. რაც შეეხება ლიტვინსკაიას, იგი ხომ ჯერ კიდევ წინა ციკლში იყო პრეტენდენტი (მაშინ მას გზა გადაუღობა ნანა ალექსანდრიამ) და ახლა მით უფრო მეტი შედეგის მოძიებას ამიკრებდა. ფატალიბეკოვას, ღიღი და თავისებური ნიჭის მოქალაქეს. მანამდე უშინაღწეოდ ღონეზე არ უთამაშია, ეს გარკვეული უსამართლობა იყო, რომლის გამოსწორებას, უპირველეს ყოვლისა თვით ელენე შეეცადებოდა.

ჩვენ ახლა სიტყვას არ გავაგრძელებთ თბილისში ჩატარებულ საზონათაშორისო ტურნირზე. მაიამ ამჯერადაც გაიმარჯვა და ერთბა-



შად ორი რეკორდი დაამყარა: 1) 15 წლის ასაკში დიდოსტატის წოდება მოიპოვა და 2) მსოფლიო პირველობის პრეტენდენტი გახდა. ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს მიღწევები ოდესმე ვინმემ გაიმეოროს.

ამასობაში საქადრაკო „ბელი“ მთავს ახალ განსაცდელს უშვადებდა. 8 პრეტენდენტს ოთხი წყვილი უნდა შეექმნა. ვინ აქნებოდა ასეთ პირობებში „სასურველი“ და „არასასურველი“ მეტოქე? მთავსთვის ფაქტიურად სულერთი იყო, ოღონდ კი პირველ ეტაპზე ნანა ალექსანდრია აცდენოდა. საქმე ის არის, რომ ბევრი ექსპერტის აზრით ნანა ალექსანდრიას ისევე შესწევდა ძალა მეორედ მიედწია ნონა გაფრინდაშვილამდე. დახეთ იმედების გაცრუებას, — მეოთხედღუნადამდე სწორედ ალექსანდრია და ჩიბურდანიძე შეხვდნენ ერთმანეთს.

ეს იყო დაუვიწყარი მატჩი. უპირატესობა ხელიდან ხელში გადადიოდა, სასწორო ბოლომდე ქანაობდა და ბოლოს ნორჩმა პრეტენდენტმა ცოტათი, მაგრამ მაინც გადასწონა...

მომდევნო მეტოქე ელენე ახმილოვსკაია ჭადრაკში, ცოტა არ იყოს, „ახალი აღმავლის“ რამდენადმე ირონიული რეპუტაციით სარგებლობდა. მაიამ მას ოდესღაც მოუგო გოგონათა სკაუტინგის პირველობაზე. ახმილოვსკაია ამის შემდეგ სადაც „ჩაიბირა“, მის შესახებ არაფერი იხსოვდა. ასე არ უნდაო და, ცოტა ხანში გულნემ განაცვიფრა საქადრაკო სამყარო. მან ბრწყინვალედ ითამაშა 1) სკაუტინგის ჩემპიონატში (მსოფლიო პირველობის შესარჩევ ტურნირში), 2) მსოფლიო პირველობის საწინათამშორისო ტურნირში მოლანდიაში, სადაც პირველი ადგილი დაიკავა და დიდოსტატის „კვირთხიც“ მოიპოვა, 3) პრეტენდენტთა მეოთხედუნადურ მატჩში ლემბაჩოს სძლია.

ერთი სიტყვით, ჩიბურდანიძე-ახმილოვსკაიას მატჩამდე ორივე პრეტენდენტს შეეძლო უკისრის გამოთქმა ეხმარა, რომლის შესახებ უკვე მოგახსენეთ. ახლა კი წარმატებით მხოლოდ ერთს შეეძლო გზის გაგრძელება და ეს ერთი, საბედნიეროდ, სწორედ მაია გამოდგა... ახლა კი სჯობს, თვით პრეტენდენტსა და მის მწვრთნელს მოვუხსინათ.

დიდოსტატი მაინ ჩიბურდანიძე:

— ხშირად მეკითხებიან, პრეტენდენტთა რომელი მატჩი იყო ჩემთვის უფრო მძიმე, პირველი თუ მეორე? რა თქმა უნდა, პირველი. საქმე მარტო ის კი არ არის, რომ მანამდე ნანა ალექსანდრიასთან უარყოფითი ანგარიში შეკონდა. ნანა მეტად ძლიერი მოჭადრაკეა და მეტოქეს რთულ პრობლემებს უქმნის. რაც შეეხება ახმილოვსკაიას, მასთან თამაში არ არის ისე ძნელი. ეგ კია, რომ მოთმინება უნდა გამოიჩინო, თორემ შეიძლება მეტად შეუშოვარმა. კრასნოიარსკელმა ხიფათს შეგამოთხვიოს.

იგი მაინცდამაინც არა ცდილობს აქტიურად თამაშს, დგას და ელის. მაგრამ ისევე ვთქვათ, როგორ დგას! ახმილოვსკაიამ ჩინურულად იცის სადებიუტო თეორია, რაც მას საშუალებას აძლევს აუგოს მტკიცე, ზოგჯერ მიუვალი პოზიცია. ასეთ პირობებში მასზე იერიშის მიტანა, ასე ვთქვათ, სიმაგრედან გამოტყუება, არ გახლავთ იოლი ამოცანა.

დიდოსტატი ელშარდ გუშუაღლი:

— ერთი სიტყვით, ახმილოვსკაიასთან თამაში იმ ცინეზიმარის გარემოცვის ჰგავს, რომლის მცველებმა დიდძალი საკვები მოიმარაგეს და შველა კარბიცი საიმედოდ ჩარაჭეს. მართალია, თქვენ მაინცდამაინც არ უნდა გეშინოდეთ მცველების გამოხლოებისა (ახმილოვსკაია ამას იშვიათად აკეთებს). მაგრამ, მეორე მხრივ, მაიას ხომ მხოლოდ მოგება აძლევს ხელს. საკმარისი იყო სადმე მისი გაუფრთხილებელი „გახსნა“, რომ ახმილოვსკაია მყისვე ისარგებლებდა ამ გარემოებით და აქი ისარგებლა კიდევ.

დიდოსტატი მაინ ჩიბურდანიძე:

— ასე იყო თუ ისე, ჩამდენიმე პარტიამ ახმილოვსკაიას კარგი შესაძლებლობები მხატვა. წლების განმავლობაში ის ხდებდა, რომ ძალზე მიმძიმს პირველი შეხვედრების თამაში. ახმილოვსკაიამ და მისმა მწვრთნელებმა იცოდნენ კიდევ ეს ამბავი. პირველი პარტია ჩვეულებისამებრ წავაგა...

დიდოსტატი ელშარდ გუშუაღლი:

— მე მაიასთან უკვე კარგა ხანია ვმუშაობ და, რა თქმა უნდა, მისი ჩვევები კარგად შევისწავლე. სავსებით თანახმა ვიყავი, თუ მატჩის პირველ ნახევარში თანახარი ანგარიში აღინიშნებოდა. არც იმას ჩავთვლიდი დიდ უბედურებად, თუ კი ახმილოვსკაია მცირედით დაწინაურდებოდა, ვიცოდი, მეორე ნახევარში მაია ჩვეული ძალით ამოქმედდებოდა და მაშინ კი მას ვერავითარი ახმილოვსკაია ვერ გაუძლებდა, ისე კი უნდა მოგახსენოთ, რომ ძნელია, ძალზე ძნელი მატჩის სცენარის წინასწარ შედგენა. ახმილოვსკაია დაწინაურდა არა პირველ ნახევარში, არამედ მეცხრე პარტიის შემდეგ (5:4). თუმცა ამ პარტიამ კიდევ ერთხელ დაამარწმუნა, რომ ამ მატჩში სხვადასხვა ნიქისა და შესაძლებლობების მოჭადრაკეები თამაშობდნენ. ჭერ იყო და ჩიბურდანიძეს უმძიმესი შედეგმა მოუვიდა, რომლის შემდეგ თამაშად შეეძლო დაწებება. ასეთ ხელსაყრელ

**გიმი ბამრაქაძე
მაინა უბივს და იმარჯუმეზს**

სირობებშიც, თქვენ წარმოიდგინეთ, ახმილოვს-
კაია ვერაფერს გახდა და მალე დაფაზე წარმო-
იშვა საუაიმო პოზიცია! ქულების გაყოფამდე
საქმე მაინც არ მისულა. — ბოლოს ისევ მაინც
მაია შეცდა. კიდეც კარგი, რომ ეს მისი უკა-
ნასქანელი შეცდომა იყო ამ მატჩში. მეათე და
მეთერთმეტე პარტიებს თუ შეიძლება ასე ით-
ქვას, ერთი მოჭადრაკე თამაშობდა — მაია
ჩიბურდანიძე!

ჩვენ სახეებით დაგვარწმუნა მწვრთნელის
განმარტებამ, მაგრამ მაინც ვერ შევკავეთ
თავი უკანასკნელ კითხვისაგან: რითი ბიხსნი-
ბა მატჩის მინიმალური ანაბარიში?

მწვრთნელმა გვითხრა, რომ მატჩის დასა-
წყისიდანვე მაიას ძირმაგარები დაყარა, სიც-
ხე მისცა და ცხადია, თამაშიც მეტად გაუძნე-
ლდა. როდესაც მთელ მატჩს სიცხიანი თამა-
შობ, რა თქმა უნდა, დიდი ანგარიშის ღარდი
არა გაქვს, მთავარია საბოლოო გამარჯვება
ხელიდან არ გაუშვა, ავადმყოფობა ბოლოსდა-
ბოლოს, გაივლის, ახალ მატჩს კი არავინ გათა-
მაშებს.

მაშ ასე, ისტორიაში პირველად (რამდენ-
ჯერ უნდა ვინმართ ეს გამოთქმა) 16 წლის
მოჭადრაკე პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში
ითამაშებს. მეტოქე, როგორც ცნობილია, გახ-
ლავთ დიდოსტატი ალა კუშნირი, რომელსაც,

არც მეტი, არც ნაკლები, 8 მატჩი აქვს ნათა-
მაშევი და თანაც ზედისეიდ, მსოფლიოს პირვე-
ლობაზე. თუ გამოცდილების თვალსაზრისით
ვიმსჯელებთ, მაია რა თქმა უნდა ვერ მივა თა-
ვის მომავალ მეტოქესთან. ვერ მივა (ჭერჭე-
რობით) ვერც ერუდიციით, კუშნირის ხომ სა-
გულდაგულოდ შესწავლილი სადებიუტო რე-
პერტუარი აქვს. მაგრამ რჩება კიდეც ერთი
ფაქტი, რომლის მიხედვითაც მაია ჩიბურდა-
ნიძე მეტოქეს მკვეთრად აღემატება. თუ საქა-
ღრაკო ნიქის მიხედვით ვიმსჯელებთ, არა
გვგონია, სადმე იყოს რომელიმე ექსპერტი,
რომელიც მაიას უპირატესობას არ მიანიჭებს.
თავის დროზე მიხეილ ბოტვინიკმა ხუმრობით
თქვა, რომ „მაია ჩვენი იმედია ფიშერთან
ბრძოლაში“. ბოლისლავ ივკოვმა მაიას თვით
უწოდა „ქალთა ფიშერი“, ალექსანდრე კოტო-
ემა კი განაცხადა, რომ 12 წლის გოგონა თან
თოჯინებს ეთამაშებოდა თან კი კინაღამ არ
ღაუფულა საბჭოთა კავშირის თასს.

ერთი სიტყვით, ორივე მხარეს თავისი „კო-
წირები“ აქვს. როდესაც ერთხელ კიდეც მივმა-
რთეთ დიდოსტატ გუფუელდს, მან თქვა, რომ
შეუძლია დაასახელოს ქალაქი, სადაც მსოფ-
ლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი თავის
მომავალ მატჩს ითამაშებს, მაგრამ „ტაქტიკუ-
რი მოსაზრებით“ არ აკეთებს ამას.



კვლევა

ვაჟა ჩორღელი

დისკრტაქია...

(იუმორესკა)

— მე რატომ უნდა ვიყო უბედური, რატომ უნდა მივშტერებოდე ორი კინკლა ლექსის ავტორ ქმარს, რა მჭირდა სამაგისო, რა შევცოდე ღმერთს? ყველა ჩემს ნაცნობს ქალებს ღიღინებდა ცოლის საყვედური სინმარსა თუ ცხადში.

— ღიღინებდა ყველა წერს, აბა ლექსი დაწერონ-მეთქი, — ამით ვამხნევებდი ცოლს, მაგრამ არა გეტყინოთ რა, არ მეშვებოდა, ლექსებს თავი დაანებე და სერიოზულ საქმეს მიხედო.

საქმე იქამდე მივიდა, რომ ცოლს უნდა გავყრდი. ცოლთან გაყრას და ორი შვილის ქუჩაში მიტოვებას ლექსთან გაყრა და ღიღინების დაცვა ვამჯობინე.

მივაგენი სრულიად განსხვავებულ თემას, რომელსაც ასე ვუწოდებ: „სამართალი და ბრაკონიერთა სახე ქართულ ფოლკლორში“.

სათაურებსა და მასალების მოძებნის შემდეგ ნაშრომი, რომელიც აინშტაინის ფარდობითობის თეორიისამებრ სულ რამდენიმე ფურცელზე ჩამოვასხი, ასე დავიწყე: უპირველესად ჩემს ნაშრომში არ შევეცდები იმას, რომ თავი მოვაბეზრო დამსწრე საზოგადოებასა და ჩემს ოპონენტებს და იმით, რომელთაც ეს ნაშრომი ეხება, მაინცა და მაინც ბრაკონიერები ვუწოდო, მაგრამ ის ელემენტები, რომელიც ფოლკლორით მტკიცდება, უდავოა, და, როგორც ვფიქრობთ, საღისეუხიო და საყაყანო არაფერი ჭირს.

ჩემი ღიღინებისა უმეტესად რადიოთი გადმოცემულ სიმღერებს ეყრდნობა...

ფოლკლორული მასალა გვემოწმება, რომ ჩვენი წინაპრები მართლაც ბრაკონიერები ყოფილან. ტექსტი გადმოგვცემს: „გუშინ შვილნი გურჯანელნი სანადიროდ წასულიყვნენ“. ხელავთ? შვილნი ყოფილან. თუ შემკვიდრობითობას არ გამოვრიცხავთ და არც შეიძლება, შვიდ გურჯანელს რამდენი შვილი ეყოლებოდა? (ახლა რა გასამხელია, თორემ ძველად საქართველოში 10-12 შვილი ყველას ჰყავდა), იმ შვილებს კიდევ შვილიშვილები და გამოდის, რომ მთელი გურჯანის ბრაკონიერებით ყოფილა დასახლებული.

გასაკვირი არ არის, რომ აქ ოპონენტები დავამენ კითხვას: „ეგებ მათ არაფერი მოუკლავთ და რატომ სდებთ ბრალს პატრიარქულ ღიღინებანო?“ და ამიტომ, თავის დასაზღვევად, იგივე ტექსტს მივმართავ, რომელიც ასე გრძელდება: „იქ მოეკლათ თეთრი ტახი, სორცი მოემრავლებინათ“, და კიდევ: „ესროლა ბერმა პაპამა, ჭიხვი რქით გადმოვიდა“. უდავოა, ქრისტიანულ უდავოა, რომ ჩვენმა წინაპრებმა, ამ შემთხვევაში გურჯანელებმა, გაწყვიტეს წარსულში გარეული ღორები და ჭიხვები.

მე, ღიღინებანი, სრულიადაც არა ვარ ისტორიულ თარიღებში გამოკეტილი და ამიტომაც არ ვიკვლევ, რომელ ეპოქაში მოხდა ეს, მაგრამ ერთი ცხადია... წინაპრებში ყოფილა ბრაკონიერული სული. ყოველივეს დასამტკიცებლად, აი, როგორ დალადებს ტექსტი (ესვე რადიოთი მაქვს მოსმენილი): „ვარძიაშია დღევობაა ღიღინი, საკლავად მიიყვავთ იირმები, იირმებიო!“ ხელავთ, ირმების მოსპობას



რა დროიდან ჩაყრია საფუძველი? შემდეგ ირმების მოსპობის საკითხმა უფრო ფართო მნიშვნელობა მიიღო (ამ საკითხზე ცოლი წამომეშველა) და იქამდე მივიდა საქმე, რომ ეზოს ძალღებობაც კი დაუწყეს ღვენა საწყალ ირმებს. არ გჯერათ? „ფიცი მწამს, ბოლო მაჯივრებსო“, ამის თქმისა არ იყოს, ფაქტი გიუტაა. საილუსტრაციოდ სახიშროო ტექსტი გამოვვალგება ისევ, რომელშიც ვკითხულობთ: „მოუყვანე ჩემო მურა, გამოაგდე ირემი“, (მურა ხომ ეზოს ძალს ჰქვია?)!

ირმებს, დავუშვათ იმიტომ ჰკლავდნენ (ღმერთო, ნუ მიწყენ), რომ ბევრ ბაღასს ძოვდნენ და მსხვილფეხა თუ წვრილფეხა საქონლის შესანახ ადგილებს ანადგურებდნენ, მაგრამ კურდღლები რას აშავებდნენ, რომ გაწყვიტეს? მოფესმინოთ რადიოსი — „კურდღელი ჩამოცანდალა, ფეხმოტებილი, საწყალი“, ადვილს მისახვედრია, რომ კურდღელს ფეხი ბრაკონიერთან ორთაბრძოლაში მოტყდა და არა ხარჩო-საბადებლის ძებნაში.

რამდენი ფაქტის მოყვანა შეიძლება, ვინ მოთვლის. ვინღაც ეს: „ირემმა ირემს ახარა, (სანამ გაწყდებოდნენ) გუშინ ვინც თოფი გვახალა, გზაში მოუკლავთ მახარა“, „თოფის სროლა და ფრინველი ზეცას მომიშორებია“, „გაღმით ვესროლე, მკერდს ვყარი, ირემი ცრქულით კვდებოდა“, „შავი შაშვი ჩიოდა“, „წინ მეძებრები მოუძღვის, დაგეშილი ჩემზედა“ და სხვანი და სხვანი, მაგრამ მოგეხსენებათ, ღღვეანდელი დისტრაციების სიმოყდ... ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტების

წამკითხავს თუ მსმენელს გულს შეუერთებენ და ვაცოფებულნი იკითხავს: ნუთუ კრავინ იყო პატრონი, რომ აეკრძალა ნადირ-ფრინველის განუკითხავი ელექტა? რა თქმა უნდა, იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ძალიან ცოტა. კონკრეტული მაგალითი ერთადერთია: „სანადიროდ წასულან სიძე-სიმამრი, სიძეს მოუკლავს ირემი (ბოლიშს მოვიხილი, ტექსტი დიდიხნის მოსმენილი მაქვს და ლექსად არ მახსოვს), დაუნახავს რა სიმამრს, რომ სიძემ ბუნების უკანასკნელი მშვენიერაც სიცოცხლეს გამოასალმა (ასეა ტექსტში „იავ მთაზედა“), სიძე თავისი თოფით იმსხვერპლა: „მოკლა სიმამრმა, ვარლალო“.

ოპონენტმა ერთადერთი უხერხული შეკითხვა მომცა: თქვენ როგორ მოიქცეით. ტყეში რომ ირემი შეგზვდეთო? მე არც დაფიქრებულვარ, ისე ვუპასუხებ: არამედარამც არ ვესვრი, დიდად პატივცემულო პროფესორო — თქვა. დარბაზში ტაშმა იქუხა, თავმჯდომარემ გამოაცხადა, ნება მომეცით, თქვენი აპლოდისმენტები დისტრაციის დაცვად ჩავთვალოვო. კიდევ იქუხა ტაშმა, ახლა უფრო ძლიერად...

მილოცავდნენ, მკოცნიდნენ, თვალს მიმატუნებდნენ, მიხუტებდნენ...

ხვევნა-კოცნა კარგადაც კი არ იყო დამთავრებული, რომ ჩემი ცოლი ამაყად მიაბიჯებდა დამსწრე საზოგადოებასთან ერთად საბანკეტო მაგიდისკენ და თავის დაქალებს ხმამაღლი ეუბნებოდა: ახლა კი შემიძლია, ირმის ქურქით ვიარო ქვეყანაზეო...



ქართულ «სივსკრის» 1977 წლის ნომრების შინაარსი

ბრძანაძე, ვოთხრობა, ნოვალა, თარგმანი

- ავალიაშვილი მანანა — მოთხრობები, № 5
 ალიაშვილი კიმი — ქომაგი (მოთხრობა), № 5
 ასკურავა დავით — მოთხრობები, № 5
 ანდრონიკაშვილი ზორის — ვახშამი ვანთიადისას (მოთხრობა), № 6
 ბერაძე ვივი — მოთხრობები, № 5
 ბერაძე ვივი — ოსტატი (მოთხრობა), № 3
 ბიბილაძე თამარ — ჩივილი (მოთხრობა), № 1
 გაჩეჩილაძე ზაზა — პატიმარი (მოთხრობა), № 11
 გელაშვილი აკაკი — გმირები შინ არა კედებიან (მოთხრობა), № 11
 გოგუშვილი ჯანრი — ყველა ღალატის ჯინაზე (მოთხრობა), № 4.
 გოგია სულციკო — სულციკო (მოთხრობა), № 3
 დავლიანიძე ჯემალ — წონასწორობა (რომანი), № 8, 9, 10, 11, 12
 დემურხანაშვილი სოლომონ — მზის მოქცევა (ნაწყვეტი რომანიდან), № 11
 თაბუკაშვილი დამა — მოთხრობები, № 2
 თოფურაძე ჯემალ — მოთხრობები, № 2
 იანიშვილი რევაზ — მოთხრობები, № 6
 კაბანდია ზაურ — ტვირთი (მოთხრობა), № 3
 კეკელიძე თენგიზ — ცოტათუნი სიბო შემოდგოპისას (მოთხრობა), № 2
 კობიძე რამაზ — ბათუმი — თბილისი (მოთხრობა), № 5
 კოკია ლადო — თავის დაღწევა (მოთხრობა), № 4
 ლომაძე ვია — მოთხრობები, № 5
 მაღალაშვილი დევიდ — სტატისტი (მოთხრობა), № 9
 მერაბიშვილი ელგუჯა — ფოთოლცეხა ოლოლების ტყეში (მოთხრობა), № 5
 მიშველაძე რევაზ — ნოველები, № 6
 მიქიაშვილი ვიტალი — ამბავი უღრანში (მოთხრობა) № 8
 უფლავა ირაკლი — მსხვერპლი (მოთხრობა. დასასრული. დასაწყისი იხ. «ციცკარი», 1976 წ. № 12), № 1
 ხავლიაშვილი იოსებ — ტიცინის დეველი (მოთხრობა), № 6
 სიხარულიძე ვლადიმერ — ოდიშისი (კინომოთხრობა), № 2
 ქარჩხაძე ჯემალ — იგი (პრესტორიული მოთხრობა), № 12
 ქობაძე მურმან — არტახები (მოთხრობა), № 3, 4
 ქობიძე ჯანეტა — მაიას ზღაპრები (ასფურცელას რვეული), № 6
 შამანაძე ნოდარ — ეპიზოდები ხათრიანი კაცის ცხოვრებიდან (მოთხრობა), № 3
 შატაძე ნუგზარ — მოთხრობები, № 6, 10
 ჩიჩინაძე როდამ — მოთხრობები, № 6



- ჩხეიძე ოთარ — ორი ეტიუდი, № 7
- ჩხეიძე ბორის — პურის სიმღერა (მოთხრობა), № 4
- ჩორდელი ვაჟა — ტყვილი (მოთხრობები), № 8
- ჩოხელი გოდერძი — მოთხრობები (ჰუმანიკი), № 7
- ჩიქოვანი გრიგოლ — უკანასკნელი მთავარი (მოთხრობა), № 10
- ჭელიძე ვახტანგ — ქართლის ცხოვრების ქრონიკები, № 9, № 10
- ჭეიშვილი გოდერძი — ავეისტოს სამი დღის ქრონიკა (მოთხრობა), № 5
- ჭონელიძე ბადრი — ძმა (მოთხრობა), № 7
- ხორგუაშვილი გიორგი — სანდრო ბერბუკელი (მოთხრობა), № 7
- ჯაფარიძე ბექან, ოკუჯავა მიხეილ — ცისფერი ნაბერწყალი (მოთხრობა), № 12
- ჯოხაძე გივი — მოთხრობები, № 12
- ჯოსაძე შავა — ბიჭი შოკოლადით (მოთხრობა), № 5

ლექსები, პოემები

- აბაშიძე ირაკლი — ლექსი, № 9
- არაბული მინდია — ლექსები, № 10
- არაბული ალუდა — ლექსები, № 6
- არაბული ირაკლი — ლექსები, № 11
- აროსია ილია — რევოლუციის ჯარისკაცს (ლექსი), № 10
- ავსაჯანიშვილი მირანდულ — ლექსები, № 6
- ბეგიაშვილი ილია — ლექსი, № 11
- ბედია უშანგი — ლექსები, № 4
- ბესთაუთი გიორგი — ლექსი, № 9
- ბოლქვაძე ჯაურ — ლექსი, № 9
- ბაგუა ხუტა — ლექსები, № 8, ლექსი, № 9
- ბეგუაშვილი გივი — ლექსები, № 9
- გორგანელი ვახტანგ — ლექსები, № 6
- გოდერძიშვილი ზუმრუდ — ლექსები, № 12
- გურაშვილი შალვა — ქერჩში, ძმათა სსსაფლოზზე (ლექსი), № 8
- დოღბაია ვაჟა — ლექსები, № 5
- ივარდავა დილარ — ლექსები, № 10
- ინჯია ჯემალ — ლექსები, № 12
- კალანდია გენო — ლექსი, № 9
- კალანდია რენე — ლექსები, № 6
- კაპიანიძე გიორგი — ლექსი, № 11
- კახიძე მედეა — ლექსი, № 9
- კალანდარიშვილი თამაზ — ლექსები, № 12
- კერძევაძე ელდარ — ლექსი, № 12
- კუხიანიძე ზურაბ — ლექსები, № 4
- კვიციანი ედემ — ლექსი, № 11
- მარგინი რევაზ — ლექსი, № 9
- მებურიშვილი ტაგუ — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი (ლექსი), № 10, ლექსები, № 12
- მეგრელიშვილი ავთანდილ — ლექსები (ასფურცელას რვეული), № 6
- მირნელი მირიან — ლექსები, № 6
- მუმლაძე მინაგო — ლექსი, № 11
- ნადირაძე კოლაუ — ლექსები, № 4
- ნარმანია ზურაბ — ლექსები, № 4
- ნონეშვილი იოსებ — ლექსი, № 9
- ნუშაიძე ენვერ — ავტობიოგრაფია (ლირიული პოემა), № 1
- ოდისეიშვილი კარლო — ლექსები, № 6
- ორჯონიძე იზა — ლექსი, № 9
- ოსეჯანიშვილი რევაზ — ლექსები, № 6
- რასიაშვილი ალექსი — ლექსები, № 8
- რუხაია გრიგოლ — ლექსები, № 8



- სალუქვაძე ანზორ — ლექსი, № 2, № 9
- სახვადე ეთერ — ლექსები, № 5
- საბაშვილი შალვა — ლექსები, № 12
- სულაკაური არჩილ — ლექსები, № 2, № 10
- სვანაძე ბადრი — ლექსები, № 12
- სტავსკაია ი. — ლექსი, № 4
- ფოცხიშვილი შორის — ლექსები, № 2; ლექსი, № 9
- ქართლელი ზურაბ — მზისკენ... (ლექსი), № 10
- ქინქლაძე ზაზა — ლექსები, № 12
- ქემერტელიძე იორამ — ლექსი, № 9
- ჩარკვიანი ჭანსულ — გამოეყო ნათელი წყვილი (თბილისური ქრონიკები), № 7
- ციგროშვილი ირაკლი — ლექსები, № 8
- ძნელაძე გივი — ლექსი, № 9
- ტიელიძე ოთარ — ლექსი, № 9; ლექსები, № 10
- ტილაძე ოთარ — წიგნიდან: „გახსოვდეს სიცოცხლე“, № 8
- ხარჩილაძე ვახტანგ — ლექსები, № 5
- ხალვაში ფრიდონ — ლექსი, № 9
- ხახიაშვილი დანიელ — ლექსები, № 11
- ხომერკი რევაზ — გამარჯვებული მოდის მაისი (ლექსი), № 5
- ხოშტარია ილია — ლექსები, № 4; ლექსი, № 11
- წიკლაური ირაკლი — ლექსები, № 8
- ჭანტურია ტარიელ — წიგნიდან: თაფლობის საუკუნე, ლექსები, № 2
- ჭალალონია ნოდარ — ლექსები, № 4
- ჭავჭავაძე ვახტანგ — წიგნიდან: „მარტი, აპრილი, მაისი, (ლექსები), № 5; ლექსები, № 9
- ჭიქია შუკო — ქებათა — ქება ნათელ მერმისს (ლექსი), № 10, ლექსები, № 11

გაზაფხულის სიმღერები

არჩვაძე ლია, ბალახაძე ზიზი, ბარნაბიშვილი მერი, გოგუაძე ნანა, გოდერძიშვილი ზურმრედ, დაუშვილი თამარ, დვალი გულიკო, იმედაძე ანა, კაიშაური რუსუდანი, კიტია ნაზი, კუკულაძე გიული, მამარდაშვილი ნათელა, მეურშიშვილი შარიაშ, მკერვალიშვილი რუსუდანი, მილდია-ნი ჭულიეტა, სამხარაძე-ჭლამაძე ეთერ, ქუთათელაძე ნინო, ქოქიაშვილი დოდო, ჩემია ნანა, ჭყოიძე მთვარისა, ხარაძე იმერო.

„სიზაბუკა და ლეჰსი ერთია...“

არაბული იმედა, არაბული შაბურა, აღონია აპოლონ, ამირიძე კონსტანტინე, პერუჩაშვილი თამაზ, გერსამია დევის, გრიგოლია მერაბ, დანელია რევაზ, თევზაძე აკაკი, კლაძე ამირან, კობერიძე ნუგზარ, კვერენჩილაძე ჭემალ, ნეკერიშვილი ნაილი, ულაბეგიშვილი ნუნუ, შალვა-შვილი ნუნუ, ჩახავა ჭემალ, ცარციძე იზო, ხარჩილაძე ვახტანგ, ჭაფარაშვილი ლალი, ჭოლ-ბორდი ი.ა. № 1

ოქტომბრის თანატოლები

აბაშიძე გრიგოლ, ასათიანი ლადო, გელოვანი მირზა, მარგიანი რევაზ, ნონეშვილი იოსებ, ნაფტეხარიძე გიორგი, საჩაია ალექსანდრე — ლექსები, № 11

კომბის სიმღერა

ბურავინი გენადი — ოთხი ბელორუსული ლექსი. თარგმნა ხუტა ბერულავამ. № 8
 გურგულია ბორის — ძველი რვეულიდან — (ლექსები), აფხაზურიდან თარგმნა გურამ გოგიაშვილმა, № 10
 ალი ისაევ-ავარსკი — ძღვევის მწვერვალი სამოცი წლისა. ლექსი, თარგმნა ოთარ შალამბერიძემ, № 12

კოეზიის მერიდიანები

გვიან დუგლასი — სინელენი მთარგმნელობისა, ლექსი, ძველი შოტლანდიური ენიდან თარგმნა თამარ ერისთავმა, № 9
ფირდოუსი — ამბავი ბეჯანისა და მანიყისი. თარგმნა ბელა შალვაშვილმა, № 8

ახალი მარკვანები

აპდაიკი ჯონ — ფილადელფიელი სტუმრები, № 4
არგენი ტუდორ — ლექსები. თარგმნა გივი აღმაშენებელმა, № 6
ბაბელი ისააკ — აღსასრული. თარგმნა თამარ კვაჭანტირაძემ, № 6
დრანი ივან — ნიკო ფიროსმანი კიევი (ლექსი), უკრაინულიდან თარგმნა გივი ძნელაძემ, № 4
კამილ აღბერ — პროპეტე ჯოჯოხეთში. თარგმანი და კომენტარი გიორგი ციხაშვილისა. № 11
უნგრელი პოეტები — თარგმნა თედო ბექიშვილმა, № 5
რემზო არტურ — ევანგელური პროზა, ფრანგულიდან თარგმნა ნესტან იორდანიშვილმა. № 5
სტრენიუსი ანგელუს — ლექსები. გერმანულიდან თარგმნა ითარ ჭინორიამ (ბილოსიტყუვარბა გიორგი ვაჩეჩილაძისა), № 7
ფირდოუსი — სპარსულიდან თარგმნა ბელა შალვაშვილმა, № 8
შექსპირი უილიამ — ამით გარჯი სიუვარულისა, (პოემა). ინგლისურიდან თარგმნა ეშვარ კვიციანიშვილმა, № 1, 2, 3
შოუ ირვინ — კანზასში დაბრუნება. ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ნოდამ, № 4
შაინე ჰაინრიხ — ლექსები. თარგმნეს გივი გვეგეკორამ, ჯანსუღ ჩარკვიანმა, იორამ ქემერტელიძემ, № 3

ნარკვევი

აფრიდონიძე შოთა, ჯაბიძე დავით — ქართველი მემორები მოსკოვისათვის ბრძოლაში, № 2
აღმაშენელი ილო — მებრძოლი სულის ადამიანები, № 11
კობიძე ჰენრი — ქვესკნელთან მორცინალნი, № 11
დეჟავა ანტონ — ქართველი რევოლუციონერები ჩრდილო-კავკასიაში, № 11
მრეღაშვილი ლადო — მელა ფენეკი და მწვენი საბურველი, № 3
პრივალოვა ეკა — ჭილაანთ ციხე-დარბაზი დუშეთში, № 6
ურუშაძე თენგიზ — ტყე — ჩენი საზრუნავი, № 12
ფრუიძე ლევან — ეთნოგრაფის დღიურიდან, № 5
ჭაჭაია გია — ბუნების დაცვა და თანამედროვე ეკოლოგია, № 6

„ციხის“ ზარბაზი

კობიძე ჰენრი — ქვესკნელთან მორცინალნი, № 11

ბრინჯა, კუპალიცისტიკა, კუპალიკაცია, ზიგლიზობრაფია

ავალიანი გიორგი — დიდი შეუწყვეტელი სიმღერა, № 12
აღმაშენელი ნანა — დიმიტრი უზნაძის დაკვირვებანი ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაზე, № 10
აღმაშენელი ლერი — მზე, მზე, მზე, № 17
აფციაური ჭემალი — იდეოლოგიური ბრძოლის კვალი „გიორგი მთაწიდანის ცხოვრებაში“. № 6
ამს. ლ. ი. ბრეტენევის გამოხვლა, № 7
ბენაშვილი გურამ — ვალაკტიონის ლირიკა, № 6
ბრეგვაძე ა., მიქელოვი ს., ასათიანი ა. — საინტერესო ნაშრომი საქართველოს მრეწველობისა და სამრეწველო პროლეტარიატის შესახებ,
ბრეგვაძე ლევან — ქართველი ავტორები „ლე კოკაზ ილუსტრეს“ ფურცლებზე, № 11
ბრუკსი ვან ვიკ — ემილ დიკენსონი (ფსიქოგრაფია), ინგლისურიდან თარგმნა მანანა ასათიანმა, № 4



- ბოცვამე ზურაბ — შიო მღვიმელი, № 6
 ბურჭულაძე როლანდ — „საქართველო, შენ ვინ მოგცა შეილი დასაქარგავი“... № 2
 გოგსაძე კარლო — ცხოვრების წესის პრობლემა თანამედროვე იდეოლოგიურ ბრძოლაში, № 20
 გოგუაძე ვახტანგ — დონ ქუანი, № 5
 დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი — № 8
 თევზაძე გურამ — „მსოფლმხედველობრივი პრობლემები ვეფხისტყაოსანში“, № 7
 თავისუფლების დიდი ქარტია, № 9
 იარაღოვი გრიგოლ — ძმები პუშკინები კახეთში, № 7, 8
 კანდელაკი ბადრი — გზა და ოცნება № 8
 კუპრინიშვილი ნონა — მშვენიერი ხიდი, № 7
 ლაშქარაძე დავით — დავით ბაგრატიონი და ევროპეიზმის პრობლემა ქართულ ლიტერატურაში, № 4
 ლომიძე თამარ — ხელოვნების ფსიქოფიზიოლოგიური საწყისები, № 2
 მარგველაშვილი გიორგი — ახალი ცის ქვეშ, № 11, 12
 მახარაძე ფილიპე — დიდი ლენინის პირადი საქმე, № 11
 მაქარაძე ვალერიან — მოსკოვის უნივერსიტეტის დაარსებაში ქართველთა მონაწილეობის საკითხისათვის, № 7
 მეტრეველი როინ — „რანი ვიყავით, რანი ვართ“... № 18
 მინაშვილი ლადო — წიგნი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებით ისტორიაზე, № 10
 მინაშვილი სერგი — ორიოდ სიტყვა ქართული პრესის წამყობაზე, № 5
 მარცხულაძე ბორის — ლენინური პარტიულობის იდეა თანამედროვე ქართველ პოეტთა, ლირიკაში, № 4
 ნატროშვილი გიორგი — ხალხმა დაწერა, ხალხმა იწერა... № 8
 ოქტომბრის დროშით, № 3
 რეხვიაშვილი სპარტაკ — იაკუტი ხალხის მეგობარი, № 7
 რთინაშვილი უზანგა — სივრცე და მარილი ლექსისა, № 2
 სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ანხანა ლ. ი. პრემიუმს, № 1
 სირაძე რევაზ — ადამიანის რენესანსული იდეალის განვითარება, № 1
 ტოტოჩავა კონსტანტინე — საბჭოთა სახელმწიფო — ხალხთა ფაქტიური თანასწორობის დამკვიდრების მძლავრი ძალა, № 11
 ტურაშვილი ივანე — ბერთის ოთხთაღის დათარიღებისათვის, № 4
 ფანჯიკიძე გურამ, ჩიარკვიანი ჭანსულ — მალალი სულს ადამიანები, № 9
 ქავთარია გრანი — ძველი საქართველოს ისტორიის ერთი ფურცელი, № 5
 ქვაჩაია ვენორო — რა უპასუხა ვაჟა-ფშაველამ აკაკი წერეთელს, № 8
 ქურციკიძე ციალა — „ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები“, № 12
 ქრისტესაშვილი მერი — „რთული სისადავის მწვერვალები“, № 3
 ქვლივიძე თ. — გიორგი ლეონიძის „ჩირიკი და ჩივთელა“, № 3
 ლამაზაშვილ ნანა — სუბიექტური განწყობის ზოგიერთი შტრიხი ქართულ მწერლობაში, № 2
 ურადიაშვილი რეზო — მხატვრული სინამდვილე და მეთაზველი, № 4
 შაროტვა ტატანა — სოციალისტური რეალიზმის უშრეტეი საწყისები, № 4
 შეთქაური გიორგი — დაღაცათუ არ იქმნა ძლევდი, № 7
 ჩხაიძე თენგიზ — მწერლის წმინდა სიტყვა, № 10
 ჩხეიძე ციალა — ქართველ მწერალთა, საზოგადო მოღვაწეთა და ექიმთა ურთიერთშეგობრობისა და თანამშრომლობის ისტორიიდან, № 3
 ციშვილი სარგის — გიორგი ლეონიძე, № 9
 წიფწივაძე თამაზ — „მამრობითი პარტნიოროსი“ ვენზანი, № 9
 წერეთელი პაპუნა — ეძიებდენ და ჰპოვებდენ, № 6
 ქელიძე ვახტანგ — „აბსურდის ზეიში“... № 1
 ქურდულია ოთარ — აბრსკილის ეტიმოლოგიური ვაგებისათვის, № 12
 კილაზე თამაზ — იაკობ ცურტაველის „შუშანიის წამება“, № 5, აკაკი წერეთლის პოეზია, № 6
 ხეჩუაშვილი გიორგი — სამოც რთვლობას ვაუშარჯოს, № 7
 ხერხეულიძე გრიგოლ — „კახთ-მაჰავარი“, № 1
 ჭავჭავაძე ელიზბარ — ქართული ლიტერატურაში მცოდნეობის ახალი ეტაპის საწყისთან, № 9
 ჭულუხაძე გრიგოლ — „იმღერე სანამ ენგური გქვია“, № 5



შველიძე ნოდარ, ცინცაძე დურმიშხან — საქართველო — ახალი აღმავლობის ვხით, № 9
შავლიაშვილი მედია — გზა სინათლისა (ნარკვევი), № 10
ფიფია ზაურ — ცა, ზღვა და ხმელეთი (ნარკვევი), № 10

სწორება კომუნისტებისათვის

მაისურაძე დავით — ხალხის პოლიტიკური ბელადი, № 10
რაჭველიშვილი ილია — რევოლუციონერის თავდადება, № 10
შველიძე ნოდარ, ცინცაძე დურმიშხან — ოქტომბრის დროშით, № 11

„ცისკარს“ ულოცავენ

გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქცია;
გაზეთ „მოლოდიოვ გრუზიის“ რედაქციის კოლექტივი;
გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია;
ქურნალი „დროშა“;
ალმანახი „განთიადი“;
„მნათობის“ მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი;
აბაშიძე გრიგოლ — ახალგაზრდობის საყვარელი ჟურნალი; ბერულავა ლევა — საღამო და
გამარჯება; ბეჟიშვილი თედო — უმცროსი ძმა; გუდიაშვილი ლადო — „ცისკარი“ 20 წლის
შესრულდა! დრანი ივან, კოროტიანი ვიტალი — ოცი წლის სამკალს გაუმარგოს; თვარაძე რე-
ვაზ — ძმობა; დოღლა ჭეშალ — ოცი წლის ჰაბუკი; მანაიძე მინუჩარ, უფიანი დავით, ხინჩა-
გაშვილი შოთა — თქვენი ტრინბუნები გაუქდილია ხალხით! ფანჯიკიძე გურამ — „ცისკარი“,
შატაძე ნუგზარ — კეთილი მგზავრე; ჩაჩანიძე როდამ — იზარდე, მწვანე ჭეჭილო, № 9.

მილოცვები

60 — რევაზ მარბინანი — 60

ნონშვილი იოსებ — ვამაკობ შენით. ჩარკვიანი ჯანსუღ — შორია სათიბების ბოლომდე.
წიფწიფაძე თამაზ — „ნუ დამსჯი სიყვარულისთვის“, № 1

50 — არჩილ სულბაბაური — 50

გაბეკვიორი გივი — როცა აქვეა მტკვარი, დუშმაძე ნოდარ. — გმადლობთ, არჩილ, კალანდაძე
ანა — კვლავ მშვიდობის მაცნედ, ჩარკვიანი ჯანსუღ — მაღალი ჭერი, ჩხიკვიშვილი
ავთანდილ — თთხივე მხრიდან, — ჭილაძე თამაზ — მკათათვის წირველი დღე, № 2


50 — რეზო ინანიშვილი — 50

ასათიანი გურამ — რეზო ინანიშვილო, კეცხოველი ნიკო — სიკეთით ყელთამდე სავსე
კოტეიშვილი ვახუშტი — ხურჯინის ორი თვალი, № 4

50 — ელგუჯა მადრაძე — 50

მაჭავარიანი მუხრან — ორიოდ სიტყვა საერთოდ კაცზე და კერძოდ ელგუჯა მადრაძეზე,
ერთ-ერთი მისი ღირსების გამო. ნატროშვილი გიორგი — მწერალი და მამულიშვილი,

ფანჯიკიძე გურამ — ჯერ ყველაფერი წინარის, ჰელიძე ვახტანგ — ნიტყვა მეგობარს,
ჭაფარიძე რევაზ — ღია წერილი ელგუჯა მაღრაძეს, № 4



50 — ნოდარ გურაშვიდი — 50, № 7

70 — კარლო კალაძე — 70, № 5

60 — ვახტანგ ჰელიძე — 60, № 9

50 — თამაზ ჩხენაელი — 60, № 12

თამაზ ბიბილური — მონოლოგი თამაზ ჩხენკელზე, № 12

საიუბილეო თარიღები

60 — ლადო ასათიანი — 60, № 6

60 — შირვა ბალოვანი — 60, № 6

ჩვენი კალენდარი

ყიფიანი ირაკლი — გიორგი ჩუგუნოვი, № 12

რუსთაველის ნაკვალევზე

ბინჭარაული აღექვი — დიხ, 1113! № 5

მეცნიერება

ნოდარ ყიფშიძე, გურამ კახანაძე — სტრესი, ბიორიტმი და საუკუნის დაავადება, № 10

ხელოვნება

თაბუკაშვილი ლეილა — დიდ საიუბილეო გამოფენაზე, № 11

მარსაგიშვილი გია — ქართული ხელოვნების ზეიმი, № 8

კვიციანიშვილი ემზარ — უძილო ღამეების ფასი № 11

ჭილაძე თამაზ — თეატრი — ჩვენი სიყვარული, № 4

სკოლბი

გაბრეკელი ვივი — მაია უტრეს და იმარჯვებს, № 12

ინწკირველი შოთა — „ჭადრაკის ანბანი“, № 6

ჩვენი ინტერვიუ — № 4

ტიქინაძე უშანგი — „თამამ“ ვერ ითქვა თამამად, № 5

ცემორი

ბუაჩიძე გრიგოლ — უდანაშაულო მურია. პენსიონერები, № 5

ვლინსკა იონა — მგზავრის აღმოფოთება, შემთხვევა კაფეში, ვახილეცკი მარჯ — საჩივრის

წიგნი. პოლონურიდან თარგმნა შოთა ამირანაშვილმა, № 2

გროძენსკა სტეფანია — ოპერაცია „გ. წ.“. მაგნუსი მანფრედ — პროფესიული რჩევა —
თარგმნა შოთა ამირანაშვილმა, № 6

მიკეში დიორდ — დეფიციტური საქონელი, თარგმნა შოთა ამირანაშვილმა, № 8

ფრანსუაზა ვიიონი — მინი ანდერძი, № 9

ვლადიმერ ოსინსკი — და შეიკრა რკალი... თარგმნა ე. თვარაძემ, № 10

ჩორდელი ვაჟა — შეხვედრა, № 3, დისერტაცია... №1 2

გორგენის მეორე გვერდზე გ. ლაზარაშვილის ნამუშევარი — „ახალი ცენტრების გარემოება“

კრიტიკისა და პუბლიცისტის განყოფილება მასალებს მიიღებს არა უშეტეს ერთი საავტორო
თაბახისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, შალვა დადიანის ქ. № 2.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 72-44-78, მთ. რედაქტორის მოადგილე —
72-26-32, მდივანი — 72-26-85, განყოფილებათა გამგეები — 99-85-81, პროზის — 72-26-30,
ლიტერატურული თანამშრომლები — 72-47-62, „ცისკის“ დამატება — 72-17-01, საკორექ-
ტორო — 72-43-75.

გადაეცა ასაწყობად 17. 10. 77 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 13. 12. 77 წ., ქაღალდის ზომა
70×108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10, პირობით ფორმათა რაოდენობა 14, სააღრ-საგ.
თაბახი 15,35. შეკვ. № 3101. უე 00866. ტირაჟი 30550.

საქ. კბ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

6913

ფან 60 333.



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ
ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ
ИНДЕКС 76236